

This is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC) project:

Author:

Title: IBERIA-COLCHIS Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period 6

The DSCC is part of the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library.

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from the Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/takedown-notice>



DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION



NYU | ISAW

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი

GEORGIAN NATIONAL MUSEUM
Of Otar Lordkifanidze Centre of Archaeology Journal



იბერია-კოლხეთი

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period

6

თბილისი 2010 Tbilisi

ISSN 1512.4207

UDC 94(479.22)+902. ი-315

მთ. რედაქტორი: გელა გამყრელიძე

სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:
**ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი,
დარეჯან კაჭარავა, გურამ კვირკველია,
დავით მინდორაშვილი, თემურ თოდუა,
გოდერძი ნარიმანიშვილი, ვახტანგ შატბერაშვილი,
მაია ჩარკვიანი**

Editor-in-Chief: *Dr. Prof. Gela Gamkrelidze*

Editorial & Reviewers Board:

*Dr. Z. Bragvadze, Prof. D. Braund (UK), Dr. Prof. D.Kacharava,
Dr. Prof. G. Kvirkvelia, Dr. D. Mindorashvili, Dr. Prof. T. Todua,
Dr. G. Narimanishvili, Dr. V. Shatberashvili,
Dr. M. Charkviani*

Address: Otar Lordkipanidze Centre of Archaeology
14, D. Uznadze str. Tbilisi, 0102

Georgia

e-mail: iberiacolchis@yahoo.com

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2010

შინაარსი CONTENTS

- ბესარიონ მაისურაძე, მარინე ფირცხალავა, პატარძელში აღმოჩენილი ბუნიკი.
(B. Maisuradze, M. Pirtskhalava, The Bronze Scabbard Chape from Patardzeuli)..... 5
- ანა ჭყონია, ჰერაკლეს კვანძი ოქრომჭედლობაში (კოლხეთი, იბერია).
(A. Chkonia, Hercules's Knot in Goldsmithery (Colchis, Iberia))..... 13
- ნანა გოგიბერიძე, ქეთევან ჯავახიშვილი, ლითონის სამკაული დედოფლის გორიდან.
(N. Gogiberidze, K. Javakhishvili, Metal Adornments from Dedoplis Gora).25
- ელგუჯა ლლივაშვილი, ზურაბ ბრავაძე, I ათასწლეულის არქეოლოგიური მასალა მანავის ციხიდან.
(E. Gligvashvili, Z. Bragvadze, Archaeological Material of the 1st Millenium from Manavi Fortress)..... 39
- ქეთევან დავითაშვილი, ამირან დავითაშვილი, ნაურილის ძვ.წ. VIII-III სს-ის სამაროვანი (მოკლე მიმოხილვა).
(K. Davitashvili, A. Davitashvili, The Nauriali Settlement of the 8th – 3rd centuries BC.) 47
- მარიკა მშვილდაძე, ანტიკური კულტები საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქებში.
(M. Mshvildadze, The Ancient Cults in the Cities of the Black Sea Littoral of Georgia)..... 66
- მერი ინაძე, ძველი კოლხეთის ქალაქი კიგნუმი (წერილობითი წყაროებისა და ახალი არქეოლოგიური მონაცემების შუქზე).
(M. Inadze, Ancient Colchian City of Cignum in the Light of Written Sources and New Archaeological Data)..... 75
- ქეთევან რამიშვილი, კოლხურ ცულებზე გრავირებული “ფანტასტიკური ცხოველის” გამოსახულებათა ტიპოლოგიისათვის (სტილისა და კომპოზიციის გააზრების ცდა).
(K. Ramishvili, For the Typology of Engraved Depictions of “Fantastic Animals” on Colchian Axes, the Attempt of Analyzing the Style and Composition).....81
- ბიძინა მურვანიძე, შემთხვევითი აღმოჩენა გორათში.
(B. Murvanidze, Accidental Find from Gorati).....96
- გოდერძი ნარიმანიშვილი, ზურაბ მახარაძე, ახალი მონაცემები “ციხიაგორას” ძვ.წ. VI-IV სს.-ის ძეგლების შესახებ.
(G. Narimanishvili, Z. Makharadze, New Data from the Tsikhiagora Sites of the 6th-4th centuries BC)..... 105

ლერი ჯიბლაძე, სახლის თიხის მოდელი ნაოხვამუდან და ძველ კოლხურ ნაგებობათა სისტემა.

(L. Jibladze, The Clay Model of the Dwelling from Naokhvamu and the Ancient Construction System of Colchian Dwellings)..... 117

თინათინ ჭანიშვილი, სამკაული (კისრის რკალი) საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსებიდან.

(T. Chanishvili, Adornments (neck-rings) from Archaeological Assemblages of Georgia)..... 125

რამინ რამიშვილი, სულიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარების კვირბადალზე.

(R. Ramishvili, Some Problems of History of Sacred Culture on the Eve of Declaration of Christianity As the State Religion in Kartli) 144

ღვანლმოსილი კოლეგა რამინ რამიშვილი 80 წლისაა.

Our Honored Colleague Ramin Ramishvili is 80..... 150

ლეონარდო გრეგორატის რეცენზია (Review) --- A. Furtwängler, I. Gagoshidze, H. Löhr, N. Ludwig (ed.), *Iberia and Rome: The Excavations of the Palace at Dedoplist Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia*. Schriften des Zentrums für ArchÄologie und Kulturgeschichte des Schwarzmeerraumes Bd. 13. Langenweissbach: Beier & Beran, 2008. Pp. vi, 309; 92 p. of plates. (ISBN 9783941171084).154

PAPERS IN ENGLISH

Sulkhan Kharabadze, Dimitri Akhvlediani, Ancient Vani and its Environs in the First Millennium BC (questions of the exploration of the territory) 157

Nana Rusishvili, Palaeoethnobotanical Investigation of "Tsikhia-Gora" 159

Ketevan Javakhishvili, Medea Sherozia, New discovery in Akh'algori village 167

Dimitri Akhvlediani, The chronology of Colchis in the 4th and 3rd centuries BC according to pottery stamps..... 170

Elena Gigolashvili, Marina Pirtskhalava, Remains of Bronze Equestrian Statue from Vani..... 178

Gela Gamkrelidze, *Colchian amphora* with stamp from Poti-Phasis 186

SUMMARIES 199

ავტორთა საყურადღებოდ212

ბესარიონ მაისურაძე, მარინე ფირცხალავა

პატარძელში აღმოჩენილი ბუნისი

სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია სატევრის ქარქაშის ბრინჯაოს ბუნისი, რომელიც სოფ. პატარძელში იყო შემთხვევით აღმოჩენილი სასოფლო სამუშაოების დროს (არქ. V32-16 №12-2007/21). ეს არის 12 სმ სიგრძის სხმული ბრინჯაოს დეტალი, რომელიც სატევრის ან მახვილის ხის (ან ტყავგადაკრული ხის) ქარქაშის დაბოლოებას წარმოადგენდა. მისი ზედა კიდე, 4 სმ სიგანისა, განივკვეთში ელიფსური მოყვანილობისაა. ბუნისი ზედა კიდიდან თანაბრად ვიწროვდება ქვემოთკენ და დაახლოებით მისი საერთო სიგრძის ორი მესამედის შემდეგ მას გვერდიდან ებმის წრიული ჭვირული დეტალი, რომელიც ფრინველის თავის ძლიერ სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს. ესაა ერთგვარი თხელი სპირალის იმიტაცია, რომელიც ნისკარტს განასახიერებს, თვალი კი ბუნისის კორპუსზე, ჭვირული დეტალის გასწვრივ არსებული მრგვალი გამობერილობის სახითაა მოცემული. ბუნისს ზედა კიდის გასწვრივ ირგვლივ შემოუყვება პატარა ბურცობების ორი რიგი, ჭედვით გამოყვანილი, რომელიც კიდეზე არშიას ჰქმნის. ზედა კიდეზე, ბურცობებს შორის, ორი გამჭოლი ნახვრეტი აქვს, ქარქაშზე მისამაგრებლად განკუთვნილი (ტაბ. I, სურ. 1, 2).

ამ ტიპის ბუნისი კავკასიისათვის არ არის უცხო. სხვადასხვა ვარიაციით ამ კატეგორიის ნივთები ცნობილია კავკასიაში და რამდენადმე მოდიფიცირებული სახით მის ფარგლებს გარეთაც. ამჯერად ჩვენთვის პუბლიკაციებით ხელმისაწვდომი აღმოჩნდა ამ ტიპის ცამეტი, სხმული ბრინჯაოს ბუნისი (მოსალოდნელია მათი რიცხვის გაზრდა), როგორც შემთხვევით ნაპოვნი, ასევე სამარხეული კომპლექსებიდან მომდინარე. საქართველოში პატარძელის შემთხვევითი მონაპოვრის გარდა ამ ტიპის ბრინჯაოს ბუნისები

აღმოჩენილია დვანის ნეკროპოლის №4 დარღვეულ სამარხსა [Макалатия С. 1949:226, სურ. 6] (ტაბ. II, სურ. 5) და ნაცარგორას №495 სამარხში [Gambaschidze I., 2001:კატ. № 374] (ტაბ. II, სურ. 6) – თითო ეგზემპლარი. რამდენიმე ასეთი ბუნისი არის ბრილის გამოუქვეყნებელ მასალებს შორის.

ამ ტიპის ბუნისი ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიიდან. ოთხი მათგანი ნაპოვნია დიგორიაში, ფასკაუს სამაროვანზე [Уварова П. 1900:275, ტაბ. 115, 4-5; Крупнов Е. 1960:ტაბ. 75, 2-5] (ტაბ. II, სურ. 7, 8); ორი – ყობანში [Уварова П. 1900:83, სურ. 80; Погребова М., ... 1992:127, სურ. 19 - a,b] (ტაბ. I, სურ. 3, 4); ორიც – ყაბარდო-ბალყარეთში, ნიჟნი ჩეგემის სამაროვნის ორ (№№2 და 4) სამარხში, თითოში თითო [Виноградов В. 1972: 101, 109, სურ. 28-1, 11] (ტაბ II, სურ. 9,10). კავკასიის ფარგლებს გარეთ ერთი ამდაგვარი ბუნისი აღმოჩენილია ვოლგისპირეთში, ახმლოვის სამაროვნის №336 სამარხში [Патрушев В. 1982:46, ტაბ. 56, 4в] (ტაბ. II, სურ. 11) და ერთიც სკვითურ სამარხში “რეპიახოვატაია მოგილა” [Ильинская В., 1980: 41 - 42; სურ.11, 5-7; სურ.12, 1-3] (ტაბ II, სურ. 12).

მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არ არის სრული მსგავსება, აშკარაა, რომ ისინი ერთიან ტიპოლოგიურ მოდელს წარმოადგენენ: პირველ რიგში ამას მოწმობს თავისებური გვერდითი გაფართოება ბუნისის ბოლოზე – სპირალურად ჩახვეული ნისკარტისა და მის გასწვრივ ძირითად კორპუსზე დიდი მრგვალი გამობერილი თვალის ორმხრივი გამოსახულება (გამონაკლისია „რეპიახოვატაია მოგილას“ ბუნისი, რაზეც ქვემოთ შევჩერდებით); ამავე დროს, უკლებლივ ყველა შემოსხენებული ბუნისისათვის დამახასიათებელია ქვედა გაფართოებულ ბოლოზე არსებული წრიული ან ოვალური გამჭოლი

ხვრელი, რომელსაც მოკაუჭებული ნისკარტი შემოსწერს. ითვლება, რომ მისი აუცილებლობა სატევრის ტარების წესით – ფეხზე მიბმით – არის განპირობებული და ის მარყუჟის გასაყრელად იყო განკუთვნილი [Виноградов В. 1972:116]; აუცილებელია აღინიშნოს ასევე საერთო ტექნიკური დეტალი – ყოველ მათგანს (ცხადია, ნაკლულ ნიმუშებს გარდა) ზედა კიდესთან ორივე გვერდზე თან ახლავს ორ-ორი ნახვრეტი ბუნიკის ქარქაშზე მისამაგრებლად. და კიდევ, ბუნიკების განსხვავებული ზომებისა და მიუხედავად, დაცულია პროპორციები – ყველა მეტ-ნაკლებად სრულად შემორჩენილი ბუნიკის გაფართოებული ბოლო მოიცავს ბუნიკის საერთო სიგრძის ერთ მესამედს (ისევე და ისევე "რეპიახოვატაია მოგილას" ნიმუშის გარდა).

ბუნიკების უფრო დეტალური განხილვისას ერთიანი ტიპოლოგიური მოდელის საზღვრებში გარკვეული სტილისტური განსხვავებანი დგინდება, რაც, პირველ რიგში, გაფართოებული დაბოლოების, ანუ "სპირალურად" ჩახვეული ნისკარტის გადმოცემაში ვლინდება. როგორც უკვე ითქვა, ამ ტიპის ბრინჯაოს ბუნიკებს ახასიათებთ გამჭოლი ხვრელი, რომელსაც ჩახვეული ნისკარტი შემოსწერს. იმის მიხედვით, თუ რამდენ ბრუნს შემოხაზავს "სპირალი", დაბოლოებაზე ჩვენ გვაქვს შემდეგი ვარიანტები: 1. ლილვისებური სპირალის ორი ბრუნით შექმნილი ერთი წრიული გამჭოლი ხვრელი და ერთი "ნამგლისებური" (ნაცარგორა, დვანი, ყობანი) (ტაბ. I, სურ. 4, ტაბ. II, 5, 6); 2. რგოლით შემოხაზული ერთი წრიული ხვრელი და კაუჭი, ე.წ. ენიანი გრიფონის სტილიზებული თავი (ნიჟნი ჩეგემი, ფასკაუ) (ტაბ. II, სურ. 7, 8, 9, 10); ამავე ჯგუფის გაუხეშებულ ვარიანტს ვაკუთვნებთ ახმლოვის ნიმუშს (ტაბ. II, სურ. 11), რომელიც ანანინოს კულტურაში კავკასიურ იმპორტადაა მიჩნეული [Виноградов В. 1972:113]; 3. სამბრუნიანი სპირალის იმიტაცია: ზემოხსენებულ ნიმუშთაგან განსხვავებით, სადაც მოცულობითი ლილვის ხვიასთან გვაქვს საქმე, აქ დაბოლოება დაბრტყეულ-

ბულია, რითაც მიღებულია ჭვირული ფირფიტა ერთი წრიული (ან ოვალური) და ორი "ნამგლისებური" განაჭვრით (პატარძეული, ყობანი) (ტაბ. I, სურ. 1, 2, 3); 4. განცალკევებით დგას სკვითური სამარხის, "რეპიახოვატაია მოგილას" ბრინჯაოს ბუნიკი, რომელიც ამ ტიპის ბუნიკების "სკვითურ ვარიანტადაა" მიჩნეული [Ильинская В., 1983:46]; მას კავკასიურ ბრინჯაოს ბუნიკთაგან განსხვავებული მოყვანილობა აქვს: ფრინველის თვალი მთლიანად ბუნიკის კონტურშია ჩანერილი, ნისკარტი კი, რომელიც ოვალურ ხვრელს აჩარჩობს, ოდნავ არის გამოზიდული (ტაბ. II, სურ. 12).

ამ სერიის ბუნიკების ერთი ნაწილი უკონტექსტოა (პატარძეულის, დვანის, დიგორიის, ყობანის – სულ რვა ერთეული) (ტაბ. I, II, სურ. 1 – 5 ; 7, 8); სამაგიეროდ, ის დახურული კომპლექსები, რომლებიც ამ ტიპის ბუნიკებს შეიცავენ, მოგვითხრობენ ამ კატეგორიის ნივთების ფუნქციის, თარიღისა და იმ იარაღის სახეობისა და მისი ქარქაშის ფაქტურის შესახებ, რომელსაც ეს ბუნიკები ამკობდნენ. ცამეტიდან ხუთი მათგანი სამარხებშია ნაპოვნი რკინის იარაღთან ერთად: სამი ბუნიკი ნაპოვნი აკინაკთან (ნიჟნი ჩეგემის სამაროვნის №4 სამარხში, ახმლოვის სამაროვნის №336 სამარხსა და "რეპიახოვატაია მოგილაში"), ერთი – ცალპირლესულ ვიწრო მახვილთან (ნიჟნი ჩეგემის №2 სამარხში) და ერთიც – ე.წ. მოხრილ დანასთან (ნაცარგორას №495 სამარხში) ერთად.

ზემოხსენებული აკინაკები ე.წ. "სკვითური არქაიკის" (ძვ.წ. VII-V სს.) ტიპური ნიმუშებია და დეტალების განსხვავებული ვერსიების მიუხედავად ამ ეპოქის ერთსა და იმავე საფეხურს მიეკუთვნებიან: ნიჟნი ჩეგემის ნიმუში თავისი მასიური პეპლისებრი ვადით, სამნაწილიანი ტარის ღეროთი და საწყის, უადრეს ტიპებთან შედარებით მსუბუქი ტარისთავით ძვ.წ. VI საუკუნის მეორე ნახევრის ფარგლებში თავსდება [Мелюкова А. 1964:50; Виноградов В. 1972:101-102, სქ. 1]; "რეპიახოვატაია მოგილას" აკინაკიც არქაული ტიპო-

ლოგიური ნიშნების მატარებელია – მას აქვს მოკლე და ბოლოებმომრგვალებული ძელაკისებური ტარისთავი, ბრტყელი ტარის ღერო ორი გრძივი ღარით და ე.წ. გულისებრი ვადა [Ильинская В., 1980:42-43, სურ. 11-5,6; სურ. 12]. ამ ნიშნებით ის ძვ.წ. VII საუკუნის დასასრულითა და ძვ.წ. VI საუკუნით შეიძლება განგვესაზღვრა, რომ არა ის დავა ამ სამარხის თარიღის ირგვლივ, რომელსაც ადგილი აქვს ბოლო ხანებში (ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ [იხ. ფირცხალავა მ. 2001:78]); ჩვენც არ შეიძლება ანგარიში არ გავუწიოთ ამ სამარხის ბერძნული იმპორტის განსაზღვრაზე დაფუძნებულ თარიღს, რომელიც ძვ.წ. VI საუკუნეს გვთავაზობს [Cook R.M., 1998:170, 174-175, სქ. 195, 201, 209]. ასეთივე ახმლოვის აკინაკი [Патрушев В., 1982: 13, ტაბ. 56-4г], იმ განსხვავებით, რომ ტარის ღერო არ არის დანანევრებული, რაც მისი შედარებით გვიანდლობის მაუწყებელია ე.წ. “სკვითური არქაიკის” ფარგლებში. ამ ორივე სამარხეული კომპლექსის შემადგენლობაში არის რკინის საომარი ცული [Ильинская В., 1980:სურ. 11-1, 13-1; Патрушев В., 1982:ტაბ. 56-4б], რომელიც ე.წ. “სკვითური არქაიკის” გვიანდელი საფეხურისთვისაა დამახასიათებელი: ადრეულ ნიმუშთაგან განსხვავებით ამ ორ ცულს აქვს დაბრტყელებული ყუა და გაფართოებული, ასიმეტრიული პირი, რაც ძვ.წ. VI საუკუნის ტიპოლოგიურ ნიშნებად ითვლება. ასე რომ აღნიშნულ სამარხებში თავს იყრის მონაცემები ბუნიკიანი კომპლექსების ძვ.წ. VI საუკუნით დათარიღებისათვის.

რკინის მახვილი, რომელსაც ბრინჯაოს ბუნიკი ახლდა ნიჟნი ჩეგემის №2 სამარხში, იმდენად ცუდადაა შენახული, რომ გადაჭრით იმის თქმა, თუ რა ტიპის იარაღია, შეუძლებელია, ის ცალპირლესულ მახვილადაა მიჩნეული და ამავე სამაროვნის საერთო ქრონოლოგიური ჩარჩოებიდან გამომდინარე ძვ.წ. VI საუკუნით არის დათარიღებული [Виноградов В. 1972:101-104, 109, სურ. 28,1]; ამ შემთხვევაში ის ბუნიკის განმსაზღვრელად არ გამოგვადგება, პირიქით, მისი სრული იდენტიურობა ზე-

მით განხილული №4 სამარხის აკინაკის ქარქაშის ბუნიკთან ამყარებს შემოთავაზებულ თარიღს. ამავე ხანის უნდა იყოს დიგორიის ანალოგიური უკონტექსტო ოთხი ნიმუშიც. ექვსივეს ბოლოზე რგოლითა და კაუჭით შედგენილი ე.წ. ენიანი გრიფონის სტილიზებული თავი აქვს (ტაბ. II, სურ. 7-10).

განსახილველი დაგვრჩა ხაშურის ნაცარგორას №495 სამარხის რკინის მოხრილი დანა, რომლის წვერზეც ორბრუნიანი სპირალით დაბოლოებული ბუნიკი დაფიქსირდა, მსგავსი დვანისა და ყობანის უკონტექსტო ბუნიკებისა (ტაბ. II, სურ. 6). ეს იარაღი პუბლიკაციაში ძვ.წ. VIII-VII სს. არის დათარიღებული [Gambaschidze I., ... 2001: კატ. № 374]; ის მთლიანი რკინის ნაჭრისგან არის დამზადებული; აქვს მოხრილი პირი და დამახასიათებელი ტარის აგებულება: ბრტყელი და სწორი ტარის ღერო ზემოთკენ გადადის ნახევარსფერულ ტარისთავში, ტარზე ექვს ადგილას (ღეროზეც და თავზეც) ლურსმნებია, მასზე ხის გარსაკრავის დასამაგრებლად. ტარის მთელ სიგრძეზე პირის ზედა ნაწილის ჩათვლით ხის ბოჭკოს ნაშთია შერჩენილი. ამ ტიპის დანებს, რომელთა პირიცა და ტარიც ერთი მთლიანი ნაჭრისაგან მზადდება, ქრონოლოგიური დატვირთვა აქვს, ისინი, როგორც წესი, კავკასიაში სკვითური ტიპის ნივთების შემცველ ფენაში ჩნდება და ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება [აბრამიშვილი რ. 1957:131, ტაბ. I,72; ახვლედიანი ნ. 2003:60; Виноградов В. 1972:სურ. 66,2]. ამავე ხანისაა ე.წ. კავკასიური ტიპის, რკინის მთლიანი ნაჭრისგან დამზადებული სატევრები, რომელთაც ანალოგიური ტარი აქვთ [Техов Б. 1980:30, სურ. 10-19; პაპუაშვილი რ. 2009:8; Папуашвили Р. 1990:ტაბ. I, 19], ამდენად, ვფიქრობთ, რომ ნაცარგორის მოხრილი დანისა და მისი შემცველი კომპლექსის (რომელიც სხვა დამათარიღებელ არტეფაქტს არ შეიცავს) თარიღი ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI საუკუნით უნდა განისაზღვროს. შესაბამისად, დვანისა და ყობანის ბრინჯაოს უკონტექსტო ბუნიკებიც,

რომლებიც დეტალების სიახლოვის მიხედვით ნაცარგორას ნიმუშთან ერთად ერთ ვარიანტში გვაქვს გაერთიანებული, ამავე ხანით თარიღდება.

რკინის იარაღის პირებზე შემორჩენილი მერქნის ბოჭკოს ნაშთები მონმოხენ, რომ ქარქაშები, რომლებიც ბრინჯაოს ბუნიკებით ბოლოვდებოდა, ხისა იყო, სავარაუდოდ, ტყავგადაკრული, და არის იმის მაგალითებიც, რომ ზოგჯერ ხის ქარქაში ქსოვილით იფარებოდა [Виноградов В. 1972:112; Техов Б. 1980:38-41; Ильинская В., ... 1980:41-42].

მიუზღუნდეთ ისევ პატარძელის ბუნიკს. ის ყველა ჩვენს მიერ მოტანილ ბუნიკთაგან გამოირჩევა თავისი ზომითა და “მწყობრი” აგებულებით, ის თითქმის ორჯერ გრძელია დანარჩენებთან შედარებით და მისი კორპუსი სიმეტრიულად ვიწროვდება ქვემოთკენ ვიდრე გაფართოებულ ჭვირულ დეტალამდე, მაშინ როდესაც სხვა ნიმუშები კორპუსზევე ოდნავ მოხრილია. ტიპოლოგიურად ის ყველაზე ახლოსაა ყობანის უკონტექსტო ბუნიკთან, რომელიც თხელი სპირალის იმავე სქემას იმორებს, რომლითაც ხასიათდება პატარძელის ბუნიკი – ორივეგან სახეზეა სამი გამჭოლი ღიობი, რომელთაგან ორი ნამგლისებური მოყვანილობისაა (ტაბ. I, სურ. 1, 2); ამავე დროს, ყობანის ბუნიკს ზედა კიდის ირგვლივ წვერებით ერთი მეორისკენ მიმართული ჭვირული სამკუთხედების ორი რიგით შედგენილი არშია შემოუყვება; ბურცობების ორი რიგით შექმნილი სარტყელი აქვს პატარძელის ბუნიკსაც, რაც, ალბათ, განსაკუთრებულ პარადულ იერს ანიჭებდა იმ იარაღს, რომლის ქარქაშსაც ეს ბუნიკები ამკობდა. ეს ორი უკონტექსტო ბუნიკი თანადროულებად რომ მივიჩნიოთ, არა გვგონია, დიდი შეცდომა იყოს, მაგრამ რა ქრონოლოგიურ მიმართებაში იქნებიან ისინი დანარჩენ სერიასთან? ამ ბუნიკების ფორმა და იერი იმდენად სპეციფიკურია, რომ დიდი ქრონოლოგიური სხვაობა მათ შორის, ჩვენს მიერ დადგენილ განმასხვავებელ ნიშანთა მიუხედავად, არ უნდა იყოს. აქ მთავარი ისაა, რომ ფრინვე-

ლის თავის გამოსახულება დაყვანილია მხოლოდ ორი ნაკვეთის – თვალისა და ნისკარტის – ჰიპერტროფირებულ გამოყოფამდე, რამაც გამოსახულება ძლიერ სქემატიზმამდე მიიყვანა.

მტაცებელი ფრინველის თავი, მკვეთრად გამოხატული დიდი თვალითა და მოხრილი ნისკარტით, სკვითური ე.წ. ცხოველსახოვანი სტილის რეპერტუარის ერთ-ერთი ძირითადი პოპულარული მოტივია და არქაიკის პერიოდიდან მოკიდებული მრავლად გვხვდება სხვადასხვა ტიპის ძეგლებზე [Погребова М., 1992:სურ. 18, 31]. მაგრამ რამდენადაც პარადოქსულად არ უნდა მოგვეჩვენოს, საკუთრივ სკვითურ კულტურაში ამ ტიპის ბრინჯაოს ბუნიკები არ გვხვდება, ერთადერთი გამონაკლისია სკვითური სამარხის, „რეპიახოვატაია მოგილას“ ბრინჯაოს ბუნიკი, რომელიც, როგორც ადრეც ითქვა, ფორმით, შესრულების მანერითა და პროპორციებით განსხვავებული მოდელია და სკვითური კულტურის სპეციალისტების მიერ განმარტებულია, როგორც „კავკასიური ბუნიკების სკვითური ვარიანტი“. ერთია მოტივი და სხვაა შესრულების მანერა და ამ მხრივ კავკასიის ბრინჯაოს ბუნიკები სკვითური ე.წ. ცხოველსახოვანი სტილის ძეგლებისაგან გამოირჩევიან. აქ არ შეიძლება არ ვახსენოთ თლიას №246 სამარხის ცნობილი უნიკალური ძეგლის ბუნიკი, რომელიც ტიპიურ ადრესკვითურ სტილში შესრულებულ ფრინველის თავის სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენს (ძვ.წ. VII საუკუნის დასასრული - ძვ.წ. VI ს.), მძლავრი მორკალული ნისკარტითა და ნამოშვერილი, დიდი, მრგვალი თვალით [Техов Б. 1980:38, სურ. 18-2,3]. ჩვენი ბუნიკების მსგავსად, მოკაუჭებული ნისკარტი აქაც, მრგვალ ნახვრეტს ქმნის. საყურადღებოა, რომ ის ადგილობრივი ტიპის სატევრის ქარქაშს ამკობდა. ამ ბუნიკებს, განსხვავებული სტილის მიუხედავად, აკავშირებს თვით იდეა ბუნიკის ფრინველის თავის სახით წარმოსახვისა, ეს თავისთავად დამოუკიდებელი მოტივია, რომელიც ბრინჯაოს ბუნიკების შემ-

თხვევაში ძლიერ სქემატიზაციამდეა მისული.

ბრინჯაოს ბუნიკების აღმოჩენის ტოპოგრაფია მოწმობს, რომ ამ ბუნიკების არეალი ძირითადად ჩრდილოეთ კავკასიითა და ტრანსკავკასიით შემოიფარგლება. არის მცდელობა ამ ტიპის ბუნიკებისთვის კავკასიური ფესვების ძიებისა [Виноградов В. 1972:115-117]. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ დასახელებულია ბრინჯაოს ჭვირული ბუნიკის ფრაგმენტი ყემტალის განძიდან, რომლის წვერი ფრინველის ნისკარტის მსგავსად არის მოხრილი [Крупнов Е. 1952:11, ტაბ. II, სურ.1; Виноградов В. 1972:117], ხოლო მთელი ზედაპირი დაფარულია წვერებით ერთიმეორისკენ მიმართული გამჭოლი ვიწრო სამკუთხედებით; ანალოგიური სქემითაა განთავსებული ჭვირული სამკუთხედები ფასკაუს სამაროვნის ბრინჯაოს რიტონის ფორმის ბუნიკზეც [Крупнов Е. 1960:ტაბ. 75, 6]. გავიხსენოთ, რომ ურთიერთსაწინააღმდეგოდ მიმართული ჭვირული სამკუთხედებითაა შედგენილი სარტყელი ყობანის ბუნიკის ზედა კიდეზე, რომელიც პატარძელის ბუნიკის ანალოგიურია. როგორც ფიქრობენ, ყემტალის კომპლექსი წინ უნდა უძღოდეს სკვითური ტიპის ნივთების გამოჩენას კავკასიაში [Крупнов Е. 1952:28]. ამიტომ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ქარქაშის ბუნიკის ფრინველის თავის სახით გამოსახვა ადგილობრივი ტრადიციითაა შემზადებული [Виноградов В. 1972:117]. ასე რომ ფრინველის თავისა და ჭვირული მოტივის შერწყმამ ჯერ კიდევ ყემტალის ბუნიკში იჩინა თავი.

ვფიქრობთ, რომ პატარძელის ბუნიკის შესახებ, ისევე როგორც ამ სერიის დანარჩენი ნიმუშების შესახებ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათზე ფრინველის თავის ფართოდ გავრცელებული მოტივი მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი სპეციფიკური სტილით არის წარმოდგენილი, რამაც განაპირობა ბუნიკის განსაკუთრებული მოყვანილობა, რითაც ეს ჯგუფი გამოირჩევა სინქრონული ე.წ. სკვითური ტიპს არტეფაქტებისაგან და ყველა მონაცემით კავკასიურ მოვლენად გვევლინება.

ლიტერატურა:

- აბრამიშვილი რ. 1957:** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. - სსმმ, ტ. XIX-A და XXI-B, თბილისი, გვ. 115-140.
- ახვლედიანი ნ. 2003:** პირმოყრილი ჭურჭლის თარიღისთვის (თრელის სამაროვნის № 28 სამარხი). - ძიებანი. დამატებანი. X, თბილისი, გვ. 59.
- პაპუაშვილი რ. 2009:** კოლხეთის კოლექტიური სამარხების დათარიღებისათვის. - სამეცნიერო კონფერენცია (მიძღვნილი ჯურხა ნადირაძის დაბადების მე-80 წლისთავს). მოხსენებათა თეზისები. თბილისი, გვ. 7-9.
- ფირცხალავა მ. 2001:** საქართველოს ე.წ. სკვითური ნვენტარიანი არქეოლოგიური კომპლექსების დათარიღების საკითხისათვის. — ძიებანი. დამატებანი. IV. თბილისი, გვ.77-86.
- Виноградов В. 1972:** Центральный и Северо-Восточный Кавказ в скифское время (VII-IV вв. до н.э.), Грозный.
- Ильинская В., Мозолевский В., Тереножкин А. 1980:** Курганы VI в. до н.э. у с. Матусов. — Сб. «Скифия и Кавказ». Киев. «Наукова думка», с. 31-63.
- Ильинская В., Тереножкин А. 1980:** Скифия VII-IV вв. до н.э. Киев.
- Крупнов Е. 1952:** Жемталинский клад. — Труды ГИМ, вып. IV. Москва, с. 1-35.
- Крупнов Е. 1960:** Древняя история Северного Кавказа. Москва.
- Макалатия С. 1949:** Раскопки Дванского могильника. — СА, XI, М.-Л., с. 225-240.
- Мелюкова А. 1964:** Вооружение скифов. — САИ, Д1-4, Москва.
- Папуашвили Р. 1990:** Колхидские кинжалы. Препринт. Центр Археологических Исследований АН ГССР. Тбилиси.
- Патрушев В., Халиков А. 1982:** Волжские Ананьинцы (Старший Ахмыловский могильник). Москва.
- Погребова М., Раевский Д. 1992:** Ранние

скифы и Древний Восток. Москва.

Техов Б. 1980: Скифы и Центральный Кавказ в VII-VI вв. до н.э. Москва.

Уварова П. 1900: Могильники Северного Кавказа. — МАК, вып. VIII, Москва.

Cook R.M., Dupont P. 1998: East Greek Pottery. London, New York.

Georgien. 2001: Schätze aus dem Land des Goldenen Vlies. Katalog der Ausstellung des Deutschen Bergbau-Museums Bochum in Verbindung mit dem Zentrum für Archäologische Forschungen der Georgischen Akademie der Wissenschaften Tbilissi vom 28. Oktober 2001 bis 19. Mai 2002.


ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I - სურ. 1. პატარძელის ბრინჯაოს ბუნიკის ფოტო; **სურ. 2.** ბრინჯაოს ბუნიკი პატარძელიდან; **სურ. 3- 4.** ბრინჯაოს ბუნიკები ყობანიდან;


ტაბ. II - სურ. 5. ბრინჯაოს ბუნიკი დვანის №4 სამარხიდან; **სურ. 6.** ბრინჯაოს ბუნიკი ნაცარგორას №495 სამარხიდან; **სურ. 7-8.** ბრინჯაოს ბუნიკები ფასკაუს სამაროვნიდან; **სურ. 9-10.** ბრინჯაოს ბუნიკები ნიჟნი ჩეგემის № 2 და 4 სამარხიდან; **სურ. 11.** ბრინჯაოს ბუნიკი ახმილოვის სამაროვნის № 336 სამარხიდან; **სურ. 12.** ბრინჯაოს ბუნიკი სკვითური სამარხიდან “რეპიახოვატაია მოგილა”.




1



2




3




4




II




5




6




7




8




9



10



11



12



ჰერაკლეს კვანძი ოქრომჭედლოებაში (კოლხეთი, იბერია)

ოქრომჭედლოებაში მკაფიოდაა ასახული გარკვეული ეპოქის კულტურული ძვრები — მისი მხატვრული მიმართულებანი და ინოვაციები. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოში აღმოჩენილი ნიმუშებია. მაგალითად, საიუველირო ხელოვნების ერთ-ერთი სპეციფიკური მოტივი — ე.წ. ჰერაკლეს კვანძი, რომელიც ფართოდ ვრცელდება ელინისტურ ხანაში და შემდგომ არსებობას განაგრძობს ახ.წ. პირველ საუკუნეებში, სათანადო გამოცხილს ჰპოვებს ძველი კოლხეთისა და იბერიის არქეოლოგიურ მონაპოვარში.

ჰერაკლეს კვანძის გამოსახულებას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ეგვიპტეში ის ცნობილი იყო უკვე ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისში და, სავარაუდოა, ამ მოტივის გავრცელება სწორედ ეგვიპტეს უკავშირდება [Higgins R.A. 1980:154]. ჰერაკლეს კვანძი დადასტურებულია მიკენურ ოქროს სამკაულზე [Marshall F.H. 1907:115, ტაბ.18], აგრეთვე, არქაულ და ადრეკლასიკური ხანის ბერძნულ ქანდაკებაზე [Alscher L. 1954:80-82, სურ. 68b, 69c; Alscher L. 1961:69, სურ. 20b]. ამავე დროს საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ნინაელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნებაში ჰერაკლეს კვანძი არ დამკვიდრებულა როგორც ჩამოყალიბებული მხატვრული ფორმა.

ე.წ. ჰერაკლეს კვანძი აგებულებით მარტივია, მაგრამ მყარი და სანდო [Стефани Л. 1882:33-34, 42-43]. თასმის თუ თოკის მარყუჟისებურად მოხრილი ბოლოების ერთმანეთში გატარების და დაჭიმვის შედეგად მისი გახსნა დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რასაც ძველად ბერძენი და რომაელი მწერლებიც აღნიშნავდნენ (მაგალითად, სენეკა. ახ.წ. I საუკუნე). ამის გამო კვანძის სახელწოდება ჰერაკლესთან იყო დაკავშირებული. მითების თანახმად, ჰერაკლემ ნემის ლომის ტყავის მოსასხამი სწორედ ასეთი კვანძით შეიკრა. ჰერაკლეს კვანძის სახით იყო გველები ერთმანეთზე გადაბმული გორგონას კისერ-

ზე, აგრეთვე, ჰერმესის ჯადოსნურ კვერთხზე [Стефани Л. 1882:45-46]. ჰერაკლეს კვანძს მინიჭებული ჰქონდა ზებუნებრივი — მაგიური ძალა (აპოტროპეი, ამულეტი), პლინიუსის მიხედვით კი (პლინიუსი, NH, XXVIII, 63) - ჭრილობის განკურნების უნარიც [Hoffmann H. ... 1965:13]. გამორიცხული არ არის, რომ ჰომეროსის „ოდისეაში“ (VIII, 447-448), საუბარია რა ოდისეესის მიერ სკივრის საიმედოდ შეკვრის შესახებ, იგულისხმებოდეს ჰერაკლეს კვანძი. სკივრს, რომელშიც მოთავსებული იყო ძვირფასი საჩუქრები — მეფე ალკინოესა და დიდგვაროვნებისგან მოძღვნილი სამოსელი და ოქრო-ვერცხლი, ოდისეესმა თასმები შემოუჭირა და ჯადოქარ კირკესგან ნასწავლი კვანძით განასკვა [Гомер. 1958:132]; ამიტომაც, ალბათ, ამ კვანძს მაგიური ძალა ექნებოდა. ჰერაკლეს კვანძი გაიგივებულია, აგრეთვე, ე.წ. გორდიასის კვანძთან [Стефани Л. 1882:33, 47], რომელიც ალექსანდრე დიდმა ხმლით გადაჭრა თუ, მეორე ვერსიით, გახსნა (პლუტარქე, ალექსანდრე, XVIII). თქმულების მიხედვით, ვინც კვანძს გახსნიდა, მსოფლიოს მბრძანებელი გახდებოდა [Плутарх. 1963:407]. ამ შემთხვევაშიც საგანგებოდ ხაზგასმულია კვანძის სასწაულმოქმედი თვისება.

ძველი ხელოვნების ნიმუშებში ჰერაკლეს კვანძი წარმოადგენდა არა დეკორატიულ ელემენტს, არამედ გამოხატავდა გარკვეულ რელიგიურ აზროვნებას. ნიშნობლივია ჰერაკლეს კვანძის სიხშირე ისეთი კატეგორიის საგნებზე, რომლებზეც მაგიური გამოსახულებების მოთავსება მიღებული წესი იყო, მაგალითად, ჭრაქებზე (ვანის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე ძვ.წ. II-I საუკუნეებით დათარიღებულ კულტურულ ფენაში აღმოჩნდა ბრინჯაოს ჭრაქი, რომლის ყური ჰერაკლეს კვანძის სახითაა გაფორმებული [ლორთქიფანიძე ოთ. 1966:136, ტაბ. XXXIII]).

ელინისტურ ხანაში ჰერაკლეს კვანძის

აღზევება, მისი იდეოლოგიური კონოტაცია, განსაკუთრებით მაკედონიაში, განპირობებული იყო კონკრეტული ვითარებით; ასევე ემყარებოდა რელიგიურ მსოფლმხედველობას — კერძოდ, მაკედონელთა შეხედულებას მათი „გენეალოგიის“ შესახებ (მაკედონელთა რწმენით, მათი ხელისუფალთა წარმომავლობა უშუალოდ ჰერაკლეს უკავშირდებოდა — ალექსანდრე დიდი იყო ზევსის შვილი და ჰერაკლეს ძმა), რამაც ერთგვარი ნიადაგი მოამზადა „ჰერაკლეს მოტივების“ (ჰერაკლეს კვანძი, ლომის გამოსახულება) აღმოცენებისთვის. ჰერაკლეს კვანძი „რამდენადმე მოულოდნელად“ [Deppert-Lippitz B. 1985:201] და „ელვისებურად“ [Pfrommer M. 1990:4] საკმაოდ მყარ ადგილს იკავებს კერამიკაში, ტორეტიკაში, განსაკუთრებით, საიუველირო ხელოვნებაში. ჰერაკლეს კვანძი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ სამკაულს, არამედ სხვადასხვა სამკაულის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია; გვირგვინების, დიადემების, ყელსაბამების, სამაჯურების, ბეჭდების, ქამრების, „წვივსაკრავების“ (?) — ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია (ყელსაბამის მსგავსი, ჰერაკლეს კვანძით შემკული სამკაულის *periscelis*-ად — პირობითად, წვივსაკრავად — განსაზღვრა [Hoffmann H. ... 1965:6] ზოგიერთი მკვლევარის მიერ [Deppert-Lippitz B. 1985:201-202; Pfrommer M. 1990:7] გაზიარებული არ არის).

ჰერაკლეს კვანძის მდიდრული ფორმა პირველად მაკედონიაში და მაკედონიას დაქვემდებარებულ თესალიაში დასტურდება ძვ.წ. IV საუკუნის დასასრულს. ძალიან სწრაფად ის ფართოდ ვრცელდება ეგვიპტესა და სირიაში, მცირე აზიაში, დიდ საბერძნეთსა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში. ვრცელდება იმ რეგიონებშიც, რომლებიც არასდროს მოქცეულა მაკედონელთა დინასტიის ბატონობის ქვეშ. ელინისტური ხანის ახალი რეპერტუარი, მათ შორის ჰერაკლეს კვანძიანი სამკაული, გახდა საერთო მოდის ნაწილი, რომელსაც აკანონებდა ელინისტური სამყაროს ახალი დიდი ცენტრები. ელინისტური კოინეს ტიპური ნიმუშების დამზადების კონკრეტუ-

ლი ცენტრისა თუ ლოკალური სტილის დადგენა კი რთულია და ხშირად შეუძლებელიც [Hoffmann H. ... 1965:14-15; Максимова М. 1979:39-41; Higgins R.A. 1980:156]. თუმცა, რიგ შემთხვევაში, მრავალრიცხოვანი მასალის სტილისტური და ტიპოლოგიური შედარებითი ანალიზის შედეგად, მოხერხდა მნიშვნელოვანი „რეგიონალური თავისებურებებისა“ და აქედან გამომდინარე კონკრეტული ცენტრების გამოყოფა [Pfrommer M. 1990:4]. ელინისტური ხანის კოლხეთში, კერძოდ, ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ოქროს სამკაულის შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა ეს „რეგიონალური თავისებურებები“ [ჭყონია ან. 1981:54-89; Чкониа А. 1985:519-527; Лордкиპანიძე О. 1990:328-329; Chqonia A. 2000:68-78; ჭყონია ან. 2005:47:48,73].

ადრეელინისტური ხანის დასაწყისიდანვე — ძვ.წ. IV ს-ის ბოლო მეოთხედიდან — კოლხურ ოქრომჭედლობაში არსებითი ცვლილებები აღინიშნა. ამ ცვლილებებს ნიადაგი მოუმზადა, ერთი მხრივ, შედარებით უფრო ადრეულ ხანაში უკვე ჩამოყალიბებულმა კოლხურმა საოქრომჭედლო ძლიერმა სკოლამ, მეორე მხრივ, მთელ ელინისტურ სამყაროში გავრცელებულმა ახალმა მხატვრულმა მიმართულებებმა. ერთი მხრივ, არსებობა განაგრძობდა ადგილობრივი ტრადიციული ფორმებმა, შემკულობამ, ტექნიკურმა ხერხებმა; მეორე მხრივ, ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნების განმსაზღვრელი ნიშნები — პოლიქრომია, დინამიურობა, დეკორატიულობა, ახალი ფორმები და მოტივები, შემკულობის ახალი სისტემა გარკვეულწილად აისახა კოლხურ ძეგლებზე. ამ ორი მიმართულების — ადგილობრივი ტრადიციული ელემენტებისა და უცხო გარემოდან შემოსული სიახლეების თანაარსებობამ და შერწყმამ (დუალიზმმა – ოთ. ლორთქიფანიძის ტერმინოლოგიით [Lordkipanidze O. 1994:105]) განსაზღვრა კოლხური ოქრომჭედლობის განვითარების ახალი საფეხურის ჩამოყალიბება.

ვანის ნაქალაქარზე ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სამკაულის აღმოჩენის შემთხვევე-

ბი — ელინისტური კოინეს მოდელით დამზადებული ნიმუშები, ელინისტური ხანის მხატვრული სტილის გავრცელება ბუნებრივი შედეგია კოლხეთის კონტაქტებისა გარე სამყაროსთან. კოლხეთი არ დარჩენილა ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნების განვითარების საერთო პროცესის მიღმა, ხოლო ოქრომჭედლობის ადგილობრივი ძლიერი სკოლის არსებობის პირობებში, სიძნელეს არ წარმოადგენდა უცხო გავლენით თუ მეტნაკლები მიბაძვით სამკაულის დამზადება. ზოგიერთ შემთხვევაში კი კოლხი ოქრომჭედლების მიერ ელინისტური ხანის დამახასიათებელი ნიმუშების თავისებურად გააზრება. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლხეთში არ გავრცელებულა ამ ხანის სამკაულთა სრული რეპერტუარი; ჯერჯერობით არ გამოვლენილა სამკაულთა სრული კომპლექტები — ყველა ელემენტი *in corpore*; აგრეთვე, ელინისტური ხანის საერთო მოდა, პოლიქრომიული სტილის ჩათვლით, და სამკაულთა წამყვანი ფორმები წარმოდგენილია საკმაოდ შეზღუდულად.

ამ ვითარების გათვალისწინებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ტიპური ელინისტური ხანის სამკაული — ჰერაკლეს კვანძისგამოსახულებიანი ოქროს პოლიქრომიული ბალთები (2 ცალი) — დიადემის (თუ დიადემების) შემადგენელი ნაწილები [ჭყონია ან. 1981: 63-67; ჭყონია ან. 1983: 87-88]. ბალთები ნაპოვნია შემთხვევით, მინის სამუშაოების დროს, ნაქალაქარის სამხრეთ ნაწილში, სავარაუდოდ, ნაკვეთ 228-ში [ლორთქიფანიძე ოთ., ... 1972:190]. აღმოჩენის ზუსტი თარიღი უცნობია. საქართველოს ეროვნული მუზეუმში შემოვიდა 1949 წელს (ინვ. №14-57:14). სამკაულები განეკუთვნება ე.წ. ფერადი კვანძების ჯგუფს: კვანძის “მარყუჟები” გამოყვანილია დაკბილულ ბუდეში ჩასმული გრანატის თვლებით; შემკულია ვარდულებით, პალმეტებით, ხვებიტით, მინანქრიანი ფოთლისებური გამოსახულებებით, შეკიდული “კონებით” — მარცვლისებური სამკაულთა და ნახევარსფერულ ვარდულებში ჩასმული გრანა-

ტის სფერული ბურთულებით.

ბალთები აგებულია და ზოგიერთი დეტალის დამუშავებით, ჩამოთვლილი საერთო ნიშნების გარდა, განსხვავდება ერთმანეთისგან. ერთ ბალთაზე (სურ. 1-2) კვანძი მიღებულია ოქროს ფირფიტებისგან გამოჭრილი ორი რკალის გადაბმით; ზედაპირზე „მარყუჟები“ და მისი დაბოლოებები სქემატურადაა წარმოდგენილი ბუდეში ჩასმული გრანატის თვლების სახით. „მარყუჟები“ სრულია, დაბოლოებები გამოკვეთილი არ არის — „მარყუჟის“ შიგნით სიმეტრიულად განლაგებულია ოვალური მოყვანილობის ერთნაირი თვალბუდეები (4 ცალი). განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს დაკბილული ბუდეები — ე.წ. ძაღლის კბილები. თითოეული კბილი წარმოადგენს სამკუთხა ფორმის ფირფიტას, რომლის ფერდებსა და სიმაღლეზე დარჩილია სადა მავთულები. კბილები ერთმანეთთან მიჯრით დამაგრებულია ვინრო ფირფიტაზე, გარე მხრიდან სადა და დაკეჭნილი მავთულებითაა შემოვლებული.

კვანძის შემკულობაში თავისი იერით გამოირჩეულია ვარდულები. თავდაპირველად ბალთაზე რვა ვარდულა იქნებოდა დამაგრებული: ოთხი — კვანძის შიგნით, ოთხი — კვანძის გარეთ. ამჟამად კვანძის შიგნით მხოლოდ ორი ვარდულა შემორჩა (ჩანს ნახვრეტები, რომლებიც ვარდულას დასამაგრებელ მანქვლებისათვის იყო განკუთვნილი). ვარდულას ფურცლები გამოყვანილია შესაბამისად გამოჭრილ ფირფიტაზე დარჩილული გრეხილი მავთულით; ხუთი ვარდულა თორმეტფურცლიანია, ერთი — ცამეტფურცლიანი. ვარდულას შუაგული ნახევარსფეროსებურია, მთლიანად ცვარათია დაფარული. კვანძის შიგნით მოთავსებულია ორი პალმეტი, შემკული ცვარათი; აგრეთვე — ორი კონუსი, სადა მავთულის ხვიების სახით.

ბალთის მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს კვანძის გარეთ, ორივე მხარეს, მინანქრით შემკული შვერილები — ფოთლისებური გამოსახულებები. შვერილი შედგენილია ნახევარმთვარისებური მოყვანილობის ორფენოვანი დაკბილული ფირფიტების და

ასევე ორფენოვანი ფოთლისგან — „პალმეტისგან“. მინანქრისთვის გრეხილი მავთულით გაკეთებულია ტიხრები, რომლებიც ამავე დროს ფოთოლთა ძარღვებსაც აღნიშნავენ. ამჟამად მინანქრის უმეტესი ნაწილი ტიხრებიდან ამოცვენილია, რაც თავისთავად არღვევს თავდაპირველ მხატვრულ ჩანაფიქრს, მის კომპოზიციას. მინანქრის ნაშთების მიხედვით გამოიყოფა ორი ფერი — ლურჯი და თეთრი (ცნობილი მკვლევარის ჰერბერტ ჰოფმანის დაკვირვებით, ხშირად ელინისტური ხანის ოქროს სამკაული გვაოცებს თავისი სრულყოფილებით, დასრულებულობით, რასაც განაპირობებს მინანქრის გაქრობა. ოქროს ზედაპირზე შესაძლებელია თვალი გავადევნოთ არეკლილი სხივისა და ჩრდილის თამაშს, რომელიც აცოცხლებს და ელასტიკურს ხდის მას. მინანქრის არსებობის შემთხვევაში ეს ეფექტი დაკარგულია [Hoffmann H. ... 1965:10]).

მინანქრით შემკულ შვერილებზე, მინანქრის ზემოდან, დამაგრებულია თითო თვალბუდე — ოქროს ბუდეში ჩასმული ოვალური მოყვანილობის გრანატის ქვა. ბუდე გამოჭრილია ერთიანი ფირფიტისგან; კიდეზე ხშირი დაბალი კბილებია (განსხვავებულია „ძაღვის კბილებისაგან“). მინანქრიან შვერილებსა და კვანძს შორის, ზემოთ და ქვემოთ, სპირალებია — ე.წ. უღვაშები. ასეთივე ელემენტებია შვერილების შიგნით, ფოთლის ორივე მხარეს. სპირალები შედგენილია ვიწრო სქელი ფირფიტისაგან, რომელსაც სიგრძივ ღარი დაუყვება.

კვანძის ქვედა კიდეზე სამი ყუნწია, აქედან მხოლოდ ერთზეა (შუაში) შემორჩენილი საკიდი — ე.წ. კონა — ნახევარსფერული ვარდულების, ძენკვებისა და მარცვლისებური სამკაულების ერთობლიობა (მსგავს საკიდებს ბ. დეპერტ-ლიპიცი ელინისტური საიუველირო ხელოვნების ლაიტმოტივს უწოდებს [Deppert-Lippitz B. 1985:202]). ორ ნახევარსფერულ ვარდულას შორის თავდაპირველად გრანატის ქვა (?) იქნებოდა მოთავსებული, რომელიც ამჟამად დაკარგულია. ძენკვები ბოლოვდება მარცვლისებური სამკაულით

(ერთი აკლია).

კვანძის უკანა მხარეს მირჩილულია რვა ყუნწი, რომელთა განლაგებაში გარკვეული სიმეტრია აღინიშნება. ბალთის უდ. სიგრძე — 90 მმ.

მეორე ბალთა (სურ. 3-4) წარმოადგენს რვიანისებური მოყვანილობის ოქროს მთლიან ფირფიტას, რომლის ზედაპირზე ბუდეში ჩასმული გრანატის ქვებით გამოყვანილია ჰერაკლეს კვანძის მარყუჟები და დაბოლოებები. ამ შემთხვევაში ერთ მხარეს, მარჯვნივ, დაბოლოებები — ოვალური ფორმის ორი თვალბუდე — გადადის მარყუჟზე (აქ რკალი გამოსახულია ნაწილობრივ). მეორე მხარეს, მარცხნივ, ასევე ორი თვალბუდე განსხვავებული მოყვანილობისაა — ცალ მხარეს წანვეტებულია; მოქცეულია მარყუჟის შიგნით. მარცხენა „მარყუჟი“ დაზიანებულია — აკლია თვალბუდეები. პირველ ბალთასთან შედარებით, განსხვავებულია დაკბილული ბუდეებიც: სამკუთხა კბილები ერთიანი ფირფიტისგანაა გამოჭრილი; კიდეებზე და სიმაღლეზე დატვიფრულია. ბალთაზე მხოლოდ ერთი ვარდულაა; მოთავსებულია კვანძის შიგნით, თითქმის ცენტრში. ვარდულა შვიდფურცლიანია; ფურცლები გამოყვანილია შესაბამისად გამოჭრილ ფირფიტაზე გრეხილი მავთულით; შუაგულში ბურთულაა, რომელსაც ასევე გრეხილი მავთულები შემოუყვება. მარჯვნივ, მარყუჟის დაბოლოებებს შორის სადა მავთულისგან შედგენილი ხვებია (2 ცალი), რომლებიც განსხვავდება პირველი ბალთის კონუსური ფორმის მავთულის ხვებისგან — შედარებით მცირე ზომისაა, ცილინდრულ მოყვანილობასთან მიახლოებულია. კვანძის შიგნით, მარჯვნივ — მინანქრით შემკული ფოთლის მსგავსი გამოსახულებაა; ტიხრები გრეხილი მავთულითაა გამოყვანილი; მინანქარი ორი ფერისაა — მწვანე და ლურჯი.

კვანძის გარეთ, ორივე მხარეს, მინანქრიანი შვერილებია — ფოთლების (?) გამოსახულებები. შვერილები აქაც ორფენოვანია; ტიხრები შედგენილია გრეხილი მავთულით; მინანქარი შემორჩენილია დაკბილულ ნაწილებში; ორი ფერისაა — მწვანე და ლურჯი

(გამორიცხული არ არის, რომ ორივე ბალთაზე მინანქრის ფერი ამჟამად შეცვლილია).

მინანქრით შემკულ შვერილებზე, მინანქრის ზემოდან, მსგავსად პირველი ბალთისა, დამაგრებულია ბუდეში ჩასმული გრანატის ქვა, მხოლოდ ბუდე შედარებით დაბალია, გრანატის ქვეშ კი ოქროს ფირფიტაა დაფენილი.

ჰერაკლეს კვანძის ქვედა კიდეზე, შუა ნაწილში მირჩილულია ერთი ყუნწი (საკიდის გარეშე). ე.წ. კონები — პირველი ბალთის მსგავსი საკიდები (2 ცალი) — დამაგრებულია მინანქრიან შვერილსა და კვანძს შორის მოქცეულ სპირალებზე („ულვაშებზე“), რაც მათ მეორად გამოყენებაზე მიანიშნებს. საკიდებზე შემორჩენილია ნახევარსფერულ ვარდულებს შორის მოთავსებული გრანატის ქვები.

კვანძის უკანა მხარეს მირჩილულია შვიდი ყუნწი. ბალთის უდ. სიგრძე — 68 მმ.

ბალთების შედარებითი ანალიზის შედეგად ნათლად მჟღავნდება შესრულების სხვადასხვა ხელნერა და ხარისხი (ზემოთ მხოლოდ ზოგიერთ დეტალზე გამახვილდა ყურადღება. დანვრილებით იხ.: [ჭყონია ან. 1981:63-65]). პირველი ბალთა შედარებით უხვადაა შემკული, უფრო დახვეწილია. მთავარი განმასხვავებელი ნიშანი გამოიხატება ცვარას გამოყენებაში. პირველ ბალთაზე ცვარათი მთლიანად დაფარულია ვარდულების ნახევარსფერული შუაგული, აგრეთვე, პალმეტების ფურცლები. მეორე ბალთაზე ცვარა არ დასტურდება, მხოლოდ ერთ ვარდულაზე შუაში დარჩილულია მოზრდილი ბურთულა. აღსანიშნავია, რომ ვიზუალურად განსხვავდება ბალთების ოქროს ფერიც. პირველ ბალთაზე ოქრო შედარებით ინტენსიური (მუქი) ყვითელი ფერისაა.

განსხვავებანი აგებულებასა, ზომებსა და დეკორატიულ ელემენტებს შორის, ჰერაკლესკვანძიანი მრავალრიცხოვანი ცნობილი ნიმუშების გათვალისწინებასთან ერთად, გამოორიცხავს ბალთების განსაზღვრას ერთი სამკაულის — ერთი დიადემის ნაწილებად (მდრ.: [ხოშტარია ნ. 1959:237, Хоштариа Н. 1962:75]). მათი თავდაპირველი ფუნქციის

შეცვლა შეიძლებოდა ალბათ მეორადი გამოყენების შემთხვევაში.

ვანის ნიმუშები სხვადასხვა სახელოსნოს (სკოლის) ნახელავია. ერთგვაროვანი ელემენტები — თვალბუდეები (ჰერაკლეს კვანძის გარეთ) და „კონები“ — ბალთებს ალბათ, დაემატა მოგვიანებით ნამზადების სახით: ამიტომაც თვალბუდეები მინანქარზე ზემოდანაა დამაგრებული და ნაწილობრივ ფარავს მას; მეორე ბალთაზე „კონები“ (2 ცალი) შეკიდულია სპირალებზე — „ულვაშებზე“ (და არა ყუნწებზე), ყუნწის (თუ ყუნწების) და მასთან დაკავშირებული სამკაულის გაუქმების (დაკარგვის) შემდეგ. სამკაულის შეკეთება — დამატებითი ელემენტების ჩართვა, შესაძლებელია, ხდებოდა ადგილზევე, კოლხეთში; მაგრამ ჰერაკლეს კვანძი, პოლიქრომიული სტილი, ელინისტური ხანის საიუველირო ხელოვნების კანონიკური ელემენტები აშკარად მიუთითებს ბალთების არაკოლხურ წარმომავლობას. თუმცა, მათი ახლო პარალელი მსგავს სამკაულთა შორის ვერ მოიძებნა, რაც, უპირველეს ყოვლისა, საიუველირო ხელოვნების სპეციფიკიდან გამომდინარეობს.

დამახასიათებელ და საყოველთაოდ გავრცელებულ ნიშნებთან ერთად, დანყებული პოლიქრომიული სტილით, რომელმაც მოახდინა რეგოლუცია ელინისტური ხანის სამკაულის განვითარებაში [Levy E. 1965:565], და ელინისტური ხანის ცალკეული, ტიპური ელემენტებით დამთავრებული (მაგალითად, „კონები“ [Ruxer M.S., ... 1972:58; Deppert-Lippitz B. 1985:231], ნახევარსფერული ვარდულები [Amandry P. 1953:##247-248; Ruxer M.S., ... 1972:44-45], „ულვაშები“ [Deppert-Lippitz B. 1996:#89], „ძაღლის კბილისებური“ ბუდეები — “dog tooth” [Hoffmann H., ... 1965:36]), ვანის ბალთები გამოირჩევა გარკვეული თავისებურებებითაც. უფრო გამოკვეთილად ეს თავისებურებანი გამოიხატა საერთო კონსტრუქციაში, თვალბუდეების განაწილების პრინციპში, მინანქრიანი ფოთლისებური შვერილების უჩვეულობაში, „ულვაშების“ განლაგებაში. ვანის თითოეული ნიმუში დამოუკიდებელი სამკაულის შთა-

ბეჭდილებას ტოვებს, არსად შეიმჩნევა სხვა საგანთან შეერთების კვალი თუ დამაკავშირებელი რგოლი; უკანა მხარეს მირჩილული ყუნწებით ისინი ცალ-ცალკე დაკერებული იქნებოდა ქსოვილზე (ბაფთაზე), შესაძლოა, სხვა დამატებითი ელემენტების გარეშეც. ბალთებზე სპირალები — „ულვაშები“ მხოლოდ დეკორატიულ ფუნქციას ასრულებს. ჩვეულებრივ კი, „ულვაშები“ აბოლოებს, მართალია, ზოგჯერ პირობითად, კვანძის მარყუჟებს. პირველ ბალთაზე „ულვაშები“ დასტურდება მინანქრიან ფოთლისებურ გამოსახულებებთანაც. ამდენად, ვანის ბალთები ყოველთვის არ ექვემდებარება თავისი დროის კანონიკურ ნორმებს, მაგრამ საერთო მონაცემებით ექცევა ელინისტური კონიეს არეალში. აქედან გამომდინარე, მათი ზუსტი წარმომავლობის განსაზღვრა ვერ ხერხდება.

გერმანელი მეცნიერის მ. პფრომერის გამოკვლევაში ელინისტური ხანის ოქრომჭედლობის ქრონოლოგიის შესახებ მოხსენებულია ვანის ბალთებიც, როგორც ამკარად „არამაკედონური, პროვინციული ნიმუშები“ [Pfrommer M. 1990:73]. ავტორი მათ განიხილავს (უთმობს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს) რატომღაც ჩრდილო შავიზღვისპირეთის ძეგლებთან ერთად (?!). მისი მითითებით, ძვ.წ. II საუკუნეში არ მოეძებნება არც ერთი პარალელი „მანუეტებად გამოყენებულ, კვანძიდან გარეთ მოქცეულ ოქროს აკანთის ჯამებს, რომლებიც უფრო მარტივი ფორმით უკვე ძვ.წ. IV საუკუნეში დასტურდება“ (ანუ კვანძის გარეთ — მინანქრიან ფოთლისებურ შვერილებს; მინანქარის არსებობა აღნიშნული არ არის). ე.ი. მ. პფრომერი ვანის ნიმუშებს ფერადი კვანძების იმ ჯგუფს მიაკუთვნებს, რომლებსაც „მანუეტების“ ნაცვლად „აკანთის ჯამის“ მსგავსი („Akanthuskelche“) შვერილები აქვს. და ბოლოს, „დიდი დაკბილული ბუდეების“ გათვალისწინებით, ავტორი ბალთებს, სავარაუდოდ, ძვ.წ. II საუკუნით ათარილებს.

ვანის ბალთების შესწავლის პირველ ეტაპზე თარიღი განისაზღვრა ზოგადად — ძვ.წ. III-II საუკუნეებით [ჭყონია ან. 1981:66; ჭყონია

ან. 1983:87-88], რაც ესადაგებოდა პოლიქრომიული სტილის აყვავების ხანას და პარალელური მასალის მონაცემებს. ისინი მიეკუთვნა, მ. რუქსერის კლასიფიკაციით, ჰერაკლეს კვანძის განვითარების III, 1 ფაზას [Ruxer M.S., ... 1972:81-82]. ასეთივე ზოგადი თარიღი მოცემულია სხვა ნაშრომებშიც [Хоштариа Н.1962:75; გაგოშიძე იულ. 1981:175; ლორთქიფანიძე ოთ. 2002:211], გარდა ერთი შემთხვევისა, სადაც მითითებულია მხოლოდ ძვ.წ. II საუკუნე [ხოშტარია ნ. 1959:237]. ამჟამად თარიღის დაზუსტების — ქრონოლოგიური ჩარჩოების დავინროების მიზნით შესწავლილია ბალთებზე დადასტურებული ყველა დამახასიათებელი ნიშანი. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია მ. პფრომერის მიერ შემუშავებული ჰერაკლეს კვანძის ტიპოლოგიური კლასიფიკაცია [Pfrommer M. 1990:4-80]. გამოიყო შემდეგი: „კონები“, სამკაული — დეკორატიული ელემენტი კვანძის ცენტრში (პირველ ბალთაზე არ შემორჩენილა, მეორეზე — ვარდულა), კვანძის „უბეების“ შევსება (ხეიბი, ფოთლისებური გამოსახულება), ვარდულები (პირველ ბალთაზე), პალმეტები, გრანატის ქვები (კვანძის შედგენა გრანატის ქვებით), მინანქრიანი შვერილები, სპირალები — „ულვაშები“, მარყუჟის დაბოლოებები, ბოლოს, დაკბილული ბუდეები — „ძაღლის კბილები“. ამათგან თარიღის განმსაზღვრელი აღმოჩნდა ე.წ. ძაღლის კბილები. ამ სახის დაკბილული ბუდის გამოჩენა ძვ.წ. II საუკუნეს უკავშირდება, მაშინ, როდესაც სხვა ნიშნები, თუ უფრო ადრე არა, ძვ.წ. III საუკუნის მეორე ნახევარში მაინც ფართოდაა გავრცელებული. ამგვარად, ვანის ბალთების თარიღი განისაზღვრა არა უადრეს ძვ.წ. II საუკუნის პირველი ნახევრისა; თუმცა, სამკაულების ფიზიკური არსებობა შეიძლება საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, მით უფრო, რომ სახეზეა დამატება-გადაკეთების კვალი.

ვანის ნაქალაქარიდან მომდინარეობს კიდევ ერთი ჰერაკლესკვანძიანი ბალთა (სურ. 5-6); ის აღმოჩნდა ნაქალაქარის ზედა ტერასაზე, გვიანელინისტური ხანით დათარიღებულ კულტურულ ფენაში. ბალთა მონოქრონულია — ე.ი. მთლიანად ოქროსგანაა

დამზადებული; მცირე ზომისაა (უდ. სიგრძე 13 მმ), ე.წ. ხვიებიანი, ცენტრში — დიდი ზომის ვარდულათი. ჰერაკლეს კვანძის „მარყუჟები“ ერთმანეთშია ჩასმული; გამოყვანილია მსხვილი სადა მრგვალგანიკვეთიანი მავთულისაგან, რომელიც თანდათან ვინროვდება; ბოლოები სპირალისებურად აქვს ჩახვეული და ირგვლივი მეჩხერი ღარებით შემკული. ვარდულა თორმეტფურცლიანია; შუაგული და ფურცლები შემოსაზღვრულია დაკეჭნილი მავთულით. ბალთის უკანა მხარეს, „მარყუჟების“ შევიწროებულ ნაწილზე, სიმეტრიულად მირჩილულია ორი ყუნწი. ბალთა ინახება ვანის ოთ. ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიურ მუზეუმში (ინვ. №1:997-2).

საერთოდ, მონოქრონული, ამასთან ერთად, მცირე ზომის ხვიებიანი ჰერაკლეს-კვანძიანი სამკაული ადრეელინისტური ხანით თარიღდება; მაგალითად, კვანძი პანგეონის კომპლექსიდან (მაკედონია), რომლის სიგრძე 31 მმ-ია [Greifenhagen A. 1979:38-39]. ადრეელინისტური ხანიდან დაწყებული შეიმჩნევა კვანძის ზომების უწყვეტი ზრდა (10 სმ-მდე). თანდათანობით ქრება და გვიანდელ ნიმუშებზე აღარ დასტურდება ხვიები — „მარყუჟების“ სპირალისებური დაბოლოებები [Pfrommer M. 1990:58, 66-67]. აღსანიშნავია, რომ ვანის ნიმუშის ამ სქემაში მოქცევა გაძნელებდა: ბალთაზე ჰერაკლეს კვანძის მოტივი თავისებურადაა გააზრებული; შეიძლება ითქვას, რომ ის ასრულებს მეორეხარისხოვან როლს და წინა მხრიდან არც იკითხება — ჩანს მხოლოდ ხვიები. ჰერაკლეს კვანძი თითქმის მთლიანად დაფარულია ვარდულათი, რომელიც დომინირებს და ფაქტობრივად, ძირითად ელემენტს წარმოადგენს სამკაულში. ჩვეულებრივ, მონოქრონულ კვანძებზე ხშირია ვარდულას ან ვარდულების და სხვა დეკორატიული მოტივების გამოსახულებები, მაგრამ ყოველთვის, როგორც წესი, კვანძი გამოკვეთილია და ცალკეულ დეტალებს შორის თანაფარდობა არ არის დარღვეული [Hoffmann H., ... 1965:122-123,209-221, ##41, 83-89; Miller S.G. 1979:14-15, ტაბ. 8; Laffineur R. 1980:394, სურ. 81-82; Davidson

P., ... 1984:37-39; Sevinç N., ... 2003:222-223, #11, ტაბ. 2; Стефани Л. 1882:5, 37(№26)]. ვანის ბალთის შემადგენელ ელემენტებზე აქცენტების ორიგინალური გადანაწილება მიანიშნებს კანონიკური ნორმების დარღვევას და არ გამორიცხავს სამკაულის ადგილზე დამზადებას კოლხი ოქრომჭედლის მიერ. ბალთაზე დასტურდება უცხო არეალიდან შემოსული მოტივი ჰერაკლეს კვანძის სახით, მაგრამ უპირატესობა ენიჭება ვარდულას — კოლხური სამკაულის უკვე განუყოფელ და ორგანულ ნაწილს (ვარდულას გენეზისისა და გავრცელების შესახებ იხ.: [Sideris A. 1988:121-132]), მის ერთ-ერთ დამახასიათებელ და განმსაზღვრელ ნიშანს [Chqonia A. 1998:114-115].

ზემოთ მითითებული ჰერაკლეს კვანძის განვითარების დინამიკის გათვალისწინებით ვანის ნიმუშის დათარიღება ვერ ხერხდება. აღმოჩენის პირობების მიხედვით ის მიეკუთვნება გვიანელინისტურ ხანას. ძვ.წ. III-II საუკუნის დასაწყისი (თუ პირველი ნახევარი) სავსებით მისაღები თარიღია, გამომდინარე როგორც სამკაულის კონსტრუქციისა და სტილიდან, ისე საერთო ისტორიულ-კულტურული ვითარებიდან.

მართალია, „დიდი მდიდრული კვანძის“ ტიპოლოგიური განვითარება ძვ.წ. II საუკუნის შუახანებში შეწყდა, მაკედონიის საბოლოო დაცემასთან ერთად [Pfrommer M. 1990:74], მაგრამ ჰერაკლეს კვანძი, შედარებით სადა და მარტივი ფორმებით, აგრძელებს არსებობას, არ კარგავს თავის ფუნქციას — არც დეკორატიულსა და არც ავგაროზულს. ახ. წ. პირველ საუკუნეებში მისი გავრცელების საზღვრები საკმაოდ ფართოა, აღმოსავლეთით აღწევს ინდოეთის ძველ ქალაქ ტაქსილამდე (თანამედროვე პაკისტანი, ქალაქ რავალპინდიდან ჩრდილო-დასავლეთით 35 კმ დაშორებაზე) [Marshall J. 1951:ტაბ. 181, №194].

ჰერაკლეს-კვანძიანი ოქროს ბალთების აღმოჩენის შემთხვევები დადასტურებულია საქართველოშიც, კერძოდ, ბორსა და სამთავროში. ოქროს ბალთები (7 ცალი), ბორში

ნაპოვნია შემთხვევით 1908 წელს (სურ. 7) და ინახება სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ერმიტაჟის აღმოსავლეთის განყოფილებაში (ინვ. №Z316). მსგავსი ნიმუშები სამთავროს სამაროვნიდან (5 ცალი) მომდინარეობს სამარხებიდან: 1938 წელს სამხრეთ უბანზე, №30 სამარხში აღმოჩნდა 2 ცალი (სურ. 8); 1939 წელს, ასევე სამხრეთ უბანზე №135 სამარხში - 3 ცალი (სურ. 9). ისინი დაფიქსირდა ქალისა და მოზარდი გოგონას თავის ქალებთან. ბალთები ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმში (ინვ. №№12-54/9104, 12-54/9105, 12-54/10638, 12-54/10639, 12-54/10640).

ბორისა და სამთავროს ნიმუშები აგებულია პრინციპითა და შემადგენელი დეტალებით ერთმანეთის მსგავსია: დამზადებულია ოქროს მსხვილი მავთულისგან, რომელიც წინა მხარეს ოდნავ ამობურცულია, ხოლო უკანა მხარეს - ბრტყელი. ბალთა შედგება, პირობითად, მარყუჟებისგან; ისინი ერთმანეთშია ჩადგმული და მირჩილულია იმგვარად, რომ მიიღება ჰერაკლეს კვანძი. სამკაულის ცენტრში ოქროს ბუდეში ჩასმულია გრანატის (ალმანდინის) თვალი (ბორის ერთი ბალთა დაზიანებულია - თვალი ამოვარდნილია), ამობურცული, გაპრიალებული; სამთავროს ბალთებზე და ბორის სამ ბალთაზე - ოვალური მოყვანილობის; ბორის ორ სამკაულზე თვალი ნუშისებურია, ერთზე - მრგვალი. ბალთების მარყუჟების ბოლოებზე ყუნწებია: ბორის 5 ბალთაზე - თითო ორივე მხარეზე, ერთ ბალთაზე მხოლოდ ერთია და მეორეზე - წყვილი ერთ მხარეს და ცალი - მეორე მხარეს. სამთავროს ბალთებზე კი, ერთის გამოკლებით, ყუნწები ასეა განლაგებული: წყვილი - ერთ მხარეს და ცალი - მეორე მხარეს. ერთ ბალთაზე ორივე მხარეს წყვილი ყუნწია. სამთავროს ბალთების თვალბუდეებს დაკეჭნილი მავთული შემოუყვება, ბორის სამკაული სადაა. სამთავროს ბალთების უდიდესი სიგრძე 46 მმ-ია; ბორის ბალთების უდიდესი სიგრძე — 35 მმ.

აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით, სამთავროს ბალთები განისაზღვრა თავსა-

კაულად ანუ დიადემის შემადგენელ ნაწილებად [Иващенко М. 1980:104-105], ხოლო ბორის ნიმუშების ფუნქციის დადგენა (დიადემა თუ ყელსაბამი?) ვერ მოხერხდა [Придик Е. 1914:98]. ბორის ნივთების გამოქვეყნებისას ე. პრიდიკმა თავი შეიკავა ზუსტი განმარტებისგან, თუმცა, ბალთებს დაუძებნა ანალოგი ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ერთი ყელსაბამის სახით. სამკაული აღმოჩნდა სირიაში (ტორტოზა) და ფ. მარშალის მიერ დათარიღებულია ახ.წ. II-III საუკუნეებით [Marshall F.H. 1911:316-317, №2730, ტაბ. LX]. ბორისა და სამთავროს ბალთებისგან განსხვავებით, ამ ნიმუშზე ჰერაკლეს კვანძები სადაა - არ არის შემკული ალმანდინის თვლებით; მაგრამ ყელსაბამის შემადგენლობაში შედის, გარდა კვანძებისა, სხვა ელემენტებიც, მათ შორის ქალცედონის მსხვილი მძივები. მოგვიანებით ყელსაბამი გამოაქვეყნა რ. ჰიგინსმა, რომელმაც ყურადღება გაამახვილა სწორედ ქალცედონის მძივებზე [Higgins R.A. 1980:180-181, ტაბ. 58A]. ახ. წ. II-III საუკუნეები სავსებით მისაღები თარიღია სამთავროსა და ბორის სამკაულებისთვის, მიუხედავად იმისა, რომ ე. პრიდიკი ცდილობდა ბორის ნიმუშების ახ.წ. I საუკუნისთვის მიკუთვნებას [Придик Е. 1914:10]. სამთავროს სამარხების მონაცემები მიუთითებენ შედარებით გვიანდელ თარიღზე. მაგალითად, სამთავროს № 30 სამარხი, სადაც აღმოჩნდა ჰერაკლეს კვანძიანი ორი ბალთა, ანტონიუს პიუსის (ახ.წ. 138-161 წწ.) მონეტის საფუძველზე არა უადრეს ახ.წ. II საუკუნის შუახანებით ან მეორე ნახევრით თარიღდება. მართალია, არ გამოირიცხება ახ.წ. II საუკუნის სამარხში უფრო ადრეული ოქროს ნივთის ჩატანება, მაგრამ ამჯერად ასეთი ვარაუდის საფუძველი არ არის.

ახ.წ. II-III საუკუნეებში გავრცელებულია მსხვილი სადა მავთულით შედგენილი ჰერაკლეს კვანძები, რომელთა შორის ძირითადად ორი ჯგუფი გამოიყოფა: პირველი — სადა კვანძი, დამატებითი დეკორატიული ელემენტების გარეშე, მსგავსი ძენკვის გადაკეცილი რვიანისებური რგოლისა (მაგალითად, იხ.: [Ruxer M.S., ... 1972:112, სურ. 19d]). მეო-

რე ჯგუფში გაერთიანებულია თვალბუდე-ებით შემკული ნიმუშები — როგორც წესი, ოქროს ბუდეში ჩასმული ერთი ქვა (გრანატი) მოთავსებულია კვანძის ცენტრში. ბორისა და სამთავროს ნიმუშები ამ ჯგუფს მიეკუთვნება. მათი ახლო პარალელი მოიძებნა ანატოლიის ცივილიზაციის მუზეუმში (ანკარა) დაცული ერთი სამკაულის სახით [Bingol İşik F.R. 1999:141, #153]. ბორისა და სამთავროს ბალთებისგან განსხვავებით, ის შემკულია დაკენჭილი მავთულით, უფრო ზუსტად — კვანძი შედგენილია დაკენჭილი (შიდა) და სადა (გარე) მავთულებით; დაკენჭილი მავთული შემოვლებულია თვალბუდის გარშემოც, მსგავსად სამთავროს ბალთებისა (ბორის ბალთები სადაა). სამკაული მცირე ზომისაა; განსაზღვრულია საკიდად — აქვს მხოლოდ ერთი ყუნწი, მირჩილული კვანძის ცალ მხარეს; დათარიღებულია ძვ. წ. III საუკუნის შუახანებით, რაც არ შეესაბამება რეალობას. ანალოგების სახით დასახელებული ნიმუშები — ცნობილი დიადემატი მელოსიდან (ძვ. წ. 300-280 წწ.) და ითაკიდან (ძვ.წ. 300-250 წწ.) [Williams D., ... 1994:65,80 ## 18, 35] — მხატვრული სტილით, აგებულების პრინციპით, შემადგენელი ელემენტებით არსებითად განსხვავდება განხილული სამკაულისგან.

მ. ივაშჩენკომ სამთავროს ბალთები სირიიდან შემოტანილ ნიმუშებად მიიჩნია და მიუთითა იბერიასა და სირიას შორის კავშირზე. სავარაუდოა, სამკაულის შედარებით მარტივი აგებულება დიდ სირთულეს არ შექმნიდა მის ადგილზევე (იბერიაში) დამზადებისთვის, მით უფრო, რომ ახ.წ. პირველ საუკუნეებში იბერია განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა ოქრომჭედლობის განვითარების მხრივ და ერთგვარ ზეგავლენას ახდენდა დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე, გამომდინარე პოლიტიკური ვითარებიდანაც [ლორთქიფანიძე ოთ. 2002:266, 274-275]. საერთოდ, უცხო ფორმის თუ მოტივის ათვისება და ზოგჯერ თავისებურად გადაამუშავება საყოველთაო მოვლენაა და ამ მხრივ არც კოლხეთი და, მოგვიანებით, არც იბერია იქნებოდა გამონაკლისი.

საქართველოს ტერიტორიაზე — ძველ კოლხეთსა და იბერიაში ჰერაკლეს კვანძის გავრცელება მხოლოდ წარმოდგენილი ნიმუშებით არ შემოიფარგლება. აღსანიშნავია, რომ ეს მოტივი დასტურდება არა მხოლოდ ოქროს, არამედ ვერცხლის და ბრინჯაოს სამკაულებზეც. მაგალითად, შიდა ქართლში ჰერაკლესკვანძიანი ვერცხლის ერთი სამაჯური აღმოჩნდა სოფ. ალაიანის მიდამოებში, რიყიანების ველის სამაროვანზე (№17 სამარხი, დათარიღებულია ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრით [მირიანაშვილი ნ. 1983: 41, 63-64, სურ. 77]); ბრინჯაოს სამაჯური — ზოგადად ახ. წ. IV-VII საუკუნეებით დათარიღებულ სტირფაზის სამაროვანზე (№ 74 სამარხი) [Техов Б. 1980:102, 106-107, ტაბ. L1,3].

საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს ვანის რაიონის სოფ. ქვედა გორაში 1958 წელს მინის სამუშაოების დროს შემთხვევით ნაპოვნი ოქროს ჰერაკლესკვანძიანი ბალთა, რომელიც 1965 წლიდან ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმში. ზეპირი გადმოცემით, თავდაპირველად აღმოჩენილია ოქროს ორი ბალთა და რამდენიმე ათეული სარდიონის მძივი, მაგრამ მუზეუმამდე მიაღწია მხოლოდ ერთმა ბალთამ და სარდიონის ორმა მძივმა. სამწუხაროდ, დიდი ხნის მანძილზე ეს მონაპოვარი ყურადღების მიღმა დარჩა; პირველად გამოქვეყნდა მხოლოდ 2008 წელს და დათარიღდა ზოგადად ახ. წ. I-III საუკუნეებით [ხარაბაძე ს. 2008:110-111, ტაბ. I]. სოფ. გორაში აღმოჩენილი ოქროს ბალთის პუბლიკაციით სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა მნიშვნელოვანი ძეგლი — კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი ჰერაკლეს კვანძის თავისებური ინტერპრეტაციისა. გორის ნიმუშზეც, ვანის მცირე ზომის მონოქრონული ბალთის მსგავსად, დეკორატიულმა ელემენტმა — ცვარათი და თვალბუდეებით შემკულმა რომბისებურმა ფირფიტამ — მთლიანად გადაფარა ჰერაკლეს კვანძი (ჩანს მხოლოდ უკანა მხარეს). აქაც კვანძს დაკარგული აქვს დეკორატიული ფუნქცია; თუმცა, როგორც ამულეტს, ასე „დახურული” სახით, შესაძლებელია ჰქონდა გარკვეული დატვირთვა.

ჰერაკლესკვანძიანი სამკაულის აღმოჩენები, მართალია, შეზღუდული რაოდენობით, მაგრამ მაინც ამჟღავნებს ძველი კოლხეთისა და იბერიის საზოგადოების დამოკიდებულებას საერთო მოდასა თუ მხატვრულ აზროვნებასთან. უცხო მოტივის მიხედვით სამკაულის ადგილობრივ დამზადების შემთხვევაში კი, კოლხი და იბერიელი ოქრომჭედლები, მიუხედავად საკუთარი ხელნერისა და ოსტატობისა, გარკვეულწილად დაქვემდებარებულნი იყვნენ დროის მოთხოვნებს. და ალბათ, ჰერაკლეს კვანძის გამოყენება სწორედ ამ მოთხოვნათა რიგს მიეკუთვნებოდა.

ლიტერატურა:

გაგოშიძე იულ. 1981: ქართველი ქალის სამკაული. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 1966: ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ. 1972: არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე 1968 წელს. — ვანი. I. თბილისი, გვ. 186-197.

მირიანაშვილი ნ. 1983: შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი.

ჭყონია ან. 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. - ვანი. VI. თბილისი.

ჭყონია ან. 1983: ოქროს სამკაულები. — ანტიკური (ბერძნული) იმპორტი ვანსა და მის მიდამოებში. - ვანი. VII. თბილისი, გვ. 86-89.

ჭყონია ან. 2005: კოლხური ოქრომჭედლობა — ადგილობრივი ტრადიცია და ელინისტური კულტურის იმპულსები. — შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში. ძიებანი. დამატებანი. XIII (ქართულ-ინგლისური პარალელური ტექსტი). თბილისი, გვ. 47-48, 73.

ხარაბაძე ს. 2008: ქვედა გორას „განძი“. — იბერია-კოლხეთი. №4. თბილისი.

ხოშტარია ნ. 1959: ანტიკური ხანის არქე-

ოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში. - საქართველოს არქეოლოგია. თბილისი, გვ. 223-251.

Гомер. 1958: Одиссея. Перевод В.А. Жуковского. Москва.

Иващенко М. 1980: Самтаврские погребения первых трех веков н.э. - Мцхета. Результаты археологических исследований. Том. III. Тбилиси.

Лордкипанидзе О. 1990: Вани в системе Колхидского царства. — Причерноморье VII-V вв. до н.э.: письменные источники и археология. Материалы V Международного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси, с. 327-337.

Максимова М. 1979: Артюховский курган. Ленинград.

Плутарх. 1963: Сравнительные жизнеописания в трех томах. II. Москва.

Придик Е. 1914: Новые Кавказские клады. — Материалы по археологии России. # 34. Петроград, с. 94-110.

Стефани Л. 1882: Объяснение нескольких художественных произведений, найденных в южной России в 1878 и 1879 годах — Отчет Археологической комиссии за 1880 г. Санкт-Петербург, с. 3-144.

Техов Б. 1980: Раскопки в с. Стырфаз. — Полевые археологические исследования в 1977 году. Тбилиси, с. 95-109.

Хоштария Н. 1962: Археологические раскопки в Вани. - კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული. II. თბილისი, გვ. 65-80.

Чкониа А. 1985: Ювелирное искусство Колхиды в IV-II вв. до н.э. (вопросы инноваций). — Причерноморье в эпоху эллинизма. Материалы III Всесоюзного симпозиума по древней истории Причерноморья. Тбилиси, с. 519-527.

Alscher L. 1954: Griechische Plastik. Band I. Berlin.

Alscher L. 1961: Griechische Plastik. Band II. Teil I. Berlin.












Amandry P. 1953: Collection Hélène Stathatos. Les bijoux antiques. Strassbourg.

- Bingol Işık F.R. 1999:** Museum of Anatolian Civilisations. Ancient Jewellery. Ankara.
- Chqonia A. 1998:** Units in Colchian goldsmithery. – Units in Text and Language: An Interdisciplinary Approach. II. Bochum, p. 112-119.
- Chqonia A. 2000:** Kolchis und die Hellenistische Koine im Entwicklungskontext der Goldschmiedekunst. – Phasis. Greek and Roman Studies. 2-3. Tbilisi, p. 68-72.
- Davidson P., Oliver A. 1984:** Ancient Greek and Roman Gold Jewellery in the Brooklyn Museum. Brooklyn.
- Deppert-Lippitz B. 1985:** Griechischer Goldschmuck. Mainz am Rhein.
- Deppert-Lippitz B. 1996:** Ancient Gold Jewellery at the Dallas Museum of Art. Dallas.
- Greifenhagen A. 1979:** Schmuck der Alten Welt. 3. Auflage. Berlin.
- Higgins R.A. 1980:** Greek and Roman Jewellery. Second Edition. London.
- Hoffman H., Davidson P. 1965:** Greek Gold. Jewellery from the Age of Alexander. Mainz am Rhein.
- Laffineur R. 1980:** Collection Paul Canellopoulos (XV). Bijoux en or grecs et romains. – Bulletin de Correspondance Hellénique. CIV. Paris, p.345-457.
- Levy E. 1965:** Trésor hellénistique trouvé à Delos. Seconde Partie: Les Bijoux. – Bulletin de Correspondance Hellénique. LXXXIX. Paris, p.535-565.
- Lordkipanidze O. 1994:** Intercontacts between Colchis and the Mediterranean in Hellenistic Times. – Europa Indo-Europea. Atti del VI Congresso Internazionale di Tracologia e del VII Simposio Internazionale di Studi Traci. Roma, p. 103-108.
- Marshall J. 1951:** Taxila. III. Cambridge.
- Marshall F.H. 1907:** Catalogue of the Finger Rings Greek, Etruscan, and Roman, in the Department of Antiquities, British Museum. London.
- Marshall F.H. 1911:** Catalogue of the Jewellery Greek, Etruscan, and Roman, in the Department of Antiquities, British Museum. London.
- Miller S.G. 1979:** Two Groups of Thessalian Gold. = University of California Publications in Classical Studies. Volume 18. Berkeley. Los Angeles, London.
- Pfrommer M. 1990:** Untersuchungen zur Chronologie früh- und hochhellenistischen Goldschmucks. = Jstanbuler Forschungen. Band 37. Tübingen.
- Ruxer M.S., Kubczak J. 1972:** Naszyjnik Grecchi w okresach hellenistycznym i rzymskim. Warszawa-Poznań.
- Sevinç N., Treister M. 2003:** Metalwork from the Dardanos Tumulus. – Studia Troica. Band 13. Mainz am Rhein, p. 215-260.
- Sideris A. 1988:** La rosette dans l'orfèvrerie grecque orientalisante. – Acta Universitatis Carolinae. Philologica 1, 1987. Gaecolatina Pragensia XI. Praha, p. 121-132.
- Williams D. Ogden J. 1994:** Greek Gold. Jewellery of the Classical World. London.

ილუსტრაციების აღწერილობა:

სურ. 1 — ბალთა, ერთსაკიდიანი. ოქრო, გრანატი, მინანქარი. სიგრძე — 90 მმ. ვანი, შემთხვევითი აღმოჩენა; სურ. 2 — ბალთის უკანა მხარე; სურ. 3 — ბალთა, ორსაკიდიანი. ოქრო, გრანატი, მინანქარი. სიგრძე — 68 მმ. ვანი, შემთხვევითი აღმოჩენა; სურ. 4 — ბალთის უკანა მხარე; სურ. 5 — ბალთა, შემკული ვარდულათი. ოქრო. სიგრძე — 13 მმ. ვანი, გვიანელინისტური ხანის კულტურული ფენიდან (გადიდებულია ორჯერ); სურ. 6 — ბალთის უკანა მხარე; სურ. 7 — ბალთები, შემკული თვალბუდეთი. 7 ცალი. ოქრო, გრანატი (ალმანდინი). უდიდესი ბალთის სიგრძე — 35 მმ. ბორი, შემთხვევითი აღმოჩენა; სურ. 8 — ბალთები, შემკული თვალბუდეთი. 2 ცალი. ოქრო, გრანატი (ალმანდინი). სიგრძე 43 მმ და 44 მმ. სამთავრო, სამარხი №30; სურ. 9 — ბალთები, შემკული თვალბუდეთი. 3 ცალი. ოქრო, გრანატი (ალმანდინი). სიგრძე 46 მმ, 44 მმ, 40 მმ. სამთავრო, სამარხი №135.

A. Chqonia



ლითონის სამკაული დედოფლის გორიდან

სამკაული ნებისმიერი არქეოლოგიური კომპლექსის აუცილებელი ატრიბუტია. საქართველოში ადრერომული ხანის, ისევე როგორც წინა პერიოდის ძეგლებზე ამ რიგის ნივთები განსაკუთრებული სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა და ასახავს საიუველირო ხელოვნების განვითარებას ქვეყანაში. ეს ნივთები ძირითადად კარგად დათარიღებული კომპლექსებიდან მომდინარეობს და, ამდენად, საიმედო საყრდენს წარმოადგენს შესაბამისი დაუთარიღებელი ძეგლების ქრონოლოგიის დასადგენად.

ამ მხრივ საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს დედოფლის გორის მასალა, სადაც საყოფაცხოვრებო ნივთებთან ერთად აღმოჩნდა ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს სხვადასხვა სამკაული: ყელსაბამი, სამაჯურები, მედალიონები, საკიდები, საკერებლები, ბეჭდები და სხვ. (ილუსტრაციები შესრულებულია მხატვარ ელ. გომარელის მიერ).

დედოფლის გორაზე სასახლის ნანგრევებში აღმოჩენილი ნივთების უმეტესობა დამსხვრეულია, სტრუქტურა და ფერი შეცვლილია იმდენად, რომ მათი პირვანდელი სახის აღდგენა ძნელია, თუმცა, მიუხედავად ამისა მასალა საკმაოდ ინფორმატიულია და ექვემდებარება გარკვეულ კლასიფიკაციას.

საკვლევი ნივთები აღმოჩნდა სასახლის სხვადასხვა სათავსებში. სამკაულების ერთი ჯგუფი (ოქროს ყელსაბამი, სამაჯურები, პასტის წვრილი იოტები, თვლები და სხვა რამდენიმე ნივთი) ინახებოდა ძვლის ზარდახშაში, რომლის ნატეხები იქვე აღმოჩნდა (ოთახი №1). ამასთან ნიშანდობლივია ისიც, რომ ამ ჯგუფის თითქმის ყველა ნივთი იმთავითვე დაზიანებული ან ნაკლები იყო. საფიქრებელია, რომ ისინი შესაკეთებლად იყო გამზადებული. ამავე ოთახის ჩრდილო-აღმოსავ-

ლეთ კუთხეში გამოვლინდა სამკაულის კიდევ ერთი დიდი ჯგუფი (მძივები, საკიდები და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ორივე შემთხვევაში ნივთების ამ ჯგუფებს თან ახლდა თიხის ბულა, რომლითაც მათი სათავსები უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი. ოთახის ზღურბლზე, გასასვლელთან ეყარა ბრინჯაოს ჭურჭლის ნატეხები და უნესრიგოდ მიმოფანტული სხვადასხვა სახის საკაული (მძივები, ბეჭდები და სხვ.). იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ნივთები ბრინჯაოს ჯამისებურ ჭურჭელში იყო თავმოყრილი და გატანისას გაუვარდათ ხელიდან. სამკაულის კიდევ ერთი ჯგუფი აღმოჩნდა ოთახის კარის გარეთ, მასთან უშუალო სიახლივეს. აქაც ბრინჯაოს ჭურჭლის ფრაგმენტებია გამოვლენილი. კარის წინ, დაახლოებით ერთ მეტრში უნესრიგოდ იყო გაბნეული სხვადასხვა სახის სამკაული, მათ შორის ვერცხლის ბეჭედი არსინოეს გამოსახულებით (ტაბ. IV, 21). ყველა ეს ნივთი უშუალოდ მოლესილ იატაკზე ან მასზე დაყრილი ნანგრევის თხელ წვრილმარცვლოვან ფენაში დაფიქსირდა.

სამკაულის მეორე მნიშვნელოვანი ჯგუფი აღმოაჩინა 1926 წ. ლ. ტიტვინიძემ გორის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

ყელსაბამი (ტაბ. I, სურ.1). დედოფლის გორის მასალებში დადასტურდა ოქროს ერთი ყელსაბამი, რომლისთვისაც პირდაპირი ანალოგიების მოძიება ვერ მოხერხდა, მაგრამ მისი შემადგენელი ელემენტების ცალკეულ დეტალებს ბევრი მსგავსება ეძებნება ელინისტური და რომაული ხანის სხვადასხვა სახის სამკაულში. ასე მაგალითად, ოქროს ბრტყელი დისკოსებური ფირფიტებით შემკობის ფაქტები დადასტურებულია ვანის [ჭყონია ან. 1981:113, სურ.76], ახალგორის განძის [Смирнов Я. 1934: ტაბ.II,5], სამადლოს

[გაგოშიძე იულ. 1979:74, ტაბ. III], ალაიანის [ბოხოჩაძე ალ. 1981:34, ტაბ. XXX,1; მირიანაშვილი ნ. 1983:21,42], გონიოს განძის [ლორთქიფანიძე ოთ. ... 1980:ტაბ. XXI-XV; XVII-XXIX], არმაზისხევის [აფაქიძე ან. ... 1955:46], ბაიათხევის [Апакидзе А. 1991:80, სურ.186,1] მასალებში, თუმცა კონსტრუქციულად (იგულისხმება მილაკის ყუნწში გაყრილი ფირფიტოვანი საკიდის გრძელი ღერო, რომლის ბოლო მასზევეა შემოხვეული, აგრეთვე ღეროზე მძივის ასხმის ფაქტი) ისინი განსხვავებულია ზემოთ ჩამოთვლილი ნივთებისაგან. ყელსაბამის საკიდები იდენტურია დედოფლის გორაზევე აღმოჩენილ ოქროს მედალიონზე (ტაბ. II, სურ. 8) გამოსახული ქალღმერთის საყურეებისა, რომლებზეც ზუსტად ისეთივე მძივია ასხმული, როგორც ყელსაბამის საკიდების ღეროებზე. მავთულის დახვევის იგივე პრინციპია გამოყენებული ერმიტაჟში დაცული ხერსონესის კოლექციის ახ.წ. I-II სს. დათარიღებულ გრანატივთვლიან საკიდზე [Ruxer M.S., ... 1972:267-268, ტაბ. XIV,14]. სწორედ კონსტრუქციის მხრივ დედოფლის გორის ყელსაბამი უფრო რომაული ხანის ნივთების ჯგუფს უახლოვდება. ელინისტური ხანის სამკაულზე ოქროს დისკოები მილაკთან ან ერთმანეთთან ყუნწებით და რგოლებითაა დაკავშირებული. სამკაულის ძირითადი ღეროს ბოლოების ზედვე შემოხვევის პრინციპი გამოყენებულია ბოლოგადახვეულ სამაჯურებში. დეკორირების ეს ხერხი არ გვხვდება ადრეანტიკური და ელინისტური ხანის სამკაულზე და, როგორც ჩანს, რომაული ხანიდან გამოიყენება.

ნახევარმთვარისებური საკიდები. ნახევარმთვარის გამოსახულება – ეს უძველესი აღმოსავლური მოტივი, რომლის სამშობლოდაც მესოპოტამიაა მიჩნეული, დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რადგან მას ამულეტის მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუ ფაიუმისა და პალმირას პორტრეტების მიხედვით ვიმსჯელებთ, ამგვარი ნივთები სხვადასხვა

სამკაულის დეტალებადაც იხმარებოდა [Ruxer M.S., ...1972:209, ტაბ. XVI, XXII, I,2].

სხვადასხვა ლითონისაგან დამზადებული ნახევარმთვარისებრი საკიდები საკმაოდ ხშირად გვხვდება საქართველოს არქეოლოგიურ მასალაში. მათ შორის უძველესი – ოქროს ლუნულებისაგან შედგენილი ყელსაბამი მომდინარეობს ბებნისის №4 ყორღანიდან [Miron A., ... 1995:259, კატ. №158]. სხვადასხვა ფორმისა და ზომის ლუნულები დადასტურებულია ვანის [ლორთქიფანიძე ოთ. 1972:205-206, სურ.167; კაჭარავა დ., ... 1986:24-25, სურ.13], დაფნარის [Кигурадзе Н. 1976:33-35, ტაბ. XI,1] დაბლაგომის [Куфтин Б. 1950:47, ტაბ. 96,13], ყანჩაეთის [გაგოშიძე იულ. 1974:ტაბ. IX,73], ახალგორის განძის [Смирнов Я. 1934:49, ტაბ. X,72; ტაბ. II,11] არქეოლოგიურ კომპლექსებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნივთი ბრტყელია.

დედოფლის გორის მასალებში სადღეისოდ დადასტურებულია ექვსი ნახევარმთვარისებრი საკიდი. მათ შორის ერთი (ტაბ. I, სურ. 2), ოქროსი, ბრტყელია, ცენტრალურ ნაწილში ოვალურ თვალბუდეში ჩასმული მომწვანი ფერის პასტის ბრტყელი თვალი აქვს ჩასმული, ბოლოებთან მსხვილი ცვარათი შედგენილი მტევნებია დასმული. ამ ნივთის უახლოესი პარალელი – ოქროს ბრტყელი საკიდი მხრებს შორის თვალბუდეში ჩასმული ოვალური გრანატივითა და მსხვილი ცვარათი მომდინარეობს ერეტრიიდან და დათარიღებულია ძვ.წ. III-II სს. [Ruxer M.S., ... 1972:234, ტაბ. IX], თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლის გორის საკიდისაგან განსხვავებით, მას ბოლოები განწვრილებული აქვს. მიჩნეულია, რომ მთვარისებურ საკიდთა ეს ვარიანტი ძირითადად საბერძნეთის ტერიტორიაზეა გავრცელებული [Ruxer M.S., ... 1972:209].

ცალკე ჯგუფს ქმნის დედოფლის გორის საკიდები, რომელთა ღერო ჭრილში რომბს წარმოადგენს. ამგვარი აქ სამი აღმოჩნდა – ოქროსი (ტაბ. I, სურ.3), ელექტრუმისა (ტაბ. I,

სურ.4) და ვერცხლისა (ტაბ. I, სურ. 5). სამივე მასიურია, ახასიათებს დაღარული მილაკისებური ყუნწი, განვრილებულ ბოლოებზე ორ შემთხვევაში, ოქროს და ელექტრუმის ცალებზე, მოთავსებულია ბურთულები, ვერცხლის საკიდის ბოლოები კი დისკოსებურადაა დაბრტყელებული. ორ მათგანს ყუნწის ქვეშ ბურთულა აქვს მიჩნეული. საკიდები ძლიერაა მორკალული. არსებობს მოსაზრება, რომ ამგვარი მოხაზულობა დამახასიათებელია იტალიკური ნაწარმისათვის [Ruxer M.S., ... 1972:209]. მათ მრავლად მოეძებნებათ პარალელები გვიანელინისტური და რომაული ხანის მასალებში, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რომბული განივკვეთის დაფიქსირება მოხერხდა მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში [Ruxer M.S., ... 1972:259, ტაბ. XVIII,1], აქედან ოქროს ერთი საკიდი ხასიათდება რომბული განივკვეთით, მასიური მილაკისებური ყუნწით, რომელიც დედოფლის გორის ელექტრუმის საკიდის ყუნწის იდენტურია, რომბული განივკვეთის ძლიერ მორკალული მხრებითა და ბურცობებით ყუნწის ქვეშ და ბოლოებზე. ყველა ამ ელემენტით საკიდი ძალზე ახლოა დედოფლის გორის ამ ვარიანტის საკიდთან. იგი დაცულია ბერლინის სახელმწიფო მუზეუმში (ჰანსის კოლექციაში) და დათარიღებულია რომაული პერიოდით [Ruxer M.S., ... 1972:249, ტაბ. XXX,4]. ანალოგიური ფორმისაა ოქროს ლუნულა ჩატალკიდან, როშავადრაგნას სამაროვნის № 7 სამარხიდან, რომელიც ჩვ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით ან მისი ბოლოთია დათარიღებული [Буюклиев Ч. 1986:45, სურ. 375] და ვერცხლის ლუნულა არტაშატის ძვ.წ. I ს-ით დათარიღებული ფენიდან [Аракелян Б. 1976:83-84].

ყუნწს ქვემოთ ბურთულა ასევე საკმაოდ დამახასიათებელია ამ სახის სამკაულისათვის. ეს დეკორი გვხვდება ზემოაღწერილ I ს. დათარიღებულ ეგზემპლარზე ჰერკულანუმიდან [Ruxer M.S., ... 1972:250, ტაბ. XXXII,2], ორ ოქროს საკიდზე ნეაპოლის მუზეუმიდან

(ძვ.წ. I - ახ.წ. I სს.) [Ruxer M.S., ... 1972:258,259, ტაბ. XV, 2,3]. ჩათალკას ოქროს საკიდს რომბული განივკვეთი აქვს, მასიური ცილინდრული ყუნწი და ბურთულები ყუნწის ქვეშ და ბოლოებზე. შესაბამისი კომპლექსი (№7 სამარხი) დათარიღებულია ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით ან ამავე საუკუნის ბოლოთი [Буюклиев Ч. 1986:45, სურ.375].

სამკაულის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია მილაკისებური ყუნწი, რომელიც გვხვდება ოქროს საკიდზე პომპეიდან (ძვ.წ. I - ახ.წ. I სს.) [Ruxer M.S., ... 1972:263, ტაბ. IV,2], ზემოაღწერილ ეგზემპლარზე ჰანსის კოლექციიდან, აგრეთვე ოქროს საკიდზე ერეტრიიდან, რომლის ყუნწის ქვეშ მოთავსებულია გრანატის თვალი და ზედაპირი მთლიანად დაფარულია ცვარათი (ძვ.წ. III-II სს.) [Ruxer M.S., ... 1972:237, ტაბ. IX,2]. ამგვარი ყუნწები დამახასიათებელია როგორც ბრტყელი, ისე რომბულგანივკვეთიანი ვარდულებიანი საკიდებისათვის.

დედოფლის გორაზე დაფიქსირებულია ვერცხლის ნახევარმთვარისებური მრგვალდეროიანი საკიდიც (ტაბ. I, სურ. 6). ცუდი დაცულობის გამო მის შესახებ მსჯელობა ძნელია (ინვ. №27-977:977), თუმცა ჩანს, რომ ესაა მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან დამზადებული ნივთი, რომლის ბოლოებზე მოთავსებულია ბურთულები.

ცალკე ტიპად გამოიყო ოქროს ბრტყელი ფირფიტისაგან დამზადებული სადა ნახევარმთვარისებური საკიდი (ტაბ. I, სურ. 7), რომლის ანალოგიები დადასტურებულია სომხეთში, სისიანის ძვ.წ. I ს-ით განსაზღვრულ აკლდამაში [Аракелян Б. 1976:81] და გარნის ახ.წ. I-II სს. დათარიღებულ სამაროვანზე [Аракелян Б. 1957:49, სურ. 48]. ბ. არაკელიანი მათ მამაკაცის საყურეებად მიიჩნევს [Аракелян Б. 1976:83].

განხილული მასალები ცხადყოფს, რომ დედოფლის გორაზე აღმოჩენილი ნახევარმთვარისებური საკიდების ქრონოლოგიური

დიაპაზონი მერყეობს ძვ.წ. III- ახ.წ. II სს. ფარგლებში. აქედან ბრტყელი თვლიანი საკიდი ელინისტური ხანის მასალებს უკავშირდება, დანარჩენები კი უნდა განიხილებოდეს ძვ.წ. I – ახ.წ. I სს. შესაბამისი სამკაულის ფონზე, რადგან, როგორც გაირკვა, ამ ნივთების უახლოესი პარალელები სწორედ ამ ხანაზე მოდის.

მედალიონები. დედოფლის გორის მასალებში დადასტურებულია ოთხი მედალიონი: სამი ოქროსი და ერთი ვერცხლისა. ოქროს მედალიონები დამზადებულია თხელი ფირფიტისაგან. სამივეზე ადამიანის გამოსახულებებია წარმოდგენილი, თუმცა ისინი თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც თვით გამოსახულების, ისე მისი შესრულების მხრივ. მათ შორის ყურადღებას იქცევს ქალღმერთის გამოსახულება თავზე ნახევარმთვარით (ტაბ. II, სურ. 8). სავარაუდოა, რომ ესაა ნაყოფიერების ღვთაება არდვი-სურა ანაჰიტა, რომლის კულტი ვრცელდება ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისიდან და რომლის გამოსახულებები საკმაოდ ხშირად გვხვდება საქართველოს არქეოლოგიურ მასალებში (მაგ. ალგეთის მდიდრული სამარხი, სამადლო) [გაგოშიძე იულ. 1979:118]. ქალღმერთს ყურებზე შეკიდული აქვს მავთულვანი საყურე მოცისფრო პასტის მძივით, ზუსტად ისეთივეთი, როგორიც ამკობს დედოფლის გორის ოქროს ყელსაბამს (ტაბ. I, სურ. 1). ერთმანეთზე მიდუღებული ასეთი მძივების გროვა აღმოჩნდა №1 ოთახის აღმოსავლეთ ნაწილში, ოქროს ყელსაბამთან ძვლის ზარდახში, სადაც შესაკეთებლად გამზადებული ნივთები ინახებოდა.

ორ დანარჩენ მედალიონზე (ტაბ. II, სურ. 9,10) გამოსახულია ქალის (თუ მამაკაცის?) თავი, რომელთა თმის ვარცხნილობა (აფუებული, ტალღოვანი, შუაზე გადაყოფილი, ბაფთით გადაჭერილი თმა) მსგავსებას ავლენს ქალის სკულპტურული გამოსახულების თმის ვარცხნილობასთან პალმირადან

[Ruxer M.S., ... 1972:ტაბ. II,2; III].

როგორც ცნობილია, მედალიონები დიდი პოპულარობით სარგებლობენ ძვ.წ. I ს-ის ბოლოდან და I-III სს-ში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სამკაულია ეგვიპტეში, სირიაში, მცირე აზიასა და შავიზღვისპირეთში [Пятышева Н. 1956:58].

დედოფლის გორის მედალიონების ახლო, თუმცა არა ზუსტ პარალელებს წარმოადგენს ტვიფრული მედალიონები არმავირიდან, დათარიღებული ახ.წ. I-II სს. [Аракелян Б. 1976:86, ტაბ. XXII], რომლებზეც გამოსახულია ადამიანის ბიუსტი, მაშინ როდესაც დედოფლის გორის ცალებზე მხოლოდ თავებია წარმოდგენილი. ერთ შემთხვევაში გამოსახულებას ყელზე ყელსაბამი უკეთია, რაც ზემოხსენებულ ნივთებს ერთმანეთთან აახლოებს. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს სინქრონულ ძეგლებთან.

ვერცხლის მედალიონი (ტაბ. II, სურ. 11) ძლიერაა დაზიანებული. ის ფირფიტოვანია, ცენტრალური რელიეფური, დაშტამპული გამოსახულების გარშემო განლაგებული ასტრაგალური ორნამენტის რიგით და მოოთხკუთხო ყუნწით (განმედიის შემდეგ გამოირჩა ორი წრიული ფირფიტა, თუმცა ერთი იმდენად დაზიანებულია, რომ მისი აღდგენა ვერ მოხერხდა). ყუნწის გარდა მედალიონს კიდებზე წვრილი ნახვრეტები შემოუყვება. ცენტრალური ადგილი უკავია მედუზა გორგონას რელიეფურ გამოსახულებას. ეს სიუჟეტი დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომაულ სამყაროში და ფართოდ იყო გამოყენებული როგორც სამკაულის, ისე ფალერების გაფორმებაში. მრავლადაა ისინი ახ.წ. I ს-ის ფალერების შემამკობელ კამეებზე [Heverov O. 1988:კატ.№№135-139].

დედოფლის გორის ვერცხლის მედალიონის ფრაგმენტები აღმოჩნდა №1 ოთახის აღმ. ნაწილში ზემოხსენებულ ძვლის ზარდახში, რომელიც რკინის ქერცლისებურ აბჯარზე იდო. რომ არა ყუნწი, ვიფიქრებდით, რომ ეს

წრიული ფირფიტებიც ფალერებს წარმოადგენდა, მით უფრო, რომ მათაც ფალერების მსგავსად კიდეებზე წვრილი ნახვრეტები შემოუყვება, თუმცა, შესაძლოა, ერთ მათგანს ყუნწი მიამაგრეს და გულსაკიდ მედალიონად გადააკეთეს.

საკერებლები. ცალკე ჯგუფი შეადგინა სამკაულმა, რომლის უკანა მხარეს ყუნწებია მიმაგრებული და შესაბამისად, ტანსაცმელზე ან ღვედზე უნდა ყოფილიყო დამაგრებული. ესაა ოქროს მედალიონი-აბზინდა ცენტრალური თვალბუდით, რვაქიმიანი ფირფიტოვანი ვარსკვლავი (ტაბ. II, სურ.13), ნახევარწრიული კიდეშემაღლებული კილიტი და მცენარეული ორნამენტით შემკული საკერებელი.

მედალიონი-საკერებელი მაღალფირფიტოვანი თვალბუდით (ტაბ. II, სურ.12) განეკუთვნება სამკაულის იმ ჯგუფს, რომელიც პალმირას პორტრეტების, დურა-ევროპოსის ფრესკების, ეგვიპტური ქანდაკებებისა და ტერაკოტების მორთულობის საფუძველზე დათარიღებულია ახ.წ. I-II სს-ით [Ruxer M.S., ... 1972:209]. დედოფლის გორის ეგზემპლარი გარკვეულ მსგავსებას ავლენს ცრუ ცვარის რიგებით შემკულ ოქროს ბალთასთან თავილონის განძიდან [Амиранашвили А. 1935:18, ტაბ. III,3], ოქროს ბალთასთან ჰელიოსის თავის გამოსახულებით უსახელოდან (ლეჩხუმი), რომელიც ძვ.წ. I ს-ის შუა ხანებითაა დათარიღებული [Придик Е. 1914:19, ტაბ. I,1], ერმიტაჟის კოლექციის არტემიდეს გამოსახულებიან ბალთასთან, რომლის გემა ასევე ახ.წ. I ს-ითაა დათარიღებული [Амиранашвили А. 1935:63-64, სურ. 33], აგრეთვე ოქროს ბალთასთან სოფ. ახალდაბიდან (ახმეტის რ-ნი), რომლის ცენტრალური გემის თარიღი განსაზღვრულია ძვ.წ. I ს-ის ბოლოთი და ახ.წ. I ს-ის დასაწყისით, ხოლო თვით კომპლექსი კი – ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრით.

ამავე რიგის ნივთებს მიეკუთვნება აღმანდინის თვლებით შემკული ოქროს ბალთა-

აბზინდა (მამალი დუგმა) მცხეთის აკლდამიდან, რომლის თარიღი ახ.წ. I ს-ის ბოლოთია განსაზღვრული [ლომთათიძე გ. ... 1951:646], სტილისტურად ის საკმაოდ განსხვავდება დედოფლის გორის ბალთისგან, უფრო მასიურია, დახვეწილი და სრულყოფილი (ინვ. № 28-51/1, დიამ. 5,4 სმ.).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ დედოფლის გორის მედალიონის შემამკობელი ცრუ ცვარის მავთული იდენტურია ოქროს სამაჯურების მილაკებს შორის მოთავსებული მავთულებისა. შესაძლებელია, ეს ნივთები ერთ კომპლექტს შეადგენდა.

კილიტი (ტაბ. II, სურ.14). ნახევარწრიული კილიტების საქართველოში გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართოა და მოიცავს პერიოდს ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისიდან (ვანი, № 6 სამარხი) [ფუთურიძე რ. 1972:116] ახ.წ. II ს-ის ჩათვლით (არმაზისხევის № 1 სამარხი, ახ.წ. II ს-ის შუა ხანები) [აფაქიძე ან. ... 1955:40, ტაბ. XXXIX]. დედოფლის გორის სინქრონული ძეგლებიდან აღსანიშნავია რიყიანების ველის სამაროვნის №3 და №14 სამარხები, რომელთა თარიღი, შესაბამისად, განსაზღვრულია ახ.წ. I ს-ის პირველი ნახევრითა და ამავე საუკუნის შუა ხანებით [მირიანაშვილი ნ. 1983:24,38].

საკერებელი (ტაბ. II, სურ. 15). დედოფლის გორაზე მოპოვებულ ოქროს მცენარეული ორნამენტით შემკულ საკერებელს ანალოგიები ეძებნება ვანის მასალებში. აქ შემთხვევით იქნა აღმოჩენილი ოქროს ორი საკერებელი, ფორმით საკვლევი ნივთის მსგავსი, რომელთაგან ერთს უკანა მხარეზე სამი ყუნწი აქვს, მეორეს კი დედოფლისგორულის მსგავსად – ორი. მათ თარიღთან დაკავშირებით გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამგვარი საკერებლები დამახასიათებელია ძვ.წ. III-II სს-ის სამარხებისა და კულტურული ფენებისათვის [ჭყონია ან. 1981:86, კატ. №208,209, სურ. 62].

თავისი ფორმითა და ორნამენტით საკერე-

ბელი წააგავს ციხისძირის განძის ყელსაბამის ნახევარპალმეტურ დეტალებს [ინაიშვილი ნ. 1993:25, ტაბ. 4,1], რომელიც თავის მხრივ მსგავსებას ავლენს პომპეის სუროსფოთლებიან ყელსაბამთან (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.). ეს უკანასკნელი მცენარეული მოტივებით შემკული ერთგვაროვანი საკიდებისაგან შედგენილი ყელსაბამების უადრეს ნიმუშადაა მიჩნეული [ინაიშვილი ნ. 1993:25]. ოქროს ფირფიტოვან რვაქიმიანი ვარსკვლავის ფორმის საკერებელს (ტაბ. II, სურ.13) ანალოგი ვერ მოეძებნა.

სამაჯურები. დედოფლის გორაზე სულ ხუთი სამაჯური გამოვლინდა – ორი ოქროსი და სამი ბრინჯაოსი.

ოქროს სამაჯურები (ტაბ. III, სურ. 16,17) აღმოჩნდა ძვლის ზარდახშის ნატეხებთან, სადაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გატეხილი და შესაკეთებლად გამზადებული ნივთები ინახებოდა. ორი ერთნაირი სამაჯურიდან ერთი ნაკლულია. ამ ნივთების ახლო ანალოგი დადასტურდა დელვერზინ-თეფეს მასალებში და დათარიღებულია ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით [Pugatchenkova G. 1978:100,102, ტაბ. 79]. ესაა ოქროს პექტორალი, რომელიც თავისი კონსტრუქციით, ფორმითა და ტექნიკით საკვლევი სამაჯურის იდენტურია. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ აქ ცენტრალური თვალბუდე დარჩილულია ოქროს ოთხკუთხა ფორმის სადგარზე. სხვა ამგვარი ნივთი ჩვენთვის უცნობია.

სამაჯურის ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს ოქროს თვალბუდე აღმანდინის თვლით. ანალოგიური თვალბუდე გვხვდება ხერსონესის ახ.წ. I-II სს-ით დათარიღებული ოქროს პეპლებიანსაკიდებიანი ყელსაბამის დეტალებს შორის [Соколов Г. 1973:138, სურ.148], რომლებზეც ოქროს ნიჟარებია შეკიდული (ახ.წ. I ს.) [ლორთქიფანიძე ოთ. ... 1980:27, ტაბ. III,IV]. ასეთივე თვალბუდეები ახასიათებს აღმანდინებიან დიადემას არმაზისხევის ნეკროპოლის №6 სარკოფაგიდან

(ახ.წ. II ს.) [აფაქიძე ან. ... 1955:77, სურ. 34]. ამგვარივე თვალბუდე სარდიონის თვლით ახასიათებს ოქროს ყელსაბამს ჩატალკას სამაროვნის №1 სამარხიდან. კომპლექსი დათარიღებულია ახ.წ. I ს-ის შუა ხანებით [Буюклиев Ч. 1986:45, ტაბ.4,35].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე დედოფლის გორის ოქროს სამაჯურები უნდა განიხილოს რომაული ხანის მასალების ფონზე და დელვერზინ-თეფეს პექტორალთან მისი მსგავსების საფუძველზე ახ.წ. I ს-ის მეორე ნახევრით უნდა დათარიღდეს.

დედოფლის გორის ბრინჯაოს სამაჯურებიდან ერთი (ტაბ. III, სურ.18) მასიურია, ბოლოებჩამოჭრილი, შუა ნაწილში შემსხვილებული. საერთოდ უორნამენტო სამაჯურების ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართოა, როგორც წესი, ისინი იმეორებენ შესაბამის ხანაში გავრცელებულ ფორმებს.

რაც შეეხება ბოლოებგადახვეულ ბრინჯაოს სამაჯურებს (ტაბ. III, სურ. 19, 20), ამგვარები ერთობ დამახასიათებელია გვიანელისტიური და რომაული ხანისათვის და ასევე საკმაოდ ფართო ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება. ასე მაგალითად, პართულ ხანას განეკუთვნება ვერცხლის თანაბარღეროიანი ბოლოებგადაგრეხილი სამაჯური ნახევარმთვარისებრი საკიდით [Zeibert I. 1974:სურ.82]. ამგვარივე სამაჯურის შემცველი კომპლექსი ნოვო-ოტრადნოედან დათარიღებულია ახ.წ. I ს-ით [Арсеньева Т. 1970:90, ტაბ.8,4]. ანალოგიური სამაჯური ნოვო-ოტრადნოეს სამაროვნის №43 სამარხიდან დათარიღებულია I ს-ის მეორე ნახევრით [Арсеньева Т. 1970:111, ტაბ.13,15]. იგივე თარიღია შემოთავაზებული ოქროს სამაჯურისათვის ტაქსილიდან [Pugatchenkova G. 1978:96, სურ. 74]. ალექსეევა ამგვარ სამაჯურებს ახ.წ. I-II სს. მასალებში ათავსებს [АГСП 1984:ტაბ. CXVII,17]. ანალოგიური სამაჯურები საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია არკნეთში ძვ.წ. I – ახ.წ. I სს-ით დათარიღებულ ვასას წყაროს სამა-

როვანზე [ჯაფარიძე ოთ. 1956:197], ალაიანის ახ.ნ. I ს-ის სამარხში [ბოხოჩაძე ალ. 1981:34, ტაბ. XXXII,2; მირიანაშვილი ნ. 1983:24, 12], ახ.ნ. II ს-ის მასალებში კლდეეთიდან [ლომთათიძე გ. 1957, ტაბ. XIX,1], მოგვთაკარის ახ.ნ. I – III სს მასალებში [სიხარულიძე ან. ... 1985:109, 131, სურ. 654,], არმაზისხევის ახ.ნ. II ს-ის მასალებში [აფაქიძე ან. ... 1955:114, ტაბ. XXXIII,3,3ა], სამთავროს III-IV სს. მასალებში [მანჯგალაძე გ. 1985:ტაბ.108, სურ. 236,577]. სამაჯურების ეს ტიპი არსებობას განაგრძობს ადრემუასაუკუნეებამდე [ხეცურიანი ლ. 1985:159].

ბეჭდები (ტაბ. IV, სურ. 21-32). დედოფლის გორაზე აღმოჩნდა თოთხმეტი ბეჭედი: ერთი ოქროსი, ხუთი ვერცხლისა, ექვსი ბრინჯაოსი და ორი რკინისა. მათი დიდი ნაწილი იმდენად დაზიანებულია, რომ ფორმის შესახებ საუბარი ძნელია.

ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოადგენს ვერცხლის ბეჭედი გრანატის ინტალიოთი (ტაბ. IV, სურ. 21), რომელზედაც არსინოე II პორტრეტია გამოსახული. ბეჭდის ფორმა ტიპიურია ელინისტური ხანის ბეჭდებისათვის, რომლებიც ძვ.წ. III ს-თია დათარიღებული [Marshall F.H. 1907:67, №№365-367, სურ. 74, ტაბ. XI]. მარშალის კატალოგის №367 ბეჭედში ჩასმულია სერდოლიკის გემა არსინოე II გამოსახულებით. იგი ეგვიპტეშია დამზადებული [Richter G. 1968:134, სურ. e,t]. დედოფლის გორის ვერცხლის ბეჭედი და მასში ჩასმული გრანატის გემა ერთმანეთის თანადროულია (ქ. ჯავახიშვილი, კატალოგი, გემები).

ოქროს ბეჭედი დედოფლის გორიდან (ტაბ. IV, სურ. 22) დეფორმირებულია, თუმცა შერჩენილი ფორმის მიხედვით ის მიეკუთვნება ე.წ. აგვუსტუსის ეპოქის ბეჭდებს, რომლებიც თავსდება ძვ.წ. I ს-ის ბოლოსა და ახ.წ. I ს-ის დასაწყისის ფარგლებში [Henkel F. 1913:ტაბ. VII, №119, №123; Zwierlein-Diehl E. 1973:ტაბ. 68, №409 – ძვ.წ. I ს-ის ბოლო].

ოვალურფარაკიანი ბეჭედი დედოფლის გორიდან (ტაბ. IV, სურ. 23) მსგავსებას ავლენს ნერონ–დერესის სამაროვნის №3 სამარხის ფარაკიან ბეჭედთან [ლორთქიფანიძე მარგ. 1969:ტაბ. I, №54]. სამაროვნის თარიღი განსაზღვრულია ძვ.წ. I ს-ით [გაგომიძე იულ. 1982:28]. ვფიქრობთ, დედოფლის გორის ბეჭედიც ამავე ხანით უნდა დათარიღდეს.

დედოფლის გორის ყველა დანარჩენი ბეჭედი თვალბუდიანია და მიეკუთვნება ე.წ. ბერძნულ-რომაული (ძვ.წ. I – ახ.წ. II სს.) ტიპის ბეჭდებს [Marshall F.H. 1907:№№396-398; Henkel F. 1913:ტაბ. XIII], რომლებიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელს რომაულ სამყაროში და მრავლად ეძებნება პარალელები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ: მაგ. სამთავროში [Иващенко М. 1980:სურ. 326-372], ურბნისში [ჯავახიშვილი ქ. 1972:ტაბ. X,XI], კარსნისხევეში [ნიკოლაიშვილი ვ. 1993:ტაბ. IX], გარნიში [Аракелян Б.1957:სურ. 49], ტანაისში [Арсеньева Т. 1977:ტაბ. XXXII] და სხვა თანადროული ხანის ძეგლებზე.

დედოფლის გორის ანტიკური სასახლის ლითონის სამკაულის ანალიზმა დაგვანახა, რომ თავისი ფორმითა და შემკულობით ეს ნივთები უნდა განიხილებოდეს სინქრონული პერიოდის მსოფლიო ანალოგიების ფონზე. პირველ რიგში ეს შეეხება მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ ორნამენტს.

დედოფლის გორაზე აღმოჩენილი იმპორტული ნივთების (ბრინჯაოს და მინის ჭურჭელი, თიხის ჭურჭლის ზოგიერთი სახეობა, ეგვიპტური ფაიანსი და სხვ.) სიმრავლე მეტყველებს იმაზე, რომ ადგილობრივი წარჩინებულები სარგებლობდნენ იმ დროის საუკეთესო ნაკეთობებით, რომელთა უმეტესობა მომდინარეობდა რომიდან, რაც რომსა და იბერიას შორის მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობებზე მიუთითებს.

თუ გავითვალისწინებთ ქართული ოქრომჭედლობის ძველ და მდიდარ ტრადიციებს,

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნივთების ნაწილი ადგილობრივ არის დამზადებული, მით უფრო, რომ ბევრი მათგანის კონსტრუქცია ძალზე მარტივია. ასე მაგალითად, ჩვენს მიერ ოქროს ყელსაბამის საკიდებზე თავისივე მავთულის შემოხვევის მარტივი წესი გვაფიქრებინებს, რომ ეს ნივთი ადგილობრივად არის დამზადებული, მით უფრო, რომ მისი ანალოგები სხვაგან არ იძებნება. იგივე შეიძლება ითქვას ბოლოებგადახვეული სამაჯურების შესახებ, რომლებიც, როგორც ჩანს, საუკუნეების მანძილზე მზადდებოდა უცხოური პროტოტიპების მიხედვით. ბრინჯაოს მასიური სამაჯურიც ადგილობრივად გამოიყურება.

განხილული ნივთების ქრონოლოგიური ჩარჩოები ასევე საკმაოდ ფართოა. მათი ნაწილი თავისი დეტალებით ძვ.წ. IV-III სს. შესაბამის ნივთებთან ავლენს სიახლოვეს, ზოგი კი ადრემუასაუკუნეების ეპოქას უკავშირდება. ეს სავსებით დასაშვებია, რადგან საიუველირო ტრადიციები, როგორც წესი, თაობიდან თაობას გადაეცემა და ამდენად განაგრძობს თავის არსებობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

სავარაუდოა, რომ დედოფლის გორის სასახლეში აღმოჩენილი სამკაული წარმოადგენს სამეფო საგვარეულოს კუთვნილ ქონებას, რომელსაც იგი ფლობდა ჯერ კიდევ სასახლის აშენებამდე და რომელიც შთამომავლობით გადაეცემოდა მომდევნო თაობებს.

შესაბამისი ანალოგიები საფუძველს გვაძლევს ვისაუბროთ ამ ნივთების აბსოლუტურ ქრონოლოგიაზე. ძეგლის დათარიღებისათვის მნიშვნელოვანია შემდეგი მონაცემები: 42 ნიმუშიდან ექვსი ექცევა ძვ.წ. I ს. – ახ.წ. I ს-ის ფარგლებში, კიდევ ხუთის ზედა ქრონოლოგიური ზღვარია ახ.წ. I ს. უმრავლეს შემთხვევაში მსჯელობა გვინევს სამკაულის მხოლოდ ცალკეული დეტალების მიხედვით და თუმცა მათი ქრონოლოგიური დიაპაზონი საკმაოდ ფართოა, ეს მონაცემები მაინც შეიცავს მნიშ-

ვნელოვან ინფორმაციას ოქრომჭედლობის განვითარების შესწავლის თვალსაზრისით.

ლიტერატურა:

აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. 1955: მცხეთა, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბილისი.

ბოხოჩაძე ალ. 1981: არქეოლოგიური გათხრები ალაიანსა და ძალისაში. თბილისი.

გაგოშიძე იულ. 1982: თრიალეთის სამაროვნები. თბილისი.

ინაიშვილი ნ. 1993: ციხისძირის ახ.წ. I-IV სს. არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

კაჭარავა დ., მუჟავანაძე ზ. 1976: ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1980 წელს ჩატარებული მუშაობის ანგარიში. — ვანი, VIII, თბილისი. გვ.9-33

ლომთათიძე გ., ციციშვილი ირ. 1951: ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში. — საქ. მეცნ. აკად. მოამბე, XII, №10, თბილისი. გვ. 641-648.

ლომთათიძე გ. 1957: კლდეეთის სამაროვანი ახ.წ. II საუკუნისა. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 1972: ვანის ნაქალაქარი. — ვანი, I, თბილისი. გვ. 7-43.

ლორთქიფანიძე მარგ. 1969: ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ., მიქელაძე თ., ხახუტაიშვილი დ. 1980: გონიოს განძი. თბილისი.

მანჯგალაძე გ. 1985: სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. — მცხეთა, VII, თბილისი. გვ. 43-108.

მირიანაშვილი ნ. 1983: შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი.

ნიკოლაიშვილი ვ. 1993: კარსნისხევის მეთუნე-ხელოსანთა დასახლება. თბილისი.

სიხარულიძე ან., აბუთიძე ან. 1985: მოგვთაკარის სამაროვანი. — მცხეთა, VII, თბი-

ლისი. გვ.109-131.

ფუთურიძე რ., ხოშტარია ნ., ჭყონია ან. 1972: ვანის ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში 1961-1963 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური თხრის შედეგები. — ვანი, I, თბილისი. გვ.111-133

ხეცურიანი ლ. 1985: მუხათგვერდი I. ადრეფეოდალური ხანის სამაროვანი, კატალოგი. — მცხეთა, VII, თბილისი. გვ.151-161.

ჯავახიშვილი ქ. 1972: ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. — საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამეფი, V, თბილისი.

ჯაფარიძე ოთ. 1956: არქეოლოგიური გათხრები არკნეთში. — თსუ შრომები, ტ.63, თბილისი. გვ.183-206.

ჭყონია ან. 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. — ვანი VI, თბილისი.

Аракелян Б. 1957: Гарни II. Результаты раскопок 1951-1955 гг. Ереван.

Аракелян Б. 1976: Очерки по истории искусства древней Армении. Ереван.

Амираншвили (Болтунова) А. 1935: Новая находка в низовьях р. Ингури. Тифлис.

Античные государства Северного Причерноморья. 1984: – АС, Москва.

Арсеньева Т. 1970: Могильник у деревни Ново-Отрадное. Поселения и могильники Керчинского полуострова начала н.э. Москва. с. 82-149.

Арсеньева Т. 1977: Некрополи Танаиса. Москва.

Апакидзе А., Николаишвили В., Николаишвили Д., Давлиანიძე Р., Джгаркава Т., Нариманишвили Г., Садрადзе В., Сихарулидзе А. 1991: Мцхетская экспедиция. - Полевые археологические исследования в 1986 году, Тбилиси.

Иващенко М. 1980: Самтаврские погребения первых трех веков н.э. - мცხეთა III. თბილისი.

Кигурадзе Н. 1976: Дапнарский могильник.

Тбилиси.

Кюфтин Б. 1950: Материалы к археологии Колхиды. 2. Тбилиси.

Неверов О. 1988: Античные геммы в собрании Эрмитажа. Каталог. Ленинград.

Придик Е. 1914: Новые Кавказские клады. – Материалы по археологии России, 34, Санкт-Петербург.

Пятышева Н. 1956: Ювелирные изделия Херсонеса. Москва.

Смирнов Я. 1934: Ахалгорийский клад. Тифлис.

Соколов Г. 1973: Античное Причерноморье. Ленинград.

Буюклиев Ч. 1986: Тракийският могилен некропол при Чаталка Старозагорски окръг. - Разкопки и проучвания. кн. 16, София.

Henkel F. 1913: Die Romischen Fingerringe aus dem Rheinlande. Berlin.

Marshall F.H. 1907: Catalogue of the Finger-rings Greek, Etruscan and Roman. London.

Miron A., Orthmann W. (eds). 1995: Unterwegs zum golden Vlies. Archäologische Funde aus Georgien, Saarbrücken.

Pugatchenkova G. 1978: Les tresors de Delvezine-tepe. Leningrad.

Richter G.M. 1968: Engraved gems of the Greeks and the Etruscans: a history of Greek art in miniature. The engraved gems of the Greeks, Etruscians and Romans. 1, London.

Ruxer M.S., Kubczak I. 1972: Naszyjnik grecki w okreie gellenistycznym i rzymskim. Warsawa-Poznan.

Zeibert I. 1974: Woman in Ancient East. Leipzig.

Zwierlein-Diehl E. 1973: Die antiken Gemmen des Kunsthistorischen Museums in Wien 1. Die Gemmen der minoischen Zeit bis zur fruhen romischen Kaiserzeit, Munchen.

ილუსტრაციების აღწერილობა:


ტაბ. I - სურ. 1. ოქროს ყელსაბამი. ოთახი №1; სურ. 2. ოქროს ნახევარმთვარისებური საკიდი. ოთახი №1; სურ. 3. ოქროს ნახევარმთვარისებური საკიდი. ოთახი №13; სურ. 4. ელექტრუმის ნახევარმთვარისებური საკიდი. ოთახი №1; სურ. 5. ვერცხლის ნახევარმთვარისებური საკიდი. ოთახი №1; სურ. 6. ვერცხლის ნახევარმთვარისებური საკიდის ფრაგმენტები ოთახი №1; სურ. 7. ოქროს ნახევარმთვარისებური საკიდი. ბორცვის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, 1926 წლის აღმოჩენა.

ტაბ. II - სურ. 8. ოქროს მედალიონი ქალღმერთის გამოსახულებით. ბორცვის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, 1926 წლის აღმოჩენა; სურ. 9. ოქროს მედალიონი ადამიანის თავის გამოსახულებით. ბორცვის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, 1926 წლის აღმოჩენა; სურ. 10. ოქროს მედალიონი ადამიანის თავის გამოსახულებით. ბორცვის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, 1926 წლის აღმოჩენა; სურ. 11. ვერცხლის მედალიონი გორგონა მედუზას გამოსახულებით. ოთახი №1; სურ. 12. ოქროს თვალბუდიანი მედალიონი-საკერე-







ბელი. ოთახი №1; სურ.13. ოქროს რვაქიმიანი ვარსკვლავის ფორმის საკერებელი. ბორცვის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, 1926 წლის აღმოჩენა; სურ.14. ოქროს კილიტი. სასახლის კვ. CD 37; სურ.15. ოქროს მცენარეულორნამენტიანი საკერებელი. სასახლის კვ. CD 14.

ტაბ. III - სურ. 16-17. ოქროს სამაჯურები. ოთახი №1; სურ. 18. ბრინჯაოს სამაჯური. ოთახი №1; სურ.19-20. ბრინჯაოს ბოლოგადახვეული სამაჯურები. ოთახი №1;

ტაბ. IV - სურ. 21. ვერცხლის ბეჭედი არსინოე II გამოსახულებით გრანატის ინტალიონზე. №1 ოთახის ზღურბლის წინ; სურ. 22. ოქროს თვალბუდიანი ბეჭედი. ბორცვის სამხრეთ-დასავლეთი კუთხე, 1926 წლის აღმოჩენა; სურ. 23. ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი. №1 ოთახის ზღურბლის წინ; სურ. 24. ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭედი. ოთახი №10; სურ. 25. ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭდის ფრაგმენტი. №1 ოთახის ზღურბლის წინ; სურ. 26. ვერცხლის თვალბუდიანი ბეჭედი. №1 ოთახის ზღურბლის წინ; სურ. 27. ბრინჯაოს თვალბუდიანი ბეჭედი თეთრი მინის თვლით. №1 ოთახის ზღურბლის წინ; სურ. 28-32. ბრინჯაოს თვალბუდიანი ბეჭდების ფრაგმენტები. №№ 11, 12, 13 ოთახი.




II




III


16




17




18














19



20



IV



I ათასწლეულის არქეოლოგიური მასალა მანავის ციხიდან

საქართველოს ეროვნული მემკვიდრეობის კლუბი „ტაძარი“, საპრეზიდენტო პროგრამა „რაინდების“ ფარგლებში, არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა მანავის ციხეზე (სხვადასხვა პერიოდში არქეოლოგიურ სამუშაოებს მეთვალყურეობას უწევდნენ: რ. რუსიშვილი, გ. გიუნაშვილი, ელ. ლლიღვაშვილი, გ. მანჯგალაძე და არქიტექტორი ნ. მინდორაშვილი).

განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა 2007 წლის სეზონი, როდესაც გაითხარა ციხის ციტადელის მნიშვნელოვანი ნაწილი და რამდენიმე კოშკი. ჩვენი ამჟამინდელი ინტერესის სფეროში მოქცეულია №6 კოშკი, რადგან მისმა შესწავლამ მოგვცა ძეგლის სტრატეგრაფიული სურათი. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლინდა სამი კულტურული ფენა, რომელთაგან ზედა გვიან შუა საუკუნეებს მიეკუთვნება, შუა კულტურული ფენა კი — ზოგადად განვითარებულ შუა საუკუნეებს. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ქვედა ფენამ, რომლის გათხრის პროცესში გაირკვა, რომ კოშკის საძირკველი სწორედ მასში იყო ჩაჭრილი. აღნიშნული ფენა დადასტურდა კოშკის თითქმის მთელ ფართობზე და მის გარეთ. ის მდებარეობდა 0 ნერტილის ნიშნულიდან 3,2 მ-ის სიღრმეზე. მისი სისქე 75 სმ-ს აღწევდა და კოშკის ფუნდამენტის გარდა, ალაგ-ალაგ დაზიანებული იყო გვიანი შუა საუკუნეების თონეებითაც (ტაბ. I, 1,2). მანავის ციხის №6 კოშკის ქვედა ფენის არქეოლოგიური მონაპოვარი ძირითადად წარმოდგენილია კერამიკით, თუმცა აქვე გვხვდება ბრინჯაოს თოთხმეტნახნაგა თავიანი საკინძი, მინის კასრისებური ფორმის თვალედი და სარდიონის მძივი (ტაბ. III, 7-8).

ფუნქციონალური დანიშნულების მხრივ კერამიკულ ნაწარმში გამოიყოფა სამეურ-

ნეო, სამზარეულო, სუფრის და სამშენებლო დანიშნულების ფრაგმენტები. სამეურნეო თიხის ნაწარმი ქვევრების გვერდებისა და ძირის სახითაა წარმოდგენილი. მათთვის დამახასიათებელია მსხვილმარცვლოვანი, უხეში მინარევებით შეზავებული თიხა და მონთალო ხაოიანი ზედაპირი (ტაბ. I, 5,7,8).

არქეოლოგ გ. ლომთათიძის დაკვირვების მიხედვით, ქ. რუსთავის ადრეული შუა საუკუნეების ფენებში მოპოვებული ქვევრების ანალიზის შედეგად გამოიყოფა ორი ძირითადი ჯგუფი. ერთ ჯგუფს ქმნის კვერცხისებრი მოყვანილობის, გარედან გლუვი ზედაპირის მქონე ქვევრები, ხოლო მეორე ჯგუფში ერთიანდება გარედან ნიბოშემოვლებული ეგზემპლარები [იხ. ლომთათიძე გ. 1958:175].

მანავის ციხეზე აღმოჩენილი ქვევრები იმდენად ფრაგმენტული სახითაა შემორჩენილი, რომ ერთი შეხედვით, ჭირს იმის დადგენა, თუ რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ადრე შუა საუკუნეების ქვევრები დიდი რაოდენობით გვხვდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. მანავის ციხის ქვევრების პარალელები გამოვლენილია: ქუთაისში [ლანჩავა ომ. 1998:164], ვარდციხეში [ჯაფარიძე ვ. 1989:67-68], ნოქალაქევიში [ზაქარაია პ. ... 1977:106], რუსთავში [ლომთათიძე გ. 1958:175], ურბნისში [ჭილაშვილი ლ. 1964:111], ჭერემში [მამაიაშვილი ნ. 2004:124-125], წინსოფელში [კაპანაძე ნ. 2008: ტაბ. I] და ყველგან V-VIII საუკუნეებით თარიღდება. ასე რომ, საუკუნეების მანძილზე ქვევრი გამოირჩევა ფორმების მდგრადობით და შედარებითი ერთფეროვნებით.

მანავის ქვევრები საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ მისი ორნამენტების შესახებ. მოპოვებული ფრაგმენტები შემკულია რელი-

ეფური ნიბოებით. ძნელი სათქმელია, რატომ ამკობდნენ მინაში ჩასადგამი ჭურჭლების ზედაპირს ორნამენტებით. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა არქეოლოგ რ. რამიშვილის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, რელიეფური ნიბოები თუ სარტყლები ჭურჭლებს უკეთდებოდა არა იმდენად ესთეტიკური მიზნით, რამდენადაც სუფთა პრაქტიკული დანიშნულებით — კორპუსზე გამსხვილებული რელიეფური სარტყლები ალბათ ამ ჭურჭლებს მეტ სიმტკიცეს სძენდა და ერთგვარი კარკასის როლს თამაშობდა, მით უმეტეს, რომ აღნიშნულ ხანაში ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ ქვევრების ჩაკირვა [იხ. რამიშვილი რ. 1983:116-117]. რელიეფურ-ნიბოიანი ქვევრები საკმაო რაოდენობით არის გამოვლენილი აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ახალი ჟინვალის გარდა ისინი გვხვდება სტირფაზში [Техов Б. 1985:71. ს.79]. მსგავსი ჭურჭელი აღმოჩნდა ზემო იმერეთშიც, საირხეში მარნიგორის ბორცვზე [ბრაგვაძე ზ., გაგოშიძე გ. ... 2002:143-147] და წინსოფლის ციხის ნამოსახლარზე [კაპანაძე ნ. 2008: ტაბ. I]. რელიეფურნიბოიანი ქვევრები წინსოფელში, ახალ ჟინვალში, სტირფაზსა და საირხეში IV-V საუკუნეებით თარიღდება. როგორც ზემოთ მოტანილმა პარალელებმა აჩვენა, მანავის ქვევრების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი შესაძლებელია V საუკუნესაც მოიცავდეს და ამდენად, არ გამოირიცხება რელიეფურ-ნიბოიანი ქვევრები თანაარსებობდეს სადა ზედაპირიან ეგზემპლარებთან.

მანავის ციხის №6 კოშკის ქვედა ფენაში სამზრეულო კერამიკული ნაწარმი მხოლოდ ქოთნების სახითაა წარმოდგენილი. ისინი თითქმის მხოლოდ პირებისა და გვერდების ფრაგმენტებითაა მოღწეული. გამოიყოფა როგორც სადა, ასევე ზედაპირორნამენტირებული ცალები (ტაბ. II, 2-9). როგორც აღნიშნულია არქეოლოგიურ ლიტერატურაში, ქოთნები საუკუნეების მანძილზე ხასიათდება ფორმების კონსერვატიულობით. ამის მიუხედავად, მაინც შესაძლებელი ხდება ზოგადად

ადრე შუა საუკუნეების ქოთნების კლასიფიკაცია და რამდენიმე ჯგუფის გამოყოფა.

მანავის ქოთნებისთვის დამახასიათებელია მრგვალი პირი, კარგად გამოკვეთილი გვირგვინი, მინარევიანი თიხა და ხაოიანი, მონითალო ზედაპირი. როგორც უკვე აღინიშნა, ქოთნების უმეტესობა შემკულია ტალღოვანი ორნამენტით.

დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებიდან მანავის ქოთნების ყველაზე ახლო ანალოგები გამოვლენილია საირხის მარნიგორის ბორცვზე [ბრაგვაძე ზ., გაგოშიძე გ. ... 2002:142-143], წინსოფლის ციხეზე [კაპანაძე ნ. 2008:ტაბ. I], ქუთაისში [ლანჩავა იმ. 1998:164] და ვარდციხის ნაქალაქარზე [ჯაფარიძე ვ. 1989:89]. თუმცა, მათგან განსხვავებით აქ არ ხერხდება ქოთნების ცალკეული ტიპების გამოყოფა და ძირითადად საქმე გვაქვს ერთფეროვან ნაწარმთან. ვარდციხის ნიმუშების განხილვისას ავტორი აღნიშნავს, რომ მსგავსი მასალები უმეტესად გვხვდება საქართველოს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე. ეს ძეგლებია: ბიჭვინთა [ლორთქიფანიძე იმ. 1959:103], სოხუმი [Трапш М. 1973:328], გუდავა [ზამთარაძე მ. 1977: 74] და სხვ.

ანალოგიური ქოთნების განხილვისას მითითებულია, რომ ეს მასალა ქრონოლოგიური თვალსაზრისით ჯერ-ჯერობით არ არის მკვეთრად დიფერენცირებული, რაც ართულებს მის ზუსტ დათარიღებას [ჯაფარიძე ვ. 1989:90].

მანავის ციხის ქოთნების აბსოლუტური თარიღის დადგენის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთ საქართველოს ძეგლების არქეოლოგიურ მონაპოვარს. ამ რეგიონისთვის ქოთანი ერთ-ერთი წამყვანი ნაწარმია. ისინი აღმოჩენილია ადრე შუა საუკუნეების ისეთ ცნობილ ძეგლებზე, როგორიცაა: მცხეთა, რუსთავი, ურბნისი, უჯარმა, ჭერემი და სხვ. მათგან განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ ურბნისის მონაპოვარს, რადგან აქ ქოთნები გვხვდება მთელი IV-VIII საუკუნეების განმავლობა-

ში [ჭილაშვილი ლ. 1964:90-101]. მართალია, მანავის ქოთნები ფრაგმენტების სახითაა მოღწეული, მაგრამ ურბნისულ ცალებთან მათი მსგავსება საშუალებას გვაძლევს ნარმოვიდგინოთ, როგორ გამოიყურებოდნენ ისინი. მკვლევართა ნაწილი იმასაც აღნიშნავდა, რომ ურბნისული ქოთნები ფორმისა და ორნამენტის მიხედვით ძლიერ უახლოვდება ბოსფორის ქალაქების გათხრებისას აღმოჩენილ ნიმუშებს [სინაურიძე მ. 1966:53]. თუმცა, ისიც აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში გამოვლენილი ეგზემპლარები უფრო VIII-IX საუკუნეებით თარიღდება [Гайдукевич В. 1952:52] და თითქმის არ ჩანს უფრო ადრეული ცალები.

ამრიგად, მანავში აღმოჩენილი ქოთნების პარალელები გამოვლენილია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც და მათი ქვედა ქრონოლოგიური ზღვარი IV ს-ის მეორე ნახევარსა და V საუკუნეზე მოდის. რაც შეეხება ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს, იგი ანალოგიური უნდა იყოს უკვე ხსენებულ ძეგლებზე დადასტურებული სიტუაციისა და VIII საუკუნეს არ უნდა სცილდებოდეს.

სუფრის ჭურჭელი სამტურა დოქისა და მსხლისებურკორპუსიანი ხელადების ძირებითა და ყურებითაა წარმოდგენილი (ტაბ. II, 11-13, III, 1-6). კერამიკის ეს სახეობები ერთერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიმუშებია საქართველოს გვიანანტიკური—ადრე შუა საუკუნეების კომპლექსებისათვის. აღნიშნული ნაწარმისათვის დამახასიათებელია სამტურა პირი, ვიწრო ყელი, მკვეთრად დაქანებული მხრები და მრგვალი ძირი. თიხა უმეტეს წილად კარგად არის განლექილი, თუმცა, შეიმჩნევა კვარცისა და ქარსის მცირე მინარევები. ფერი ხშირ შემთხვევაში მოჩალისფროა, მაგრამ გვხვდება მონითალო-აგურისფერი ნიმუშებიც. ამ ჭურჭლის ფორმები სათავეს იღებს გვიანანტიკური ხანიდან და როგორც უკვე ითქვა, წამყვანი ფორმაა I ათასწლეულის შუა ხანების არქეოლოგიური ძეგლებისათვის და შემთხვევითი არაა, რომ ისინი მრავლად მოიპოვება როგორც და-

სავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე. ამ ნიმუშების პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ისინი გვხვდება, როგორც სამარხეულ კომპლექსებში, ასევე ნამოსახლარ ფენებშიც. მსგავსი დოქები და ხელადები აღმოჩენილია: რუსთავში [ლომთათიძე გ. 1958:182-183], მცხეთაში [აფაქიძე ან. ... 2004:ტაბ. CXXII], ურბნისში [ჭილაშვილი ლ. 1964:75], ოჩამჩირეში [Качарова Д. 1972:29], ძვერში [ფუთურიძე რ. 1959:74], ლიაში [ჯაფარიძე ვ. 1999:24], სოხუმში [Трапш М. 1973:339], სტირფაზში [Техов Б. 1985:სურ. 49,71,78,82], გველეთის სამაროვანზე [მინდორაშვილი დ. 2005:ტაბ. XIV], ჭერემში [მამაიაშვილი ნ. 2004: 124-125], ნინსოფელში [კაპანაძე ნ. 2008: ტაბ. III], საჩხერეში [კაპანაძე ნ. 2006: ტაბ. II-IV] და სხვ.

არქეოლოგი მ. სინაურიძე აღნიშნავდა, რომ ამგვარი კერამიკა დამახასიათებელი მოვლენაა ადრე შუა საუკუნეების სანცისი (IV-VII სს.) საუკუნეებისათვის [სინაურიძე მ. 1966:65]. ასე, რომ მათი აღმოჩენა მანავის ციხის ქვედა კულტურულ ფენაში სრულიად კანონზომიერ მოვლენად გვეჩვენება.

სუფრის ჭურჭლის ერთ ჯგუფს ქმნის ჯამები, რომელთა შორის გამოიყოფა პირგამლილი (ტაბ. I, 3,4,6) და პირმოყრილი ეგზემპლარები (ტაბ. II, 1,10). არქეოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე ჯამები შედარებით მცირე რაოდენობით არის გამოვლენილი [სინაურიძე მ. 1966:65], მაშინ როდესაც, ისინი საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვება დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ვარდციხის ნაქალაქარსა [ჯაფარიძე ვ. 1989: 24-37] და ქუთაისში, ბაგრატის ტაძარზე [ლანჩავა ომ. 1998:170-173]. ანალოგიური ჯამები ფიქსირებულია ნინსოფლის ციხეზეც [კაპანაძე ნ. 2008:ტაბ.III]. გარეგნული ფორმების მხრივ მანავური ჯამები საკმაოდ ჰგავს ნახსენებ ძეგლებზე მიკვლევულ ეგზემპლარებს და ჩვენი ვარაუდით, ანალოგიური პერიოდითვე, VI—VII საუკუნეებით უნდა თარიღდებოდეს.

მანავის ციხის №6 კოშკის ქვედა ფენაში გამოვლენილი სამშენებლო კერამიკა კრამიტის სახითაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი ფრაგმენტები იმდენად სადა და უსახურია, რომ კონკრეტულად რაიმეს თქმა ჭირს. ერთის აღნიშვნა კი ნამდვილად შეიძლება, ამ ფენაში მდგარა რალაც ნაგებობა, რომელიც კრამიტით ყოფილა გადახურული. ამაზევე მეტყველებს აქ დაფიქსირებული ალიზის ფრაგმენტებიც.

ამდენად, როგორც განხილულმა არქეოლოგიურმა არტეფაქტებმა ცხადჰყო, მანავის ციხის №6 კოშკის ქვედა ფენა გვიანანტიკური პერიოდის ფინალურ ფაზასა და ადრეულ შუა საუკუნეებს მიეკუთვნება. კვლევის ამ ეტაპზე ვვარაუდობთ, რომ იგი IV—VII საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. ამ ფენის აღმოჩენამ თავისთავად დღის წესრიგში დააყენა მანავის ციხის ზოგადი ისტორიის შემდგომი კომპლექსური კვლევის აუცილებლობის საკითხიც. უკვე ეჭვს გარეშეა, რომ მანავის ციხე, რომელიც აგებულია განვითარებულ შუა საუკუნეებში, დგას გაცილებით ადრეულ კულტურულ ფენებზე. ხოლო ამ ადრეული დასახლების ხასიათის გარკვევა მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიების საქმეა.

ლიტერატურა:

აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ. და სხვ. 2004: მცხეთის ექსპედიცია, - ან. აფაქიძე (რედ). საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები). თბილისი.

ბრაგვაძე ზ., გაგოშიძე გ. 2002: საირხის ადრე შუა საუკუნეების ნამოსახლარი, - ზ. ბრაგვაძე (რედ.). არქეოლოგიური ჟურნალი II, თბილისი. გვ. 142-147

ზაქარაია პ., ლომოური ნ., ლექვიანაძე ვ., გვინჩიძე გ. 1977: ნოქალაქევის ექსპედიციის 1975—1976 წლების მუშაობის მოკლე ანგარიში. - ლ. ჭილაშვილი (რედ.) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები. V. თბილისი. გვ. 99-109.

ზამთარაძე მ. 1977: გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი. - ლ. ჭილაშვილი (რედ.) საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XXIV-B. თბილისი. გვ. 67-78.

კაპანაძე ნ. 2006: საჩხერის ადრეული შუა საუკუნეების სამაროვანი. - გ. მახარაძე (რედ.). არქეოლოგიური ჟურნალი IV. თბილისი. გვ. 91-100.

კაპანაძე ნ. 2008: წინსოფლის ნამოსახლარი. - გ. გამყრელიძე (რედ.). იბერია-კოლხეთი №4, თბილისი.

ლანჩავა ომ. 1998: ქუთაისი ეგრის-ლაზიკის ციხე-ქალაქთა სისტემაში, ქუთაისი.

ლომთათიძე გ. 1958: რუსთაველი წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, I. თბილისი. გვ.165-191.

ლორთქიფანიძე ოთ. 1959: ინკიტის ტბის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო—არქეოლოგიური სამუშაოების წინასწარი ანგარიში, მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის III. თბილისი. გვ.101—112.

მამაიაშვილი ნ. 2004: ქალაქი ჭერემი, თბილისი.

მინდორაშვილი დ. 2005: არქეოლოგიური გათხრები ხევში, თბილისი.

რამიშვილი რ. 1983: ახალი ჟინვალის ნა-
მოსახლარი და სამაროვანი 1971-1973 წლების
განათხარის მიხედვით, ჟინვალი I, თბილისი.

სინაურიძე მ. 1966: აღმოსავლეთ საქარ-
თველოს ადრეფეოდალური ხანის კერამიკა,
მასალები საქართველოს მატერიალური
კულტურის ისტორიისათვის, I. თბილისი. გვ.
39-89

ფუთურიძე რ. 1959: დასავლეთ საქართვე-
ლო გვიანანტიკურ ხანაში, მასალები საქარ-
თველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის
III. თბილისი. გვ. 65-81.

ჭილაშვილი ლ. 1964: ნაქალაქარი ურბნი-
სი, თბილისი.

ჯაფარიძე ვ. 1989: ვარდციხის ნაქალა-
ქარი, თბილისი.

ჯაფარიძე ვ. 1999: ეგრისის მატერიალუ-
რი კულტურა I—VII საუკუნეებში, სადოქტო-
რო დისერტაციის ავტორეფერატი, თბილისი.

Гайдукевич В. 1952: Раскопки Тирикани в
1935-1940 гг. МИА. 25. Москва-Ленинград. с. 47-
69.

Качарова Д. 1972: Город Гиенос в античную
эпоху, автореферат кандидатской диссертации.
Тбилиси.

Техов Б. 1985: Материальная культура насе-
ления среднего течения реки Большой Лиахви
в I-VIII вв. Тбилиси.










Трапш М. 1973: Древний Сухуми. труды т. 2.
Сухуми.

ილუსტრაციების აღწერილობა:


ტაბ. I - 1. მანავის ციხის №6 კოშკის გეგმა;
2. მანავის ციხის №6 კოშკის სტრუქტურაფი-
ული ჭრილი; 3, 4, 6. ჯამები; 5, 7, 8. ქვევრის
ფრაგმენტები.

ტაბ. II - 1, 10. ჯამები; 2-9. ქოთნები; 11, 12,
13. დოქები.


ტაბ. III - 1-6. დოქები; 7. საკინძი; 8. მძივი.




II



1




2




3




4



5




6



7



8




9



10



11







12



13



III



8



6



ქეთევან დავითაშვილი, ამირან დავითაშვილი

ნაურიალის ძვ.წ. VIII-III სს-ის სამაროვანი

(მოკლე მიმოხილვა)

ისტორიული შიდა ქართლის არქეოლოგიურ კვლევას, ზოგადად საქართველოს კულტურისა და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემების (კულტურის შექმნა, ჩამოყალიბება, გავრცელება, თანადროულ მეზობელ კულტურებთან ურთიერთობა და სხვ.) შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნაურიალის სამაროვანი მდებარეობს ხაშურის რაიონის სოფ. მცხეთიჯვარში, მდ. ჭერათხევის მარცხენა ნაპირზე, გომიდან (ჩრდილო-დასავლეთი მიმართულებით) 12 კმ-ის დაშორებით. სამაროვანი, რომელმაც მინის 300 კვ.მ. ფართობი მოიცვა, სამი მხრიდან ტყით იყო შემოსაზღვრული, ხოლო მეოთხედან (სამხრეთ-დასავლეთი) — გომი-საჩხერის საავტომობილო გზით (ტაბ. I,1).

ნაურიალის სამაროვნის საკმაოდ ფართო ქრონოლოგიური საზღვრები (ძვ.წ. VIII-III სს.), ინვენტარის სიუხვე, ფუნქციონირების თითქმის უწყვეტი ჯაჭვი, საინტერესო მასალას იძლევა.

ნაურიალის სამაროვნის სტრატეგრაფიული მონაცემები და აქ აღმოჩენილი მასალის შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს სამაროვანზე დადასტურებულ 104 სამარხში სამი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოვყოთ: წინარეანტიკური, ადრეანტიკური და ადრეელინისტური. მთლიანად სამაროვანი ძვ.წ. VIII-III სს-ით თარიღდება.

ნაურიალის სამაროვანზე ძირითადად სამარხების ერთი ტიპი — ორმოსამარხები გამოვლინდა (ტაბ. III, 32). ისინი ნიადაგში ჩაჭრილ, მართკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ორმოებით არის წარმოდგენილი. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ 5 სამარხი (№№ 22, 47, 48, 64 და 89), რომლებიც ქვის წყობით იყო შემოსაზღვრული.

ნაურიალის სამაროვნის 104 სამარხიდან 7

კომპლექსში (№№ 5, 38, 40, 41, 50, 80 და 102) მიცვალებულის ჩონჩხი საერთოდ არ დაფიქსირებულა, ხოლო 28 სამარხში კი (№№ 1, 3, 10, 11, 13, 28, 31, 31, 33, 39, 44, 47, 49, 53, 60, 61, 65, 67, 69, 71, 79, 82, 85, 86, 88, 96, 97, 99 და 101) დაზიანების გამო იმდენად ფრაგმენტულად არის შემორჩენილი, რომ ვერ დგინდება დაკრძალვის პოზა და დამხრობა. დარჩენილი 69 სამარხიდან 65-ში მიცვალებულები ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე დაუსვენებიათ. 3 სამარხი (№№ 2, 70 და 95) კოლექტიურია, აქედან №№ 2 და 95 სამარხებში ორ-ორი, ხოლო №70 სამარხში სამი მიცვალებული დაფიქსირდა. ყველა მათგანი ხელფეხმოკეცილი, მარჯვენა ან მარცხენა გვერდზეა დაკრძალული; № 75 სამარხში მიცვალებული გულაღმა-გამოტილი, გულხელდაკრეფილი დაუსვენებიათ. სამარხი უინვენტაროა. აღნიშნულ სამაროვანზე მიცვალებულთა უმეტესობა აღმოსავლეთისკენ (22 სამარხი) ან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ (21 სამარხი) არის ორიენტირებული.

ნაურიალის სამაროვნის წინარეანტიკური ხანის სამარხები (ძვ.წ. VIII-VI სს.).

ნაურიალის სამაროვნის 104 სამარხიდან წინარეანტიკურ ხანას 26 სამარხი მიეკუთვნება (№№ 1, 10, 13, 23, 30, 33, 36, 37, 42, 46, 52, 53, 55, 56, 57, 58, 59, 61, 64, 71, 72, 77, 82, 89, 92 და 101). აღნიშნულ სამარხებში სხვადასხვა დასახელების 207 ნივთი გამოვლინდა, აქედან: კერამიკული ნაწარმი 34 ერთეული (33 ჭურჭელი და 1 კვირისტავი); საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების 27 იარაღი; სამკაული 101 ერთეული; ტანსაცმელთან დაკავშირებული 10 ნივთი; 3 სალესი ქვა; 16 სარიტუალო საგანი; 7 ნადნობი; 1 გაურკვეველი დანიშნულების ნივთი და 8 შედგენილი მძივ-სამკაული, საერთო რაოდენობით 349 ერთეული მძივი.

თიხის ნაწარმი. ნაურიალის სამაროვნის წინარეანტიკური ხანის სამაროვნის 26 სამარხიდან თიხის ჭურჭელი 21 კომპლექსში გამოვლინდა (№№1, 10, 13, 23, 30, 33, 36, 37, 46, 53, 55, 56, 57, 59, 61, 64, 71, 77, 82, 89 და 101). სამარხებში კერამიკული ნაწარმის ოდენობა ერთიდან ხუთამდე მერყეობს, თუმცა, ძირითადად თითო-თითო ეგზემპლარს ვხვდებით. თუნის ნაწარმი უმეტესად თხელკედლიანია, ფაქიზად ნაკეთები. ჭარბობს თიხის ლეგა ან ლეგა-მონაცრისფროდ გამოწვა. ყველა მორგვზეა დამზადებული. უმეტესობა შემკულია გეომეტრიული ნაკანრი ორნამენტით.

აღნიშნული თიხის ჭურჭელი, დანიშნულების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: სამზარეულო (კოჭები) და სუფრის (დოქები, ხელალები, ჯამ-ლანგრები, ფიალები, სასმისები და ტოლჩა). თიხის ნაწარმის ანალიზმა გვიჩვენა, რომ:

1. თიხის ჭურჭლის წამყვანი სახეობაა დოქები, კოჭები და ჯამ-ლანგრები.
2. ჭურჭლის ნაწილი (ჯამ-ლანგრები და დოქები) აგრძელებს წინამორბედი ხანის ადგილობრივი კერამიკის ფორმებს.
3. ჩნდება ისეთი ფორმები, რომლებიც უცხოა წინამორბედი ხანის კერამიკისათვის (ყურმილიანი დოქები, პირმოყრილი ფიალები) და გავრცელებას უმეტესად მომდევნო (ანუ ადრეანტიკური) პერიოდის კომპლექსებში პოულობს.
4. თიხის ჭურჭლის უმრავლესობა მუქი ფერისაა (შავპირილა, ლეგა). შემკულია ტიპური წინარეანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ორნამენტაციით (კანელურები, მერიდიანული ნაპრიალები ხაზები, კონცენტრული და ტალღური ნაკანრები, ზოომორფული ყურები და სხვ.).
5. აღნიშნული თიხის ნაწარმი პარალელურს პოულობს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს თანადროულ არქეოლოგიურ მასალასთან [დავითაშვილი ქ. 2003:23-36].

ლითონის ნაწარმი. ნაურიალის სამაროვნის წინარეანტიკური ხანის 26 სამარხიდან

22 კომპლექსში სხვადასხვა ლითონისაგან (რკინა, ბრინჯაო, ვერცხლი, ელექტრუმი) დამზადებული 162 ნივთი გამოვლინდა. აქედან: საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების 6 დასახელების (ისრისპირი, სატევარი, შუბისპირი, დანა, თოხი, ცული) 27 იარაღი; ტანსაცმელთან დაკავშირებული 9 დასახელების (ფიბულა, ბალთა, საკინძი, ჯაჭვი, კილიტი, ლილი, ვარდული, დუგმა და მილაკი) 71 ნივთი; სამკაული (სამაჯურები და რგოლები) საერთო რაოდენობით 40 ერთეული; საკულტო-სარიტუალო დანიშნულების 16 ნივთი (ანთროპომორფული და ზოომორფული ფიგურები, სარიტუალო ტანსაცმლის ატრიბუტები, საკიდები, ჩქიფები და სხვ.) და 8 გაურკვეველი დანიშნულების ნივთი (მათ შორის ნადნობები).

ლითონის ნივთების ანალიზმა გვიჩვენა, რომ კერამიკული ნაწარმის მსგავსად, ისიც ანალოგებს პოულობს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილ მასალასთან. თუმცა, აქ იკვეთება უფრო შორეული კონტაქტებიც, კერძოდ: ურარტული კულტურის გავლენა იგრძნობა ნაურიალის № 56 სამარხში აღმოჩენილ შუბისპირში (ტირიფის ფოთლის მოყვანილობის, ორივე მხარეს მაღალი ქედით, მასრაგახსნილი და გრძელი, მასიური ტანით. სიგრძე — 45 სმ.), №№ 56 და 92 სამარხებში დადასტურებულ დიდი ზომის ტანმოხრილ დანებსა (წვერისაკენ თანდათან შევიწროებული პირითა და სატარეზე 2-3 მანჭვლით) და № 55 კომპლექსში მიკვლეულ ბრინჯაოს ბალთაში (ტაბ. II, 17). როგორც ცნობილია, მსგავსი ნივთების აღმოჩენის ყველაზე მეტი შემთხვევა სომხეთში დასტურდება (მუსი-იერი, ლელვარი, კარმირ-ბლური, გოლოვინო და სხვ.) [ავალიშვილი გ. 1974:77].

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაურიალის წინარეანტიკური ხანის სამაროვნის №82 სამარხში დადასტურებული სარიტუალო ნივთები. მათგან აღსანიშნავია ბრინჯაოს მცირე პლასტიკის ნიმუშები, რომელიც დანიშნულების მიხედვით შეიძლება

ორ ჯგუფად დავყოთ: I. კულტთან დაკავშირებული ფიგურები; II. ფიგურები და საკიდები, რომლებიც სარიტუალო ტანსაცმლის ატრიბუტს უნდა წარმოადგენდეს.

I ჯგუფის ბრინჯაოს ქანდაკებები თავის მხრივ ორ ჯგუფად იყოფა: ანთროპომორფული და ზომომორფული ფიგურები. I ჯგუფის I ქვეჯგუფი წარმოდგენილია მამაკაცის ფიგურით (ტაბ. I, 5), რომელიც მსგავსია შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ანთროპომორფულ ქანდაკებათა I ჯგუფის ფიგურებისა (ძვ.წ. VIII-VII სს.) [ფანცხავა ლ. ... 2001:153]. ოლონდ, მათგან მხატვრული სტილით განსხვავდება, კერძოდ, ნაურიალის ფიგურას მეომარი ღვთაებისათვის დამახასიათებელი აქსესუარები (სარტყელი, საკისრე რკალი) არ გააჩნია; თუმცა, შილდის ქანდაკებების მსგავსად, წარმოდგენილია შიშველ მდგომარეობაში, ფეხზე მდგომი და ხელფეხგამოხლებილი.

I ჯგუფის II ქვეჯგუფიდან ყურადღებას იმსახურებს საკმაოდ რეალისტური მანერით შესრულებული ხარის ფიგურა (ტაბ. I, 2). როგორც ცნობილია, ხარს, როგორც ღვთაებას, უძველესი დროიდან საპატიო ადგილი ეკავა მინათმოქმედი ხალხის რელიგიურ პანთეონში [კიკვიძე იაზ. 1976:190-92]. საქართველოში ხარის კულტის ფართო გავრცელება ასახულია არ მარტო მრავალრიცხოვან სკულპტურულ თუ გრაფირებულ გამოსახულებებში, არამედ, კერამიკის სიმბოლურ შემკობაშიც (მაგ., რქისებრი შვერილები).

აღნიშნავთ, რომ II ჯგუფის I ქვეჯგუფში წარმოდგენილია ძაღლის, შვლისა (ტაბ. I, 3) და ცხენის (ტაბ. I, 4) ფიგურები. როგორც ცნობილია, ძაღლის გამოსახულება ყველაზე მეტად კოლხური კულტურის მხატვრულ ხელოსნობის დეკორშია წარმოდგენილი, სადაც ის ხან ძირითადი, ხან კი, დამატებითი კომპონენტია. ძაღლი, ისევე როგორც შველი, ღვთაებრივ ცხოველად ითვლებოდა და სამონადირეო კულტს უკავშირებოდა [ფანცხავა ლ. 1993:48]. თუმცა, ირმისა და ძაღლის, როგორც მედიატორის როლის შემსრულებლისა

კოსმიურ ხესთან მიმართებაში (კერძოდ, სამივე სკნელთან დამაკავშირებელი) [წერეთელი მ. 2001: 27] უსაფუძვლოდ არ უნდა გამოიყურებოდეს.

ქვის ნაწარმი ნაურიალის წინარეანტიკური ხანის სამაროვანზე 3 სალესით არის წარმოდგენილი (№№ 30, 64 და 82 სამარხები). სამივე შავი ფერისაა. მათგან ყურადღებას გავამახვილებთ № 82 სამარხის ეგზემპლარზე (სიგრძე — 3,9 სმ; სიგანე — 0,8 სმ.). სალესი, მცირე ზომების გამო, თავისი პირდაპირი დანიშნულებისათვის სრულიად გამოუსადეგარი უნდა ყოფილიყო. შესაბამისად, მას არც ლესვისა და არც ხმარების კვალი არ ეტყობა. გვერდის ნაწიბურზე კი, შვიდი საკმაოდ ღრმა ნაჭდვევი დაუყვება. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული სალესი ქვა საკულტო-სარიტუალო დანიშნულების ნივთად მივიჩნით.

მძივსამკაული ნაურიალის წინარეანტიკური ხანის სამაროვნის 26 სამარხიდან მხოლოდ 7 კომპლექსში აღმოჩნდა (№№ 1, 10, 46, 53, 57, 61 და 82). ისინი წარმოდგენილია 175 სარდიონით, 2 აქატით, 14 მინით, 155 პასტით, 2 კალციტითა და 1 გიპრით.

აღნიშნული სარდიონის მძივები გამოირჩევა ფორმათა მრავალფეროვნებით (სფერული, მოყავისფრო-მონითალო შეფერილობის; ცილინდრული ფორმის, მუქი ყავისფერი; ხუთნახნაგა, მონითალო და სხვ.) მათ უამრავი პარალელი მოეპოვებათ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამარხეულ კომპლექსებში [დავითაშვილი ქ. 2003:71].

ყურადღებას იმსახურებს №82 სამარხში აღმოჩენილი 2 აქატის მძივი, შემკული თეთრი და მურა-ნაბლისფერი ზოლებით (ტაბ. I, 7). როგორც ცნობილია, ამიერკავკასიის ტერიტორიაზე აქატის მძივები ნაკლებად გავრცელებულ მძივთა კატეგორიას მიეკუთვნება. ისინი ყველაზე დიდი ოდენობით გვხვდება ურარტული ხანის მასალებს შორის. ეკ. ალექსევა აღნიშნული ტიპის აქატებს (სარდონიქსებს) აერთიანებს აქატების კლასიფიკაციის

IV ჯგუფში და აღნიშნავს, რომ მსგავს მძივებს დათარიღებისათვის მონაცემები არ გააჩნია [Алексеева Е. 1982:102].

დათარიღებისათვის. ნაურიალის წინარეანტიკური ხანის სამაროვნის არქეოლოგიური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იქ გათხრილი 26 სამარხი ძვ.წ. VIII-VI საუკუნეებს მიეკუთვნება. თუმცა, შესაძლებელია მათი უფრო კონკრეტული დათარიღებაც. კერძოდ, უადრესს სამარხთა ჯგუფს (ანუ ძვ.წ. VIII-VII სს.) მივაკუთვნებთ №№ 1, 42, 59, 71, 72 და 82 კომპლექსები.

№ 1 და № 42 სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს ტრაპეციისებრი თოხები (ტაბ. I, 9,11), კურზუს [ქორიძე დ. 1961:57] ანალოგიების მიხედვით ძვ.წ. VIII ს-ით თარიღდება. ნაცარგორას (ხაშურის რ-ნი) სამაროვნის № 435 სამარხის ბრინჯაოს ფიბულის მიხედვით [რამიშვილი აღ. 2001:ტაბ. VIII-1363], ძვ.წ. VIII საუკუნითვე თარიღდება ნაურიალის № 1 კომპლექსში აღმოჩენილი ანალოგი, რომელსაც მაღალ რკალზე შემორჩენილი აქვს წინვური ორნამენტის ნაშთი (ტაბ. II, 13). ხოლო იქვე დადასტურებული რკინის დანა კი — ძვ.წ. VII საუკუნიდან იწყებს გამოჩენას. აღნიშნული №№ 1 და 42 სამარხების ძვ.წ. VIII-VII სს-ით დათარიღებას არც დარჩენილი ნივთები (ბრინჯაოს ჯაჭვები, ბრინჯაოს კილიტები, ბრინჯაოსვე ცალბოლონაკვეთილი რგოლი და სარდიონის სფერული მძივები) უშლის ხელს. ისინი ანალოგიური მასალის მიხედვით, ძირითადად ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება.

ნაურიალის სამაროვნის № 59 და № 71 სამარხებში აღმოჩენილი ბრინჯაოს 2 სატევარი ფორმალურ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით ორ მკვეთრად განსხვავებულ ჯგუფს ქმნის: I. მთლიანდასხმული ე.წ. ლინზისებრგანიკვეთიანი, ყუნწიანი სატევარი (ტაბ. II, 15) და II. ნაგრძელელებული ფოთლისებური ფორმის ორფერდა ყუნწიანი სატევარი (ტაბ. II, 19). აღნიშნული სატევრები წინარეანტიკური ხანის სამარხების ერთ-ერთი დამახასიათებელი ატრიბუტია. ნაურიალის ვარიანტები განსაკუთრებულ სიახლოვეს მუხურჩის სამაროვ-

ნის ქვედა დასაკრძალავი მოედნისა [Гогодзе Э. ... 1977:64] და გორაძირის № 4 ორმოსამარხის ეგზემპლარებთან [გოგაძე ელ. ... 1981:219-220, ტაბ. XXIV] იჩენს, რომელთაც ავტორები ძვ.წ. VIII საუკუნით ათარიღებენ. ხოლო ნაურიალის იმავე სამარხებში (№№59 და 71) აღმოჩენილი პირგადაშლილი, ქიმგაზნექილი და ქუსლიანი მონაცრისფრო-ლევაფერის თიხის ლანგრები (ტაბ. II, 21) მსგავსია დ. მუსხელიშვილის მიხედვით, ხოვლეს ანალოგიური ჭურჭლის კლასიფიკაციის Ia ტიპისა, რომლებიც ხოვლეგორის VII ჰორიზონტიდან (ძვ.წ. XIV ს.) იწყებს გამოჩენას და III ჰორიზონტის (ძვ.წ. VI ს.) ჩათვლით არსებობს [მუსხელიშვილი დ. 1978:28].

ნაურიალის წინარეანტიკური ხანის უადრეს სამარხთა ჯგუფის განხილვას დავასრულებთ № 82 კომპლექსით, სადაც ინვენტარის უმრავლესობა ძვ.წ. VIII-VII სს-ით თარიღდება (ბრინჯაოს კოლხური ცული, II ტიპი (ტაბ. I, 6), ბრინჯაოს მასიური ღილი, ბრინჯაოს ორნამენტირებული ჩქიფი, ბრინჯაოსავე მამაკაცის ფიგურა (ტაბ. I, 5), თიხის შვეულსახელურიანი კოჭბები (ტაბ. I, 8) და სხვ.) [დავითაშვილი ქ. 2003:76-78].

ძვ.წ. VII საუკუნით დავათარიღებთ ნაურიალის №№ 55, 58 და 101 სამარხები. კერძოდ, № 101 სამარხი, აქ დადასტურებული შვეულსახელურიანი კოჭბის გამო; ვინაიდან, როგორც ცნობილია, ანალოგიური ჭურჭელი გარეთ მკვეთრად გადახრილი პირითა და კონცენტრული ღარებით შემკული მხრებით (ტაბ. I, 8), ადრეანტიკური ხანის მასალებში აღარ ფიგურირებს. ამის მაგალითია, თუნდაც საბადურის გორის სტრატეგრაფიული მონაცემები — შვეულსახელურიანი ჭურჭელი აქ II ჰორიზონტიდან (ძვ.წ. VI-IV სს.) იწყებს არსებობას [მახარაძე გ. 199:6].

№ 55 სამარხში დადასტურებული რკინის ცული (ორნახნაგა, მაღალი ყუით, ოვალური სატარე ხვრელითა და რკალისებრი მოყვანილობის ასიმეტრიული პირით (ტაბ. II 18) მსგავსია მუხურჩის წინარეანტიკური ხანის სამაროვნის ქვედა დასაკრძალავ მოედანზე

მოპოვებული ცულისა, რომელიც ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისით თარიღდება [Гогодзе Э. ... 1977:62]; ხოლო იქვე მოპოვებული ურარტული ტიპის ბრინჯაოს ბალთა (ტაბ. II,17) კი — ძვ.წ. VII ს-ით [დავითაშვილი ამ. 1996:166-67].

ზოგადად ძვ.წ. VII-VI სს-ით დავათარიღებ ნაურიალის წინარეანტიკური ხანის დარჩენილი 17 სამარხი. დამთარიღებელი ნივთებიდან პირველ რიგში აღვნიშნავთ ე.წ. კოლხური ტიპის სასმისებს (ტაბ. II, 20,23), ვინაიდან, მკვლევართა უმეტესობა მათ გაჩენას წინარეანტიკური ხანის ბოლო ეტაპზე ვარაუდობს [მიქელაძე თ. 1974:61]; რკინის მცირე და დიდი ზომის ტანმოხრილ დანებს; პეპლისებური მოყვანილობის ბალთას (ტაბ. II, 16), რომლის ანალოგები ძირითადად ძვ.წ. VII ს-ით თარიღდება [დავითაშვილი ქ. 2003:80]; ბრინჯაოს გოფრირებულ ვარდულებს, რომლებიც რ. აბრამიშვილს ძვ.წ. VII-VI ს-ის პირველი ნახევრით აქვს განსაზღვრული [აბრამიშვილი რ. 1957:ტაბ. V-20]; რკინის მუჯირას, რომელიც პარალელური მასალის მიხედვით (ურეკი [მიქელაძე თ. 1985:ტაბ. XIX-742; XXIII-822, 829; XXVI-918], სამთავრო [აბრამიშვილი რ. 1957:ტაბ. I-38], რკინის კალო [კობაიძე ლ. 1978:ტაბ. XIII-27]) ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება; ხოლო კერამიკული მასალიდან კი — პირმოყრილ ფიალებსა და ყურმილიან ხელაღებს (ტაბ. I, 12), რომლებიც გამოჩენას სწორედ წინარეანტიკური ხანის მიწურულიდან იწყებს [დავითაშვილი ქ. 2003:29, 32-34]; №57 სამარხში დადასტურებულ ტოლჩას (ტაბ. II, 22), რომელიც თ. მიქელაძისეული კლასიფიკაციით ტოლჩების III ტიპის (ანუ კასრისებური) იდენტიურია და ძვ.წ. VII-VI სს-ით თარიღდება [მიქელაძე თ. 1985:21].

ბოლოს აღვნიშნავთ, რომ სამაროვნის სტრატეგრაფიული მონაცემები ათარიღებს №72 უინვენტარო სამარხს, რომელიც ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებული №61 კომპლექსის ქვეშ აღმოჩნდა.

ამრიგად, ნაურიალის წინარეანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი არქეოლო-

გიური მასალის ანალიზმა 3 ქრონოლოგიური ჯგუფის გამოყოფის შესაძლებლობა მოგვცა:

I ჯგუფი — ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამარხები — №№ 1, 42, 59, 71, 72 და 82.

II ჯგუფი — ძვ.წ. VII ს-ის სამარხები — №№ 55, 58 და 101.

III ჯგუფი — ძვ.წ. VII-VI სს-ის სამარხები — №№ 10, 13, 23, 30, 33, 36, 37, 46, 52, 53, 56, 57, 61, 64, 77, 89 და 92.

ნაურიალის სამაროვნის ადრეანტიკური ხანის სამარხები (ძვ.წ. VI-IV ს-ის პირველი ნახევარი).

ნაურიალის სამაროვნის ზემოაღნიშნული 104 სამარხიდან ადრეანტიკურ ხანას 34 სამარხი მიეკუთვნა (№№ 2, 5, 6, 7, 11, 17, 18, 22, 24, 25, 26, 34, 38, 39, 40, 41, 45, 48, 50, 62, 63, 67, 68, 69, 76, 78, 84, 88, 90, 95, 100, 102, 103 და 104). აღნიშნულ კომპლექსებში სხვადასხვა დასახელების 145 ნივთი გამოვლინდა, აქედან: კერამიკული ნაწარმი 78 ერთეული; საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების 12 იარაღი; ტანსაცმელთან დაკავშირებული 14 ნივთი; 26 ერთეული სამკაული; 3 გაურკვეველი დანიშნულების საგანი და 12 შედგენილი მძივსამკაული (საერთო რაოდენობით 445 ერთეული მძივი).

თიხის ნაწარმი. ნაურიალის ადრეანტიკური ხანის №34 სამარხიდან კერამიკული ნაწარმი მხოლოდ 3 კომპლექსში არ გამოვლინდა (№№62, 88 და 104). წინარეანტიკური პერიოდის მსგავსად, ადრეანტიკური ხანის აღნიშნულ № 31 სამარხის ინვენტარში კერამიკულ ნაწარმს წამყვანი ადგილი უკავია, როგორც სიმრავლით, ისე მრავალფეროვნებით.

სამარხებში კერამიკული ნაწარმის ოდენობა ერთიდან ხუთამდე მერყეობს, თუმცა, ძირითადად თითო ან ორ ეგზემპლარს ვხვდებით. კერამიკული ჭურჭელი უმეტესად თხელკედლიანია, ფაქიზად ნაკეთები, თანაბრად გამომწვარი, თუმცა, გვხვდება შედარებით უხეშად ნაძერწი, არათანაბრად გამომწვარი ნიმუშებიც. ყველა მათგანი, გარდა № 5 სამარხში აღმოჩენილი ხელით ნაძერწი სამარილისებური ჭურჭლისა, დამზადებულია

მორგვზე. აღნიშნული კერამიკული ნაწარმი უმეტესად სადაა. ნაწილი შემკულია გეომეტრიული ნაკანრი ორნამენტით. მხოლოდ ერთ პირმოყრილ ფიალას (№103 სამარხი) ძირზე ორფრთიანი სვასტიკა აქვს ამოღარული (ტაბ. II, 25).

ნაურილის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ნაწარმიც, დაწნიშნულების მიხედვით, ორ ჯგუფად იყოფა: სამზარეულო (ქოთნები, კოჭბები) და სუფრის (დოქები, ხელადები, ფიალები, ტოლჩები, სასმისი და სამარლისებური ჭურჭელი). გარდა ამისა გამოვლინდა ძლიერ დაშლილი და დამტვრეული 6 ჭურჭლის ფრაგმენტები.

თიხის ნაწარმის ანალიზმა გვიჩვენა, რომ:

1. თიხის ჭურჭლის ნამყვანი სახეობაა დოქები, ქოთნები და ფიალები;
2. ჭურჭლის ნაწილი (კოჭბები, დოქების V ტიპი) აგრძელებს წინამორბედი (ანუ წინარეანტიკური) ხანის ადგილობრივი კერამიკის ფორმებს;
3. ჩნდება ისეთი ფორმები, რომლებიც უცხოა წინამორბედი ხანის კერამიკისათვის (დოქების I, II და III ტიპები, ფიალები, ცალყურა ქოთნების დიდი ნაწილი) და ანალოგებს მხოლოდ ადრეანტიკური ხანის მასალებს შორის პოულობს;
4. კერამიკული ჭურჭლის დამზადების ერთგვაროვანი ტექნოლოგია, ასევე ნედლეულის სიჭარბე (მდ. ჭერათხევის ხეობაში აყალო-თიხნარი ნიადაგი ჭარბობს) მათ ადგილობრივ წარმოებაზე უნდა მეტყველებდეს. აღმოსავლურ-ქართული კულტურის გავლენა იგრძნობა ნაურილის ადრეანტიკური ხანის სამაროვნის დოქებისა და ხელადების II, III და IV ტიპებში, ცალყურა ქოთნებსა და კოჭბებში; თუმცა, ნაურილის სამაროვნის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე (შიდა ქართლისა და იმერეთის საზღვარი) აქ დასავლურ-ქართული გავლენაც საკმაოდ მძლავრია (ყურმილიანი ხელადები, სასმისები, ტოლჩები). ამაზე უფრო ვრცლად ქვემოთ გვექნება საუბარი;
5. თიხის ჭურჭლის უმეტესობა ღია ფერისაა (მოჩალისფრო, მონაცრისფრო, მოვარდისფრო), მცირე ნაწილი — მუქი (შავი, ლეგა). როგორც ცნობილია,

ღია ფერის ჭურჭლის სიჭარბე უცხო არ არის აღმოსავლეთ საქართველოს ადრეანტიკური ხანის სამაროვნებისათვის. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ამავე პერიოდის სამაროვნებისათვის დამახასიათებელი წითლად შეღებილი კერამიკა, ნაურილზე არ დაფიქსირებულა [დავითაშვილი ქ. 2003: 88-102].

ლითონის ნაწარმი. ნაურილის ადრეანტიკური ხანის 34 სამარხში ლითონის 55 ნივთი დაფიქსირდა: საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების 4 დასახელების 12 იარაღი (შუბისპირები, დანები, სატევარი, ცულები); ტანსაცმელთან დაკავშირებული 3 დასახელების 14 ნივთი (ფიბულა, საკინძები და ჯაჭვი); 26 სხვადასხვა დასახელების სამკაული (საყურეები, ბეჭედი, რგოლები და სამაჯურები); 3 გაურკვეველი დანიშნულების ნივთი.

ნაურილის ადრეანტიკური ხანის სამაროვნის ლითონის ნივთების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ამავე სამაროვნის წინარეანტიკური მასალის მსგავსად, ისიც ანალოგებს პოულობს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილ მასალასთან.

საბრძოლო იარაღებიდან ყურადღებას გავამახვილებთ №76 სამარხში აღმოჩენილ ბრინჯაოსტარიან რკინის სატევარზე (ბიმეტალური), სატარზე ერთი სამანჭვლე ხვრელით. როგორც ცნობილია, ბრინჯაოსტარიანი რკინის სატევრების აღმოჩენის შემთხვევები ხშირია როგორც დასავლეთ (ურევი, ნიგვზიანი [მიქელაძე თ. 1985:39]), ისე აღმოსავლეთ (სამთავროს სამაროვნის რიგი ორმოსამარხები [კალანდაძე აღ. 1982:677-678, 759], წინწყაროს სამაროვანი [მენაბდე მ. ... 1968:14]) საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსებში და უშუალოდ ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის თანაარსებობასა და პირველის მეორით შეცვლის პროცესს ასახავს.

ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებიდან აღსანიშნავია საკინძები (12 ერთეული), უკლებლივ ყველა ბრინჯაოსი, რომლენიც თავის მოყვანილობის მიხედვით 3

ტიპად დავყავით: ოთხნახნაგა, სოკოსებრი და ბრტყელთავიანი. როგორც ცნობილია, მსგავსი საკინძებით მდიდარია აღმოსავლეთ საქართველოს ადრეანტიკური ხანის ძეგლები [დავითაშვილი ქ. 2003:110-112].

ნაურიალის ადრეანტიკური ხანის სამაროვნის ლითონის ნივთებიდან რაოდენობით გამოირჩევა სხვადასხვა დასახელების სამკაული, მათგან ყურადღებას გავამახვილებთ ბოლოებგახვრეტილ სასაფეთქლე რგოლებზე (№34 და №69 სამარხები), რომელთა დაბრტყელებული და გახვრეტილი ბოლოები, ბ. კუფტინის წარმოდგენით, ფრინველის თავის ძალზე სქემატურ გამოსახულებას წააგავს [Куптин Б. 1950:46]. თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში გამოვლენილ მსგავსი ფორმის სასაფეთქლე რგოლების გავრცელების ინტენსივობის სურათს, ნათელი გახდება, რომ ნაურიალის ბოლოებგახვრეტილი რგოლების ანალოგები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოზე მოდის (დვანი [მაკალათია ს. 1948: 7-10], ზემო ავჭალა [ქორიძე დ. 1956:216], გომარეთი [დავლიანიძე ც. 1983:72-73], კამარხევი [ჯღარკავა თ. 1982:141] და სხვ.) და ადრეანტიკური ხანით შემოსაზღვრულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში თავსდება.

მძივსამკაული. ნაურიალის ადრეანტიკური ხანის 34 სამარხიდან მძივსამკაული 12 კომპლექსში გამოვლინდა (№№ 18, 26, 40, 45, 50, 62, 63, 68, 69, 95, 102 და 103), საერთო რაოდენობით 445 ერთეული. აქედან: 340 სარდიონის, 74 პასტის, 13 ვერცხლის, 12 გიშრის, 3 მინისა, 2 ქარვისა და 1 კალციტის. ნაურიალის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე აშკარად გამოხატულია სარდიონის მძივების რაოდენობრივი სიჭარბე. როგორც ცნობილია, აღნიშნული მოვლენა წინარე და ადრეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენტია [დავითაშვილი ქ. 2003:118].

დათარიღებისათვის. ნაურიალის ადრეანტიკური ხანის სამაროვნის არქეოლოგიური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ იქ გამოვ-

ლენილი 34 სამარხი მიეკუთვნება ძვ.წ. VI ს. -IV ს-ის პირველ ნახევარს, თუმცა, შესაძლებელია მათი უფრო კონკრეტული დათარიღებაც. კერძოდ, ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება №22 სამარხი, აქ დადასტურებული შვეულსახელურიანი ტოლჩის გამო (ტაბ. II, 24). როგორც ცნობილია, მსგავსი ქუსლგამოყვანილი ტოლჩები კოლხური სასამისების წინამორბედად არის მიჩნეული და ძვ.წ. VI საუკუნიდან ფიქსირდება [მიქელაძე თ. 1985:21]. ხოლო იმავე ტოლჩის შვეული სახელური კი, ძვ.წ. VI საუკუნის მერე აღარ ფიგურირებს [მახარაძე გ. 1991:6, სურ. 14].

ნაურიალის ადრეანტიკური ხანის სამაროვნის 34 სამარხიდან ზოგადად ძვ.წ. VI-V სს-ით დათარიღდა 12 კომპლექსი (№№17, 40, 62, 63, 78, 84, 88, 95, 100, 102, 103 და 104). ქვედა საზღვრის დასადგენად, დამთარიღებელი ნივთებიდან, უპირველეს ყოვლისა, საყურადღებოა ე.წ. სკვითური ხანის შესატყვისი ინვენტარი: № 17 სამარხის ბრინჯაოს ორნამენტირებული ბეჭედი (ტაბ. II, 14), რომლის ანალოგები სამთავროს სამაროვნიდან რ. აბრამიშვილს მიჩნეული აქვს „მხოლოდ და მხოლოდ ე.წ. სკვითური ხანის შესატყვისი ფენების“ (ძვ.წ. VII ს. მეორე ნახ.-ძვ.წ. VI ს.) ატრიბუტად [აბრამიშვილი რ. 1957:ტაბ. I₁₉₋₂₁]; №78 სამარხის რკინის მასიური, ტანმოხრილი დანა და რაც მთავარია №103 სამარხის რკინის მოგრძოყუიანი ცული (ტაბ. II, 26) [ფირცხალავა მ. 2001:86]; ხოლო ზედა საზღვრის დასადგენად კი — ცალყურა ქოთნები (ტაბ. III, 33) და სფერული მუცლის მქონე დოქები, რომელთა ანალოგებიც მხოლოდ ძვ.წ. V ს-ის კომპლექსებში ფიქსირდება [დავითაშვილი ქ. 2003:89-97].

ნაურიალის ადრეანტიკური ხანის 34 სამარხიდან ძვ.წ. V საუკუნეს მიეკუთვნა 13 კომპლექსი (№№ 2, 7, 11, 18, 26, 34, 38, 41, 50, 68, 69, 76 და 90). დამთარიღებელი ნივთებიდან უპირველეს ყოვლისა, ისევ აღვნიშნავთ ცალყურა ქოთნებს, რომლებიც პარალელური მასალის მიხედვით (ნაცარგორას ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებული №46 და

№60 ორმოსამარხები [ნარიძე გ. 1989:30]; ბემ-თაშენის, მანგლისისა და ასურეთის ძვ.წ. V ს-ის მასალები [დავლიანიძე ც. 1983:30]] კონკრეტულად ძვ.წ. V ს-ით თარიღდება და რაც მთავარია, ჩვენს მიერ II და III ტიპში გაერთიანებულ დოქებს [დავითაშვილი ქ. 2003:95-96], ოვალური რამდენადმე ზეაზიდული ყურით, რომელიც დოქის პირთან მიერთებისას, დაბრტყელების გზით, მკვეთრად ნაკვეთილია (ტაბ. II, 28). სწორედ ამ მორფოლოგიური ნიშნით გაერთიანებულ დოქებს გ. ნარიძე ნაცარგორის ადრეანტიკური ხანის სამაროვნიდან ათავსებს ერთ ქრონოლოგიურ ჯგუფში და ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით ათარიღებს [ნარიძე გ. 1989:ტაბ. I-112]. არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ, ბრინჯაოს სამაჯურები, რომლის თავებიც დიდყურა ცხოველის (ვერძის?) თავის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს (ტაბ. II, 30). მისი ზუსტი ანალოგი ბემ-თაშენიდან, ძვ.წ. V ს-ით დათარიღდა [დავლიანიძე ც. 1983: 59, ტაბ. VIII1].

ნაურიალის ადრეანტიკური ხანის ყველაზე ახალგაზრდა სამარხთა ჯგუფში გავაერთანეთ 8 კომპლექსი (№№ 5, 6, 24, 25, 39, 45, 48 და 67). №5 და №24 სამარხების მოაგურისფრო-ჩალისფერი და ლეგა ფერის კოჭები კამარახევის ანალოგების მიხედვით, რომელიც გ. ნარიძენიშვილს I ქრონოლოგიურ ჯგუფში აქვს გაერთიანებული, ძვ.წ. V-IV ს-ის I ნახევრით დავათარიღეთ, იმავე საუკუნეებით დათარიღდა № 6 სამარხის ქოთანიც (ტაბ. III, 34). №24 და №25 სამარხების რკინის ცულები (ტაბ. II, 29, 31), ყველაზე უფრო ახლოს დგას ძვ.წ. V-IV სს-ის ეგზემპლარებთან (ბემთაშენი, მანგლისი, გომარეთი [დავლიანიძე ც. 1983:ტაბ. XVI, 6]). ნაურიალის №45 სამარხში დადასტურდა ჩვენს მიერ I ტიპში გაერთიანებული ოთხნახნაგა თავიანი საკინძი, რომელიც ძვ.წ. V ს-ით დათარიღდა. ხოლო № 67 სამარხის უყურო კოჭობი (ტაბ. II, 27) ანალოგიურია ქასრანთ მინებიდან მომდინარე მსგავსი ჭურჭლისა, რომელიც ასევე ძვ.წ. V-IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [Нариманишвили Г. 1991:129, სურ. 279, 633-635].

მაშასადამე, ნაურიალის ადრეანტიკური ხანის სამაროვანზე 4 ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო: I ჯგუფი — ძვ.წ. VI ს-ის № 22 სამარხი; II ჯგუფი — ძვ.წ. VI-V სს-ის — №№ 17, 40, 62, 63, 78, 84, 88, 95, 100, 103 და 104 სამარხები; III ჯგუფი — ძვ.წ. V ს-ის №№ 2, 7, 11, 18, 26, 34, 38, 41, 50, 68, 69, 76 და 90 სამარხები; IV ჯგუფი — ძვ.წ. V-IV ს-ის პირველი ნახევრის № №5, 6, 24, 25, 39, 45, 48 და 67 სამარხები.

ნაურიალის სამაროვნის ადრეელინისტური ხანის სამარხები (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი — ძვ.წ. III საუკუნე). ნაურიალის სამაროვნის 104 სამარხიდან ადრეელინისტურ ხანას 28 სამარხი მიეკუთვნა (№№3, 4, 8, 9, 12, 14, 15, 16, 20, 21, 27, 31, 32, 35, 43, 44, 60, 65, 70, 73, 74, 80, 81, 86, 87, 93, 94 და 98). აღნიშნულ სამარხებში სხვადასხვა დასახელების 110 ნივთი გამოვლინდა. აქედან: კერამიკული ნაწარმი — 48 ერთეული; საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების 3 იარაღი; ტანსაცმელთან დაკავშირებული 4 ნივთი; 43 სამკაული; 9 შედგენილი მძივსამკაული, საერთო რაოდენობით 78 მძივი; ვერცხლის მონეტა და ერთიც გაურკვეველი დანიშნულების ბრინჯაოს ნივთი.

თიხის ნაწარმი. ნაურიალის სამაროვნის ადრეელინისტური ხანის 28 სამარხიდან კერამიკული ნაწარმი მხოლოდ 3 კომპლექსში (№№13, 43 და 44) არ აღმოჩნდა. სამარხებში კერამიკული ნაწარმის ოდენობა ერთიდან ოთხამდე მერყეობს. თუმცა, ძირითადად თითო ან ორ ეგზემპლარს ვხვდებით. ჭურჭელი ძირითადად თხელკედლიანია, ფაქიზად ნაკეთები. ჭარბობს თიხის მუქი ფერით (ლეგა — 2 ცალი; რუხი — 21 ცალი; შავი — 1 ცალი) გამოწვა. გვხვდება წითლად (3 ცალი) და ყავისფრად (2 ცალი) გამომწვარი ჭურჭელიც. ხშირია ჩალისფერ კეციანი ეგზემპლარებიც (10 ცალი). ყველა ნაკეთებია მორგვზე. ჭურჭლის ნაწილი მოხატულია.

აღნიშნული თიხის ჭურჭელი დანიშნულების მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: სამზარეულო (მხოლოდ კოჭებით არის წარმოდგენილი) და სუფრის (დოქები, ხელალები და ფიალები).

თიხის ნაწარმის ანალიზმა გვიჩვენა, რომ: 1. თიხის ჭურჭლის ნამყვანი სახეობაა მსხლისებრტანიანი დოქები და ხელადები; 2. ჭურჭლის ნაწილი (ფიალები და კოჭბები) აგრძელებს წინამორბედი (ანუ ადრეანტიკური ხანის) ადგილობრივი კერამიკის ფორმებს; 3. ჩნდება ისეთი ფორმები, რომლებიც უცხოა წინამორბედი ხანის კერამიკისათვის (მსხლისებრტანიანი დოქები და ხელადები) და ანალოგებს მხოლოდ ადრეელინისტური ხანის მასალებში პოულობენ; 4. ნაურიალის წინარეანტიკური და ადრეანტიკური ხანის სამაროვნებისაგან განსხვავებით, ადრეელინისტური ხანის სამაროვანზე ჭარბობს მცირე ზომის ჭურჭელი (ხელადები, კოჭბები და ფალები), რაც ზოგადად ელინისტური ხანის სამაროვნებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოვლენაა; 5. წინარეანტიკური და ადრეანტიკური კერამიკისაგან განსხვავებით ადრეელინისტური ხანის ნაურიალის ჭურჭელში თითქმის თანაბრად ნარმოდგენილი მუქი (ლეგა, ნაცრისფერი, შავი) და ღია (ჩალისფერი, მოწითალო, ყავისფერი) კეცი. პირველად ჩნდება წითლად შეღებილი ნაწარმი და ახლებურად გაფორმებული — გეომეტრიული სახეებით მოხატული ჭურჭელი (ტაბ. III, 35, 37-39); 6. ნაურიალის ადრეელინისტური ხანის თიხის ნაწარმი პარალელებს ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოს თანადროულ მასალასთან პოულობს, რაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, ვინაიდან, როგორც ცნობილია ამ პერიოდში დასუსტებული კოლხეთის ცენტრალური და აღმოსავლეთი რაიონები თვითონ განიცდიან ქართიზაციის მძლავრ გავლენას და გარკვეული დროის განმავლობაში ქართლის სამეფოს ფარგლებშიც კი ექცევიან [დავითაშვილი ქ. 2003:134-148; ბრაგვაძე ზ. 1990:27].

ლითონის ნაწარმი. ნაურიალის ადრეელინისტური ხანის 28 სამარხიდან 18 კომპლექსში (№№ 4, 8, 9, 12, 14, 15, 16, 27, 31, 32, 44, 60, 74, 80, 81, 93, 94 და 98) სხვადასხვა ლითონისაგან (ელექტრუმი, ვერცხლი, ბრინჯაო, რკინა) დამზადებული 52 სხვადასხვა

დასახელების ნივთი გამოვლინდა, აქედან: საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების 3 იარაღი; ტანსაცმელთან დაკავშირებული 4 ნივთი; 34 ერთეული სამკაული; ბრინჯაოს 9 ზარაკი; ვერცხლის მონეტა და ერთი ბრინჯაოს გაურკვეველი დანიშნულების ნივთი.

ლითონის ნივთების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ნაურიალის ადრეელინისტური ხანის სამაროვანზე ისევე როგორც აღნიშნული პერიოდის საქართველოს უმრავლეს სამაროვნებზე ხდება იარაღ-საჭურველის, ისევე როგორც დიდი ზომის თიხის ჭურჭლისა და სამეურნეო დანიშნულების ნივთების გაქრობა. ნაურიალის ადრეელინისტური ხანის სამაროვანზე საბრძოლო იარაღებიდან მხოლოდ ერთი შუბისპირი გამოვლინდა. როგორც ცნობილია, სამარხეული ინვენტარის გამარტივების მიზეზად მიჩნეულია გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური ძვრები, მათ შორის კერძო საკუთრებისა და მემკვიდრეობის ინსტიტუტის განმტკიცება [აფაქიძე ან. 1963: 240].

ნაურიალის ადრეელინისტური ხანის სამაროვანზე სამეურნეო იარაღებიდან მხოლოდ რკინის 2 ნაღდი გამოვლინდა (№44 და №98 სამარხები). ორივე იდენტიურია. ახასიათებთ ნისკარტივით მოკაუჭებული წვეტიანი პირი, სწორი ტანი და მართი კუთხით გამოყოფილი სატარე, ოვალური სატარე ხვრელით (ტაბ. III, 36). ისინი ანალოგიურია სოხუმის მთის რკინის ნაღდების I ტიპისა — ყუიანი, რომელსაც დამატებით კვერიც ახლავს და ზოგადად ძვ.წ. VI-II სს-ით თარიღდება [კალანდაძე ალ. 1953:44]. როგორც ცნობილია, სეგმენტის, ცულისა და თიხის მსგავსად, ნაღდიც კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ტიპური იარაღია.

სამკაულიდან ყურადღებას გავამახვილებთ რკინის ფარაკებზე (7 ცალი). სამწუხაროდ, ისინი ძლიერ დაჟანგული, დაშლილი და დაზიანებულია, რის გამოც შეუძლებელია მათზე მოთავსებული გამოსახულების აღდგენა, ხოლო ფარაკის ნაკითხვის გარეშე მათ წარმომავლობაზე მსჯელობა კი — მიუღე-

ბელი. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ საბეჭდავების გაჩენა საზოგადოებაში გარკვეული სოციალური ძვრების მანიშნებელია და დაკავშირებულია ისევ და ისევ კერძო საკუთრების უფლების განმტკიცებასთან [გაგომიძე იულ. 1964:34].

და ბოლოს, აღვნიშნავთ №93 სამარხის ვერცხლის მონეტას — კოლხურ ნახევარდრაჰმას, რომელიც მიცვალებულის თავთან დაფიქსირდა და ე.წ. „ქარონის ობოლად“ იქნა მიჩნეული. როგორც ცნობილია, აღნიშნული წესი საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრიდან ფიქსირდება და შესაბამისად ელინისტური კულტურის ტრადიციების გამოვლენად მიიჩნევა [Лордкипანიძე О. 1985:475].

მძივსამკაული უკანასკნელი ელემენტია ნაურიალის ადრეელინისტური ხანის სამაროვნისა. იგი წარმოდგენილია №№ 8, 15, 16, 32, 43, 60, 65, 94 და 98 სამარხებში აღმოჩენილი 78 ერთეული მძივით. აქედან: სარდიონი - 7 ცალი; მინა - 14 ცალი; გიშერი - 1 ცალი და პასტა — 56 ცალი. ყურადღებას გავამახვილებთ №№ 15, 16, 32 და 43 სამარხებში დადასტურებულ 13 ცალ მინის „თვლიან“ მძივზე, რომლებიც ნაკეთებია ლურჯი, გაუმჭვირვალე მინისაგან და ინკუსტრირებულია თეთრი ძაფების წრეხაზით შექმნილი „თვლებით“. როგორც ცნობილია, საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი მძივების გავრცელებას ძვ.წ. VI საუკუნიდან ადრე შუასაუკუნეებამდე ვარაუდობენ [კილურაძე ნ. ხელნაწერი: 12] .

დათარიღებისათვის. ნაურიალის ადრეელინისტური ხანის სამაროვანზე მოპოვებული კერამიკული ნაწარმის უმეტესობა თვითონ გვევლინება დამათარიღებელ ნივთად. კერძოდ, მსხლისებრტანიანი დოქები და ხელადები, რომლებიც ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. III ს-ით თარიღდება [Нариманишвили Г. 1991:6]. შესაბამისად, ნაურიალის აღნიშნულ სამაროვანზე მსხლისებრტანიანი დოქებისა და ხელადების შემცველი სამარხები, უკლებლივ ადრეელინისტური ხანით უნდა განისაზღვროს (№№3, 8, 9,

12, 15, 16, 21, 27, 31, 32, 65, 73, 74, 80, 81, 86, 93 და 98). აღნიშნულ 18 სამარხში დადასტურებული სხვა ნივთებიც ამ თარიღის სასარგებლოდ მეტყველებს. მაგ.; №93 სამარხის კოლხური თეთრი, №№9, 12 და 32 სამარხების რკინის ფარაკები და სხვ. დარჩენილი სამარხებიდან აღსანიშნავია №№ 4, 35, 60, 70, 87 და 94 სამარხებში დადასტურებული მრგვალპირიანი და დაბალმუცლიანი დოქები და ხელადები, რომლებიც აღნიშნული ჭურჭლის კლასიფიკაციის III ტიპის II ქვეტიპში გავაერთიანეთ. ისინი აღმოსავლურ-ქართული კულტურის წრეს მიეკუთვნება და ტიპოლოგიურად იმ მოხატულ და წითლად შეღებილ დოქებს უკავშირდება, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში ადრეელინისტური ხანიდან ფართოდ ვრცელდება [დავითაშვილი ქ. 2003:133-134].

მაშასადამე, ნაურიალის სამაროვნის ზემოგანხილული 28 სამარხი (№№3, 4, 8, 9, 12, 14, 15, 16, 20, 21, 27, 31, 32, 35, 43, 44, 60, 65, 70, 73, 74, 80, 81, 86, 87, 93, 94 და 98) უკლებრივ ადრეელინისტური ხანით, ანუ ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. III საუკუნით განისაზღვრა.

კოლხური კულტურის ელემენტები მდ. ჭერთხევის ხეობაში. ნაურიალის სამაროვანზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის განხილვამ გვიჩვენა, რომ იგი პარალელურად პოულობს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ნივთიერ კულტურასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნაურიალის სამაროვანი უკიდურესი პუნქტია იმ გზაზე, რომელიც უმოკლესი მანძილით ერთმანეთს აკავშირებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, ამიტომ ნიშანდობლივია, რომ იგი დასავლურ-ქართულ და აღმოსავლურ-ქართულ კულტურათა ურთიერთობის სფეროში ექცევა.

როგორც ცნობილია, ძვ.წ. II ათასწლეულის უკანასკნელ მეოთხედში შიდა ქართლის დასავლეთ რაიონებში აქტიურობას იწყებს კოლხური კულტურის ელემენტები, რომლებიც ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათას-

ნლეულის პირველ ნახევარში მეტ-ნაკლებად შესამჩნევი ხდება მთელ შიდა ქართლში [რამიშვილი ალ. 2001:157]. საინტერესოა, ამ მხრივ რა სურათი გვაქვს ნაურიალის სამაროვანზე აღნიშნულ და მომდევნო ხანებში.

ნაურიალის წინანტიკური ხანის 26 სამარხიდან 14 კომპლექსი შეიცავდა კოლხურ ნივთებს. კერძოდ, №№ 55 და 82 სამარხებში აღმოჩნდა თითო-თითო კოლხური ცული, რომელთაგან №82 სამარხის ბრინჯაოს ეგზემპლარი (ტაბ. I, 6) მივაკუთვნეთ ოთ. ჯაფარიძის კლასიფიკაციის II ტიპს [ჯაფარიძე ოთ. 1950:61], ხოლო №55 კომპლექსის რკინის ეგზემპლარი (ტაბ. II, 18) კი — თ. მიქელაძის ნიგვზიანის ცულების კლასიფიკაციის I ტიპს [მიქელაძე თ. 1985:79]. გარდა აღნიშნული ცულისა, №82 სამარხი კოლხეთთან დაკავშირებულ სხვა არტეფაქტსაც შეიცავდა, კერძოდ, ყურმილიან ხელადას (ტაბ. I, 12). ყურმილიან ხელადას შეიცავდნენ ასევე №№36 და 46 სამარხებიც. აღნიშნული სამაროვნის №№1 და 42 სამარხებში აღმოჩენილი 2 ბრინჯაოს თოხი (ტაბ. I, 9,11) ანალოგიურია დ. ქორიძის ბრინჯაოს თოხების კლასიფიკაციის II ტიპის III სახეობის, ე.წ. ტრაპეციისებრი თოხებისა [ქორიძე დ. 1965:85]. გარდა ამისა, №1 სამარხში კოლხეთთან დაკავშირებული სხვა ნივთიც აღმოჩნდა, კერძოდ, ბრინჯაოს ერთნილადი, ორნამენტირებული (წინვური ორნამენტი) ფიბულა (ტაბ. II, 13). კოლხურ კულტურას უკავშირდება №89 სამარხში მოპოვებული ორნამენტირებული ბრინჯაოს მართკუთხა ბალთა, №77 კომპლექსში აღმოჩენილი ე.წ. „პეპლისმაგვარი“ ბრინჯაოს ბალთა (ტაბ. II, 16), №30 სამარხში დაფიქსირებული რკინის სატევრის სატარის ფრაგმენტი, რომლის მსგავს ნიმუშებს რ. პაპუაშვილი III ჯგუფის I ტიპში აერთიანებს [პაპუაშვილი რ. 1977:67], №64 კომპლექსში მოპოვებული სნორპირიანი რკინის სატევარი, რომელიც კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნებისათვის დამახასიათებელი იარაღია [მიქელაძე თ. 1985:37] და რაც მთავარია, №13 სამარხში გამოვლენილი ბრინჯაოს სამკუთხა ისრისპირი (ტაბ.

I, 10), რომელიც ფორმის სიმარტივითა და ნაკლებ დიფერენცირებული ხასიათით განსხვავდება აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ყუნწიანი სამკუთხა ისრისპირებისაგან და დასავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელ ვარიანტს უახლოვდება, კერძოდ კი, დაბლაგომის ცნობილ ისრისპირს, რომელიც ამ ტიპის ისრისპირების კოლხური ვარიანტის გამოყოფის საფუძველი გახდა [Куртин Б. 1941:56]. აქვე აღვნიშნავთ №№13, 23, 46, 61 და 77 სამარხებში აღმოჩენილ 6 სასმისს (ტაბ. II, 20,23), რომლებიც ტანის ფორმითა და ყურის ტანზე დასმის ადგილით ანალოგიურია ძვ.წ. VI ს-ში ფართოდ გავრცელებული კოლხური სასმისებისა და ბოლოს, განვიხილავთ №57 სამარხში აღმოჩენილ ტოლჩას (ტაბ. II, 22), რომელიც იდენტურია — თ. მიქელაძის კლასიფიკაციით — ტოლჩების III ტიპისა (ე.წ. კასრისებური [მიქელაძე თ. 1985:21]). იგი ადრერკინის ხანის კოლხური სამაროვნებისათვის დამახასიათებელი ფორმაა და პროტოკოლხური ტიპის ტოლჩების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს.

მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ნაურიალის წინარეანტიკური ხანის 26 სამარხიდან №14 კომპლექსში კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი 20 ნივთი (2 ცული, 2 თოხი, 2 სატევარი, 2 ბალთა, 1 ისრისპირი, 1 ფიბულა, 6 სასმისი, 3 ყურმილიანი ხელადა და 1 ტოლჩა) აღმოჩნდა. მიუხედავად კოლხური ელემენტების სიუხვისა, ნაურიალის წინარეანტიკური ხანის სამაროვანზე ის არა თუ სჭარბობს ადგილობრივ აღმოსავლურ მასალას, არამედ თანაბარიც კი არ არის. მთლიანად აღნიშნულ სამაროვანზე 207 სხვადასხვა დასახელების ნივთი დაფიქსირდა, აქედან: კერამიკული ნაწარმი 34 ერთეული (33 ჭურჭელი და 1 კვირისტავი); საბრძოლო და სამეურნეო დანიშნულების 27 იარაღი; სამკაული 101 ერთეული; ტანსაცმელთან დაკავშირებული 10 ნივთი; 3 სალესი ქვა; 16 სარიტუალო საგანი; 7 ნადნობი; 1 გაურკვეველი დანიშნულების ნივთი და 8 შედგენილი მძივსამკაული, სა-

ერთო რაოდენობით 349 ერთეული მძივი. ე.ი. ნაურიალის წინარეანტიკური ხანის სამაროვანზე გამოვლენილი 207 ნივთიდან კოლხური წარმომავლობისა თუ იერის მქონე მხოლოდ 20 ნივთია (10%). მაშასადამე, ნაურიალის წინარეანტიკური ხანის სამაროვანზე გაბატონებულია ადგილობრივი აღმოსავლურ-ქართული კულტურა. თუმცა, შიდა ქართლის უმეტესი ძეგლებისაგან განსხვავებით (რა თქმა უნდა, აქ არ ვგულისხმობთ იმ ძეგლებს, რომლებიც გამონაკლისს წარმოადგენს და უხვად შეიცავს კოლხურ (მზეთამზის სამაროვანი — ბორჯომის ხეობა [Насидзе Г. ... 1991:87-89]) და კოლხურ-ყოზანურ (თლიას სამაროვანი [Техов В. 1981:23]) სამყაროსათვის დამახასიათებელ ნივთებს) ნაურიალის სამაროვანზე შედარებით უფრო აშკარად გამოხატულია კოლხური იერის კერამიკა და ლითონის ნაწარმიც. რაც სრულიად ბუნებრივია ამ ხეობის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. ცხადია, გარკვეული როლი იმანაც ითამაშა, რომ ქერათხევეში, ალბათ, კოლხეთ-ქართლის დამაკავშირებელი ერთ-ერთი რეგიონალური მნიშვნელობის გზაც გადიოდა.

ასევე საინტერესოა, თუ რამდენადაა მოქცეული ნაურიალის სამაროვანი კოლხური კულტურის არეალში ადრეანტიკურ ხანაში.

ნაურიალის სამაროვნის ადრეანტიკური ხანის 34 სამარხიდან 13 კომპლექსი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ 18 ნივთს შეიცავდა. კერძოდ, №№24 და 25 სამარხებში აღმოჩნდა რკინის 2 ყუაკვერიანი ცული (ტაბ. II, 29,31), რომელთა ფორმის საფუძველი კოლხური ტიპის (ოთ. ჯაფარიძის კლასიფიკაციით, კოლხური ცულების II ტიპი [ჯაფარიძე ოთ. 1950:60]) ბრინჯაოს ცულებში ეძებნება. №№ 6, 40 და 90 კომპლექსებში დადასტურდა 4 ვერცხლის ცალსხვიანი საყურე; №№ 2, 6, 24, 39, 48, 84 და 95 სამარხებში აღმოჩნდა 7 ყურმილიანი ხელადა; №22 სამარხში აღმოჩნდა ურეკის ადრერკინის სამაროვანზე მოპოვებული ტოლჩების კლასიფიკაციის IV ტიპის [მიქელაძე თ. 1985:21] ანალოგიური ტოლჩა (ტაბ. II, 24); ხოლო №№

39, 50 და 95 კომპლექსებში — ნიგვზიანის სამაროვანზე მოპოვებული ტოლჩების კლასიფიკაციის III ტიპის I ქვეტიპის (ანუ კასრისებური [მიქელაძე თ. 1985:73]) ანალოგიური 3 ტოლჩა. და ბოლოს, აღვნიშნავთ №68 სამარხში დაფიქსირებულ სასმისს, რომელიც რიგი ელემენტებით — ტანის მოყვანილობით, ყურის ფორმითა და მისი კორპუსზე დასმის ადგილით — უახლოვდება ძვ.წ. VI საუკუნეში ფართოდ გავრცელებულ კოლხურ სასმისებს და იმ ხანას განეკუთვნება, როცა შუა კოლხური ხანის I ეტაპის კოლხურ სასმისებს ეყრება საფუძველი [მახარაძე გ. 2000:45-47]. მაშასადამე, ნაურიალის ადრეანტიკური ხანის სამაროვანი კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ 18 ნივთს შეიცავდა (2 ცული, 4 ცალსხვიანი ვერცხლის საყურე, 7 ყურმილიანი ხელადა, 4 ტოლჩა და 1 სასმისი). როგორც ჩანს, ადრეანტიკურ ხანაში ნაურიალის სამაროვანზე კოლხური კულტურის არტიფაქტების პროცენტული ოდენობა შედარებით უფრო მატულობს და აქ აღმოჩენილ თიხისა და რკინის 124 ნივთიდან (აქედან, 73 კერამიკული და 51 ლითონის ნაწარმი) 18 ნივთია კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი (14,5%). მაშასადამე, ნაურიალის სამაროვანზე ადრეანტიკურ ხანაშიც გაბატონებულია ადგილობრივი, აღმოსავლურ-ქართული კულტურა, თუმცა, მატულობს კოლხური ელემენტი, რაც მარტივად აიხსნება ძვ.წ. VI—IV სს-ის კოლხეთის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული აღმავლობით.

დასავლეთ საქართველოდან მომდინარე კულტურულ იმპულსებზე საუბრისას, არ შეიძლება არ აღინიშნოს ის პოლიტიკურ-ეკონომიკური ძვრები, რომელიც წინარეანტიკური ხანის ბოლოდან თავს იჩენს დასავლეთ საქართველოში, უფრო კონკრეტულად, მის უკიდურეს აღმოსავლეთ რეგიონში — ზემო იმერეთში, ჩვენი საკვლევი ტერიტორიის მეზობლად. როგორც ცნობილია, ძვ.წ. VIII-VII სს-ში ყვირილის ხეობა შიდა ქართლის დასავლეთ რაიონებთან ერთად ქმნიდა თავისებურ, შერეულ კულტურულ არეალს, სადაც

თითქმის ერთნაირი ინტენსივობით ვრცელდებოდა როგორც კოლხური, ისე აღმოსავლურ-ქართული კულტურები. ძვ.წ. VII ს-ის ბოლოდან კი, მდგომარეობა იცვლება. თანდათან იდევნება ძველი, როგორც კოლხური, ასევე აღმოსავლურ-ქართული კერამიკული ფორმები და ორნამენტი, მაგრამ პარალელურად ხდება ახალი, შუაკოლხური ხანის I ეტაპისათვის დამახასიათებელი ნაწარმის დამკვიდრება, რის შედეგადაც კოლხური ტრადიციები არა მხოლოდ ინარჩუნებს თავს, არამედ ვითარდება და ძლიერდება. აღმოსავლური კი, პირიქით, გარკვეულ პერიოდში არსებობს ინერციით, შემდეგ კი თითქმის მთლიანად ქრება [მახარაძე გ. 2000: 53].

ჩვენთვის ამჯერად გაცილებით საინტერესოა, აღნიშნულ პერიოდში კოლხური კულტურის აღმოსავლეთით გავრცელების საზღვრის დადგენა, ვინაიდან როგორც ცნობილია, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში იგი ზუსტად ვერ იკითხება. დღემდე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის მიხედვით, აღნიშნული საზღვარი სულ უფრო მკაფიოდ იფარგლება ლიხის ქედით, კერძოდ, გორაძირი ჯერ-ჯერობით უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტია, სადაც სრულად არის წარმოდგენილი სუფრის, სამზარეულო და სამეურნეო დანიშნულების კოლხური კერამიკული ნაწარმი. უფრო აღმოსავლეთით, კერძოდ შიდა ქართლში გზას იკვლევს ძირითადად სუფრის ჭურჭელი [მახარაძე გ. 2000:53]. ამ ვარაუდის სასარგებლოდ უნდა მეტყველებდეს ის ფაქტი, რომ შიდა ქართლის უკიდურეს დასავლეთ საზღვარზე, კერძოდ ნაურიალის სამაროვანზე, აღნიშნულ პერიოდში, კოლხური კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია მხოლოდ სუფრის ჭურჭლით (სასმისები, ხელალები, ფიალები). მაშასადამე, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოვთქვათ ვარაუდი, რომ ნაურიალის სამაროვანი, ადრეანტიკურ ხანაში (ყოველ შემთხვევაში მის სანყის ეტაპზე მაინც) ერთგვარად ექცევა კოლხური კულტურის არეალში, მაგრამ არ განიცდის მის გავლენას.

და ბოლოს, გვინდა განვიხილოთ ნაურიალის ადრეელისტიური ხანის სამაროვანზე წარმოდგენილ არქეოლოგიურ მასალაში კოლხური ელემენტების გავრცელების ხასიათი და სიმძლავრე.

ნაურიალის ადრეელისტიური ხანის სამაროვნის 28 სამარხიდან მხოლოდ 8 კომპლექსი შეიცავდა კოლხური წარმომავლობისა თუ იერის ნივთებს. კერძოდ, №№44 და 98 სამარხებში აღმოჩნდა რკინის 2 წალდი (ტაბ. III, 36). როგორც ცნობილია, სეგმენტის, ცულისა და თოხის მსგავსად, წალდიც მხოლოდ კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ტიპური იარაღია [ძიძიგური ლ. 2000:27]. № 3 სამარხში დაფიქსირდა ბრინჯაოს დაწახნაგებულღეროიანი, შედგენილი, რკალური ფიბულა, ხოლო №93 კომპლექსში კი — კოლხური ვერცხლის ნახევარდრაქმა. აღსანიშნავია ჩვენს მიერ გამოყოფილი პირმრგვალი დოქების I ქვეტიპის 1 დოქი და ხელალების III ჯგუფის 4 ხელადა, რომლებიც ფორმითა და მოყვანილობით ტიპური კოლხური კერამიკაა (ცილინდრული ყელი, სწორი პირი, რომელიც ყელისაგან გამოყოფილი არ არის, მეტ-ნაკლებად ბიკონუსური მუცელი და ბრტყელი ძირი) და გენეტიკურად დაკავშირებულია წინარე ხანის თიხის ნაწარმთან [თოლორდავა ვ. 1980:8]. და ბოლოს, აღვნიშნავთ №93 სამარხში აღმოჩენილ ყურმილიან ხელადას.

მაშასადამე, ნაურიალის ადრეელისტიური ხანის 28 სამარხში მოპოებული თიხისა და ლითონის 97 ნაწარმიდან კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი მხოლოდ 10 ნივთია (2 რკინის წალდი, 1 ბრინჯაოს ფიბულა, 1 კოლხური ვერცხლის ნახევარდრაქმა, 1 დოქი, 4 ხელადა და 1 ყურმილიანი ხელადა) (დაახლოებით 10%). როგორც ჩანს, ადრეელისტიურ ხანაში ისევე კლებულობს კოლხური კულტურის ელემენტები ნაურიალის სამაროვანზე და აქ აშკარად ბატონდება აღმოსავლურ-ქართული კულტურა, რაც თავის-თავად მოულოდნელი არ უნდა იყოს. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში, დასუსტებული კოლხეთის ცენტრალურ და აღმო-

სავლეთ რაიონებში მიმდინარეობს ქართი-ზაციის პროცესი და აღმოსავლეთ კოლხეთი გარკვეული დროის განმავლობაში ქართლის სამეფოს ფარგლებშიც კი ექცევა. სწორედ ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბებისთანავე აშკარად გამოიხატა კერამიკულ წარმოებაში გავლენათა გავრცელების ახალი მიმართულება — აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ [ბრაგვაძე ზ. 1990:27].

მაშასადამე, ნაურიალის სამაროვნის ფუნქციონირების პერიოდში (ძვ.წ. VIII-III სს.) გაბატონებულია ადგილობრივი აღმოსავლურ-ქართული კულტურა.

დასკვნა. ნაურიალის სამაროვანზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოებული არქეოლოგიური მასალის შესწავლა შემდეგი დასკვნების საშუალებას იძლევა:

1. ნაურიალის სამაროვანი ფუნქციონირებდა ძვ.წ. VIII-III სს-ში.

2. ნაურიალის სამაროვანზე სამი ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო: წინარეანტიკური, ადრეანტიკური და ადრეელინისტური.

3. სამაროვანზე დადასტურებული არქეოლოგიური მასალა პარალელურად პოულობს ძირითადად შიდა ქართლისა და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს სინქრონულ ძეგლებთან.

4. ნაურიალის სამაროვანი ერთგვარად ექცევა მეზობელი, კოლხური კულტურის არეალშიც, განსაკუთრებით ადრეანტიკურ ხანაში, რაც კოლხური კულტურის მთავარი ელემენტების (თოხების, ცულების, ყურმილიანი ხელაძების, სასმისების, ტოლჩებისა და სხვ.) გავრცელებით გამოიხატა.

5. მიუხედავად იმისა, რომ ნაურიალის წინარეანტიკური, ადრეანტიკური და ადრეელინისტური ხანის სამარხებში წარმოდგენილია კოლხური წარმომავლობისა თუ იერის მქონე ნივთები, აღნიშნულ პერიოდებში ნაურიალის სამაროვანზე აღმოსავლურ-ქართული ანუ შიდა ქართლური კულტურა დომინირებს და შესაბამისად, მდ. ჭერათხევის ხეობასა და თვით ნაურიალის სამაროვანზე გაბატონე-

ბულია აღმოსავლურ-ქართული კულტურა.

6. მიუხედავად კოლხური იერის მქონე ნივთების არც თუ დიდი ოდენობისა, ისინი მაინც კარგად ასახავენ კოლხური კულტურის ინფილტრაციის დინამიკას აღმოსავლეთის მიმართულებით. კერძოდ, ეს იმპულსები შედარებით სუსტია წინარეანტიკურ ხანაში (არქეოლოგიური მასალის 10%); ადრეანტიკურ ხანაში იგი სრულიად ლოგიკურად მატულობს (არქეოლოგიური მასალის 14,5%); ხოლო ადრეელინისტურ ხანაში კი — ასევე ლოგიკურად კლებულობს (არქეოლოგიური მასალის 10%), რაც ზოგადად შეესაბამება კოლხეთის სამეფოს ფორმირების, ძლიერებისა და დასუსტების პოლიტიკურ ეტაპებს.

ლიტერატურა:

აბრამიშვილი რ. 1957: სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, — სსმმ, XIX-A, და XXI-B. თბილისი.

ავალიშვილი გ. 1974: ქვემო ქართლი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი.

აფაქიძე ან. 1963: ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში. თბილისი.

ბრაგვაძე ზ. 1990: კოლხეთის აღმოსავლეთ რეგიონების ქართიზაციის საკითხისათვის, — მაცნე, ისტორიის სერია, №40.

გაგოშიძე იულ. 1964: ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან. თბილისი.

გოგაძე ელ., დავლიანიძე ც. 1981: გორაძირი. თბილისი.

დავითაშვილი ამ. 1996: „მეომრის“ სამარხის სოფელ მცხეთიჯვრიდან. — ზ. ბრაგვაძე (რედ.) ნარკვევები, II. თბილისი.

დავითაშვილი ქ. 2003: მცხეთიჯვრის ნაურიალის სამაროვანი (ძვ.წ. VIII-III სს.), საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაბეჭდი. თბილისი.

დავლიანიძე ც. 1983: ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში. თბილისი.

თოლორდავა ვ. 1980: დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბილისი.

კალანდაძე ალ. 1953: სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები. სოხუმი.

კალანდაძე ალ. 1982: სამთავროს წინა-ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა VI. თბილისი.

კიკვიძე იაზ. 1976: მინათმოქმედება და სამინათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.

კილურაძე ნ. მძივები დაფნარის სამაროვნიდან, ხელნაწერი.

კობაიძე ლ. 1978: ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, რკინის კალო. თბილისი.

მაკალათია ს. 1948: დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები. თბილისი.

მახარაძე გ. 1991: საბადურის გორის სტრატეგრაფია და საირხის ნაქალაქარის ისტორიის ძირითადი ეტაპები. თბილისი.

მახარაძე გ. 2000: საირხის ნაქალაქარის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპი, — არქეოლოგიური ჟურნალი II, თბილისი.

მენაბდე მ., დავლიანიძე ც. 1968: თრიალეთის სამაროვნები, კატალოგი I. თბილისი.

მიქელაძე თ. 1974: ძიებანი კოლხეთისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი.

მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამარხები. თბილისი.

მუსხელიშვილი დ. 1978: ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა. თბილისი.

ნარიძე გ. 1989: ადრეანტიკური ხანის ქართლის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაციის საკითხისათვის, — მაცნე, 1. თბილისი.

პაპუაშვილი რ. 1977: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური სატევრების კლასიფიკაცია, — გურია II. თბილისი.

რამიშვილი ალ. 2001: კოლხური და შიდა ქართლური კულტურების ურთიერთობის საკითხები ნაცარგორის სამაროვნის მიხედვით. - კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს არქეოლოგიის საკითხები, ძიებანი, დამატებანი, VI. თბილისი.

ფანცხავა ლ., მაისურაძე ბ. 2001: ბრინჯაოს ანთროპომორფული ფიგურები შილდის სამლოცველოდან, — კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. თბილისი.

ფანცხავა ლ. 1993: კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.

ფირცხალავა მ. 2001: საქართველოს ე.წ. სკვითური ინვენტარიანი არქეოლოგიური კომპლექსების დათარიღების საკითხისათვის, — ანტიკური ხანის კოლხეთის არქეოლოგიის საკითხები. თბილისი.

ქორიძე დ. 1956: ერთი ქვაყუთის სამარხეული ინვენტარი ზემო ავჭალიდან, — სსმმ, XIX-B. თბილისი.

ქორიძე დ. 1961: შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენა სოფ. კურზუში (გეგეჭკორის რ-ნი), — სსმმ, XXII-B. თბილისი.

ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ძიძიგური ლ. 2000: ამიერკავკასიის უძველესი სამინათმოქმედო კულტურა. თბილისი.

ნერეთელი მ. 2001: გველის გამოსახულება ძეგლებზე (ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარი), — საქართველოს ხელოვნების მუზეუმის II სამეცნიერო სესია (მასალები). თბილისი.

ჯაფარიძე ოთ. 1950: კოლხური ცული, სსმმ, XVI-B. თბილისი.

ჯღარკავა თ. 1982: კამარხევის სამაროვანი ძვ.წ. IV-III საუკუნეების სამარხეული კომპლექსები. - მცხეთა VI. თბილისი.

Алексеева Е. 1982: Античные бусы Северного Причерноморья, АС. Г₁₋₁₂. Москва.

Гогодзе Э., Панцхава Л., Дариспанашвили М. 1977: Работы Носир-Мухурчской археологической экспедиции в 1974-75 гг. — სსმავ, V. თბილისი.

Куртин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети. Тбилиси.

Куртин Б. 1950: Материалы к археологии Колхиды, т.II. Тбилиси.

Лордкипანიძე О. 1985: Вани в IV-II вв. до

ნ.ა., — «Причерноморья в эпоху Эллинизма». Тбилиси.

Нариманишвили Г. 1991: Керамика Картли V-I вв. до. нашей эры. Тбилиси.

Насидзе Г., Личели В. 1991: Об ареале колхидской культуры, — Причерноморье в VII-V вв. до н.э. Тбилиси.

Техов Б. 1981: Тлийский могильник, II. Тбилиси.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I - სურ. 1 - მდ. ჭერათხევის ხეობის (სოფ. მცხეთიჯვრის მონაკვეთის) ტოპოგრაფიული გეგმა; სურ. 2 — №82 სამარხის ხარის ბრინჯაოს ფიგურა; სურ. 3 — №82 სამარხის ბრინჯაოს ფიგურებიანი ძეწკვი; სურ. 4 — №82 სამარხის ცხენის ბრინჯაოს ფიგურა; სურ. 5 — №82 სამარხის მამაკაცის ბრინჯაოს ფიგურა; სურ. 6 — №82 სამარხის ბრინჯაოს ცული; სურ. 7 — №82 სამარხის მძივები; სურ. 8 — №82 სამარხის შვეულსახელურიანი კოჭობი; სურ. 9 — №42 სამარხის ბრინჯაოს თოხი; სურ. 10 — №13 სამარხის ბრინჯაოს ისრისპირი; სურ. 11 — №1 სამარხის ბრინჯაოს თოხი; სურ. 12 — №82 სამარხის თიხის ყურმილიანი ხელადა.


ტაბ. II - სურ. 13 — №1 სამარხის ბრინჯაოს ფიბულა; სურ. 14 — № 17 სამარხის ბრინჯაოს ბეჭედი; სურ. 15 — №71 სამარხის ბრინჯაოს

სატევარი; სურ. 16 — №77 სამარხის ბრინჯაოს ბალთა; სურ. 17 — №55 სამარხის ბრინჯაოს ბალთა; სურ. 18 — №55 სამარხის რკინის ცული; სურ. 19 — №59 სამარხის ბრინჯაოს სატევარი; სურ. 20 — №23 სამარხის თიხის სასმისი; სურ. 21 — №71 სამარხის თიხის ლანგარი; სურ. 22 — №57 სამარხის თიხის ტოლჩა; სურ. 23 — № 13 სამარხის თიხის სასმისი; სურ. 24 — ნაურიალის სამაროვნის №22 სამარხის თიხის ტოლჩა; სურ. 25 — №103 სამარხის თიხის ფიალა; სურ. 26 — ნაურიალის სამაროვნის №103 სამარხის რკინის ცული; სურ. 27 — №67 სამარხის თიხის უყურო კოჭობი; სურ. 28 — № 7 სამარხის თიხის დოქი; სურ. 29 — №24 სამარხის რკინის ცული; სურ. 30 — №68 სამარხის ბრინჯაოს სამაჯური; სურ. 31 — №25 სამარხის რკინის ცული.

ტაბ. III - სურ. 32 — ნაურიალის ადრეანტიკური ხანის სამაროვნის № 7 სამარხი; სურ. 33 — № 17 სამარხის თიხის ცალყურა ქოთანნი; სურ. 34 — № 6 სამარხის თიხის ქოთანნი; სურ. 35 — №4 სამარხის თიხის დოქი; სურ. 36 — №44 სამარხის რკინის წალდი; სურ. 37 — №21 სამარხის თიხის დოქი; სურ. 38 — № 20 სამარხის თიხის კოჭობი; სურ. 39 — №20 სამარხის თიხის დოქი.




მდ. ჭერათხევის ხეობის
(სოფ. მცხეთიჯვრის მონაკვეთის)
ტოპოგრაფიული გეგმა




1

0 800
1: 20000




2



3




4



5




6



7




8




9



10







11



12




II



III



სამატი 7



32




33



34



35



36



37



38



39

ანტიკური კულტები საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქებში

ახალი ნელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში წყაროების მიხედვით, ტრაპიზონიდან სებასტოპოლისის — ბიჭვინთის მხარემდე ცხოვრობდნენ კოლხები, მაკრონები, ჰენიოხები, ძიდრიტები, ლაზები, აფსილები, აბაზგები და სანიგები [ფლავიუს არიანე, 1961:42-43]. მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლეობდნენ სვანები,¹ აფსილები,² აბაზგები,³ ჰენიოხები⁴ (პლინიუსი, NH., VI,14), რომელთა ადგილსამყოფელი საუკუნეების მანძილზე იცვლებოდა. ახ.წ. II ს. დასავლეთ საქართველოში ელინისტური ხანის კოლხეთის სამეფოს ნაცვლად უკვე ჩამოყალიბებულია ცალკეული სამეფო-სამთავროები. არიანეს ცნობით ეს სამთავროებია: „მახლონების (მაკრონების) და ჰენიოხების“, „ლაზების სამეფო“, „აფსილების სამეფო“, აბაზგებისა და სანიგების სამთავროები [ფლავიუს არიანე, 1961:43]. აქედან დანარჩენი ტერიტორია კი ჯიქებს ჰქონდათ დაპყრობილი [მელიქიშვილი გ. 1970:540-541]. რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, კოლხეთის სამეფოს დაცემასა და მის პატარ-პატარა სამეფო-სამთავროებად დაშლაში, ხოლო მეორე მხრივ, უდიდესი იმპერიის პოლიტიკურ ზრახვებში უნდა ვეძიოთ.

საქართველოს შავიზღვისპირეთის ქალაქები აფსაროსი, ფასისი, სებასტოპოლისი, პიტიუნტი (ახ.წ. II საუკუნიდან) ახ.წ. I-IV სს. რომისათვის სტრატეგიული დანიშნულების მნიშვნელოვან თავდაცვით სისტემაში შედიოდნენ, როგორც პროვინცია კაპადოკიის გარკვეული ნაწილი, რომელიც რომაელთა ბატონობის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ფორპოსტი იყო კავკასიაში. ამ დროს კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებში რომაელთა გარნიზონები იდგა.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა იმ ფაქტის გარკვევა, თუ რამდენად აისახა

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური სიტუაცია რელიგიურ მდგომარეობაზე. კერძოდ, რა სიტუაცია იყო ანტიკური ღვთაებების (ჩვენ შემთხვევაში ქალღვთაებების) გავრცელების თვალსაზრისით აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქებში — აფსაროსსა და პიტიუნტში.

აფსაროსი, რომელსაც მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდებარეობა ჰქონდა, უშუალოდ ემეზობლებოდა იმ დროისათვის საკმაოდ ძლიერ და რომისათვის მნიშვნელოვან იბერიის სამეფოს, არიანეს დროს (ახ.წ. 131 წ.) უკვე იყო „ჩასტელა ურატა“ ტიპის მუდმივმოქმედი კასტელუმი. აფსაროსი რომაული ციხესიმაგრეების საერთო სტანდარტებიდან გამომდინარე, საშუალო სიდიდის ბანაკების კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს, სადაც „ხუთი კოჰორტა“ იდგა (არიანე, PPE, 6). მკვლევართა უმეტესობას აფსაროსში დისლოცირებული სამხედრო შენაერთები ლეგიონურ გარნიზონად მიაჩნია [Millford T.B. 1975:169-170]. როგორც ცნობილია, II ს.-ში ლეგიონის ძირითადი ერთეული — კოჰორტა 600 მეომრისაგან შედგებოდა. წყაროდან გამომდინარე გამოდის, რომ აქ 3000 ჯარისკაცი იდგა. სამხედრო ძალის ამგვარი კონცენტრაცია კი საკმაოდ დიდია ნებისმიერი ციხე-სიმაგრისათვის [შპაიდელი მ. 1985:135]. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს წარწერა აბელიდან, ქ. ნოლას (იტალია) მახლობლად, რომელიც გვამცნობს, რომ მარციო პრეტორიო ცელერი დაჯილდოებული იყო ტრაიანეს მიერ პართიის წინააღმდეგ (113-117 წწ.) ბრძოლაში მონაწილეობის გამო, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში პონტოს აფსაროსში განლაგებული რომის დამხმარე ნაწილების სარდლის მოვალეობას ასრულებდა [Ельницкий Л.

1938:310-311]. ნუმერები, თავის მხრივ, წარმოადგენდა სასაზღვრო დამხმარე ნაწილებს, რომლებიც განლაგებულნი იყო საშუალო ზომის სიმაგრეებსა და სათვალთვალ პუნქტებში, რომელთა მოვალეობასაც ახლომდებარე სიმაგრეების თვალყურის დევნება წარმოადგენდა. მკვლევართა ნაწილი აღნიშნულ სამხედრო შენაერთებს დამხმარე კოჰორტებად თვლის და აღნიშნავენ, რომ აფსაროსის სიმაგრის ზომებიდან გამომდინარე (195x245 მ), ის დაახლოებით 1200-1400 ჯარისკაცს იტევდა, რაც საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენდა. აფსაროსის გარნიზონი ფასისის, სებასტოპოლისისა და პიტიუნტის გარნიზონთა რაოდენობას საგრძნობლად სჭარბობდა, რაც გამონვეული იყო იბერიის ძლიერ სამეფოსთან უშუალო მეზობლობით, რომელიც მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს — დარილის ხეობას აკონტროლებდა. ერთდროულად აფსაროსი წარმოადგენდა მოსახერხებელ პუნქტს მთელი კავკასიის გასაკონტროლებლად. ამასთანავე, რომის იმპერიისათვის იგი უკიდურესი აღმოსავლეთ ფორპოსტია, რომელთანაც დაკავშირება შესაძლებელი იყო ზღვით. აფსაროსი Sperrfest'-ი, დამცავი პუნქტია კავკასიის მხრიდან საშიშროების შემთხვევაში [Мамуладзе Ш. ... 2002:33-39]. აფსაროსში დისლოცირებული რომაული ჯარის ნაწილების არსებობას არაერთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი ამტკიცებს.

II ს. პირველ ნახევარში რომაელთა სამფლობელოები სებასტოპოლისთან მთავრდებოდა (არჩანე, PPE, 17). მათი ბატონობის ძირითადი საყრდენი პუნქტი აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში თავდაპირველად სებასტოპოლისის კასტელუმი იყო. ახ.წ. II საუკუნის ბოლოდან, რომაელთა უკიდურესი სასაზღვრო ფორპოსტი დასავლეთ ამიერკავკასიაში სებასტოპოლისის „ფრურიონიდან“ პიტიუნტის ციხესიმაგრეში გადადის, რასაც წყაროებიც ადასტურებენ.

თეოდორიტი კვირელი (394-457 წწ.), რო-

დესაც იოანე ოქროპირის პიტიუნტში გადასახლებას ეხება აღნიშნავს, რომ „პიტიუნტი არის უკიდურესი საზღვარი პონტოსი და რომაელთა სამფლობელოსი“ (თეოდორიტი, V, 34). რომაული სამხედრო ნაწილების ჩადგომა პიტიუნტში ახ.წ. II ს. შუა ხანებიდან, კერძოდ 135-152 წწ. შეიძლება ვივარაუდოთ, რაც მომთაბარე ტომების — ჰენიოხების თავდასხმას უნდა დავუკავშიროთ. პიტიუნტი II ს. ბოლოდან მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე ხდება. როგორც აღვნიშნეთ, ახ.წ. II საუკუნის ბოლოს რომის ბატონობის ფორპოსტი სებასტოპოლისის „ფრურიონიდან“ გადადის პიტიუნტში, სადაც რომაელები აგებენ საფორტიფიკაციო ნაგებობებს და სადაც ჩნდება საქალაქო დასახლება (კანაბე). პროკოფი კესარიელის მიხედვით, სანიგების მიწის ზღვისპირა ნაწილი ძველთაგანვე ეპყრათ რომაელებს, რომლებმაც აქ ორი ქალაქი სებასტოპოლისი და პიტიუნტი ააგეს. II ს. შუა ხანებში პიტიუნტში ჩაყენებულია XV ლეგიონის⁵ ვექსილაცია, რომლის რაოდენობა ბიჭვინთის კასტელუმის ზომების მიხედვით (140x170 მ), ერთ კოჰორტას არ აღემატება. აქედან გამომდინარე, პიტიუნტის კასტელუმიც საკოჰორტო, საშუალო სიდიდის ციხესიმაგრედ უნდა ჩაითვალოს [გამყრელიძე გ. ... 2006:73].

გლიპტიკური მასალის შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ პერიოდის ისტორიულ-კულტურული პროცესების გაგებისათვის. მათი გაანალიზება ნათლეს ჰფენს ქვეყნის, ქალაქის სოციალურ, კულტურულ განვითარებას. გემების მფლობელის ქონებრივ მდგომარეობას. ჭრილაქვები გვევლინება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლად რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, არსებული კულტების, გავრცელებული ღვთაებების შესახებ. რელიგიის შესწავლა კი ბევრი პოლიტიკური მოვლენის ახსნის გასაღებია, რადგან იგი უშუალო კავშირშია ქვეყანაში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესებთან. ნაშრომში შესწავლილი გვაქვს აფსაროსსა და პიტიუნტში აღმოჩენილი გლიპტიკის ნიმუშები, რომლებზეც დაფიქსირებულია ქალღვთაებები.

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ როგორც ანტიკური მითოლოგიიდან არის ცნობილი, ერთიდაიგივე ღვთაებას შესაძლოა სხვადასხვა ბუნება ჰქონოდა და ერთიდაიმავე დროს რამდენიმე დანიშნულების ღმერთად გვევლინებოდა, რადგან როგორც ცნობილია, ისინი დროთა განმავლობაში რიგ შემთხვევაში იძენდნენ გარკვეულ თვისებებს, რიგ შემთხვევაში კი კარგავდნენ, რაც კონკრეტული გამოსახულებების შესწავლამ უნდა გაარკვიოს. სწორედ ამის გამო ჩვენ ამოცანას წარმოადგენდა განგვესაზღვრა თუ კონკრეტულად რომელ ღვთაებას რის გამო სცემდნენ თავიანთს გონიო-აფსაროსსა და პიტიუნტში და რასთან იყო ყოველივე ეს დაკავშირებული.

ანტიკური ხანის ბოლოს თვალში საცემია ის ფაქტი, რომ ერთიდაიგივე სიუჟეტების ხანგრძლივი კოპირების პერიოდში გამოსახულებანი კარგავენ დახვეწილობას, ფორმათა სიმკვეთრეს. ხშირად იგრძნობა, რომ ოსტატს კარგად არ ესმის ცალკეული დეტალის მნიშვნელობა და მექანიკურად გადააქვს დაკანონებული სქემა. ამ მხრივ, საერთო სურათს გონიო-აფსაროსსა და პიტიუნტის სამაროვანის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ჭრილაქვებიც არ არღვევს.

ქალღვთაება აფსაროსის ტერიტორიაზე აღმოჩენილ მხოლოდ ერთ ინტალიოზეა წარმოდგენილი. ეს არის ტიხე-ფორტუნა — ბედისწერის ქალღმერთი, რომელიც გამოსახულია თავით პროფილში მარჯვნივ, ტანით პირდაპირ. ღვთაება დგას გრძელი ქიტონით შემოსილი. მარცხენა ხელში სიუხვის ყანნი უჭირავს. მარჯვენათი საჭეს ეყრდნობა (ინვ. № 265). გონიო-აფსაროსი, SW, 2000 წ. ციხის ჩრდილო-დასავლეთ კუთხე, A.II. ფენა 7. ინტალიო წარინჯისფერი ტოპაზისა, ოვალური ფორმის, ზედაპირბრტყელი (სურ. 1). ინტალიო დაზიანებულია, გვერდები აქვს ოდნავ მომტვრეული. ზომები: ზედაპირის სიგრძე 10 მმ, სიგანე 8 მმ, ქვედა სიგრძე 8 მმ, სიგანე 5 მმ, ქვის სიმაღლე 2 მმ. ქვის ფორმის, გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის მიხედ-

ვით, ინტალიო II-III სს. თარიღდება.

თავდაპირველად ტიხე-ფორტუნა მინათ-მოქმედებისა და ქალთა მფარველი იყო, შემდეგ ბედნიერების მომტანი ღვთაება. მისი კულტი ნაყოფიერებას, სიუხვეს, ადამიანის ბედს უკავშირდებოდა. იგი ანტიკურ გლიპტიკაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ღვთაებას წარმოადგენდა. იმთავითვე ხალხმა ტიხე-ფორტუნა ადამიანის ცხოვრების მუდმივ თანამგზავრად მიიჩნია. ტიხე-ფორტუნას კულტი განსაკუთრებით პოპულარული გახდა ელინისტური პერიოდიდან მოყოლებული. იგი ითვლებოდა ანტიოქიის, ალექსანდრიის მფარველად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინტალიო კერძო ხასიათის, ადამიანის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებულ ნიმუშად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

ბიჭვინთის სამაროვანის ტერიტორიაზე დაფიქსირებულია გლიპტიკის ხუთი ნიმუში — აფროდიტეს, სამი გრაცია, დემეტრეს, ფსიქეასა და ამურის გამოსახულებით, რომლებიც, თავის მხრივ, უძველეს ბერძნულ-რომაულ ღვთაებებად გვევლინებიან.⁶

სამი გრაციაა გამოსახული ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილ კამეოზე (გ.კ. №1418). ბიჭვინთა 1984. 18. VII. სამაროვანი, 04 თხრილი, №211 სამარხი, ორმო ინვენტარიანი. ორფეროვანი სარდიონ-ფრცქილის კამეო ოქროს ბეჭედში, არანესიერი ოვალის ფორმისა, ოდნავ მომრგვალებული ზედაპირით. მუქ ფონზე თეთრ ფენაში გამოსახულია სამი გრაცია (სურ. 2). ბეჭედს მრავალგანიკვეთიანი, თანაბარი სისქის განივი ნაჭდევებით შემკული რკალი აქვს, რომელზეც სიგრძივად მირჩილულია დაბალი, ოვალური თვალბუდე. ზომები: ინტალიოსი 8,5x7 მმ; ბეჭდის 20x21 მმ; რკალის დმ — 1,5 მმ. გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით, კამეო ახ.წ. III ს. ბოლოთი და IV ს. თარიღდება. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ საერთოდ კამეო ბიჭვინთის სამაროვანზე მხოლოდ ერთ ეგზემპლარად არის წარმოდგენილი.

ანტიკურ მითოლოგიაში გრაციები: ეფროსინე, თალია, აგლაია (ბერძნული — ქარი-

ტები) — ქალური მომხიბვლელობის ღვთაებები, ცხოვრებისეული სიხარულისა და ჰარმონიის განსახიერებები იყვნენ. ქარიტების დედა ევრინოტა ზევსის პირველ არაკანონიერ ცოლად გვევლინება. ქარიტებში გაერთიანებული იყო კეთილი, სასიხარულო და მარად ახალგაზრდა სიცოცხლე [Тахо-Годи А. 1989:104-105]. მათ სხვა დანიშნულება არასოდეს ჰქონიათ. აქედან გამომდინარე, ბიჭვინთის სამაროვნის კამეოზე გამოსახულ სამ გრაციას ჩვენც ქალური მომხიბვლელობის ქალღმერთებად მივიჩნევთ. თავის მხრივ, კამეო საკმაოდ დახვეწილი ნამუშევარია. როგორც სტილისტური, ისე სიუჟეტის თვალსაზრისით, იგი საოცარ მსგავსებას იჩენს კირენის მუზეუმში დაცულ ქარიტების III ს. ქანდაკებასთან [Тренчини-Вальданфель И. 1959:104-105], რაც კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, თუ როგორ ხდებოდა ბერძნული ქანდაკებებიდან ხელოვნების ნიმუშების კოპირება.

საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს აფროდიტეს გამოსახულებიანი გემა (გ.კ. №1419), ბიჭვინთა, 1986. VIII. სამაროვანი, FIV კვადრატი, h-60 სმ. №266 სამარხი, ორმო ინვენტარიანი, ინტალიო თეთრი ფერის გამჭვირვალე მინისა, რკინის ბეჭედის ფრაგმენტში, ოვალური ფორმის, ოდნავ ამოზურცულ ზედაპირზე გამოსახულია აფროდიტე. მინა ირიზებულია. ნაპირები ოდნავ ატკეცილია. ბეჭედისგან დარჩენილია სამი დაჟანგული ფრაგმენტი. ინტალიოს ზომები: 9x7 მმ (სურ. 3). ქვის ფორმის, გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით, ინტალიო III ს. თარიღდება.

მითების თანახმად, აფროდიტე ცის ღმერთის — ურანოსის შვილი წარმოიშვა ზღვის ქაფისაგან, ხოლო მსუბუქმა ქარმა იგი მიიყვანა კვიპროსამდე [Кун Н. 1984:44-45]. ბეოტიკაში უძველესი დროიდან თაყვანს სცემდნენ არესსა და აფროდიტეს, როგორც მთავარ ღვთაებებს, რომლებიც სიკვდილისა და სიცოცხლის მბრძანებლებად ითვლებოდნენ, ხოლო მას შემდეგ, რაც ბერძნები ფინიკია-

ში შევიდნენ, მათ ერთმანეთს დაუკავშირეს აფროდიტე და ფინიკიური ასტარტა და ციური უნოდეს, რადგან ასტარტას საცხოვრებელს ცა წარმოადგენდა. სწორედ აქედან აიღეს ბერძნებმა აფროდიტეს სახელი „ციური“. აფროდიტეს კულტი კვიპროსშიც გაბატონდა, საიდანაც მომდინარეობს მისი მეორე სახელი „კიპრიდა“. დელფინები და გედები მისი წმინდა ცხოველები იყო, რომლებიც აცოცხლებდნენ ზღვის ტალღებს, ხოლო მათ მიერ ანთებული ვარსკვლავები მანათობელ შუქურად იქცეოდნენ მეზღვაურთათვის. ასე რომ, იგი გვევლინება ზღვის, მეზღვაურების მფარველ ქალღმერთადაც.

აფროდიტეს ტაძრები იგებოდა ამაღლებულ ადგილას, ზღვისკენ მიმართული. იგი სილამაზისა და სიყვარულის ღვთაებად, ერთ-ერთ ოლიმპიელ ქალღმერთად ითვლებოდა. როცა რომაელებმა I პუნიკურ ომში დაამარცხეს კართაგენელები და აიღეს ერიკსომი (ძვ.წ. 249 წ.), ისინი იტალიაში ახალი კულტით დაბრუნდნენ. მანამდე აპენინის ნახევარკუნძულზე პატივს სცემდნენ გაზაფხულის ღვთაება ვენარას. ერთმანეთს შეერწყა აფროდიტესა და ვენარას კულტი, რომელიც აფროდიტე ერიკინელის სახელით არის ცნობილი. რომში, კაპიტოლიუმზე ააშენეს ტაძარი და იგი რომის ერთ-ერთ მთავარ ქალღმერთად იქცა [Дютмке. 1892]. მოკლედ, აფროდიტეს უამრავი სახელი ჰქონდა.

იმის მიხედვით, თუ როგორ არის გამოსახული ესა თუ ის ღვთაება შეგვიძლია დავადგინოთ თუ რის ღმერთად გვევლინება იგი. ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილ გემაზე აფროდიტე გამოსახულია გრძელი ქიტონით შემოსილი, თავით პროფილში მარჯვნივ. მარჯვენა ხელში სარკე უჭირავს და შიგ იყურება. მარცხენათი თმას ისწორებს. ამ შემთხვევაში, აფროდიტე სილამაზისა და სიყვარულის ღვთაებად გვევლინება.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიჭვინთის სამაროვნის ტერიტორიაზე დემეტრეს გამოსახულებიანი გემის აღმოჩენას (გ.კ. №1429), ბიჭვინთა 1989.27.IV. სამაროვანი, 04 თხრი-

ლი, CIII-CIV კვადრატი, h-120 სმ. სამარხი №442, ხსნარიანი, ინვენტარიანი. ინტალიო შინდისფერი იასპისა, მრავალნახნაგა (რვანახნაგა). ვერცხლის ბეჭედში. ბრტყელ პირზე გამოსახულია დემეტრე. ღვთაებას მარჯვენა ხელში კვერთხი უჭირავს, მარცხენაში მცენარის ტოტი (სურ. 4). ბეჭდის რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან ამოზურცული. ბეჭედს აკლია თვალბუდე. ვერცხლი მცირედ კორიზებულია. ზომები: ინტალიოსი 10x8x4 მმ. ბეჭდისა 24x22 მმ. ქვის ფორმის, გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით, ინტალიო III ს.-ით თარიღდება.

თუ მხედველობაში მივიღებთ ქალაქის სტატუსს — ქალაქი ციხე-სიმაგრე, რომელშიც ერთი მხრივ, რომის XV ლეგიონის ცალკეული ვექსილაციებია ჩაყენებული, ხოლო მეორე მხრივ შავი ზღვა, რომელიც ადებ-მიცემის ბრწყინვალე საშუალებას იძლევა — სიუჟეტის თვალსაზრისით, დემეტრეს გამოსახულებიანი ინტალიო თითქოს განზე დგას დანარჩენი ქრილაქებისაგან, რომლებზეც გამოსახული ღვთაებები ვაჭრობასთან, მოგზაურობასთან, სიყვარულთან, სილამაზესთან იყო დაკავშირებული. დემეტრე კი, როგორც ცნობილია, მინათმოქმედების ქალღმერთია, რომელსაც მიწის სამუშაოების დაწყებისას მიართმევდნენ ძღვენს [Дютмке.1892]. იგი იმავდროულად, არის დედა, რომელიც განიცდის შვილის დაკარგვას. დემეტრე ეძებს თავის ქალიშვილს — პერსეფონეს. ღვთაება გამოსახებოდა შავი მოსასხამით. დემეტრე მაღალია, წარმოსადეგი, სქელთმიანი, გამოსახება პურის თავთავებით [Тахо-Годи А. 1989:165-167]. მან მისცა მეფე ელეგინის ახალგაზრდა შვილს ტრიპოლეს პურის მარცვლები, რომელმაც პირველმა სამჯერ მოხნა მიწა და დათესა ხორბალი. შემდეგ კი ყველას ასწავლა მინათმოქმედება. ღვთაებას ხშირად გამოსახავდნენ მონეტებზეც. მაგალითად, ამისოს მონეტებზე, რომელიც შემდეგში ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ემბლემა გახდა, ხოლო ამისო-მილეტისა და ამისო-ნიკეის სამოკავშირეო მონეტებზე ეს ქალღმერთი ქალაქ ამისოს გან-

სახიერებას წარმოადგენდა [Максимова М. 1956:315].

ზემოაღნიშნული დემეტრეს გამოსახულებიანი გემა ჩვენთვის საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ საშუალებას გვაძლევს დავინახოთ ბიჭვინთის ციხე-ქალაქობის კიდევ ერთი მხარე. კერძოდ ჩანს, რომ მისი მცხოვრებნი მინათმოქმედებასაც მისდევდნენ, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქალაქში რომის XV ლეგიონის ვექსილაციების გარდა იყვნენ მინათმოქმედებიც. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დგინდება, რომ ბიჭვინთაში რომაულ კასტელუმთან ერთად წარმოიქმნა საქალაქო დასახლება კანაბე, რომელიც პიტიუნტის ციტადელს ეკვრის წრიული მოყვანილობის გალავნით და კოშკით. მისი საერთო ფართი 4,5 ჰექტარს არ აღემატება [ლორთქიფანიძე გ. 1991:69]. ამ ფორმის საქალაქო დასახლებები – უშუალოდ ციხესთან მიბმული - აღმოსავლეთ შავიზღვიპირეთისთვის იყო დამახასიათებელი,⁷ სადაც გადამდგარ ჯარისკაცებთან ერთად, როგორც ეს ადრიანესეულ ფასისში⁸ იყო, ადგილობრივ მოსახლეობასაც უნდა ეცხოვრა.

რაც შეეხება ფსიქეასა და ამურის გამოსახულებას ბიჭვინთის სამაროვანზე აღნიშნული ღვთაებების გამოსახულებით ბრინჯაოს ორი ფარაკიანი ბეჭედი დაფიქსირებული. (გ.კ. №1431), ბიჭვინთა 1989. 26. VI. სამაროვანი, 04 თხრილი, CIII-CIV კვადრატი, h-85 სმ. სამარხი №445, ხსნარიანი, ინვენტარიანი, ოვალური ინტალიო, ზედაპირბრტყელი, პირზე გამოსახულია ფსიქეა და ამური. კვეთა დაბალი (მასალა დაზიანებისა და დაბალი კვეთის გამო ანაბეჭდს არ იძლევა). ბეჭედს ძალიან თხელი წვრილი, თანაბარი სისქის მრგვალგანიკვეთიანი რკალი აქვს, რომელზეც მირჩილული იყო ოვალური, სქელი ინტალიო. რკალი მოტეხილია. გადატეხილია ორად. ნაწილი აკლია. დაჟანგებულ ინტალიოზე მიდუღებულია დაჟანგული რკინის ნაწილაკი. ინტალიოს ზომები: 6x5x3 მმ. ფორმის, გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით, ინტალიო III ს. თარიღდება.

მეორე ფარაკიანი ბეჭედი პირველის ანალოგიურია (გ.კ. №1432), ბიჭვინთა, 1989. 28. VI. სამაროვანი, 04 თხრილი, CIV კვადრადი, h-85 სმ. სამარხი №446, ხსნარიანი, ინვენტარიანი, ოვალური ბრინჯაოს ფარაკიანი ბეჭედი, ზედაპირბრტყელი, პირზე გამოსახულია ფსიქეა და ამური. კვეთა დაბალი (მასალა დაზიანებისა და დაბალი კვეთის გამო ანაბეჭდს არ იძლევა). ბეჭედს შერჩენილი აქვს წრილი რკალის მცირე ნაშთები. ინტალიოს ზომები: 6x5 მმ. ქვის ფორმის, გამოსახულების სტილისა და კვეთის მანერის მიხედვით, ინტალიო III ს. თარიღდება.

მიტოლოგიის მიხედვით, ფსიქეა და ამური მეუღლეები იყვნენ და სულისა და სხეულის სიმბოლოებად ითვლებოდნენ. მათი გამოსახულება დგას რომში, კაპიტოლიუმის მუზეუმში. მკვლევართა ვარაუდით, გემები ამ ორი ღვთაების გამოსახულებით შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო ჯვრისწერის დროს საჩუქრად [Henig M. 1974:970], რაც თავისთავად სიყვარულთან იყო დაკავშირებული.⁹

ჩვენ მიერ განხილული ჭრილაქები მათი დანიშნულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქალთა კუთვნილებად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, აფსაროსისა და პიტიუნტის სტატუსიდან გამომდინარე, მათი მფლობელები არ არის გამორიცხული ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენდნენ.

გლიპტიკური ძეგლების ქრონოლოგიური ჩარჩოები, როგორც ვნახეთ, ახ.წ. II-IV სს. განისაზღვრა. მასალის შესწავლა საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ქალაქებზე ერთის მხრივ მართლაც აისახა არსებული პოლიტიკური სიტუაცია — აღნიშნული ქალაქების მოსახლეობაში გავრცელებული ჩანს ანტიკური ქალღვთაებები, მაგრამ მეორე მხრივ, მოპოვებული მასალა საკმარისად არ მიგვაჩნია (განსაკუთრებით აფსაროსში, სადაც არ არის გათხრილი გვიანანტიკური ხანის სამაროვანი) მათი პოპულარობის მტკიცებისათვის.

შენიშვნები:

1. ანტიკურ პერიოდში სვანთა მოხსენიებას ადგილი აქვს მხოლოდ II ს. კოლხეთის სამეფოს დაშლის პროცესთან დაკავშირებით დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ახალი სატომო სახელწოდების გაჩენის დროს. სანიგები მოსახლეობდნენ სებასტოპოლის-ცხუმიდან (სოხუმიდან) მდ. აქეუნტამდე (მდ. შხე). ლინგვისტურმა ანალიზმა ცხადყო, რომ სვანურში ადგილი აქვს, ერთი მხრივ, ხათურ-სვანურ, ხოლო, მეორე მხრივ, სვანურ-ადილეურ (ჩერქეზულ) ენობრივ შეხვედრებს, რაც იმით აღინიშნება, რომ სვანურ ენას მჭიდრო და ინტენსიური კონტაქტი ჰქონდა როგორც მცირე აზიის აღმოსავლეთ სექტორში მცხოვრებ ტომებთან (იგულისხმება ჰენიოხები, მოსხები), ისე ჩრდილო კავკასიის ჩერქეზულ ენობრივ კულტურულ სამყაროსთან.

2. სახელწოდება აფსილი პირველად ჩნდება ახ.წ. I ს. სანიგთა და ლაზთა მეზობლად მდ. ასთელეოსის (კოდორი) და მდ. ხრისოროასის (კელასური) მახლობლად (პლინიუსი, NH). აფსილებს I-II სს. უნდა სჭეროდათ მდინარე კოდორის (წებელდის) ხეობა. ხოლო ჩრდილო-დასავლეთით მათი მიწა-წყალი ქალაქ სებასტოპოლისამდე აღწევდა. ჩრდილო-აღმოსავლეთით სვანთა ქვეყნამდე, რაც შეეხება სანაპირო ზოლს, აფსილებს აქ დიდი მონაკვეთი არ უნდა სჭეროდათ. აფსილებს წერილობითი წყაროების საუძველზე აიგივებენ როგორც სვანთა, ისე ლაზთა სატომო ერთეულებთან (აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ზღვისპირეთში, მკვლევართა ნაწილის ვარაუდით, ადგილი ჰქონდა ლაზ-აფშილთა შერწყმის პროცესს, რაც გამოიხატა აფშილთა გალაზებაში [იხ.: ბერძენიშვილი ნ. 1990]. მკვლევართა ნაწილი აფსილ=აფშილებს აფხაზურ-ადილეური წარმომავლობის ტომებად მიიჩნევენ. ქართული წყაროების „აფშილეთს“ და „აფხაზეთს“ ბერძნულ წყაროებში დადასტურებული სატომო სახელწოდებები „აფსილია“ და „აბაზგია“ შეესატყვისება.

3. აბაზგებს ფორმით „აბაზგოი“ პირველად ფლავიუს არიანე იხსენიებს პერიპლუსში აფსილებისა და სანიგების მახლობლად. ზოგიერთი მკვლევარი აბაზგებს „აბაზა“ სახელთან მსგავსების გამო, ისევე როგორც აფსილებს, აფხაზურ-ადიღურ ეთნიკურ სამყაროს აკუთვნებს.

4. ჰენიოხი ტერმინ „კოლხის“ მსგავსად კრებსითი სახელწოდებაა. მიუხედავად იმისა, რომ მათ კოლხებივით სახელმწიფო გაერთიანება ვერ შექმნეს. პლინიუსი ჰენიოხებს სამ ადგილას მოიხსენიებს: ტრაპეზუნტის სექტორში მცხოვრებ სანთაჰენიოხებს, რომელიც ფლავიუს არიანეს მიერ დასახლებულ მაკრონ ჰენიოხებს უნდა უკავშირდებოდეს (მაკრონ-ჰენიოხთა ერთად მოხსენიება, მკვლევართა ნაწილის აზრით, მეგრულ-ჭანური ეთნიკური სამყაროსადმი კუთვნილების მონიშვნა: „ჰენიოხი“ ცოცხალი ტერმინია ძვ.წ. I და ახ.წ. I-II სს. მომდევნო ხანებში მათ ადგილს სანიგები და მათი სამყარო იკავებს). ცენტრალურ კოლხეთში მცხოვრებ ლაზთა სამხრეთით ამპრეცების და ჩრდილოეთით დაახლოებით სოჭის სექტორში, სანიგების ტომის გვერდით (პლინიუსი, NH., VI,14) [იხ.: არბოლიშვილი ლ. 2006].

5. XV Legio Apollinaris იერუსალიმის აღების შემდგომ, ტიტუსს (Caesar Titus Vespasianus Augustus 71-81 წწ.) ახლდა ალექსანდრიაში, შემდეგ მასთან ერთად დაბრუნდა პანონიაში. აღმოსავლეთში ამ ლეგიონის დაბრუნება შესაძლოა ტრაიანეს (Caesar Nerva Traianus Augustus 98-117 წწ.) პერიოდში პართიასთან ომით იყო განპირობებული. ადრიანეს (Caesar Traianus Hadrianus Augustus 117-138 წწ.) დროს იგი XII Legio Fulminata-სთან ერთად კაპადოკიაშია.

6. ბიჭვინთის სამაროვანზე აღმოჩენილი გლიპტიკური მასალა ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის ძვირფასი ლითონების სეიფში. შესაბამისად, ჭრილაქვების ნუმერაცია გლიპტიკის კაბინეტში მათი ნუმერაციის მიხედვით გვაქვს მოცემული.

7. 25 წლის კარგი სამსახურისათვის რო-

მაელი ლეგიონერების პროვინციული ჯარი (auxilia) რიგ შემთხვევაში რომის მოქალაქეობას და მიწის ნაკვეთს იღებდა, ხშირად სამხედრო ბანაკის შემადგენლობაში [ლორთქიფანიძე გ. 1991:47].

8. ფაიუმში აღმოჩენილ II ს. დათარიღებულ პაპირუსის ფრაგმენტზე (აფსაროსიდან გაგზავნილ წერილში) მოხსენიებულია იქ მდგარი კლავდიუსის სახელობის II კოჰორტის ვეტერანი.

9. სევერუსებიდან მომდინარე II ს. ბოლოსა და III ს. დასაწყისში ჯარისკაცებს არა მარტო მიწის ნაკვეთის დამუშავების უფლება მისცეს, არამედ დააკანონეს მათი შერეული ქორწინება ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებთან. III ს. რომაული სამხედრო ბანაკები მიწადმოქმედთა დასახლებად იქცნენ. ასეთი პროცესები უშუალოდ ბიჭვინთაშიც მიმდინარეობდა [ლორთქიფანიძე გ. 1991:47].

ლიტერატურა:

არბოლიშვილი ლ. 2006: პლინიუს უფროსის „ბუნების ისტორია“, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო, თბილისი.

ბერძენიშვილი ნ. 1990: საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი.

გამყრელიძე გ., თოდუა თ. 2006: რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბილისი.

ლორთქიფანიძე გ. 1991: ბიჭვინთის ნაქალაქარი. თბილისი.

მელიქიშვილი გ. 1970: ისტორიული კოლხეთის მოსახლეობა ახ.წ. პირველ საუკუნეებში. ლაზთა სამეფოს წარმოქმნა და განმტკიცება. — სინ, I, თბილისი. გვ. 468-478.

ფლავიუს არიანე 1961: მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ნ. კეჭაყმაძემ. თბილისი.

შპაიდელი მ. 1985: კავკასიის საზღვარი, II ს. გარნიზონები აფსაროსში, პეტრასა და

ფასისში. — საქ. მეცნ. აკად. „მაცნე“ (ისტორიის სერია). №1, თბილისი. გვ. 134-140.

Дютмке. 1892: Олимпь _ Мифология древних Греков и Римлян. Соч.. Перевод съ Нъмецкого М. Коршь. Изд. А. С. Суворина. С-Пб.

Ельницкий Л. 1938: Из исторической географии древней Колхиды. - ВДИ, №2/3.

Кун Н. 1984: Легенды и мифы древней Греции. Фрунзе.

Максимова М. 1956: Античные города Юго-Восточного Причерноморья. Москва-Ленинград.

Мамуладзе Ш., Халваши М., Асланишвили Л. 2002: Римские гарнизоны Апсара. - ВДИ, #1.

Тахо-Годи А. 1989: Греческая Мифология. Москва.

Тренчини - Вальданфель И. 1959: Мифология. Москва.

Henig M. 1974: A corpus of Roman Engraved Gemstone from British Sites. Parti Discussion British Archeological Reports (II).

Millford T. B. 1975: Cappadocia and Armenia Minor. ANRW, 7,2, p. 1169-1170.

ილუსტრაციების აღწერილობა:

სურ. 1. ტიხე-ფორტუნას გამოსახულებიანი ოვალური ფორმის ნარინჯისფერი ტოპაზის საბეჭდავის ანაბეჭდი გონიო-აფსაროსიდან.

სურ. 2. სამი გრაციის გამოსახულებიანი ოვალური ფორმის ორფეროვანი სარდიონ-ფრცქელის კამეო ბიჭვინთიდან.

სურ. 3. აფროდიტეს გამოსახულებიანი ოვალური ფორმის თეთრი ფერის გამჭვირვალე მინის საბეჭდავის ანაბეჭდი ბიჭვინთიდან.

სურ. 4. დემეტრეს გამოსახულებიანი მრავალნახნაგა (რვანახნაგა) შინდისფერი იასპის ინტალიოს ანაბეჭდი ბიჭვინთიდან.



1



2



3



4

ქველი კოლხეთის ქალაქი კიზნუმი

(წერილობითი წყაროებისა და ახალი არქეოლოგიური მონაცემების შუქზე)

სოფელ ყულევში, მდინარე ხობის შესართავთან, მის მარჯვენა ნაპირზე, ზღვიდან 200 მ აღმოსავლეთით განლაგებულ ხელოვნურ ბორცვზე 1999-2002 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს გამოვლინდა ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედის ძეგურბათქაშიანი ოცამდე ნაგებობის ნანგრევი, რომლებშიც ქვის, ბრინჯაოს და რკინის ნაწარმთან და ზოდებთან ერთად დიდი რაოდენობით იქნა მოპოვებული საკულტო საგნებიც: საკურთხევლები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის სადგრები და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თიხისაგან დამზადებული (უმეტეს შემთხვევაში) ორმხრივპროტომიანი ქანდაკებები ვერძისა და დელფინის (?) გამოსახულებით [პაპუაშვილი რ. 2002: 31-32].

ზემოთქმულთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს ორმხრივპროტომიანი სტილიზებული ფიგურების, ანუ სხვადასხვა ცხოველის – ვერძის, ხბოს, ირმის - თიხის ორთავიანი ქანდაკებების აღმოჩენა ვანში, ახვლედიანების გორის ცენტრალურ ტერასაზე გათხრილ ძვ.წ. VIII-VII სს-ის სამსხვერპლო მოედანზე, ე.წ. საკულტო კერის შიგნით და ირგვლივ, სადაც ჩაყრილი იყო რამდენიმე ასეული შეწირული ჭურჭლის ფრაგმენტები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ეს ფიგურები უკავშირდებიან ცხოველთა მფარველი ნაყოფიერების ღვთაების „დიდი დედის“ კულტს, რაც მოწმობს ჯერ კიდევ წინარეანტიკურ ხანაში ახვლედიანების გორაზე ამ ღვთაებისადმი მიძღვნილი დიდი მასშტაბის საწესო რიტუალების შესრულებას [Толордава В. 1990:261-275] და იქ ვანის ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სამლოცველოს არსებობას [ინაძე მ. 1986:30 და შემდ.; ინაძე მ. 1994:76-79].

კოლხეთის ორ მნიშვნელოვან სამდინა-

რო და საზღვაო გზაზე მდებარე პუნქტებში – ვანსა და ყულევში სხვა საკულტო საგნებთან ერთად ორმხრივპროტომიანი თიხის ფიგურების აღმოჩენა უდავოდ საგულისხმო ფაქტია იმ თვალსაზრისით, რომ ღმერთების „დიდი დედის“ შესანიშნავი მსგავსი ქანდაკებები ძვ.წ. VIII-VII სს-ში და ამაზე ადრეც ფართოდ იყო გავრცელებული ბერძნულ სამყაროში, განსაკუთრებით ოლიმპიაში [ლორთქიფანიძე ოთ. 2002:188, 189], რაც გვაფიქრებინებს ორმხრივპროტომიანი ფიგურების ანალოგიური დანიშნულებით გამოყენებას ზემოთ დასახელებულ პუნქტებშიც. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ისიც, რომ ოლიმპიიდან მომდინარე ქანდაკებებთან განსაკუთრებით დიდ მსგავსებას ავლენს ვანში აღმოჩენილი ზოგიერთი ტერაკოტული ორმხრივპროტომიანი ფიგურა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მომრგვალებული თავი და გრძელი კისერი [ლორთქიფანიძე ოთ. 2002:188].

საკითხის შემდგომი შესწავლისათვის საგანგებო ყურადღებას იმსახურებს იმავე ყულევის ნამოსახლარის ნანგრევებში აღმოჩენილი მეტალურგიული წარმოების ნაშთებიც: სხვადასხვა ნივთის დასამზადებლად განკუთვნილი ათეულობით ყალიბი, გამდნარი ლითონის გადმოსასხმელი ციცხვები და ქურის საქშენი მიღები [პაპუაშვილი რ. 2002:31-32]. ყულევის წინარეანტიკური ხანის ნამოსახლარზე რკინისა და ბრინჯაოს ზოდებთან ერთად მრავალრიცხოვანი ყალიბის აღმოჩენა მოწმობს მდ. ხობის შესართავთან მდებარე დასახლებაში, დ. ხახუტაიშვილის მიერ შესწავლილი ხობის შენაკად ოჩხამურის ნაპირებზე აღებულ ხანაში მოქმედი მეტალურგიული სახელოსნოებიდან [ხახუტაიშვილი დ. 1980:6-10] ზოდების სახით დიდი რაოდენობით მოწოდებული რკინისა და ბრინჯაოს

მნიშვნელოვანი თავმოსაყრელი პუნქტის და აქვე ლითონის სხვადასხვა ნივთის დასამზადებელი საწარმოო ცენტრის არსებობას. ამასთან თუ გავითვალისწინებთ მდ. ხობის შესართავთან (სხვა საკულტო საგნებთან ერთად) ადრეული ხანიდან საბერძნეთში გავრცელებული ორმხრივპროტომიანი გამოსახულებების მიკვლევას, სავსებით დასაშვებია იმის ვარაუდიც, რომ ეს ლითონთავმოსაყრელი საწარმოო დასახლება, როგორც საშუამავლო პუნქტი, გარკვეულ როლს ასრულებდა რკინისა და სხვა ლითონების გატანის მიზნით ეგეოსური სამყაროდან ჩამოსულ ბერძენთა სააღმშენებლო-სავაჭრო ურთიერთობაში კოლხეთის ჩრდილოეთ მთისწინა ზოლსა და მის მიმდებარე მხარეში მცხოვრებ მოსახლეობასთან. საფიქრებელია, რომ რკინითა და სხვა ლითონებით მოვაჭრე ბერძენი ზღვაოსნები (ისევე როგორც ადგილობრივი მკვიდრნი), ორმხრივპროტომიან ფიგურებს სწირავდნენ ღმერთების „დიდი დედისადმი“ მიძღვნილ სამლოცველოებს, რომლებიც კოლხეთის მთავარ საწარმოო ცენტრებთან იყვნენ განლაგებულნი. ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ სამხრეთ იტალიისა და მის მახლობლად მდებარე ეოლიურ კუნძულებზე საბერძნეთიდან ჩამოსული ვაჭარ-ზღვაოსნები ღვთაებისათვის სხვადასხვა საგნების შეწირვის რიტუალს ასრულებდნენ ადგილობრივ სამლოცველოებში, რომლებიც ხომალდების მისადგომად მოსახერხებელ უბებთან და მნიშვნელოვან სამდინარო გზებთან მდებარე ბორცვებზე იყვნენ აღმართული [Pugliese Carratelli G. 1962:241-246].

სავსებით შესაძლებელია ბერძნული ფიგურების მიბაძვით ორმხრივპროტომიანი თიხის გამოსახულებების დამზადება ადგილობრივადაც.

ყუღევის შესართავთან მდებარე დასახლებასთან ჯერ კიდევ წინარეანტიკურ ხანაში ბერძენ ზღვაოსანთა სააღმშენებლო საქმიანობის შესახებ უფრო სრულ წარმოდგენას გვიქმნის კოლხურ და მცირეაზიურ-ეგეოსურ სამყაროებს შორის არქაულ ხანაში არსებუ-

ლი სავაჭრო კონტაქტების კვლევა-ძიების შედეგების გათვალისწინებაც: სახელდობრ, რკინის აღმნიშვნელი ბერძნული გეოგრაფიული სახელწოდების „სიდაროს“ და მისგან წარმომდგარი ტოპონიმის „სიდა“-ს დადასტურება ჩრდილო-დასავლეთ და დასავლეთ კოლხეთის ტერიტორიაზე (მდ. კოდორის ხეობაში და დღევანდელი გალის მახლობლად, ენგურისა და მდ. ხუმუშკურის შესაყართან), გარდა ამისა, სტრაბონის გადმოცემა რკინით მდიდარ ჰამფილიაში (ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე) მცირეაზიელ ეოლიელთა მიერ ადრეულ ხანაში „სიდად“ წოდებული სავაჭრო ფაქტორიის დაარსების შესახებ. ამ მონაცემებიდან გამომდინარე, ბოლო ხანებში საშუალება მოგვეცა გამოგვეთქვა მოსაზრება რკინის გატანის მიზნით ეოლიელ ზღვაოსანთა აქტიური სავაჭრო საქმიანობის შესახებ კოლონიზაციამდელი ხანის კოლხეთში. ამის შედეგად ქვეყნის რკინის საბადოებით მდიდარ რეგიონებში, მნიშვნელოვან სამდინარო და საზღვაო გზებთან მდებარე ადგილობრივ საწარმოო ცენტრებთან და სამლოცველოებთან ამ ვაჭართა მიერ იქმნება „სიდაროსად“ და „სიდად“ წოდებული რკინისა და სხვა ლითონის ექსპორტისათვის საჭირო დასაყრდენი პუნქტები [ინაძე მ. 1999:159-175; ინაძე მ. 2002:3-8]. არაერთხელ აღვნიშნავდით იმასაც, რომ ეოლიელ ვაჭრებს და მათ ეგეიდელ პარტნიორებს – ბეოტიელებსა და თესალიელებს თავის სააღმშენებლო საქმიანობისთვის კოლხეთის სიღრმეში, სახელდობრ, შავი და ფერადი ლითონებით მდიდარ ყვირილის ზემო წელის ხეობაში, ერთ-ერთ მთავარ სატაძრო ცენტრთან და იქვე არსებულ საირხის ადგილობრივ დიდ დასახლებასთან დასაყრდენი პუნქტი უნდა დაეარსებინათ, რომელიც უფრო გვიანდელ ბერძნულ წყაროებში „ფრიქსოპოლის-იდეესას“ სახელწოდებით იყო ცნობილი [ინაძე მ. 1994: 104-118].

ყველაფერი ეს უფლებას გვაძლევს მდინარეების: კოდორის, ენგურის, ხობი-ოჩხამურის, ყვირილის რკინით მდიდარი ხეობები-

დან ლითონის გასატანად შექმნილ ზემოდა-სახელებულ პუნქტებს შორის ვივარაუდოთ ბერძენ ვაჭართა მიერ ამავე დანიშნულების დასაყრდენი პუნქტის დაარსება, მდინარე ხობის შესართავთან მდებარე ადგილობრივ სამოსახლოსთან, რამაც ეგვიდელ ზღვაოსნებთან ეკონომიკური კავშირის განმტკიცების კვალდაკვალ ფასისის ჩრდილოეთით მდებარე ეს სამოსახლოც ჯერ კიდევ კოლონიზაციამდელ ხანაში კოლხეთის ერთ-ერთ მთავარ საზღვაო-საშუამავლო ვაჭრობის ცენტრად აქცია.

ადრეული ხანიდან მდინარე ხობის შესართავთან ეგვიდელ-მცირეაზიელ ვაჭართა გამოჩენამ და აქ არსებული ადგილობრივი სანარმოო სახელოსნოს მეშვეობით მათ საქმიანობამ მდინარე ხობის შენაკად ოჩხამურის ნაპირებზე არსებულ მეტალურგიულ კერებთან, სავსებით შესაძლებელია, ასახვა ჰპოვა ძვ.წ. I ს-ის რომაელი მწერლის პომპონიუს მელას „ქოროგრაფიაში“ დაცულ ნახევრადლეგენდარულ ცნობაში (პომპონიუს მელა I, 110), რომელშიც ავტორი შემდეგს გადმოგვცემს: „კოლხეთის სანაპიროზე მოსახვევის დასაწყისში (იგულისხმება ფასისის ჩრდილოეთით - მ.ი.) ქალაქია, რომელიც, ამბობენ, ბერძენი ვაჭრების დაარსებულია და კიკნოსი (ანუ ბერძნულად „გედი“ - მ.ი.) ჰქვია, რადგან, როცა ბნელი ქარიშხალი მოაქროლებდა მათ და არ იცოდნენ საით იყო მიწა, გედის ხმამ მისცა ნიშანი“ [გამყრელიძე აღ. 1965:29].

საქართველოს შესახებ პომპონიუს მელას ცნობების ქართულად მთარგმნელ და გამომცემელ აღ. გამყრელიძის განმარტებით, მელას ზემოთ მოტანილი გადმოცემის თანახმად, ეს „მოსახვევი“, ანუ კოლხეთის სანაპიროს დასავლეთით შემობრუნების ადგილი, იწყებოდა მდინარე ფასისის შესართავიდან, სადაც იყო პონტოს ყველაზე უკიდურესი აღმოსავლეთი კუთხე. აქედან ზღვის ნაპირი კვლავ დასავლეთისკენ უხვევდა [გამყრელიძე აღ. 1965:15]. ამრიგად, მელას გადმოცემის მიხედვით, „ქალაქი კიკნოსი“ მდებარეობდა შავი ზღვის სანაპიროზე ქ. ფასისის მახლობ-

ლად, მის ჩრდილოეთით, ე.ი. სწორედ იმ მიდამოებში, სადაც ამჟამად არის მდ. ხობის შესართავი და სოფელი ყულევი.

პომპონიუს მელას მიერ კიკნოსად მოხსენიებული „ქალაქის“ დაკავშირებას მდ. ხობის შესართავთან, სოფელ ყულევის მახლობლად არქეოლოგიური კვლევა-ძიებით გამოვლენილ წინარეანტიკური ხანის ადგილობრივ სანარმოო ცენტრთან, სადაც ჩვენ ეგვიდელ-მცირეაზიელ ზღვაოსან-ვაჭართა მიერ დაარსებულ სააღმშენებლო პუნქტსაც ვვარაუდობთ, გარდა მელასთან დაცული ზემოთ მოტანილი მონაცემებისა – ქ. კიკნოსის ადგილმდებარეობა და ბერძნულ სავაჭრო ნრეებთან მისი კავშირი - მხარს უჭერს თვით მელას გადმოცემის არქაული ხასიათი, რაც უთუოდ აიხსნება მისი უძველესი იონიური წყაროებიდან წარმომავლობით. სახელდობრ, თუ კი ქალაქ ფასისის დაარსებას მელა (უკეთუ მისი წყარო) კონკრეტულ და რეალურ პიროვნებას – თემისტაგორა მილეტელს მიაწერს, რითაც ამ ფაქტს შავ ზღვაზე მილეტელთა საკოლონიზაციო აქტიურობის შედეგად წარმოგვიდგენს, „ქალაქ“ კიკნოსის დამფუძნებლად, მისი გადმოცემით, ზოგადად ბერძენი ვაჭარ-ზღვაოსნები გვევლინებიან, რაც ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს პომპონიუს მელას გადმოცემის არქაულობასა და კოლონიზაციამდელი ხანის წყაროებიდან მის წარმომავლობაზე. ამდენად, ჩვენ სავსებით მისაღებად გვეჩვენება პომპონიუს მელას წყაროების ცნობილი მკვლევარის კ. მულენ-ჰოფის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ მელა უთუოდ იყენებდა მითოლოგიურ-გეოგრაფიულ შრომას, რომელიც შექმნილი იყო შავი ზღვისპირეთის ეთნიკურ-გეოგრაფიული გარემოს კარგ მცოდნეთა წრეში [Mullenhoff K. 1892:183]. „... ავტორს გაცილებით მეტი და მრავალფეროვანი მასალა ჰქონია ხელთ“ – აღნიშნავდა მ. როსტოვცევიც – „მან ბევრი რამ აიღო უძველესი მწერლებიდან“ [Ростовцев М. 1925:46].

პომპონიუს მელას მიერ კიკნოსად ხსენებული „ქალაქის“ გაიგივებას მდინარე ხობის

შესართავთან მდებარე ბერძენ ვაჭართა საა-
ღებშიცემო პუნქტსა და აქვე არსებულ ადგი-
ლობრივ საწარმოო ცენტრთან, ჩვენი აზრით,
უნდა ადასტურებდეს ახ.წ. I ს-ის რომაელი
ავტორის პლინიუს უფროსის „ბუნების ისტო-
რიაში“ დაცული ცნობაც ქ. კიგნუმის (Cyg-
num) შესახებ (პლინიუს უფროსი VI, 13, 14),
რომელსაც კომენტატორები სავსებით მარ-
თებულად აიგივებენ პომპონიუს მელას კიკ-
ნოსთან [Латишев В. 1949:289, შენ. 5]. ქალაქი
კიგნუმი პლინიუსს კოლხეთის ორ ადგილას
აქვს დასახელებული: ერთგან, როგორც ზე-
მთ ალვნიშნეთ, ქალაქ ფასისის ჩრდილო-
ეთით მდებარე სანაპიროზე, ამ ქალაქსა და
მდინარე პინისთან მდებარე ამავე სახელ-
წოდების საქალაქო ცენტრს შორის, მეორედ
მდინარე ფასისის (უთუოდ მისი ქვემო დინე-
ბის) გაყოლებით ადრეულ ხანაში არსებულ,
მითიური სახელის მატარებელ ქალაქებთან
– ტინდარიდასა და კირკეუმთან ერთად. ქა-
ლაქ პინისს (ბერძნულად Πύρις) აიგივებენ
ფსევდო-სკილაქსის გიენოსთან (Γυένος), რო-
მელიც ლოკალიზებულია დღევანდელი ოჩამ-
ჩირის ნაქალაქარის ტერიტორიაზე და სტე-
ფანე ბიზანტიელის Τυρίς-თან. თ. ყაუხჩიშ-
ვილის აზრით, ვარიანტული Τυρίς და Πύρις
მხოლოდ პალეოგრაფიულ ნიადაგზეა ასახ-
სნელი [ყაუხჩიშვილი თ. 1967:36, შენ. 55; 48].

მართალია, პლინიუსი აღნიშნულ ქალა-
ქებს (ტინდარისსა და კირკეუმს) მითიურ
სახელებს უწოდებს, მაგრამ აქვე სავსებით
კონკრეტული ცნობების მოტანა (ძველთა-
განვე ფასისის ინტენსიურად მოქმედ სამ-
დინარო მაგისტრალთან მათი განლაგების
შესახებ), ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში
ავტორი მოგვითხრობს რეალურ-ისტორი-
ულ ფაქტებზე, სახელდობრ, ადრეულ ხანაში
აქ საქალაქო ცენტრის არსებობის თაობაზე,
რაც სხვა საიმედო წერილობითი წყაროები-
თაც დასტურდება.

მხედველობაში გვაქვს რიონის ქვემო წე-
ლის მიდამოებში ადრეანტიკური ხანისათვის
შექმნილი ვითარების ფსევდო-ჰიპოკრატე-
სეული აღწერილობა, საიდანაც ირკვევა, რომ

ამ დროს მდ. ფასისის ქვემო წელზე არსე-
ბობდნენ ქალაქები და სავაჭრო ადგილები,
რომლებთანაც შეიძლებოდა ურთიერთობა
ამ მდინარის და მრავალრიცხოვანი არხების
მეშვეობით [ყაუხჩიშვილი თ. 1965:34, 45; ინა-
ძე მ. 1982:24-27]. ფსევდო-ჰიპოკრატეს ცნო-
ბაში ასახული ადრეანტიკური ხანის კოლ-
ხეთში საქალაქო ცხოვრების და ვაჭრობის
განვითარების სურათი დასტურდება არქე-
ოლოგიური კვლევა-ძიებითაც, რის შედეგად
რიონის გაყოლებით (განსაკუთრებით მის
მარცხენა ნაპირზე) გამოვლენილი იქნა მრავ-
ალი ადრეანტიკური ხანის საცხოვრებელი
ბორცვი (ზოგიერთი მათგანი ქალაქური ტი-
პის სამოსახლოების კვალით). ისინი ერთმა-
ნეთთან საარხო სისტემით ყოფილან დაკავ-
შირებული [გრიგოლია გ. და სხვ. 1967:19,20;
მიქელაძე თ. და სხვ. 1974:32-38].

ამრიგად, განხილული წერილობითი და
არქეოლოგიური მონაცემები უფლებას გვაძ-
ლევენ ვიფიქროთ, რომ პლინიუსის მიერ კიგ-
ნუმის მოხსენიებას უთუოდ სანდო ინფორმა-
ცია უდევს საფუძვლად და აქ საუბარია უძვე-
ლესი ხანიდან არსებულ სავსებით რეალურ
ქალაქზე.

რაც შეეხება პლინიუსის ნაშრომში ქალაქ
კიგნუმის ორ სხვადასხვა ადგილას მოხსენი-
ებას, ამ ფაქტს შესაძლებელია შემდეგი ახსნა
მოეძებნოს:

არქეოლოგი ნ. ხოშტარია, რომელიც დაზ-
ვერვებსა და გათხრებს აწარმოებდა რიო-
ნის ქვემო წელსა და ყულევის მიდამოებში,
ამ მხარის ძველ სამდინარო-საარხო სისტე-
მაზე დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა,
რომ ადრეულ ხანაში ფასისის ნავსადგურთან
დღევანდელი ჭალადიდის ქვემოთ მდებარე
ადგილამდის მდინარე რიონზე აღმა ცურ-
ვით და შემდეგ არხის მეშვეობით შეიძლებო-
და გადასვლა მდ. ცია-ცივაში, რომელიც მდ.
ხოხთან ერთად ერთვის ზღვას [ხოშტარია ნ.
1946:78-79]. გამოდის, რომ რიონის ქვემო წე-
ლი და მდინარე ცივა ქმნიდნენ ერთიან სა-
ნაოსნო გზას, რომლითაც ძველად უცხოელ
ზღვაოსნებს ადვილად შეეძლოთ ფასისიდან

ხობის შესართავთან მდებარე ქალაქური ტიპის დასახლებამდე (კიგნოსამდე) მიღწევა. აღსანიშნავია ისიც, რომ ცივას სანაოსნო მდინარედ მიიჩნევა არა მხოლოდ ნ. ხოშტარია, არამედ ს. ჯანაშიაც, რომელიც ამ მდინარეს აიგივებდა ფლავიუს არიანესთან მოხსენიებულ ხარიენტთან. ეს ძველი სახელწოდება ამჟამადც შემონახულია მდ. ხობის მარცხენა ნაპირას, ზღვიდან 6 კმ-ის დაშორებით მდებარე სოფელ „ქარიატას“ სახელწოდების ფორმით [ჯანაშია ს. 1959:7]. ბერძნულად სიტყვა ხარის, ხარიენტოს ნიშნავს ლამაზს, სასიამოვნოს.

ამრიგად, ადრეანტიკურ ხანაში, როგორც ჩანს, არსებობდა ქ. ფასისიდან ქ. კიგნუმამდე მისასვლელი ორი გზა, ერთი – საზღვაო. მეორე – სამდინარო, რამაც, შესაძლოა, განაპირობა პლინიუსის (უკეთ მისი წყაროების) მიერ სახელწოდება „კიგნუმ“-ის მქონე საქალაქო ცენტრის ორ სხვადასხვა ქალაქად გააზრება.

წერილობითი წყაროების – პომპონიუს მელას, პლინიუს უფროსის გადმოცემებისა და მდინარე ხობის შესართავთან ადრე მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ერთობლივი კვლევის შედეგად ზემოთ გამოთქმული მოსაზრება აღნიშნულ ტერიტორიაზე წინაანტიკური ხანიდან იმდროინდელ საერთაშორისო სააღებმცემო ურთიერთობებში ჩაბმული ადგილობრივი რკინის საწარმოო ცენტრის, ხოლო ძვ.წ. VI ს-დან აქ კოლხეთის ზღვისპირეთის ერთ-ერთი ქალაქის (კიგნუმის) არსებობის შესახებ დადასტურდა მოგვიანებით (მომდევნო 2005 წელს) მდ. ხობის შესართავში გამოვლენილი არქეოლოგიური მონაპოვრითაც, რომელიც წარმოდგენილია ძვ.წ VI ს-ის ზოლებით მოხატული იონიური კერამიკითა და ეგვიდური წარმომავლობის თეთრანგობიანი ამფორებით [პაპუაშვილი რ. ... 2005: 40-42].

ქალაქ კიგნუმის რეალურ-ისტორიული მნიშვნელობის შესწავლისათვის - ქვეყნის შიდა ეკონომიკის განვითარებისათვის - უთუოდ ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება,

რომ ხობის რაიონის სოფელ გურიხულაში წლების განმავლობაში მდინარე ხობისწყალი ანგრევს და რეცხავს ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ნამოსახლარსა და სამაროვანს, რის შედეგად აქ მოპოვებულია როგორც ადგილობრივი კოლხური კერამიკა, ისე შემოტანილი ამფორები (ქიოსური, სინოპური) და ატიკური შავლაკიანი ჭურჭელი (ცნობა მოგვანოდა არქეოლოგმა რ. პაპუაშვილმა).

ლიტერატურა:

გამყრელიძე ალ. 1965: პომპონიუს მელას ცნობები საქართველოს შესახებ. - ქართული წყაროთმცოდნეობა, 1. თბილისი, 1965, გვ. 11-47.

გრიგოლია გ. და სხვ. 1967: დასავლეთ საქართველოს საძიებო - არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები. - სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1966 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, მოკლე ანგარიშები. თბილისი, გვ. 14-21.

ინაძე მ. 1982: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ბერძნული კოლონიზაცია, თბილისი.

ინაძე მ. 1986: სატაძრო ცენტრები ძველ კოლხეთში. -“მაცნე“ (ისტორიის სერია), №4, გვ. 32-53.

ინაძე მ. 1994: ძველი კოლხეთის საზოგადოება, თბილისი.

ინაძე მ. 1999: ეოლიური სამყარო და კოლხეთი, ადრეული კონტაქტები (ძვ.წ. VIII-VII სს.). - ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. თბილისი, გვ. 159-175.

ინაძე მ. 2002: არქაულ ხანაში კოლხეთის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი. - ანალები 1, თბილისი, გვ. 3-8.

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

მიქელაძე თ. და სხვ. 1974: კოლხეთის

არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები. - საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს. თბილისი, გვ. 32-38.

პაპუაშვილი რ. 2002: არქეოლოგიური გათხრები ყულევში 1999-2001 წლებში. – ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში. ძიებანი, დამატებანი, VIII. თბილისი, გვ. 31-32.

პაპუაშვილი რ., ნონორია გ. 2005: გეოლოგიური სტრატეგრაფია და არქეოლოგიური სიტუაცია მდ. ხობის შესართავთან (ძვ.წ. VI-III სს.). – შავიზღვისპირეთი ელინისტური სამყაროს სისტემაში. ძიებანი, დამატებანი, XIII. თბილისი, გვ. 40-41.

ყაუხჩიშვილი თ. 1965: ჰიპოკრატეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბილისი.

ყაუხჩიშვილი თ. 1967: ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, I, თბილისი.

ხახუტაიშვილი დ. 1980: მასალები რკინის წარმოების ადრეული საფეხურის ისტორი-

ისათვის ჩრდილო კოლხეთში. - სდსძ IX, გვ. 3-38.

ხოშტარია ნ. 1946: სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა. - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. ტ. VII, №1-2, გვ. 77-82.

ჯანაშია ს. 1959: თაბალ-თუბალი, ტიბარენი-იბერი. - შრომები III, თბილისი, გვ. 1-80.

Латишев В. 1949: Известия древних писателей о Скифии и Кавказе. Часть II. Латинские писатели. – Вестник древней истории, № 2. Москва-Ленинград, с. 271-356.

Ростовцев М. 1925: Скифия и Боспор, Москва.

Толордава В. 1990: Культурный комплекс VIII-VII вв. до н.э. из Вани. – Причерноморье в VIII-V вв. до н.э., Тбилиси, с. 261-275.

Mullenhoff K. 1892: Altertumkunste III, Berlin.

Pugliese Carratelli G. 1962: Sanctuari extramurani in Magna Grecia. – Parola de passato, p. 241-246.

ქეთევან რამიშვილი

კოლხურ ცულეზზე გრავირებული “ფანტასტიკური ცხოველის” გამოსახულებათა ტიპოლოგიისათვის (სტილისა და კომპოზიციის გააზრების ცდა)

კავკასიაში აღმოჩენილ არქეოლოგიურ კულტურათა შორის ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა კოლხურ-ყობანური წრის ძეგლები, რომელთა მხატვრული შემკულობის პრობლემაზე მკვლევარებმა მრავალი ნაშრომი შექმნეს: [Кухтин Б. 1949; ქორიძე დ. 1965; ამირანაშვილი შ. 1970; მიქელაძე თ. 1974, 1985; Урушадзе Н. 1988; ლორთქიფანიძე ოთ. 2001; ფანცხავა ლ. 1988; ხიდაშელი მ. 1982; წერეთელი მ. 2001, 2005 და სხვა].

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მაინც გადავწყვიტეთ შევხებოდით კოლხურ-ყობანური ბრინჯაოს შემკულობის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორცაა „ფანტასტიკური ცხოველის“ (ძაღლისა თუ მგელ-ძაღლის) გრაფიკული გამოსახულება. ჩაფიქრებული გვაქვს აღნიშნული გამოსახულებები მთელი კავკასიის მასალების გათვალისწინებით შევისწავლოთ ტიპოლოგიურ-ქრონოლოგიური და გენეზისის თვალსაზრისით. ჩვენი აზრით, ჩანაფიქრის განხორციელებით შევძლებთ უფრო ღრმად ჩავწვდეთ ბრინჯაოს ხანის საზოგადოების რწმენა-წარმოდგენათა მთელ სისტემას, რომელიც მომავალში დაგვეხმარება იმავე მითო-რელიგიურ სამყაროში წარმოშობილი მცირე პლასტიკის ძეგლების შესწავლაშიც. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში შეიქმნება ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც კოლხურ-ყობანურ ბრინჯაოსთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს მოუყრის თავს და ახლებურად წარმოაჩინს.

ამჯერად, მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ კოლხურ ცულეზზე წარმოდგენილ „ფანტასტიკური ცხოველისა“ თუ მგელ-ძაღლის გრაფიკულ გამოსახულებებს განვიხილავთ ტიპოლოგიური და სტი-

ლურ-კომპოზიციური თვალსაზრისით.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალი მოსაზრებაა გამოთქმული „ფანტასტიკური ცხოველის“ რაობის შესახებ. პ. უვაროვა კოლხურ ცულეზზე გამოსახულ ცხოველებში დრაკონს ან „ფანტასტიკურ ცხოველს“, მგელს ან ვეფხვს ხედავს [Уварова П. 1900:67]; ივ. მეშჩანინოვის აზრით, ყობანურ ცულეზზე გრაფირებული „ფანტასტიკური ცხოველები“ მგელ-ძაღლებია, რომლებიც იბერთა ტოტემს განასახიერებენ [Мещанинов И. 1925:250]; შ. ამირანაშვილის მოსაზრებით კი, ეს ცხოველი მგელია ან ძაღლი და კოლხური ტომების ტოტემს წარმოადგენს [ამირანაშვილი შ. 1957:42-43]; ალ. მილერი მიიჩნევდა, რომ ცულეზზე გამოსახული „ფანტასტიკური ცხოველი“ უეჭველად ძაღლი, მგელ-ძაღლი ან გარეული ძაღლია [Миллер А. 1922:316-318]; ელ. ვირსალაძე ამ ცხოველებს ქართულ ფოლკლორში კარგად ცნობილ მითიურ ძაღლს—ყურმას უკავშირებდა [ვირსალაძე ელ. 1964:72, 97]; ვ. ბარდაველიძე კი, კოლხურ ცულეზზე გამოსახულ „ფანტასტიკურ ცხოველთა“ უმრავლესობას ძაღლებად მიიჩნევდა [Бардавелидзе В. 1957:29-30; 47-53]; ლ. ფანცხავაც ამგვარ გამოსახულებებს ძაღლებს უწოდებს [ფანცხავა ლ. 1988:27, 48]. როგორც ვხედავთ, მკვლევართა უმრავლესობა კოლხურ ცულეზზე გრაფირებულ „ფანტასტიკურ ცხოველს“ ძაღლად მიიჩნევს. ჩვენც ვიზიარებთ მათ მოსაზრებას და ეს ცხოველი ძაღლი გვგონია, თუმცა ვფიქრობთ, რომ მოგვიანებით, მთელი რიგი მიზეზების გამო, მან „ფანტასტიკური ცხოველის“ სახე მიიღო. ნაშრომში შევეცდებით ეს პროცესი არქეოლოგიური მასალის ტიპოლოგიურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით ავხსნათ და ამდენად,

„ფანტასტიკურ ცხოველსაც“ აუცილებლად შევეხებით.

ნაშრომი შევასრულეთ არქეოლოგიური ატლასის პრინციპით (ტაბ. III). ჩვენთვის საინტერესო ყველა არტეფაქტი მოვიძიეთ მთელი საქართველოს მასშტაბით (სწორედ ამ ტიპის ნაშრომების დანერგვის იდეა და დიდი ძალისხმევა ეკუთვნის ოთ. ლორთქიფანიძეს) და გამოქვეყნებული მასალიდან 85 ძალისგამოსახულებიანი ცული დავადასტურეთ. კვლევის ამ ეტაპზე გავითვალისწინეთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული ქრონოლოგიური განსაზღვრებები, მაგრამ ხშირად უპირატესობა მივანიჭეთ ლ. ფანცხავას მიერ შემოთავაზებულ შესწორებულ თარიღებს [ფანცხავა ლ. 1988:54-82], ხოლო კოლხური ცულების ტიპოლოგიასთან დაკავშირებით ყველაზე მოხერხებულად ლ. სახაროვას მიერ შემოთავაზებული სქემა მივიჩინეთ [სახაროვა ლ. 1998:35, ტაბ. IV].

ძალისგამოსახულებიანი ცულები მომდინარეობენ სამარხეული კომპლექსებიდან, განძებიდან, ზოგი კი — შემთხვევითი მონაპოვარია. მთელი ეს მასალა, გამოსახულებათა შესრულების მანერის მიხედვით, დავყავით ორ ჯგუფად. ამათგან, პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ 44 ნიმუში, ხოლო მეორეში — 41.

I ჯგუფში მოვათავსეთ ძალლისა თუ მისი თავების ის გრაფიკული გამოსახულებები, რომლებიც ყოველთვის პროფილშია წარმოდგენილი. მოქნილი, უწყვეტი ხაზის მოდელირებით სიბრტყეზე მიღებულია ცხოველის მეტ-ნაკლებად რეალისტური ფიგურა. როგორც ჩანს, ჯერ ხდებოდა სხეულის კონტურის მოხაზვა, ხოლო შემდეგ სხვადასხვა სახეებით მისი შემკობა [მაგ. იხ. კახიძე ამ., ... 1993:27-34]. I ჯგუფის ძალლის ფიგურები პროპორციულია, აქვთ შედარებით სტატიკური, მშვიდი პოზა და შესრულებულია ნატურალისტურ-ხაზობრივი მანერით (ტაბ. I, 1-23).

I ჯგუფის გამოსახულებები შესრულების თავისებურების მიხედვით დავყავით ორ ქვეჯგუფად, რომელთაგან I ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ძალლის ის ფიგურები, რომელთაც აქვთ ზომიერად დაღებული ხახა, დაცქვეტილი ყურები, მეტ-ნაკლებად მოქნილი სხეული და მოგრძო, ბოლოში ანეული კუდი. იშვიათად ძალლის გამოსახულება კუდის გარეშეა (ტაბ. I,8 — სურმუშის განძი [ქორიძე დ. 1965:35, სურ. 28]; ტაბ. I, 11 — სამთავროს № 121 სამარხი [აბრამიშვილი რ. 1961:ტაბ. XIV, 1]). მუხლებში ოდნავ მორკალული ფეხები ბოლოვდება უკანშებრუნებული სამკუთხა მოყვანილობის თათებით (ტაბ. I, 9 — დღვაბას № 2 სამარხი [Микеладзе Т. ... 1995:ტაბ. 54]; ტაბ. I,12 — ნაცარგორას № 319 სამარხი [რამიშვილი ალ. 2003:41-48, ტაბ. II, 963]), რომლებიც ზოგჯერ თევზის ფარფლს წააგავს (ტაბ. I,3 — ეშერის № 4 ქვევრსამარხი [Кухтин Б. 1949:სურ. 37]). ცხოველს თვალი მცირე წრით აქვს აღნიშნული (ტაბ. I, 10 — ზაქანი, გამოუქვეყნებელია), ან საერთოდ არ გააჩნია (ტაბ. I,1 — ხიხაძირის განძი [კახიძე ამ., ... 1993:28, 34, ტაბ. V]). ძალლის გამოსახულებები უმეტესად შემკულია წერტილებისაგან შედგენილი ხაზებით (ტაბ. I, 1, 3, 10), წერტილებით (ტაბ. I, 7 — სინათლის განძი [ქორიძე დ. 1965:36, სურ. 29, 2]), ან თევზიფხური ორნამენტით (ტაბ. I,2 — თლია, № 52 სამარხი [Техов Б. 1980:14, 20, ტაბ. 46,6]), ზოგჯერ კი - წრეებით (ტაბ. I,4 — ხიხაძირის განძი [კახიძე ამ., ... 1993:28, 34, ტაბ. VII]; ტაბ. I,5 — ონი [Unterwegs ... 1995:108, ტაბ. 93]). იშვიათად ფიგურები შეუმკობელია (ტაბ. I,8—სურმუშის განძი [ქორიძე დ. 1965:35, სურ. 28]). ძალლის გამოსახულებასთან ერთად ცულებზე წარმოდგენილია თევზი (ტაბ. I,2,3,6), გველი (ტაბ. I,4), ერთ შემთხვევაში ფრინველი (ტაბ. I,8) და ირემი (ტაბ. I,19 — ქუთაისი [ფანცხავა ლ. 1988:71, ტაბ. XIII,1]), ხოლო თლიას სამაროვნის №234 სამარხში აღმოჩენილ ცულზე ადამიანის გრაფიკული გამოსახულებაცაა

გრავირებული [Техов Б. 1980:14, 40, ტაბ.103, სურ. 2]. ცულების უმრავლესობას წელზე შემოუყვება სხვადასხვა გეომეტრიული სახეებით გრავირებული სარტყელი (მსგავსი ძალისგამოსახულებიანი ცულები იხ. აგრეთვე: ხიხაძირის განძიდან [კახიძე ამ., ... 1993:28, 34, ტაბ. VI]; ოთხარადან [Воронов Ю. 1969:19, ტაბ. XXXV,5]; აჭანდარადან [Лукин А. 1941:54-55, სურ. 5; Воронов Ю., ... 1978:260, სურ. 3, 2; Трапш М. 1970:188, ტაბ. X, 2]; ზვანდრიფშიდან [Трапш М. 1970:188, ტაბ. X,3]; აბგარხუკიდან [Воронов Ю., ... 1975:272-273, სურ. 4]; ლაილაშის განძიდან [Доманский Я. 1984:სურ. 15]; თლიადან, № 63 სამარხი [Техов Б. 1980:14, 21, ტაბ. 48, სურ. II, 1]; თლიადან, №№ 140, 223 სამარხები [Техов Б. 1981:9, 10, 12, 13, ტაბ. 59, 1, ტაბ. 66, 1]).

I ჯგუფის I ქვეჯგუფის ძალის გამოსახულებები მოთავსებულია ცულის ლოყაზე (ტაბ. I, 1-12; 15-17), ყუაზე (ტაბ. I,2,5,19,20,21), შუბლზე (ტაბ. I,23 — თლია, №101 სამარხი [Техов Б. 1980:26-27, ტაბ. 66, 1]) და სატარე ხვრელის გვერდებზე (ტაბ. I, 5, 19). ძალის წარმოდგენილია ზოგიერთი ცულის ლოყასა და ყუაზე (ტაბ. I, 2 — თლია, № 52 სამარხი [Техов Б. 1980:14, 20, ტაბ. 46, 6]). ზოგი ცულის ლოყაზე — ძალის, ხოლო სარტყელს ზევით ძალეების გადაბმული თავების მწკრივია მოცემული (ტაბ. I,6 — ნითელი შუქურა, № 94 სამარხი [Трапш М. 1969:144, ტაბ. XV, 2]). ერთ-ერთი ცულის (ონი) ლოყაზე, ყუასა და სატარე ხვრელის ორივე მხარეს მხოლოდ ძალის ფიგურებია მოცემული. ამავე ცულის ტანი კი, სარტყელს ზევით, შემკულია ძალეების გადაბმული თავების მწკრივითაც (ტაბ. I, 5 [Unterwegs ... 1995:108, ტაბ. 93]).

ყუაზე (ტაბ. I,21 [Доманский Я. 1984:სურ.2]) და ლოყაზე მოცემული ძალის გამოსახულებები უფრო სტატიკურია (ტაბ. I, 2, 5, 19-21), ხოლო სატარე ხვრელთან წარმოდგენილია უფრო მოქნილი ფიგურები, რაც განპირობებული უნდა იყოს სასურათე სიბრტყის თა-

ვისებური (მომრგვალებული) ფორმით (ტაბ. I, 19 — ქუთაისი [ფანცხავა ლ. 1988:71, ტაბ. XIII, 1]). ყუაზე ძალის ფიგურების ორი ფეხით გამოსახვა კი, შესაძლოა, სასურათე არის სიმცირით იყოს გამოწვეული (მაგ. ოყურეშის განძიდან [ქორიძე დ. 1965:34, ტაბ. XIV]). არსებობს ისეთი ცული თლიას სამაროვნის № 50 სამარხიდან (ტაბ. I,20 [Техов Б. 1980:14, 20, ტაბ. 45, სურ. II,4]), რომლის ყუაზე ძალის ოთხი ფეხითაა წარმოდგენილი, თუმცა გამოსახულებას ყუის საკმაოდ მოზრდილი არე უჭირავს, სადაც დამატებითი გეომეტრიული ორნამენტი არ აღინიშნება. გვაქვს ისეთი ცულები, რომელთა ლოყაზე ორფეხა ძალეებია მოთავსებული. მაგ. თლიას სამაროვნის №414 სამარხიდან (ტაბ. I, 15 [Техов Б. 2002:185, ტაბ. 87, სურ.1]), მაგრამ აქ მოცემული ძალის სასურათე არე, გეომეტრიული ორნამენტის გამო, მეტად შემცირებულია.

I ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ აგრეთვე თლიას სამაროვნის № 160 [Техов Б. 1980:32, ტაბ. 83, სურ. 1], №234 [Техов Б. 1980:40, ტაბ. 103, სურ. 2], № 414 [Техов Б. 2002:185, ტაბ. 87, სურ.1] სამარხებში მოპოვებული IV ტიპის ცულების ლოყაზე მოცემული ძალის ფიგურები, რომლებიც მოთავსებულია ორნამენტული ჩარჩოთი შემოფარგლულ სამკუთხა არეზე (ტაბ. I, 15 [Техов Б. 2002:185, ტაბ. 87, სურ.1]). აღნიშნული გამოსახულებები რამდენადმე სტილიზებულია, თუმცა ნატურალისტურ-ხაზობრივი მანერა კვლავ შენარჩუნებულია. მსგავსი მანერითაა გრავირებული სვანეთიდან მომდინარე ცულის ლოყაზე მოცემული ძალის ორი ურთიერთმაცქერალი გამოსახულებაც, რომლებსაც წყვილი ფეხი აქვთ და ორნამენტული სამკუთხედის რკალზე თავქვე დგანან (ტაბ. II, 17 [ჩართოლანი შ. 1977:50, ტაბ. XXIII-3]). ნარეკვაში, № 53 სამარხში აღმოჩენილი I ტიპის ცულის ლოყაზე კი, ზენური ხვით შემოსაზღვრულ სამკუთხა სიბრტყეზე გამოსახულია ექვსრიგად განლაგებული ძალის თხუთმე-

ტი ფიგურა, რომლებიც ნატურალისტურადაა შესრულებული (ტაბ. II, 16 [აფაქიძე ან. 2000:32, ტაბ. XV, 597]).

ზოგიერთ ცულზე ძაღლის გამოსახულება საგრძნობლად სტილიზებულია, მაგრამ ამავე დროს ნატურალისტურ ნიშნებსაც ინარჩუნებს. ამგვარი გამოსახულებები მოვათავსეთ I ჯგუფის II ქვეჯგუფში. მაგ. ანუხვადან მომდინარე ცულის ტანი და ლოყა შემკულია ძაღლის სამი გამოსახულებით, რომელთაგან ორი თავით ყუისკენაა მიმართული, ხოლო ერთი, ლოყაზე გამოსახული—თავქვე. ამ ცულს სარტყელი არ გააჩნია (ტაბ. I, 13) [Доманский Я. 1984:11, სურ. 3]. ეშერაში [Шамба Г. 1984:51, სურ. 15, 2], თასრაყვაში [Воронов Ю. 1969: 22-23, ტაბ. XXXV,1] და პრიმორსკოეში [Куфтин Б. 1949:139, სურ. 24] აღმოჩენილი ცულების ლოყაზე ასევე თავქვე მოცემული ძაღლის გამოსახულებები კიდევ უფრო სტილიზებულია. მათ აქვთ დაგრძელებული ტორსი და დისპროპორციულად დიდი თავები. სარტყელი არც ამ ცულებს აქვთ. ოთხივე ცული I ტიპისაა.

გამოსახულებათა I ჯგუფის II ქვეჯგუფში გავაერთიანეთ აგრეთვე თლიას სამაროვანზე აღმოჩენილი IV ტიპის ცულები, რომლებზეც ძაღლების გამოსახულებები სიგრძივად მოცემული. მათი სხეულები ხაზებით [Техов Б. 2002:185, ტაბ. 15,1], ზენური ხვიებითა [Техов Б. 1981:13, ტაბ. 67,1] და მოზრდილი წრეებითა შემკული (ტაბ. I, 14 [Техов Б. 1981:6, ტაბ. 82,1]). ამ ფიგურების სხეულის ზოგიერთი ნაწილი საგრძნობლად სტილიზებულია. დაგრძელებული ტორსი ზომიერადაა ჩაზნექილი, ცხოველის დრუნჩი შემსხვილებული, ხოლო მორკალული თათები თევზისფარფლისებრია (ტაბ. I,14). აღნიშნულ ცულებსაც სარტყელი არ გააჩნიათ, ხოლო ყუა შემკულია თევზის, ბაყაყის, გველისა და სხივებიანი წრეების სახეებით.

ძაღლის გამოსახულება ყოველთვის სათანადოდ არის შეხამებული ცულის ფორ-

მასთან, რაც კარგად ჩანს მისი შემკულობის ყველა მონაკვეთზე. ამ მხრივ ცალკე უნდა აღინიშნოს ცულის ტანის ვიწრო ზოლზე მწკრივად განლაგებული (ტაბ. I,22 — ეცერი [ჩართოლანი შ. 1977:51, ტაბ. XXV,1]) და ცულის ლოყაზე, გორდა პირის კონტურის შესაბამისად, ორნამენტულ რკალზე თავქვე გამოსახული ძაღლის გადაბმული თავები (ტაბ. I,18 — თლია, №308 სამარხი [Техов Б. 1981:6, 22, ტაბ. 87,1]), რომლებიც პროფილში, ხახადაღებული და ყურდაცქვეტილია წარმოდგენილი და შესრულებულია ნატურალისტურად (იხ. აგრეთვე თლია, № 263 სამარხი [Техов Б. 1981:16-17, ტაბ. 74, 1]). ამ ნიშნებით გავაერთიანეთ ისინი I ჯგუფში, თუმცა ძაღლის მორკალული თავ-კისრების რიტმული მონაცვლეობით დეკორატიულობა იმდენად გაძლიერებულია, რომ შეინიშნება სწრაფვა ორნამენტულობისაკენ (იხ. აგრეთვე ერგეტა 4-ის № 2 სამარხიდან [Mikeladze T. 1995:ტაბ. 8, 6]). ზოგჯერ ძაღლის გადაბმული თავები ჩანაცვლებულია მსგავსი ფორმისა და შინაარსის გეომეტრიული ორნამენტით (ტაბ. I, 24 — მუხურჩა [აფაქიძე ან. 1991:73, ტაბ. CXIV,2]).

I ჯგუფში გაერთიანებული გამოსახულებები, ძირითადად დათარიღებულია ძვ.წ. VIII—VII სს, ნაწილი კი (ტაბ. I, 6, 9, 16, 18, 23) — ძვ.წ. VII-VI სს. (ლიტერატურა იხ. ილუსტრაციების აღწერილობასთან) და მოთავსებულია I, II, IV და V ტიპის ცულებზე.

II ჯგუფში (ტაბ. II, 1—16) გავაერთიანეთ ძაღლის ის გამოსახულებები, რომლებიც, I ჯგუფის ნიმუშების მსგავსად, შესრულებულია გრაფიკულად, პროფილში, აცქვეტილი ყურებითა და ბოლოში აწეული კუდით, მაგრამ უკვე ფართოდ გაღებული ხახით, შემსხვილებული დრუნჩით, წვეტიანი ყბებითა და კიდურებით. მათ უმეტესობას თავები უკან აქვს შებრუნებული, ხოლო მკერდ-კისერი და ტორსი ჩაზნექილ-მორკალული. ახასიათებთ სხეულის ცალკეული ნაკვთებისა თუ მთლიანად ფიგურის დეფორმაცია და

დარღვეული პროპორციები. იწყება გამოსახულების გეომეტრიზაცია და სქემატიზაცია. ეს პროცესი I ჯგუფის გამოსახულებებთან შედარებით რამდენადმე გვიან დაიწყო და შემდეგ მის პარალელურად გაგრძელდა, ხოლო ფინალურ ეტაპზე უპირატესობა მოიპოვა, თუმცა, კოლხური გრაფიკული ხელოვნების დასასრულს, ნატურალისტურად შესრულებული გამოსახულებებიც აგრძელებდა არსებობას.

ამ მეტად სტილიზებული გამოსახულებების ნაწილი პოზით, ზოგჯერ კი სხეულის სხვადასხვა დეტალის მოდელირებით I ჯგუფის გამოსახულებებს ემსგავსება. მათ მეტნაკლებად შენარჩუნებული აქვთ ერთგვარი პროპორციულობა და ფიგურატიულობა. ძალის ამგვარი გამოსახულებები გავაერთიანეთ II ჯგუფის I ქვეჯგუფში.

II ჯგუფის I ქვეჯგუფში გაერთიანებული ზოგიერთი ძალის გამოსახულება დატანილია ცულის ლოყაზე. ძალის უკან მიტრიალებული თავი მორკალული მკერდის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს იმგვარად, რომ კომპოზიცია S-ის ფორმას ღებულობს. ფართოდ გაღებული პირის ტუჩები წვეტიანი წანაზარდით ბოლოვდება (ტაბ. II,1,2,3). თავ-მკერდი უკვე ძლიერ სტილიზებულია, ხოლო ტორსი და ფეხები მეტ-ნაკლებად. შენარჩუნებულია ერთგვარი პროპორციულობა და ფიგურატიულობა. თუმცა, ცხინვალის განძიდან მომდინარე ცულზე მოცემული ძალის წვრილი, გრძელი და მოხრილი, უკან შებრუნებული ფარფლისებური თავებით დაბოლოებული ფეხები მორკალულ თავ-კისერთან ერთად გამოსახულებას მანერულ ხასიათს ანიჭებს (ტაბ. II,2) [ჯაფარიძე ოთ. 1950ა:სურ. 2,ც]. მზეთამზის სამაროვანზე (ტაბ. II, 1) [ნასიძე გ. 1990:2, ტაბ. IV, 1] აღმოჩენილ ცულზე კი, ძალის თავი, ტორსი და ფეხები ერთმანეთის პროპორციულია, ხოლო თლიას სამაროვნის № 432 სამარხში (ტაბ. II, 3) [Texov B. 2002:50, ტაბ. 104, 1] აღმოჩენილ

ცულზე გამოსახული ძალის ფიგურა ტორსთან მიმართებით პროპორციული ფეხებითა და დისპროპორციულად დიდ, უკან მოდრეკილ თავთან ერთად ეკლექტური ხასიათისაა. აღწერილი ცულები II ტიპისაა.

თლიას სამაროვნის №№ 161, 165, 287, 252 სამარხებში აღმოჩენილ ცულებზე გრავირებული ძალის საკმაოდ სტილიზებული გამოსახულებები (ტაბ. II, 6, 7, 4, 5) ფართოდ გაღებული ხახით, უტრირებული წვეტიანი დრუნჩითა და ყურებით, ზოგადი იერით, ზემოგანხილული ეგზემპლარების მსგავსია. ამიტომ ისინიც II ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ, თუმცა ყველა მათგანი წარმოდგენილია თავით წინ. №№ 161, 165 სამარხების ძალების (ტაბ. II, 6, 7) ტორსი ზომიერადაა ჩაზნექილი და თავი ტანის პროპორციულია, ხოლო № 252 სამარხის ძალის უფრო მეტად სტილიზებული ფიგურის ძლიერად ჩაზნექილი სხეული მორკალული კისრით უშუალოდ უერთდება დისპროპორციულად დიდ თავს ისე, რომ კომპოზიცია S-ის ფორმას იღებს (ტაბ. II, 5 [Texov B. 1981:14-15, ტაბ. 72, 1]). სამივე ძალის მორკალული და შებრუნებული თავები წვეტიანი ბრჭყალებით ბოლოვდება. 287-ე სამარხის ძალის გამოსახულება საკმაოდ პროპორციულია (ტაბ. II, 4 [Texov B. 1980:14, 46, ტაბ. 117, 1]). ფეხები დასრულებულია სამკუთხა ფორმის თავებით, რითაც მზეთამზისა და თლიას №432 სამარხის (ტაბ. II, 1, 3) ძალებს გავს, ხოლო კუდის ფორმითა და სხეულის ბადისებრი შემკულობით კი თლიას სამაროვნის № 165 (ტაბ. II, 7 [Texov B. 1980:32-33, ტაბ. 84]) და №432 (ტაბ. II, 3 [Texov B. 2002:50, ტაბ. 104, 1]) სამარხების ძალის გამოსახულებების მსგავსია. ყველა ცული II ტიპისაა, №161 სამარხისა კი - IV ტიპის (ტაბ. II, 6 [Texov B. 1981:38-39, ტაბ. 111, 1]).

II ჯგუფის I ქვეჯგუფში მოვათავსეთ აგრეთვე თლიას სამაროვნის №№ 297, 264 სამარხების ცულებზე გამოსახული ძალის ფიგურები, რომლებიც ფართოდ გაღებული,

ჭრილში სამკუთხა პირით, წვეტიანი ტუჩებით, უტრირებული დრუნჩითა და წანვეტებული ფოთლისებრი ყურებით ზემოგანხილულთა მსგავსია, თუმცა ტორსი და კიდურები განსხვავებულადაა მოდელირებული. მოკლე ტანი მორკალულია, თავი მობრუნებული, ხოლო ფეხები — ჩაკეცილი. № 297 სამარხის ძალღი მოთავსებულია ორნამენტულ სამკუთხა ჩარჩოში და მცირე სასურათე არის გამო, კუდი არ გააჩნია, ხოლო ჩაკეცილი უკანა ფეხი ნატურალისტურად აქვს გამოსახული. ძალღის ფიგურის ზემოთ დატანილია ორფრთიანი ისრისპირი, მეორე ლოყაზე კი - ცხენის გადაბმული თავები და ასეთივე ისარი [Техов Б. 1981:48-49, ტაბ. 133,1]. № 264 სამარხის ძალღი უფრო სქემატურია, ფეხები მორკალული ხაზებით აქვს აღნიშნული და ხაზოვანი, ბოლოსწორი კუდი გააჩნია. მეორე ლოყაზე გრავირებულია ხარის ფიგურა, რომელიც ერთადერთია ორივე ჯგუფის გამოსახულებათა შორის. აქვე მოცემულია ორფრთიანი ისრისპირისა და თევზის გრაფიკული გამოსახულებები [Техов Б. 1980:14, 44, ტაბ. 114, 1]. ცულები II ტიპისაა.

II ჯგუფის I ქვეჯგუფში გავაერთიანეთ მზეთამზის №4 სამარხში აღმოჩენილ I ტიპის ცულზე გრავირებული „ძალღის“ ფიგურაც (ტაბ. II, 8 [Georgien ... 2001:347]), რომელიც პირის ჭრილით, ტუჩებზე რქისებრ—წვეტიანი წანაზარდებით, ქვედაზე გრძელი ზედა ყბით, წანვეტებული ყურებითა და მოგრძო, ბოლოში აწეული კუდით ზემოგანხილულთა მსგავსია. ცხოველის მართკუთხა ტორსი და მოკლე სამკუთხა ფეხები ცულის ერთ ლოყაზე, ხოლო გრძელი მორკალული კისერი და გიგანტური „ფანტასტიკური“ თავი — მეორე ლოყაზეა მოთავსებული. კომპოზიცია სრულად გეომეტრიზირებულია და შესდგება მართკუთხედის, სამკუთხედისა და რკალისაგან, თუმცა გამოსახულება გეომეტრიულ ორნამენტად არ გადაქცეულა, ვინაიდან მთელის მიერ ნაწილის დამორჩილების პრინციპი

ჯერ კიდევ სახეზეა, ამდენად, გამოსახულებას შენარჩუნებული აქვს ფიგურატულობა.

II ჯგუფის I ქვეჯგუფში ასევე გავაერთიანეთ შემდეგი გამოსახულებები: ოჯოლას განძიდან [ქორიძე დ. 1965:38, სურ. 31], ცხეთადან [ქორიძე დ. 1965:სურ. 62, 2], თლიადან, № 271 სამარხი [Техов Б. 1981:17-18, ტაბ. 77, 1], ზეკარიდან [Иващенко М. 1941:7-8, სურ. 3,ბ].

ძალღის გამოსახულებების სრული სტილიზაცია შეინიშნება კოლხურ ცულებზე, რომლებიც თლიას სამაროვნის სხვადასხვა სამარხებიდან მომდინარეობენ. ეს გამოსახულებები გავაერთიანეთ II ჯგუფის II ქვეჯგუფში. მათთვის დამახასიათებელია პროპორციების სრული რღვევა. მოკლე ტორსი კუთხოვანი რკალის ფორმისაა და გრძელი მორკალული კისრით უერთდება უკან შებრუნებულ თავს, რომელზეც ასევე მორკალული და წანვეტებული ყურები აზის (ტაბ. II, 9 - № 316 სამარხი [Техов Б. 1985:5, 51, ტაბ. 200,1]). შემსხვილებული დრუნჩი ზემოთ აშვერილი წვეტიანი „ნისკარტი“ ბოლოვდება (ტაბ. II, 10 — № 127 სამარხი [Техов Б. 1981:35, ტაბ. 105, 1]), ხოლო ქვედა ყბას ტრაპეციის ფორმა აქვს. კიდურები წვრილი ხაზებია, რომლებიც მომცრო რკალებით ბოლოვდება. მოკლე, ბოლოში აწეული ხაზითაა გამოსახული კუდიც. ყველა გამოსახულება დანიშნულია წერტილებით. ცულები II ტიპისაა (იხ. აგრეთვე ცულები №№ 49, 130 სამარხებიდან [Техов Б. 1981:30, 31, 35, 36, ტაბ. 97,1, ტაბ. 106,1] და 121, 129 სამარხებიდან [Техов Б. 1985:17, 18, 20, ტაბ. 128,1, ტაბ. 131,1]).

ძალღის გამოსახულებათა სტილიზაცია კულმინაციას აღწევს კოლხურ ცულებზე მოცემულ ძალღის იმ ფიგურებზე, რომლებიც თითქმის სრულადაა მორკალული და ერთი შეხედვით, მუდმივად მბრუნავი გეომეტრიული ფიგურების შთაბეჭდილებას ტოვებს (ტაბ. II, 11, 16). ისინი II ჯგუფის III ქვეჯგუფში მოვითავსეთ. სახეზეა ფორმის მაქსიმალური გეომეტრიზაცია. მაგ. ხევის განძიდან (ტაბ. II,

16 [ქორიძე დ. 1965:ტაბ. XXXVI]) მომდინარე და ფუშრუკაულის სამაროვანზე [კახიძე ამ., ... 1993:37-38, ტაბ. IX] მოპოვებულ ცულებზე წარმოდგენილ გამოსახულებებს ძაღლის აღარაფერი ეტყობათ და უფრო გეომეტრიულ ორნამენტს გვანან. ყველა ცული I ტიპისაა (მაგ. ეშერადან — ტაბ. II,12 [Воронов Ю., ... 1978:163-264, სურ. 6, 2]), მხოლოდ ერთია II ტიპის ცხინვალის განძიდან [ჯაფარიძე ოთ. 1950ბ:101-106, სურ. 2] და ერთიც, IV ტიპის ცული, თლიას სამაროვნის № 374 სამარხიდან (ტაბ. II, 11 [Техов Б. 2002:186-187, ტაბ. 50, სურ. 1]). აღსანიშნავია, რომ ორივე ამ ცულის (II და IV ტიპის) ცხოველს წრიულად მორკალულ ტორსზე წერტილები გაუყვება. წერტილები გაუყვება აგრეთვე № 374 სამარხის (ტაბ. II, 11) ცულის წელზე მოცემულ ფრთაგაშლილი ფრინველის გრაფიკულ გამოსახულებასაც, რომელიც ერთადერთია II ჯგუფის გამოსახულებათა შორის. საყურადღებოა, რომ II ჯგუფის ძაღლის გამოსახულებიან ცულებზე თითქმის გაქრა თანმხლები ცხოველები: გველი, თევზი, ბაყაყი და ფრინველი. (იხ აგრეთვე ცულები თლიადან: № 51 სამარხი [Техов Б. 1981:7-8, ტაბ. 53, 2]; № 69 სამარხი [Техов Б. 1985:5, 10, ტაბ. 109, 1]; №№ 362|1, 425, 462 სამარხები [Техов Б. 2002:22, 192-193, 47, 61, ტაბ. 32, 1; ტაბ. 100, 1; ტაბ. 127,6]; ახალი ათონი [Лукин А. 1941:43, ტაბ. VIII,5]).

II ჯგუფის IV ქვეჯგუფში გავაერთიანეთ ძაღლისა თუ „ფანტასტიკური ცხოველის“ ძაღზე „შემოკლებული“ ვარიანტი, გეომეტრიულ-სიმბოლური ნიშანი — რვიანისებრად ჩახვეული, შეერთებული ორი წვეტიანი თათი, რითაც პირობითად აღნიშნული ცხოველი გამოისახება (ტაბ. II,13 — მებჩის-ციხის განძი [ქორიძე დ. 1965:37-38, სურ. 30, 5]). დეტალის მიერ მთელი კომპოზიციის ამგვარი ჩანაცვლებით მიღებული ცხოველის სიმბოლური გამოსახულება ამავე დროს გეომეტრიული ორნამენტიცაა. ასეთი გეომეტრიულ-სიმბოლური ორნამენტი გვხვდება ცულის

წელზე (Техов Б. 2002:48-49, 187, ტაბ. 102, 1) ან სატარე ხვრელს ქვემოთ, როცა ცულის ლოყაზე ძაღლი (ტაბ. II, 12 — ეშერა [Воронов Ю., ... 1978:163-264, სურ. 6, 2]; თლია, № 297 სამარხი [Техов Б. 1981:48-49, ტაბ. 133,1]) ან ცხენია გამოსახული (თლია, № 76 სამარხი [ფანცხავა ლ. 1988:67, ტაბ. XV,2]; № 417 სამარხი [Техов Б. 2002:44, ტაბ. 90,1]). ეს სიმბოლური ნიშანი შესაძლოა მოცემული იყოს მხოლოდ ცულის ლოყაზე (თლია, № 452 სამარხი [Техов Б. 2002:57, ტაბ. 123, 1]) ან ლოყასა და წელის არეზე ერთად (ტაბ. II, 14 — ცხინვალის განძი [ჯაფარიძე ოთ. 1950ბ:101-106, სურ. 2,ა]). არსებობს ცულის ორი ეგზემპლარი თლიადან, რომელთა ლოყა შეუქმობელია, ხოლო ზემოაღნიშნული სიმბოლური ნიშანი მხოლოდ წელზე (№391 სამარხი [Техов Б. 2002:34, ტაბ. 65, 1]) ან სატარე ხვრელს ქვევითაა (№345 სამარხი [Техов Б. 2002:14, ტაბ. 12, 1]) მოთავსებული. სიმბოლური ნიშანი გვხვდება I, II და IV ტიპის ცულებზე. II ჯგუფში გაერთიანებული ძაღლის გამოსახულებიანი ცულების უმეტესობა დათარიღებულია ძვ.წ. VII-VI სს. ნაწილი კი ძვ.წ. VIII-VII სს. (ლიტერატურა იხ. ილუსტრაციების აღწერილობასთან) და მოთავსებულია I, II, და IV ტიპის ცულებზე.

აქვე ყურადღებას შევაჩერებთ კოლხურ ცულებზე წარმოდგენილ გამოსახულებათა ერთ ნაწილზე. უაღრესად საყურადღებოა წოისის განძის ცული (ტაბ. II, 15 [ფანცხავა ლ. 1988:58, ტაბ. XIX, 3]), რომლის ლოყაზე გამოსახული ცხოველი, ერთი შეხედვით ირემია, რაზედაც მაღლა აზიდული და დატოტვილი რქები მეტყველებს. მაგრამ თუ დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ რქების გარეშე ცხოველი, ფაქტობრივად, ძაღლია [ფანცხავა ლ. 1988:43]. მას აქვს ძაღლისთვის დამახასიათებელი ჩაზნექილი სხეული, უკან შებრუნებული თავი, ფართოდ გაღებული ხახა და დაცქვეტილი სამკუთხა, წინამონეული ყური, რითაც ირემი არასდროს არ გამოისახება (მეორე ყურის ადგილას ადგას ირმის

რქები). კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ცხოველს აქვს გრძელი, ოდნავ მორკალული და ბოლოსწორი (და არა აპრეხილი), ცხენისთვის ჩვეული კუდი, რაც ასე ატიპიურია ძაღლისა და ირმისათვის. ჩვენი აზრით, აქ საქმე გვაქვს სინთეზურ გამოსახულებასთან, სადაც სამივე ცხოველის (ძაღლი, ირემი, ცხენი) ერთობლიობაა წარმოდგენილი.

საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე მსგავსი ფუნქციის მქონე ისეთი წმინდა ცხოველები როგორცაა ძაღლი, ირემი და ცხენი ერთ სახეში ერთიანდებიან. წოისის განძიდან მომდინარე ცულზე გამოსახული ძაღლი, როგორც სამივე სკნელთან დაკავშირებული არსება, იერთებს ასევე სამივე სკნელთან დაკავშირებული ცხენისა და ირმის თვისებებს, რის შედეგადაც მიღებულია სინკრეტული ცხოველის სახე, რომელიც როგორც ფორმით, ისე შინაარსით უკვე „ფანტასტიკური“ ცხოველია. მაგრამ ეს ტენდენცია, რომელიც კონკრეტულიდან სინკრეტულისკენ წარმართა, ამით არ სრულდება. მაგ. ხევის განძის ცულზე გამოსახულია უკიდურესად სტილიზებული და გეომეტრიზირებული ცხოველი, რომლის სახეშიც გაერთიანებულია ხალხის რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული თითქმის მთელი ცხოველ-ფრინველთა და წყლის ბინადართა სამყარო (ტაბ. II,16). ცულის ლოყაზე მოთავსებულ „ცხოველს“ აქვს ძაღლივით ფართოდ გაღებული ხახა და დაცქვეტილი სამკუთხა ყურები, თევზისთვის დამახასიათებელი ფარფლები და ფრინველისებური კლანჭები. ტორსი კი შემკულია ირმისთვის დამახასიათებელი რომბისებრი ბადით, ხოლო ერთჩლიქიანი უკანა ფეხი ცხენისთვისაა ჩვეული. იგივე ფიგურა გადმოცემულია გეომეტრიული ფორმების (რკალი, სამკუთხედი, მართკუთხედი, წრე) ერთობლიობით, რითაც მიღებულია პოლიმორფული არსების მეტად აბსტრაქტული სახე, რომელიც უფრო გეომეტრიულ ორნამენტს გავს, ვიდრე ცხო-

ველს. როგორც ჩანს, სამივე სკნელის არსებათა გაერთიანებულად ჩვენება, რაც გულისხმობდა თითოეულის დამახასიათებელ ნიშანთა ერთ ფიგურაში თავმოყრას, ინვევდა გამოსახულების ჰიბრიდულ თუ „ფანტასტიკურ“ ცხოველად გარდაქმნას, ხოლო ძლიერი სტილიზაცია და ფორმის მაქსიმალური გეომეტრიზაცია ამ იდეის განხორციელების ყველაზე მოხერხებული და მისაღები გამომსახველობითი ხერხი აღმოჩნდა.

I და II ჯგუფებში გაერთიანებული ძაღლებისა თუ „ფანტასტიკური ძაღლების“ გამოსახულებათა შესრულების მანერა განსხვავებულია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ კოლხურ ცულებზე მოცემულ გამოსახულებათა იდეურ-მხატვრულ და სპეციფიკურ ნიშანთა ერთობლიობას, აშკარად დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს მხატვრული აზროვნების ერთიან სტილთან. სტილი კი, როგორც ცნობილია, ყალიბდება ამა თუ იმ საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორც მხატვრული აზროვნების გამოხატვის თავისებურებათა სისტემა, სადაც ასახულია ამა თუ იმ ხალხის, სახელოვნებო სკოლისა თუ ცალკეულ შემოქმედთა დამახასიათებელი გამომსახველობითი ხერხების ერთობლიობა, რაც განპირობებულია მათი დამოკიდებულებით გაბატონებული იდეოლოგიისადმი, საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენებისადმი და თანამედროვეთა მოთხოვნებისადმი [უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1989:480].

გვიანბრინჯაო-რკინის ფართო ათვისების ხანის კოლხური ცულების შემკულობის სტილის უმთავრესი დამახასიათებელი ნიშანი ცხოველთა (ჩვენს შემთხვევაში ძაღლის) და გეომეტრიულ სახეთა გრაფიკულად ერთობლივი გამოსახვაა. ძაღლის გამოსახულებები ყოველთვის პროფილში, ხახადაღებული, დაცქვეტილი ყურებითა და ზემოთ ახრილი კუდის ბოლოთა მოცემული. ამ გამოსახულებების უმეტესობას ფონს უქმნის ასევე გრაფიკულ სტილში შესრულებული გეომეტ-

რიული სახეები, რითაც კომპოზიცია დეკორატიული ხასიათის ხდება.

მიუხედავად მათი ნაირსახეობისა და თავისებური ვარიანტებისა, ისინი საერთო სტილური ნიშნებით ქმნიან ერთ დიდ და მთლიან მხატვრულ ჯგუფს და რაც მთავარია, ამ ერთიანი სტილის ზღვარს არასდროს გადადიან.

I და II ჯგუფებში გაერთიანებულ ძაღლის გამოსახულებათა შორის განსხვავება გამოწვეული იყო დროთა განმავლობაში არა სტილის, არამედ შესრულების მანერის განვითარება—ცვლილებით, რომელიც წარმართა ნატურალისტურიდან სქემატურ-სტილიზაციამდე, რეალისტური გამოსახულებებიდან აბსტრაქტულ, ირეალურ ფიგურებამდე, პლასტიკური ფორმების სრულ გეომეტრიზაციამდე, დეკორატიულობის ორნამენტულობით შეცვლამდე. კონკრეტული ფორმისა და შინაარსის გამოსახულებები გადაიქცნენ სინკრეტულ და პოლიმორფულ ფიგურებად, რის შედეგადაც ოდესღაც ძაღლის გამოსახულებამ „ფანტასტიკური ცხოველის“ სახე მიიღო.

აღსანიშნავია, რომ, როგორც ორივე ჯგუფში, ისე ჯგუფის ფარგლებში არც ერთი გამოსახულება იდენტური არ არის და ზოგჯერ ცულის ორ ლოყაზეც კი მეტად განსხვავებული ძაღლის ფიგურებია წარმოდგენილი, რაც ჩვენი აზრით განპირობებული იყო ერთი მხრივ, ამა თუ იმ ცენტრის ტრადიციებით, ხოლო მეორე მხრივ, ოსტატის ინდივიდუალური შემოქმედებითი თავისებურებებითა და შესაძლებლობებით.

კოლხურ ცულებზე გამოსახული ყოველი სილუეტი თავისი ფორმითა და შინაარსით ორგანულად ერწყმის ცულისას მის ნებისმიერ მონაკვეთზე. მომგებინადაა გამოყენებული სასურათე სიბრტყე, რასთანაც სათანადოდაა შეხამებული როგორც ცხოველის, ისე გეომეტრიული ორნამენტის ფორმა, რის გამოც ერთიანობაში შექმნილია დეკორატი-

ული ხელოვნების მაღალმხატვრული ნიმუში. მიუხედავად ზოგიერთი მდიდრულად შემკული ეგზემპლარისა, არასოდეს გვეუფლება გადატვირთულობის შეგრძნება, რადგან ცულის დეკორი ყოველთვის მონესრიგებული, დაბალანსებული და მკაცრად განსაზღვრული მხატვრული სისტემის ფარგლებში ექცევა.

კოლხური ცულების დეკორის შემოქმედი საზოგადოების მხატვრული აზროვნება არის სიბრტყობრივ-ხაზობრივი და დეკორატიულ-ორნამენტული. ნებისმიერ კომპოზიციაში ნამყვანია ხაზი, რომლის უწყვეტი მდინარებითაც იქმნება ესა თუ ის ფორმა. ხაზის მეშვეობით ხდება სიბრტყის დანაწილება-მოხაზვა, მორთვა-მოჩითვა. ძაღლის სხეულის მოცულობითი ფორმები შესრულებულია არა სივრცეში ამოზიდვით, არამედ მხოლოდ სიბრტყეზე კონსტრუირებით. წინა პლანზეა გამოსახულების წმინდა პლასტიკური მხარე, რომლის მოდელირებისას მთლიანადაა უარყოფილი სიბრტყეზე სინამდვილის მხედველობითი ილუზიის გამოსახვის პრინციპები და იგრძნობა მისწრაფება სადა სიბრტყობრივი ფორმებისაკენ, რასთანაც ზომიერადაა შეზავებული ასევე სიბრტყობრივ-ხაზობრივად შესრულებული გეომეტრიული ორნამენტი. გვიანდელ ეტაპზე, როცა ცულებზე გამოსახული ძაღლის გამოსახულების ფორმა დანაწევრდა სხვადასხვა ზომის მართკუთხა, სამკუთხა და მრგვალ ელემენტებად, წარმოიშვა რთული დეკორატიული რიტმი, რაც გამოიხატა გამოსახულების მაქსიმალურ გეომეტრიზაციასა და ორნამენტიზაციაში. კოლხური ცულების გრაფიკული ხელოვნების ფინალურ ეტაპზე მთლიანად გაბატონდა დეკორატიული საწყისი, რაც ნიშნავდა მოცულობის სიბრტყეზე გამოსახვის საბოლოო უარყოფასა და სქემატური თუ გეომეტრიულ-სიმბოლური დეტალით მთელი გამოსახულების ჩანაცვლებას.

ლიტერატურა:

აბრამიშვილი რ. 1957: სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. - სსმმ, ტ. XIX-A და XXI-B, გვ. 115-140. თბილისი.

აბრამიშვილი რ. 1961: რკინის ათვისების საკითხისათვის აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე (ძვ.წ. XIV-VI სს.). - სსმმ, ტ. XXII-B, გვ. 291-379. თბილისი.

ამირანაშვილი შ. 1970: ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი.

აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ან., გიუნაშვილი გ., გავაშელი ედ., ლლონტი ნ., კაპანაძე მ. 2000: ნარეკვავის სამაროვანი — ან. აფაქიძე (რედ.), მცხეთა 1999, ნარეკვავი II, გვ. 3-105. თბილისი.

ვირსალაძე ელ. 1964: ქართული სამონადირეო ეპოსი. თბილისი.

კახიძე ამ., მამულაძე შ. 1993: აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები. ბათუმი.

ლორთქიფანიძე ოთ. 2001: განძები კოლხური ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის, დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა) - ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), „კავკასია“, ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, „ძიებანი“, დამატება VI, გვ. 178-194. თბილისი.

მიქელაძე თ. 1974: ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან. თბილისი.

მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. თბილისი.

ნასიძე გ. 1990: კოლხური კულტურის ახალი კერა. თბილისი.

რამიშვილი აღ. 2003: გრავირებული კოლხურ ცულებიანი სამარხი სოფ. ნაცარგორიდან — ვ. ჯაფარიძე (რედ.), „ძიებანი“, № 12,

გვ. 41-48. თბილისი.

სახაროვა ლ. 1998: კიდევ ერთხელ კოლხური ცულების ტიპოლოგიის შესახებ — ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), „ძიებანი“, № 1, გვ. 34-42. თბილისი.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი 1989: თბილისი.

ფანცხავა ლ. 1988: კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.

ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ჩართოლანი შ. 1977: სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

წერეთელი მ. 2001: კოლხური ხელოვნების მხატვრული სტილის ზოგადი თავისებურება — ნ. ლომოური (რედ.), ხელოვნების სახ. მუზეუმის „ნარკვევები“ VII, გვ. 16-22. თბილისი.

წერეთელი მ. 2005: კოლხური სარიტუალო ცული — ნ. ლომოური (რედ.), ხელოვნების სახ. მუზეუმის „ნარკვევები“ X, გვ. 9-23. თბილისი.

ხიდაშელი მ. 1982: ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში. თბილისი.

ჯაფარიძე ოთ. 1950ა: კოლხური ცული — ან. აფაქიძე (რედ.), სსმმ, XVI-B, გვ. 35-89. თბილისი.

ჯაფარიძე ოთ. 1950ბ: ცხინვალის განძი — ან. აფაქიძე (რედ.), სსმმ, XVI-B, გვ. 99-107. თბილისი.

Апакидзе Дж. 1991: Центральная Колхида в эпоху поздней бронзы-раннего железа. Тбилиси.

Бардавелидзе В. 1957: Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен. Тбилиси.

Воронов Ю. 1969: Археологическая карта Абхазии. Сухуми.

Воронов Ю., Вознюк А. 1975: Новые археологические находки в Гудаутском районе Абхазской АССР - А. Арциховский (ред.), СА №2,

ს. 268-274. Москва.

Воронов Ю., Гунба М. 1978: Новые памятники Колхидской культуры в Абхазии - А. Арциховский (ред.), СА №2, с. 257-264. Москва.

Доманский Я. 1984: Древняя художественная бронза Кавказа в собрании Государственного Эрмитажа. Москва.

Иващенко М. 1941: Материалы к изучению культуры Колхов – С. Джанашиа (ред.), - მსკი, вып. II, с.1-66. Тбилиси.

Куфтин Б. 1949: Материалы к археологии Колхиды, т. I. Тбилиси.

Лукин А. 1941: Материалы по археологии Бзыпской Абхазии - ТОИПКЭ, т. I, с.17-97. Ленинград.

Мещанинов И. 1925: Змея и собака на вещевых памятниках архаического Кавказа. – О.Ольденбург (ред.), ЗКВАМР, I, с. 241-256. Ленинград.

Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р., Чубинишвили Н. 1995: Колхидская экспедиция. – Т. Микеладзе (ред.), ПАИ в 1987 г., с. 39-43. Тбилиси.

Миллер А. 1922: Изображение собаки в древностях Кавказа – И. Орбели (ред.), ИРА-ИМК, т. II, с. 287-324. Петербург.

Техов Б. 1980: Тлииский могильник, I. Тбилиси.

Техов Б. 1981: Тлииский могильник, II. Тбилиси.

Техов Б. 1985: Тлииский могильник, III. Тбилиси.

Техов Б. 2002: Тайны древних погребений. Владикавказ.

Трапш М. 1970: Памятники эпохи бронзы и раннего железа в Абхазии. Труды, т. I, Сухуми.

Трапш М. 1969: Древний Сухуми. Труды, т. II. Сухуми.

Уварова П. 1900: Могильники Северного Кавказа - МАК, вып. VIII. Москва.

Урушадзе Н. 1988: Древнегрузинское пластическое искусство. Тбилиси.

Шамба Г. 1984: Раскопки древних памятников Абхазии. Сухуми.

Georgien 2001: Schätze aus dem Land des goldenen Vlies. Bohum.

Mikeladze T. 1995: Grosse kollektive Grabgruben der fruhen eizenzeit in Kolchis. Archäologischer Anzeiger. Berlin, New-York.

Unterwegs zum goldenen Vlies 1995. Saarbrücken.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I - I ჯგუფში გაერთიანებული ძალ-ლისგამოსახულებიანი ცულები:

1. ხიხაძირი, განძი, ძვ.წ. VIII-VII სს. [კახიძე ამ., ... 1993:27-34].

2. თლია, № 52 სამარხი, ძვ.წ. VIII-VII სს. [ფანცხავა ლ. 1988:6].

3. ეშერა, № 4 ურნა-სამარხი, ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანის [Куфтин Б. 1949:192].

4. ხიხაძირი, განძი, ძვ.წ. VIII-VII სს. [კახიძე ამ., ... 1993:28-34].

5. ონი, შემთხვევითი მონაპოვარი, ძვ.წ. VIII-VI სს. [Unterwegs zum goldenen Vlies 1995:108].

6. წითელი შუქურა, № 94 ურნა-სამარხი. ძვ.წ. VIII-VI სს. [Трапш ММ. 1969:144].

7. სინათლე (ნიკორწმინდა), განძი, ძვ.წ. VIII-VII სს. [ფანცხავა ლ. 1988:69].

8. სურმუში, განძი, ძვ.წ. VIII-VII სს. [ფანცხავა ლ. 1988:69].

9. დღვაბა, № 2 კოლექტიური სამარხი, ძვ.წ. VII-VI სს. [Mikeladze T. 1995:14-18].

10. ზაქვანი (კაიშაურის პლატო), შემთხვევითი მონაპოვარი [გამოუქვეყნებელია].

11. სამთავრო, № 121 სამარხი, ძვ.წ. VIII-VII სს. [აბრამიშვილი რ. 1957:132].

12. ნაცარგორა, № 319 სამარხი, ძვ.წ. VIII-VII სს. [რამიშვილი ალ. 2003:43].

13. ანუხვა, ძვ.წ. VIII-VII სს. [Доманский Я. 1984:11].

14. თლია, № 282 სამარხი, ძვ.წ. VIII-VII სს.

[ფანცხავა ლ. 1988:70-71].

15. თლია, № 414 სამარხი, ძვ.წ. VIII ს. [Техов Б. 2002:43].

16. ნარეკვაფი, № 53 სამარხი, ძვ.წ. VII-VI სს. [აფაქიძე ან. ... 2000:5].

17. სვანეთი, ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანის [ჩართოლანი შ. 1977:50].

18. თლია, № 308 სამარხი, ძვ.წ. VII-VI სს. [ფანცხავა ლ. 1988:64].

19. ქუთაისი, ძვ. წ. VIII ს-ის დასაწყისი [ფანცხავა ლ. 1988:71].

20. თლია, № 50 სამარხი, ძვ.წ. VIII-VII სს. [ფანცხავა ლ. 1988:80].

21. ლუხვანო, განძი, ძვ.წ. VIII-VII სს. [ფანცხავა ლ. 1988:64].

22. ეცერი, ზოგადად გვიანბრინჯაოს ხანის [ჩართოლანი შ. 1977:51].

23. თლია, № 101 სამარხი, ძვ. წ. VII-VI სს. [ფანცხავა ლ. 1988:64].

24. მუხურჩა, ძვ. წ. VIII-VII სს. [Апакидзе Д. 1991:116].

ტაბ. II - II ჯგუფში გაერთიანებული ძალისგამოსახულებიანი ცულები:

1. მზეთამზე, სამარხეული, ძვ.წ. VII-VI სს. [ნასიძე გ. 1990:2].

2. ცხინვალი, განძი, ძვ.წ. VII-VI სს. [ფანცხავა ლ. 1988:67].

3. თლია, № 432 სამარხი, ძვ.წ. VII ს. [Техов Б. 2002:50].

4. თლია, № 287 სამარხი, ძვ.წ. VII-VI სს. [ფანცხავა ლ. 1988:79].

5. თლია, № 252 სამარხი, ძვ.წ. VII ს. [ფანცხავა 1988:69].

6. თლია, № 161 სამარხი, ძვ.წ. VII ს. [ფანცხავა ლ. 1988:71].

7. თლია, № 165 სამარხი, ძვ.წ. VIII-VII სს. [ფანცხავა ლ. 1988:79].

8. მზეთამზე, № 4 სამარხი, ძვ.წ. VIII-VII სს. [Georgien 2001:347].

9. თლია, № 316 სამარხი, ძვ.წ. VII-VI სს. [Техов Б. 1985:5, 51].

10. თლია, № 127 სამარხი, ძვ.წ. VII-VI სს. [ფანცხავა ლ. 1988:79].

11. თლია, № 374 სამარხი, ძვ.წ. VII ს. [Техов Б. 2002:186-187].

12. ეშერა, დანგრეული ურნა-სამარხიდან, ძვ. წ. VII-VI სს. [Воронов Ю., ... 1978:263-264].


13. მეხჩის-ციხე, განძი, ძვ.წ. VIII-VI სს. [ფანცხავა ლ. 1988:70].

14. ცხინვალი, განძი, ძვ.წ. VII-VI სს. [ფანცხავა ლ. 1988:67].







15. წოისი, განძი, ძვ.წ. VIII-VI სს. [ფანცხავა ლ. 1988:58].

16. ხევი, განძი, ძვ.წ. VII ს. [ფანცხავა ლ. 1988:70].

ტაბ. III - ძალის გამოსახულებიანი ცულების აღმოჩენის პუნქტები.



II




ძაღლის გამოსახულებიანი ცულების აღმოჩენის პუნქტები.

● I ჯგუფი.

- 1. წითელი უქურა; 2. ბრამორსკოე; 3. ბასრაყე; 4. ეურა; 5. ანუხე; 6. ზუანდრიშა; 7. აკანდარა;
- 8. ბოსტრა; 9. აბუარსუე; 10. ფსარცხა; 11. სვანო; 12. ეცერი; 13. დღეაბა; 14. ერეცტა; 15. მუსურჩა;
- 16. ქუთაისი; 17. მხაბარი; 18. ლუსტანი; 19. ოყურუშა; 20. დიალაშა; 21. სურუშა; 22. ხაიალუე; 23.
- ნაცარორა; 24. ოლა; 25. ხაბაიკო; 26. ნარეკეა 27. ზეკანა.

▲ II ჯგუფი.

- 28. ცხანელი; 29. წიხის; (24. თლა); 30. შუთაშე; 31. ოჯოლა;
- 32. ზეკარი; 33. გეჭენა; 34. ცხეთა; 35. სეე; 36. ფურუკაული;
- 37. გეჩხა-ცხე; (4. ეურა); 38. ახალი იონი



შემთხვევითი აღმოჩენა გორათში

შიდა ქართლი, განსაკუთრებით მისი დასავლეთი რაიონები, მიჩნეულია კოლხური კულტურის ელემენტების გავრცელების უმთავრეს ზონად. გვიანბრიჯაო-ადრერკინის ხანის საქართველოს ისტორიისათვის დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა ურთიერთობის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ ხაშურის რაიონი ერთ-ერთ საყურადღებო რეგიონს წარმოადგენს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიტანოთ კოლხური კულტურის ელემენტების შემცველი ახალი არქეოლოგიური მასალა, რომლის აღმოჩენის ადგილია გორათის (ცნობილია შინდარას უბნის სახელითაც) წმ. გიორგის გვიანიშუასაუკუნეების ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, სადაც გამართულია თანამედროვე სასაფლაო. აქ XIX საუკუნის 90-იან წლებში, ხაშური-ბორჯომის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის დროსაც აღმოჩენილა სხვადასხვა ნივთები. 1895 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა: „გორათის ეკლესიის მახლობლად მუშა ლეკებს აღმოუჩენიათ ძველი დროის აკლდამები. გზისთვის საჭირო მიწა თურმე ამ აკლდამებიდან ამოაქვთ და ბევრს სპილენძის ნივთებსაც ჰპოულობენ. ჰპოულობენ დანებს, ხანჯლებს, ისრის ნამტვრევ ბოლოებს, ცულებს და აზიური სადგისების მაგვარ რალაცებსაც, რომლებსაც მშვენიერი ხელოვნება ჯერ კიდევ კარგად ეტყობა. ეს ნივთები სულ სპილენძისაა. ბევრია იმისთანა ნივთი, რომელსაც სახელი ვერ დავარქვი. ბევრს ჰპოულობენ კრიალოსნებს, ყელის ძეწკვებს, მაკრატლებს და სხვა. ყველა ეს ნივთი ძალიან კარგად შენახულა. ეს ნივთები თურმე რალაც უპატრონობით იკარგება, რადგან პოვნისთანავე მუშა ლეკები ჰყიდიან.... იმისთანა ნივთებიც ჰხვდებათ, რომლებსაც ზედ რალაც

გაუგებარი წარწერა აქვთ“. ამ ადგილზე ძველი სამარხების დაზიანება და არტეფაქტების აღმოჩენა დღესაც გრძელდება, რაც დაკავშირებულია ანთროპოგენულ პროცესებთან.

სტატიაში წარმოდგენილი მასალა აღმოჩენილია 2006-2009 წლებში საფლავების გამართვისას. სამარხის შემთხვევით აღმოჩენს მ. ჩარჩოიანს მიცვალებულის ძვლები, თიხის ჭურჭლის ნატეხები და მისთვის გაურკვეველი სხვა ნივთები ორმოში ჩაუმარხია. მისივე გადმოცემით აღნიშნული ნივთები ერთი სამარხი ორმოდან უნდა მომდინარეობდეს (თიხის ქანდაკების გარდა), რასაც მოპოვებული არტეფაქტების თანადროულობაც ადასტურებს.

ესენია: თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი, ბრინჯაოს ქვაბი, კოლხური ცული, აზინდა, ბრინჯაოს ღერო (ტარი?), მთლიანადსხმული და ყუნწიანი სატევარი, შუბისპირის ფრაგმენტი და ქალის თიხის ქანდაკება. საჭიროდ ჩავთვალეთ მოვიტანოთ ნივთების აღწერილობა:

1. დოქის პირ-ყელი (ინვ. № 96105/ა-78839, ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი (შემდგომში ხმმ), ტაბ. 1₇), თიხის, ლეგა-ნაცრისფერი ზედაპირით და მოყავისფრო-მოჩალისფრო კეცით. აქვს მაღალი ყელი, ზედაპირზე ემჩნევა ვერტიკალური ნაპრიალები ზოლები. პირს ორი კონცენტრული ღარი შემოუყვება. შემორჩენილია ყურის მიძერწვის კვალი. აღწერილი ჭურჭელი ძაბრისებრყელიანი დოქების ჯგუფს მიეკუთვნება.

2. კოლხური ცული (ინვ. № 96106/ა-78840, ხმმ; ტაბ. 1₁), ბრინჯაოსი, გატეხილია. სატარის ორივე მხარეს გამოსახულია პირით ყუისკენ მიმართული აქტიურ პოზაში მდგარი ძალის ფიგურა. ცულის მარჯვენა მხარეს დატანილი გამოსახულება დაზიანებულია – შემორჩენილია მხოლოდ პირი და წინა ფეხი,

მეტ-ნაკლებად იკითხება სხეულის კონტური. ცულის მარცხენა მხარეს დატანილი გამოსახულება სრულია. ცხოველის ტანი შემკულია ერთმანეთზე გადაბმული სპირალური ხვიებით, ხოლო თავი, ფეხები და კავისებური კუდი წინვისებრი და ირიბი ნაჭდევი ორნამენტით. თვალი გამოსახულია პატარა წრით. ცულს ტანზე შემოსდევს ორი რიგი წინვისებრი ორნამენტის სარტყელი და მათ შორის მოქცეული ერთმანეთზე გადაბმული ზენური ხვიები. ყუის თავი წინვისებრი ნაჭდევებითაა შემკული.

აღნიშნული იარაღი, ოთ. ჯაფარიძის მიერ შემუშავებული კოლხური ცულების კლასიფიკაციით განეკუთვნება I ტიპს [ჯაფარიძე ოთ. 1950:43], თუმცა რამდენადმე მაინც განსხვავდება ამ ტიპის იარაღებისაგან: ტანი შედარებით მოხრილია, წინა და უკანა ნიღრი უფრო გამოზიდული, პირი ოდნავ ასიმეტრიული. ეს ყველაფერი ცულის შედარებით გვიანდელ თარიღზე მიუთითებს. ამაზე მეტყველებს ცულის შემკობაც [ფანცხავა ლ. 1988:48-49]. კოლხურ-ყობანური კულტურისათვის დამახასიათებელი მსგავსი ტიპის ცულები არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია: მცხეთაში - ნარეკვავზე [აფაქიძე ან. ... 2000: 62, ტაბ. XXXIII], გურიაში [სადრაძე ვ. ... 1996: 22-40, ტაბ. X], ლეჩხუმში [სახაროვა ლ. 1976: 3-53, ტაბ. I-XXI], სვანეთში [ჩართოლანი შ. 1977:3-61, ტაბ. XXIII-XXV], ჯავახეთში [Гамбашидзе О. 1987:28-32], თრიალეთში [Куфтин Б. 1941:65-75, სურ. 69], ერგეტაში [Микеладзе Т. ... 1985:37-40, ტაბ. III], თლიაში [Техов Б.1977: 7-73] და სხვა.

3. ქვაბი (ინვ. № 96107/ა-78841, ხმმ; ტაბ. I_გ) ბრინჯაოსი, ნახევარსფეროსებური ფორმის, ოთხყურა, ძლიერ დეფორმირებული. შედგენილია ერთმანეთთან მოქლონვის (მანჭვლებით მიერთების) წესით დამაგრებული სამი თხელი ფურცლისაგან. ოთხკუთხაგანივკვეთიანი ყურები დაბრტყელებული ბოლოებით მანჭვლების საშუალებით ქვაბის პირზეა დამაგრებული. ძირი მომრგვალებული აქვს. ჭურჭელი საკიდზე მაგრდებოდა ან სადგარ-

ზე უნდა მდგარიყო.

ნახევარსფეროსებური ფორმის ორყურა ან ოთხყურა ბრინჯაოს ქვაბები აღმოჩენილია: თრიალეთში [Куфтин Б. 1936:18-20], სოფ. გომნაში [ნიორაძე გ. 1944:173-221], ნავთლულში [ქორიძე დ. 1954:9], გადრეკილის სამაროვანზე [ფიცხელაური კ. და სხვ. 1982:28-32, ტაბ. XII], ორხევში [აბრამიშვილი რ. 1997: ტაბ. II, სურ. 117], სამთავროზე [კალანდაძე ალ. 1982:83], ნარეკვავზე [აფაქიძე ან. ... 2000:28-43, ტაბ. XIV]; კოდისწყაროში [Гогочури Г. 2004:56-57], ჩრდილო კავკასიაში [Марковин В. ... 1965:40-49] და სხვა.

ბრინჯაოს ქვაბების შემცველი სამარხების უმეტესობა გამოირჩევა თანმხლები არქეოლოგიური მასალის მრავალფეროვნებით (ნავთლულის №1, გადრეკილის №10, ნარეკვავის № 53 სამარხები), რაც დაკრძალულთა სიმდიდრეზე და მათ სოციალურ დანიშნულებაზე უნდა მიანიშნებდეს.

4. აბზინდა (ინვ. № 96108/ა-78842, ხმმ; ტაბ. I_გ), ბრინჯაოსი, სწორკუთხა, პატინირებული. გატეხილია ორ ნაწილად, აკლია კავის ადგილი. გრძივი გვერდის გასწვრივ მდებარე ღარში დატანილია სარტყლის დასამაგრებელი ათი ნახვრეტი. ზედაპირი ინკრუსტირებულია სამკუთხა და რომბისებრი ფორმის რკინის ფირფიტებით. მათ შორის მოთავსებულია სიმეტრიულად განლაგებული სპირალური ხვიები. მთელი კომპოზიცია მოთავსებულია გრავირებულ ჩარჩოში.

რკინით ინკრუსტირებული ბრინჯაოს სწორკუთხა აბზინდა, შემუშავებული კლასიფიკაციის მიხედვით, განეკუთვნება აბზინდების პირველ ტიპს [მიქელაძე თ. 1985:50-51; კალანდაძე ნ. 2004:111-117]. ინკრუსტირებული აბზინდების ეს ტიპი ევ. კრუპნოვს ყობანური კულტურის კუთვნილებად მიაჩნია [Крупнов Е. 1977:378-398], ოთ. ჯაფარიძე კი თვლის, რომ ადრეყობანურ კულტურაში ამ ტიპის აბზინდების გამოჩენა მხოლოდ კოლხური კულტურის გავლენით უნდა აიხსნას [ჯაფარიძე ოთ. 1991:220]. დღევანდელი მონაცემებით, მსგავსი აბზინდები კოლხურ-ყო-

ბანური კულტურის გავრცელების არეალში მრავლად არის აღმოჩენილი: [პაპუაშვილი რ. ... 2002:48-51; რამიშვილი ალ. 2001:156-170; ჯავახიშვილი ალ. ... 1959:59-64; Панцхава Л. ... 2003:103-117] და სხვა.

5. სატევარი (ინვ. №96109/ა-78843, ხმმ; ტაბ. I₂) ბრინჯაოსი, ყუნწიანი, დაზიანებული. შაშარი პირს წვერის ბოლომდე გასდევს. ფხიანია. განივკვეთში მრგვალი, ყუნწის ორივე მხარეს სამანჭვლე ნახვრეტია დატანილი. პირის სიგრძე – 23 სმ; სიგანე ყუნწთან – 4 სმ; ყუნწის სიგრძე – 3,5 სმ.

კოლხეთის სამაროვნებზე აღმოჩენილი სატევრების კლასიფიკაციით გორათის სატევარი მიეკუთვნება I ჯგუფს [მიქელაძე თ. 1985: 34-37; პაპუაშვილი რ. 1997:59-79]. მსგავსი იარაღი მრავლად არის აღმოჩენილი კოლხეთისა და შიდა ქართლის სამაროვნებზე [მიქელაძე თ. 1985:34-37; პაპუაშვილი რ. 2002:48-51, ტაბ. XVI-XIX; Техов Б.1981:7-67; Техов Б.1980:7-53 და სხვ.].

6. სატევარი (ინვ. №96110/ა-78844, ხმმ; ტაბ. I₄), ბრინჯაოსი, მთლიანადსხმული, დაფანჯრულთავიანი. დაზიანებულია. სატარე ღრუ შევსებულია სამსხმელო თიხით. ტარის თავს ტეხილი და წერტილოვანი ნაჭდევებით შედგენილი სარტყელი შემოუყვება. ტარი მრგვალგანივკვეთიანია, ოდნავ გამოყვანილი, რომელიც სატევრის პირთან ნიბოიან ვადაში გადადის. პირის ქედზე სამი წყვილი შაშარი (ღარი) გასდევს. სატევრის შემორჩენილი სიგრძეა – 45 სმ.

გორათში აღმოჩენილი სატევარი გ. ლომთათიძის კლასიფიკაციით განეკუთვნება მეორე ტიპის II ქვეტიპს [ლომთათიძე გ. 1974:72-85], ხოლო კ. ფიცხელაურის მიხედვით IV ქვეტიპს [ფიცხელაური კ. 1965:61-77]. მსგავსი იარაღი კარგად არის ცნობილი შიდა ქართლის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან [აფაქიძე ან. ... 1999: 22, 28, 29, ტაბ. IV- VI., აფაქიძე ან. ... 1989:61, სურ. 415; ბარამიძე მ. 1974:124-136; რამიშვილი ალ. 2003:91-98] და სხვ.

7. გარსაკრავი (ტარი?) (ინვ. №96111/ა-

78845, ხმმ; ტაბ. I₅) ბრინჯაოსი, ნაკლული, ოვალურგანივკვეთიანი. ოდნავ მოხრილია, ზედაპირი შემკულია ირიბი ნაჭდევებით, წინვისებრი ორნამენტის ხუთი რიგით და მათ შორის მოთავსებული ერთმანეთზე გადაბმული სპირალური ხვრებით. ღეროს ბოლოში დატანილია სამანჭვლე ნახვრეტები.

8. შუბისპირი (ინვ. №96112/ა-78846, ხმმ; ტაბ. I₃), ბრინჯაოსი, ფრაგმენტული შემორჩენილია პირის ნაწილი. აქვს მაღალი ქედი.

9. ქალის ქანდაკება (ინვ. № 97255/ა-79019, ხმმ; ტაბ. II), დამზადებულია სილანარევი თიხისგან, მოშავო-მონაცრისფროდაა გამომწვარი. ემჩნევა თეთრი და შავი წერტილოვანი ჩანარტები. ტანი ცილინდრული აქვს, მხრები განიერი და მკვეთრად გამოყვანილი. ქანდაკებას თავი კისერთან, ხელები კი მაჯაში აქვს მოტეხილი. მხრები — განიერია და მკვეთრად გამოყვანილი. ხელები იდაყვში მოხრილი ჰქონია. ქალის მკერდი დაბალი დანაძერწებითაა გამოსახული. კეფაზე, კისრის და მხრის მიერთების ადგილას ხვრელია, რომელზეც მცირე ბიკონუსურმუცლიანი ჭურჭელი ყოფილა დაძერწილი. შემორჩენილია მხოლოდ ნიბოიანი გვერდის ნაწილი. დაბალ რელიეფში, ირიბი ჭდევებით გამოსახული ნაწნავი იწყება ქალის კეფასთან, კისერზე დაძერწილ სასმისს გარშემოსდევს და ორ ნაწნავად ეშვება ძირისაკენ. წელთან ნაწნავები ერთიანდება და ოთხკუთხა ფორმას იღებს. ნაწნავები გადმოცემულია რელიეფურად და თმის ვარცხნილობის ოსტატობასა და გემოვნებაზე მეტყველებს. ხელოსანს კარგად აქვს დაცული პროპორციები და მთლიანობაში ქანდაკებას დახვეწილი ფორმა გააჩნია. სამწუხაროდ, ქანდაკება ნაკლულია (გადანატეხის მიხედვით ძველი დაზიანებაა), რაც მთლიანობაში აღქმის საშუალებას არ იძლევა. ქანდაკებას მკერდის არეში ემჩნევა დახრილი, ჩაღრმავებული ლაქა, რომელიც ოდნავ წინგანვიდელ ხელში დაჭერილი რაიმე ნივთის ანაბეჭდი უნდა იყოს. სასმისის ტევადობა — 220 გრამია.

გორათში აღმოჩენილი ქალის თიხის ქანდაკება სითხის ჩასასხმელი სარიტუალო

ჭურჭელი უნდა იყოს. თავისი ფორმითა და შინაარსით მას საქართველოს არქეოლოგიურ მონაპოვარში ანალოგი არ მოეპოვება. ცნობილია, რომ სარიტუალო ჭურჭლებს იყენებდნენ ყოფაში, მსხვერპლთშენიერვის თუ მიცვალებულთა სულის მოსახსენებელ სხვადასხვა რიტუალში.

ერთ-ერთი სარიტუალო ჭურჭლის სახეა რიტონი რომელსაც საფუძვლად უდევს საქონლის რქის ფორმა [Брей У., ... 1990:211] ის შეიძლება იყოს მოკლეყელიანი, ცხოველის თავის გამოსახულებით და ყანნისმაგვარი, ნვერთან სხვადასხვა არსებათა მცირე ფიგურებით [გამყრელიძე გ. 2002:40]. მართალია გორათის ქალის ქანდაკება-სასმისს ყანნის ფორმა არა აქვს, თუმცა შესაძლებელია თავისი შინაარსით რიტონის დატვირთვის მატარებელი იყოს.

გორათში აღმოჩენილი ქანდაკება-სასმისი ფორმით მკვეთრად განსხვავდება სადღესოდ ცნობილი ყველა სარიტუალო სასმისისაგან. განსხვავება გამოიხატება არა მარტო ფორმაში, არამედ შინაარსშიც. თუ სხვა არქეოლოგიურად აღმოჩენილ ცალებში სასმისი ან ყანნი-რიტონი ადამიანს უჭირავს ხელში, მაგ. დიონისეს თიხის ქანდაკება ვანიდან [გამყრელიძე გ. 2009:1-42] ან ადამიანის ბრინჯაოს ფიგურები სასმისით ხელში [ხარაბაძე ს. 2006:145-150] გორათის შემთხვევაში იგი თავად ადამიანის სტილიზებული ფორმითაა წარმოდგენილი სასმისის ფუნქციით, ხოლო სითხის ჩასასხმელი ადგილი პატარა ჭურჭლის სახით ზურგზე აქვს დაძვნილი.

სარიტუალო სასმისების სხვადასხვა ფორმა-შინაარსიდან გამომდინარე გორათის ქანდაკება-სასმისი შეიძლება სხვა საინტერესო კუთხითაც განვიხილოთ. მაგალითად, თუ მას შევხედავთ, როგორც ცილინდრილი ფორმის ჭურჭელს გადმოცემულს ქალის ტანის ფორმით და მეორე — ბიკონუსურ ჭურჭელს, როგორც ზურგზე დაძვნილს, მაშინ მივდივართ განსაკუთრებული ფორმის სასმისებთან, რომლებიც ამიერკავკასიის და წინა აზიის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაშია და-

ფიქსირებული [Погребова М. 1977:85-113]. ამ განსაკუთრებული თუ განსხვავებული თიხის ჭურჭლების ჯგუფს მიეკუთვნება: ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებიანი ჯამები, ე.წ. "KERNOS"-ის ტიპის სასმისები, სხვადასხვა ფორმის სასმისი „ჩექმები“ [Мартиросян А. 1964:151, სურ. 61]; ზოომორფული სასმისები [Абрамишвили Р. 1976:23-29] და სხვა. ყველა ჩამოთვლილი ფორმა განსაკუთრებულია, მათი აღმოჩენაც იშვიათია და ერთეულებით განისაზღვრება. ჩამოთვლილთაგან ჩვენთვის საინტერესოა "KERNOS"-ის ტიპის სასმისები, რომელთაც ძირითად კორპუსზე დაძვნილი აქვთ დამატებითი, სხვადასხვა ფორმის რამდენიმე პატარა ჭურჭელი, ცხოველის, ფრინველის ან ადამიანის გამოსახულებით "KERNOS"-ის ტიპის ერთ-ერთ ირანულ სასმისს, რომელიც ხასანლუს სამარხშია აღმოჩენილი [Vandenberhe L. 1959:ტაბ. XIX; სურ. 41], ძირითად კორპუსზე ფრინველისა და ცხოველის გარდა დაძვნილი აქვს ადამიანის ზედა ტანის ნაწილი — თავი და ხელები. სითხის ჩასასხმელი კი, გორათის ქანდაკების მსგავსად ადამიანს კისერთან, ზურგზე აქვს დატანილი. რა თქმა უნდა ფორმით გორათის და ხასანლუს სასმისი რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მსგავსება მხოლოდ სითხის ჩასასხმელის ადგილსა და მის გაფორმებაშია (სხვა უფრო ახლო მდგომი პარალელის უქონლობის გამო მოვიტანეთ ადამიანის ზედა ტანისა და ჩასასხმელის მსგავსების ეს მაგალითი).

ამკარაა, რომ გორათის ქანდაკება-სასმისი სარიტუალო დანიშნულების ჭურჭელია. არ არის გამორიცხული, რომ გორათის ქანდაკება-სასმისი ნაყოფიერების ღვთაებას წარმოადგენდეს. ქალის თიხის ქანდაკებები ხომ დამახასიათებელი არტეფაქტია ნამოსახლარებისათვის და ნაყოფიერების სიმბოლოდაა მიჩნეული [ფიცხელაური კ. 1973:113]. ცნობილია ასევე ქალის ტანის სიცოცხლის ხის, ხოლო მკერდის — ხორბლის სიმბოლოდ გამოსახვა [Кушнарева К. 1983:1-12]. აღმოჩენის პირობების გათვალისწინებით გორათის

თიხის ქანდაკება გამოყენებული ჩანს მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალში.

მაგრამ როგორც ჩანს, მარტო ამით არ ამოიწურება გორათის სასმისის რიტუალური დატვირთვა. იგი პირველ რიგში სასმისია და უდავოდ განკუთვნილია ასევე წმინდა სითხის (ღვინის?) სასმელად. მრავალი არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მაგალითი მიუთითებს, რომ ძველი სარიტუალო ცერემონიები თუ ნადირობის პროცესი მიმდინარეობდა სარიტუალო, წმინდა სითხის სმის ფონზე. საკმარისია გავიხსენოთ თრიალეთის თასი [Куртин Б. 1941:89, ტაბ. XCI, სურ. 94.], ბრინჯაოს სარტყლებზე გამოსახული სცენები [ხიდაშელი მ. 1982: 28, 32,58, ტაბ. I, X, XXXVIII, XXIX], ასევე მელი-ღელეს სამლოცველოში [ფიცხელაური კ. 1973:112-116] აღმოჩენილი ასეულობით თიხის სასმისი. სავარაუდოდ, სარიტუალო წმინდა სითხე ყურძნის წვენი (ღვინო) უნდა ყოფილიყო, რაც თავისთავად ვენახთან, „სიცოცხლის ხესთან“ და ნაყოფიერებასთან არის დაკავშირებული. გორათის ქანდაკება-სასმისის ქალის ფორმით გამოსახვა და ამით მისი სარიტუალო წმინდა სითხესთან დაკავშირება გამოწვეული უნდა იყოს, სწორედ ქალის, როგორც ნაყოფიერების ღვთაების კულტის იდეის გაძლიერებასთან.

გორათის თიხის ქანდაკება სამაროვნის იმ მონაკვეთშია აღმოჩენილი, სადაც ხშირად ჩნდება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მასალები. თიხის ქანდაკების კეცის სტრუქტურა და დამზადების ტექნოლოგიაც იმაზე მიუთითებს, რომ ქანდაკება-სასმისი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში უნდა იყოს დამზადებული.

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთების ერთი ნაწილი დასავლური — კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტების მატარებელია (ცული, ყუნწიანი სატევარი, ბალთა, ბრინჯაოს გარსაკრავი), რაც, ჩვენი აზრით, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მჭიდრო და

ინტენსიურ კავშირებს, რომელიც არსებობდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საქართველოს აღმოსავლეთ და დასავლეთ რეგიონებს შორის. აღმოჩენილი მასალა წინასწარულად ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევარით უნდა დათარიღდეს.

ქალის თიხის ქანდაკება-სასმისის აღმოჩენა უფრო მეტად აძლიერებს ინტერესს სამაროვნისადმი. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში, სამარხების შემდგომი დაზიანებისაგან დაცვის მიზნით, გორათის (შინდარას) სამაროვანზე ჩატარდება გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები.

ლიტერატურა:

აბრამიშვილი რ. 1997: ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების ქრონოლოგიური ჯგუფები. — ბიულეტენი, თბილისი.

აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ან., გიუნაშვილი გ., გავაშელი ედ., ლლონტი ნ., კაპანაძე მ. 2000: ნარეკვაფი II, თბილისი.

აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., ყიფიანი გ., სიხარულიძე ან., გიუნაშვილი გ., გავაშელი ედ., ლლონტი ნ., კაპანაძე მ. 1999: ნარეკვაფი I, თბილისი.

აფაქიძე ან., ნიკოლაიშვილი ვ., სიხარულიძე ან., ბიბილური თ., გიუნაშვილი გ., ირემაშვილი შ., მანჯგალაძე გ., სადრაძე ვ., ხეცურიანი ლ. 1989: დიდი მცხეთა, 1981, სავლელ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები. — მცხეთა, ტ. IX, თბილისი, გვ. 40-75.

ბარამიძე მ. 1974: შიდა ქართლის მატერი-ალური კულტურის ისტორიიდან. — მსკა, ტ. VI, თბილისი. გვ. 124-136.

გამყრელიძე გ. 2002: ვერსია ბრძოლის სიუჟეტური ვერცხლის რიტონის შესახებ ზემო რაჭის სოფ. გომიდან. — ძიებანი № 10, თბილისი გვ. 39-49.

გამყრელიძე გ. 2009: ქართული არქეოლოგიის კვალდაკვალ. თბილისი.

კალანდაძე ალ. 1982: სამთავროს წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. —

მცხეთა, ტ. VI, თბილისი. გვ. 7-138.

კალანდაძე ნ. 2004: ადრერკინის ხანის კოლხური გრავირებული აბზინდების შესწავლისათვის. – ძიებანი, № 13-14, თბილისი. გვ. 111-117.

ლომთათიძე გ. 1974: ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში. თბილისი.

მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები. — კოლხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, II, თბილისი.

ნიორაძე გ. 1944: არქეოლოგიური დაზვერვები მტკვრის ხეობაში, — სსმმ, ტ. XIII-B, თბილისი, გვ. 173-221.

პაპუაშვილი რ., ესებუა თ. 2002: ცაიშის სამაროვანი. — ძიებანი №9, თბილისი. გვ. 48-51.

პაპუაშვილი რ. 1997: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური სატევრების კლასიფიკაციისათვის. — გურია, ტ. II, თბილისი. გვ. 59-79.

რამიშვილი ალ. 2001: კოლხური და შიდა ქართლური კულტურების ურთიერთობის საკითხები ნაცარგორის სამაროვნის მიხედვით. — ძიებანი, დამატება VI, კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები, თბილისი. გვ. 156-170.

რამიშვილი ალ. 2003: „წარჩინებული მეომრის“ სამარხი ხაშურის რაიონის სოფ. ნაცარგორიდან. — ძიებანი, დამატება X, კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები, თბილისი. გვ. 91-98.

სადრაძე ვ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ., მურვანიძე ბ., კალანდაძე კ., კალანდაძე ზ., ჭანიშვილი თ., მგელაძე ნ., წერეთელი კ. 1996: არქეოლოგიური კვლევა-ძიება გურიასში, 1991-1994 წწ. — გურია, ტ. I, თბილისი. გვ. 22-40.

სახაროვა ლ. 1976: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან, თბილისი.

ფანცხავა ლ. 1988: კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები, თბილისი.

ფიცხელაური კ. 1965: იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა, თბილისი.

ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.). თბილისი.

ფიცხელაური კ., მენაბდე ც. 1982: გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები. — კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, ტ. V, თბილისი.

ქორიძე დ. 1954: გვიანბრინჯაოს არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან. — სსმმ, ტ. XVIII – □, თბილისი. გვ. 5-89.

ჩართოლანი შ. 1977: სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ხარაბაძე ს. 2006: „ღვინის მსმელის“ ფიგურა სოფელ ინაშაურიდან (ვანის რ-ნი). — ძიებანი № 17-18, თბილისი, გვ. 145-150.

ხიდაშელი მ. 1982: ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყლები), გამოკვლევა და კატალოგი. თბილისი.

ჯავახიშვილი ალ., ჩუბინიშვილი ტ. 1959: უდეს განძი. — საბჭოთა ხელოვნება 4, თბილისი. გვ. 59-64.

ჯაფარიძე ოთ. 1950: კოლხური ცული. — სსმმ XVI-B, თბილისი. გვ. 35-89.

ჯაფარიძე ოთ. 1991: საქართველოს არქეოლოგია, თბილისი.

Абрамишвили Р. 1976: Археологические исследования на новостройках Большого Тбилиси. - Археологические исследования на новостройках Грузинской ССР. т. I, Тбилиси, с. 23-29.

Гамбашидзе О., Гамбашидзе И. 1987: Месхет-Джавახетская экспедиция в 1984 г. - ПАИ в 1984-1985гг. Тбилиси, с. 28-32.

Гочури Г. 2004: Бронзовые предметы из Кодисцкаро. — «Археология, этнология, фолклористика Кавказа», Тбилиси, с. 56-57.

Куфтин Б. 1941: Археологические раскопки в Триалети, т. I, Тбилиси.

Куфтин Б. 1936: Дневник работ археологического отряда Цалкинской экспедиции 1936

გ. ს. 18-20 (рукопись).

Кушнарева К. 1983: Символика двух культовых сосудов из святилищ древнего Двина. – IV Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, с. 1-12.

Крупнов Е. 1960: Древняя история Северного Кавказа. Москва.

Марковин В., Мунчаев Р. 1965: Археология Чечено-Ингушетии в свете новейших исследований. - Краткие сообщения института Археологии, Вып. 100, Москва, с. 40-49.

Мартirosян А. 1964: Армения в эпоху бронзы и раннего железа. Ереван.

Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р. 1985: Основные итоги полевых исследований Колхидской экспедиции. - ПАИ в 1982 г., Тбилиси, с. 37-40.

Панцхава Л., Сулава Н., Папуашვიდი Р. 2003: Колхидская, Кобанская или Колхидско-Кобанская?. - Кавказоведение, № 4, Москва, с. 103-117.

Погребова М. 1977: Иран и Закавказье в раннем железном веке. Москва.

Техов Б. 1977: Центральный Кавказ в XVI-X вв. до н.э. Москва.

Техов Б.. 1980: Тлийский могильник, т. I, Тбилиси.

Техов Б. 1981: Тлийский могильник, т. II, Тбилиси.


Брей У., Трамп Д. 1990: Археологический словарь. Москва.

Vandenberhe L. 1959: Archeologie de L'Iran Ancien. Leiden,


ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I — 1. კოლხური ცული; 2. სატევარი ბრინჯაოსი; 3. შუბისპირი ბრინჯაოსი; 4. სატევარი ბრინჯაოსი; 5. გარსაკრავი (ტარი?); 6. აბზინდა ბრინჯაოსი; 7. დოქის პირი; 8. ბრინჯაოს ქვაბი.

ტაბ. II — ქალის ქანდაკება-სასმისი.



II



ახალი მონაცემები „ციხიაგორას“ ძვ.წ. VI-IV სს. კაზმების შესახებ

არქეოლოგიური ძეგლი „ციხიაგორა“ მდებარეობს შიდა ქართლში, კასპის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. კავთისხევის ჩრდილოეთით, მდინარეების კავთურასა და შავწყალას შესაყართან, მათ მარცხენა ნაპირზე. ბორცვის სიმაღლე გათხრების დაწყებამდე 12,0 მ-ს, თხემის ფართობი კი 0,5 ჰა-ს უდრიდა. კულტურული ფენების სიმძლავრე 6 მ-ს აღემატებოდა. ძეგლის შესწავლა მიმდინარეობს კასპის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, 1971-1993 წლებში გ. ცქიტიშვილის, 1995 წლიდან კი ზ. მახარაძის ხელმძღვანელობით.

ბორცვზე დადასტურებულია ხუთი კულტურულ-ქრონოლოგიური ფენა:

I ფენას მიეკუთვნება ადრებრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III ათასწლეული) ნამოსახლარი [მახარაძე ზ. 1994].

II ფენა შუაბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. II ათასწლ. პირველი ნახევარი) ყორღანებითაა წარმოდგენილი [კახელიშვილი თ. 1990].

III ფენას მიეკუთვნება გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის (ძვ.წ. II ათასწლ. მეორე ნახევარი) ნამოსახლარი [Цкитишвили Г., ... 1997; ცქიტიშვილი გ., ... 2004:54-55].

IV ფენა აქემენიდურ ხანას (ძვ.წ. VI ს-ის მიწურული – IV ს.) მიეკუთვნება [მახარაძე ზ., ... 2001:47-63].

V ფენას ელინისტური ხანის (ძვ.წ. III-I სს.) სატაძრო კომპლექსი ეკუთვნის [ცქიტიშვილი გ. 2003; მახარაძე ზ. 1999:57-66].

„ციხიაგორას“ გარშემო, 7,0 ჰა ფართობზე სხვადასხვა დროისა და ხასიათის ძეგლია დადასტურებული. ბორცვის ჩრდილო-დასავლეთით 50 მ-ის დაცილებით ძვ.წ. XIII-VII სს. სამაროვანი (ბორცვის III ფენა), 500 მ-ის დაცილებით კი „ქასრაანთ მიწების“ სამაროვანი (ბორცვის IV ფენა) მდებარეობს, ჩრდი-

ლოეთით „დაჭრილებისა“ (ბორცვის IV ფენა) და „საყარაულო სერის“ (ბორცვის V ფენა) სამაროვნებია. „საყარაულო სერზე“ ძვ.წ. III-I სს. ნამოსახლარი (ბორცვის V ფენა) ყოფილა გამართული, რომელიც აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ვრცელდება, სადაც მდ. შავწყალას მარცხენა ნაპირს აღწევს. ნამოსახლარის ამ მონაკვეთზე, ელინისტური ფენის ქვეშ, ძვ.წ. VI-IV სს-ის ნამოსახლარი გამოვლინდა. ძვ.წ. III ს-ის და ახ.წ. V-VIII სს. ნამოსახლარები მდ. შავწყალას მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „ოქრომინებში“ მდებარეობს [ცქიტიშვილი გ. 1990:169-171].

წინამდებარე სტატიაში მხოლოდ ბორცვის გარშემო არსებული ძვ.წ. VI-IV სს-ით დათარიღებული (ბორცვის IV ფენა) სამაროვნები და ნამოსახლარები იქნება განხილული.

ბორცვის თხემზე დაფიქსირებულ ძვ.წ. VI-IV სს-ის ფენას ცალკე გამოკვლევა მიეძღვნა, ამიტომ აქ აღარ განვიხილავთ. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ბორცვზე ეს ფენა სამი სამშენებლო დონითაა წარმოდგენილი და ბორცვის მთელ თხემს მოიცავს. A დონე ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებითა და მეორე ნახევრით, B დონე ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისით, C დონე კი ძვ.წ. VI ს-ის მიწურულით და ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [მახარაძე ზ., ... 2001:53].

ბორცვის IV ფენის შესაბამისი ნამოსახლარი აქვე, ბორცვის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით არსებულ სახნავ მიწებზე, გამოვლინდა (ფართობი დაახლ. 3 ჰა), სადაც ძვ.წ. VI-IV, III-II და I სს-ის კულტურული ფენები იქნა დადასტურებული [ცქიტიშვილი გ. 2003:7]. ამ ნამოსახლარს ციხიაგორის ნასოფლარს უწოდებენ. ჯ. გვეტაძე აქ ორ ფენას გამოყოფს. ზედა, I ფენას ძვ.წ. III ს-ით, II ფენას კი ძვ.წ. VI-IV სს. მიაკუთვნებს. ამასთან აღნიშნავს, რომ II დონეზე მხოლოდ

იატაკის ნაშთი დაფიქსირდა, კედლები კი არ გამოვლენილა [გვეტაძე ჯ. 2003:14,17]. გ. ცქიტიშვილი ამ ფენას ძვ.წ. V-IV სს. ათარიღებს [ცქიტიშვილი გ. 2003:23].

ნამოსახლარზე მცირე გათხრებია ჩატარებული. ამის გამო. ჯ. გვეტაძე „ნასოფლარზე“ გამოვლენილ კერამიკას ჩვენს მიერ ბორცვის თხემზე დაფიქსირებულ სამივე დონის მასალასთან ავლებს პარალელს და ძეგლს ზოგადად ათარიღებს [გვეტაძე ჯ. 2003:17].

ნამოსახლარზე გამოვლენილი II ფენის კერამიკა მართლაც ბორცვის თხემზე დადასტურებული IV ფენის კერამიკის ანალოგიურია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ გამოქვეყნებული მასალების ნაწილი IV ფენის C დონის მასალებს უახლოვდება [გვეტაძე ჯ. 2003:ტაბ. II,1-3]. ამდენად, ბორცვის ძირში მდებარე ნამოსახლარის წარმოქმნა შესაბამის პერიოდში შეიძლება ვივარაუდოთ.

„ციხიაგორას“ გარშემო ბორცვის IV ფენის თანადროული ორი სამაროვანია გათხრილი: 1. „ქასრაანთ მიწები“; 2. ნასოფლარის ჩრდილოეთით მდებარე სამაროვანი, რომელიც ორ უბანს: „საყარაულო სერ“-სა და „დაჭრილებ“-ს მოიცავს.

„ქასრაანთ მიწების“ სამაროვანი მდებარეობს ქ. კასპიდან სოფ. კავთისხევისაკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს, „ციხიაგორას“ ჩრდილო-დასავლეთით 500 მ-ის დაცილებით. მისი ფართობი 600 კვ.მ-ს უდრის. 1972-1977 წლებში გაითხარა 30 ორმოსამარხი, რომელთა ნაწილი ქვის ფილებით იყო გადახურული. სამარხებში, თითო მიცვალებული (ერთ შემთხვევაში ორი) იყო დაკრძალული. ისინი ხელფეხმოკეცილი, მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე იყვნენ დასვენებული.

სამაროვანი გამთხრელების მიერ ძვ.წ. VI-IV სს. დათარიღდა [ბერაძე ეთ. 1980:14-27; ცქიტიშვილი გ. 1990:172].

სამარხთა ნაწილი (№№ 1, 18, 20 სამარხები) მხოლოდ შავად გამომწვარ თიხის ჭურჭელს შეიცავს [ბერაძე ეთ. 1980:ტაბ. X-1,3], რომლებიც რკინის ფართო ათვისების ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის (მაგ.

ნარეკვაკი, სამთავრო, ხოვლე [მახარაძე ზ., ... 2001:50,51]) მსგავსია, უმეტეს სამარხებში (№№3, 12, 13, 17, 29) კი წითლად გამომწვარი [ბერაძე ეთ. 1980:ტაბ. XII, 2, XV, 1,4, XVI, 3, XVII, 3, XXIV, 2] და შეღებილი კერამიკა (№№3, 7, 9, 15, 23 სამარხები) გვხვდება [ბერაძე ეთ. 1980:ტაბ. XII,1, XIII,5, XIV,4, XVI,6, XX,20].

აღსანიშნავია მოჩალისფროდ გამომწვარი მსხლისებურტანიანი ხელალები (№№ 9, 17 სამარხები), რომელთა ყური ორი კოპითაა შემკული [ბერაძე ეთ. 1980:ტაბ. XIV,1, XVII,3]. ასეთი ჭურჭელი ქართლში მხოლოდ დროის მცირე მონაკვეთშია გავრცელებული და ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებით თარიღდება [Нариманишвили Г. 1991:38].

„ქასრაანთ მიწების“ სამაროვანზე (№№ 1, 2, 3, 5, 9, 18, 20, 26, 30 სამარხები) აღმოჩენილი ჯამ-ფიალების ნაწილი [ბერაძე ეთ. 1980:ტაბ. X, 4, XI, 5, XI, 7; XII, 5, XIV, 4, XV, 3,5, XVIII, 7, XIX, 3, XXI, 1,2, XXII, 4, XXIV, 5], ქართლის კერამიკისათვის შემუშავებული ქრონოლოგიური შკალის I ჯგუფში თავსდება [Нариманишвили Г. 1991:49-50], ერთი ფიალა კი (სამარხი №7 [ბერაძე ეთ. 1980:ტაბ. XIII,5]) II ქრონოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნება [Нариманишвили Г. 1991:50]. № 22 სამარხში აღმოჩენილი დოქი [ბერაძე ეთ. 1980:ტაბ. XIX,5] და ისრისპირები [ბერაძე ეთ. 1980:ტაბ. XIX,6] სატაძრო კომპლექსის ტერიტორიაზე დაფიქსირებული არტეფაქტების [მახარაძე ზ., ... 2001:ტაბ. VII-1] ანალოგიურია.

მიგვაჩნია, რომ „ქასრაანთ მიწების“ სამაროვანზე გათხრილი სამარხების უმეტესობა ციხიაგორას თხემზე დაფიქსირებული IV ფენის B და C დონეების თანადროულია [მახარაძე ზ., ... 2001:53]. მცირე ნაწილი კი (სამარხი №№ 7, 8, 9, 17) ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით თარიღდება და „დაჭრილების“ სამაროვნის და თხემზე დაფიქსირებული IV ფენის A დონის თანადროულია.

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს № 8 სამარხში აღმოჩენილი რკინის ბურთულებიანი სამაჯურები [ბერაძე ეთ. 1982:17, ტაბ. XIII, 4, III,4]. სამაჯურების ეს ტიპი საქართველოს

ტერიტორიაზე ძვ.წ. IV შუა ხანებში ფართოდ ვრცელდება და ძვ.წ. IV ს-ის შემდეგ ყოფაში აღარ გვხვდება [გოგიბერიძე ნ. 1984:148; გოგიბერიძე ნ. 1988:110; გაგოშიძე იულ. 1982:49; Нариманишвили Г. 1991:62].

როგორც ჩანს, ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან ციხიაგორას კომპლექსთან ახალი სამაროვანი ჩნდება, რამაც მალე „ქასრანთ მინების“ სამაროვნის მიტოვება გამოიწვია. „დაჭრილების“ სამაროვანი ძვ.წ. IV ს-ის მინურული-სათვის ისევ ადგილმონაცვლეობს და სატაძრო კომპლექსთან უფრო ახლოს „საყარაულო სერზე“ ინაცვლებს.

„დაჭრილების“ სამაროვანი მდებარეობს „ციხიაგორას“ ბორცვის ჩრდილოეთით, 250 მ-ის დაცილებით. 1975-1976 წლებში 0,1 ჰა ფართობზე გაითხარა 24 ქვევრსამარხი, რომლებიც ძვ.წ. IV-III სს. დათარიღდა [ნაკაიძე ნ. 1980:28-41; ცქიტიშვილი გ. 2003:8]. ამ პუბლიკაციაში აღწერილი №№ 25 და 26 სამარხები გაითხარა „საყარაულო სერის“ სამაროვანზე, რომელიც „დაჭრილებიდან“ სამხრეთ-აღმოსავლეთით 150 მ-ის დაცილებითაა, მაგრამ ქრონოლოგიური თანხვედრის გამო გამოქვეყნდა „დაჭრილების“ სამარხებთან ერთად.

2002 წელს ექსპედიციამ აქ კიდევ ორი სამარხი გათხარა (მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ ხსენებული ორი სამარხი ამ სამაროვანზე არ გათხრილა, სამარხების ნომერაცია გავაგრძელეთ და მათ №№ 27 და 28 ნომერი მივანიჭეთ. სამარხების გათხრაში მონაწილეობას იღებდნენ კახა ხიმშიაშვილი, ლუკა ხიმშიაშვილი, თორნიკე მახარაძე, გიორგი და დიმიტრი ნარიმანიშვილები. სამაროვნის სიახლოვეს პალეონტოლოგიური ძეგლი დაფიქსირდა):

სამარხი № 27 ქვევრსამარხია. სამარხი ქვევრი მცირე ზომისაა (სიმაღლე – 0.65 მ; პირის დმ – 0.19 მ). ქვევრი ჰოტრიზონტალურადაა ჩაფლული, დამხრობილია ჩრდილოეთ-სამხრეთის ხაზზე, პირით სამხრეთით (ტაბ. II, 1,2). ქვევრი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან. მოწითალოდ არის გამომწვარი და მოხატულია ნითელი საღებავით.

ყელზე ჭდეული ორნამენტი შემოუყვება (ტაბ. II, 3).

ქვევრში ერთი არასრულწლოვანი ინდივიდი ყოფილა ჩასვენებული. მიცვალებული ინვა მარჯვენა გვერდზე, თავით სამხრეთით (ქვევრის პირისკენ) ძლიერ ხელ-ფეხ მოკეცილი. მიცვალებულის სახის წინ იდგა შავად გამომწვარი ჯამი (ტაბ. III,3), თავის ქალასთან ვერცხლის ორი სასაფეთქლე რგოლი (ტაბ. III, 14,16), გულ-მკერდის არეში კი გიშრის, სარდიონის და ძვლის სამი ცალი მძივი (ტაბ. III, 13) აღმოჩნდა. მიცვალებულის ზურგს უკან, სამარხი ქვევრის გარეთ ნითლად შეღებილი თიხის ხელადა დადასტურდა (ტაბ. III, 5).

სამარხი № 28 ქვევრსამარხია. ქვევრი დიდი ზომისაა (სიმაღლე – 1.20 მ; პირის დმ – 0.42 მ), დამხრობილია აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. ჩაფლულია ჰორიზონტალურად, პირით აღმოსავლეთისაკენ (ტაბ. II, 1,2). პირით მიბჯენილია № 27 სამარხზე (№27-ე სამარხი ქვევრის გვერდის ნატეხები № 28 სამარხში აღმოჩნდა). ქვევრი (ტაბ. II, 4) დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან, გამომწვარია მოწითალოდ. ქვევრში ქვიშაქვის თხელი ფილები დაფიქსირდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ქვევრსამარხი ამ ფილებით იყო გადახურული. გათხრის პროცესში კარგად ჩანდა, რომ ქვევრის მხარი და ძირი მისი დაფვლის დროს არ იყო მოტეხილი. მიცვალებულის ჩასასვენებლად მხოლოდ ქვევრის მუცელი ამოუტეხიათ. შემდეგ კი ეს ნაწილი ქვიშაქვის ფილებით გადაუხურავთ.

ქვიშაქვის ფილების ქვეშ, მიცვალებულის ჩონჩხი და ინვეტარი დაფიქსირდა. სამარხში ერთი ზრდასრული მიცვალებული ჩაუსვენებიათ. ადამიანის ძვლები არაანატომიურ მდგომარეობაში ეწყობა და ქვევრის ძირთან იყო კონცენტრირებული. მათი პრეპარაციისას გაირკვა, რომ თავის ქალა ადამიანის მკლავებზე იდო, მათ ქვეშ კი ნეკნის ძვლები დაფიქსირდა. თავის ქალას უკან, მასზე უფრო მაღლა, ბარძაყისა და ნვივის ძვლები ანატომიურად, მუხლმოკეცვით აწყვია, ისე, რომ ფეხის ფალანგები კეფის უკან აღმოჩნდა.

ნდა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ მიცვალებული ორ ნაწილად იყო დანაწევრებული. ჩონჩხის პრეპარაციის დასრულების შემდეგ ასეთი სურათი გამოიკვეთა - მიცვალებულის ტორსი, თავის ქალასთან ერთად ანატომიურ მდგომარეობაშია (მოცილებული აქვს მკლავები), ასევე ანატომიურ მდგომარეობაშია ქვედა კიდურები, რომლებიც თავის ქალას უკან, მხრების პარალელურად აწყვია; თავის ქალასა და ქვედა კიდურებს შორის მენჯის ძვალი აღმოჩნდა; აშკარაა, რომ ის ტორსს მოცილებულია და ცალკე დევს; მენჯის ძვალზე აწყვია ფეხის ფალანგები; აქვე აღმოჩნდა წინამხრის ძვლები.

მიცვალებულის ჩონჩხზე ორგანული ნივთიერების კვალი შეინიშნებოდა. ამ ნივთიერების 2-3 სმ სისქის მუქი ყავისფერი და მოშავო-მონაცრისფრო ფენა მიცვალებულის ქვეშავე დადასტურდა. როგორც ჩანს, მიცვალებული ტყავში იყო გახვეული, ან გუდაში იდო.

მიცვალებულის სახის წინ (სახით მიმართულია ჩრდილოეთით) თავდაყირა ჩადგმულია ნითელი საღებავით მოხატული ყურმილიანი ხელადა (ტაბ. II, 2; III, 1), მეორე მოხატული ხელადა (ტაბ. II, 2; III, 2) წინამხრის ძვალზე, კეფის უკან იდო. აქვე, ქვევრის კედელზე მიდგმულია შავად გამომწვარი ჯამი (ტაბ. II, 2; III, 4). მიცვალებულს ხელებზე რკინის სამ-სამი, სულ ექვსი სამაჯური (ტაბ. III, 6,7,8,9,10,11) ეკეთა. მათ შორის ოთხი ცალი ბურთულეებიანია, ერთზე ქსოვილის ანაბეჭდია შემორჩენილი. თავის ქალასთან აღმოჩნდა რკინის სამი საკინძის ფრაგმენტი (ტაბ. III, 17). მიცვალებულს პირში ედო ვერცხლის რგოლი (ტაბ. III, 15).

„დაჭრილების“ სამაროვანზე გათხრილი ეს ორი სამარხი რამდენიმე გარემოების გამო იქცევს ყურადღებას. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ სამაროვანზე ადრე გათხრილი სამარხი ქვევრების ჩანახატი ან სურათი არ გამოქვეყნებულა (ერთი მათგანი ჩავიხატეთ 2002 წელს ველზე, ტაბ. II, 5, 6; მეორე კი სარქივო მასალების მიხედვით აღვადგინეთ,

ტაბ. IV, 6). პუბლიკაციებში მხოლოდ ის არის აღნიშნული, რომ „... გვხვდება როგორც სადაზღვაპირიანი, ისე ნითელი საღებავით მოხატული ქვევრები: ყელის ძირში დახრილი ნაჭდევეები შემოუყვებათ, ხოლო მხრებზე მუქი ნითელი საღებავით შესრულებული, წვეროთი ქვემოთ მიმართული სამკუთხედებისაგან შემდგარი სარტყელი“ [ნაკაიძე ნ. 1980:28; ცქიტიშვილი გ. 1990:171]. „დაჭრილების“ სამაროვანზე მხოლოდ ერთი, №11 სამარხის ქვევრი იყო მოხატული ნითელი საღებავით. ქვევრს მხარზე წვეროთი ქვემოთ მიმართული სამკუთხედებისაგან შემდგარი სარტყელი შემოუყვება. მეორე მოხატული ქვევრი კი „საყარაულო სერის“ სამაროვანზე გაითხარა [ცქიტიშვილი გ., ... 1975].

1975-1976 წლებში გათხრილი ქვევრების შესახებ მხოლოდ ზემოთ მოტანილი ინფორმაცია იყო ცნობილი, რაც მათ ტიპოლოგიურ და სტილისტურ ანალიზს შეუძლებელს ხდიდა. 2002 წელს ეს ხარვეზი ნაწილობრივ გამოსწორდა, რამდენადაც შესრულდა ახლად გამოვლენილი და ადრე გათხრილი ქვევრების ანაზომები.

2002 წელს გათხრილ სამარხებში აღმოჩენილი მოხატულ დოქებზე წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედებია გამოსახული, რითაც ისინი ქართლის კერამიკის სამკუთხედებით მოხატვის სტილის, A ჯგუფის [ნარიმანიშვილი გ., ... 2002:54] ჭურჭელს გავს. ასეთი მოხატულობა დაჭრილების სამაროვანზე ადრე აღმოჩენილი არ ყოფილა. 1975-1976 წლებში გათხრილ სამარხებში აღმოჩენილი მოხატული ჭურჭლებიც შემკული იყო სამკუთხედებით (სამკუთხედების B სტილის ჯგუფი), რომელთა წვერებიც ქვემოთაა მიმართული [ნარიმანიშვილი გ., ... 2002: ტაბ. I, 33,34]. ეს ჭურჭლები ფორმითაც განსხვავდებიან 2002 წელს გათხრილი სამარხებიდან მომდინარე ჭურჭლებისაგან. სტილისტური ანალიზის მიხედვით ისინი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღდა [ნარიმანიშვილი გ., ... 2002:54-55]. 2002 წელს მოპოვებული ცალები (ტაბ. III, 1,2) „სამკუთხედების სტილის“

მოხატულობის A ჯგუფს მიეკუთვნება, განსხვავებით სამაროვანზე ადრე მოპოვებული ცალეებისაგან, რომლებიც „სამკუთხედების სტილის“ B ჯგუფში ერთიანდებიან.

მოხატული კერამიკის შესწავლის თვალსაზრისით საყურადღებოა „დაჭრილების“ სამაროვანზე გამოვლენილი, მიცვალებულის დასაკრძალავად გამოყენებული ქვევრი (ტაბ. II, 3). ეს მოხატულობა დღეისათვის ქართლის კერამიკაზე დადასტურებულ არცერთ სტილს არ შეესაბამება, თუმცა მასზე შეიძლება წვერით ზემოთ მიმართული სამკუთხედების ამოცნობა. როგორც ჩანს, სამკუთხედებით მოხატულ კერამიკაში კიდევ ერთი ჯგუფი უნდა გამოიყოს. ჭურჭლებზე ასევე გვხვდება A და B სტილის მოხატულობების კომბინაციები, რაც კიდევ ერთი ჯგუფის გამოყოფას ითხოვს [ნარიმანიშვილი გ., ... 2002:54]. თუმცა სრულყოფილი სტილისტური ანალიზისათვის ეს მონაცემები არ არის საკმარისი.

სამარხებში აღმოჩენილი მასალებიდან განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ყურმილიანი ხელადა (ტაბ. III, 1). ყურმილიანი დოქები და ხელადები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მცირე რაოდენობითაა გამოვლენილი. ამ ტიპის ჭურჭელი ძირითადად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. „დაჭრილების“ სამაროვანზე აღმოჩენილი ყურმილიანი ხელადა უნიკალურ ეგზემპლარს წარმოადგენს, რამდენადაც წითელი საღებავითაა მოხატული. ასეთი ჭურჭლები სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ცალი, ისიც შემთხვევითაა აღმოჩენილი შავსაყდარას სამაროვანზე [ნარიმანიშვილი გ., ... 2002:58, ტაბ. II-13].

„დაჭრილების“ სამაროვანზე დაფიქსირებული ქვევრში დაკრძალვის წესი აღმოსავლეთ საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ შემთხვევად ითვლება. ქვევრსამარხების პირველი პუბლიკაციისას სამაროვანი ზოგადად ძვ.წ. IV-III სს. იქნა დათარიღებული [ნაკაიძე ნ. 1980:14], გამთხრელებმა იგივე თარიღი შემოგვთავაზეს 1990 წელს [ცქიტიშვი-

ლი გ. 1990:171]. ვ. თოლორდავა სამარხების დიდ ნაწილს ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით, ან ბოლო მეოთხედით ათარიღებს. იგი აღნიშნავს, რომ სამარხების ნაწილი უფრო მოგვიანო პერიოდით თარიღდება და მათი თარიღი ძვ.წ. IV ს-ის ბოლოთი და III ს-ის დასაწყისით უნდა განისაზღვროს [თოლორდავა ვ. 1980:43]. მოგვიანებით „დაჭრილების“ სამაროვანზე მოპოვებული თიხის ჭურჭელი ქართლის კერამიკისათვის შემუშავებული ქრონოლოგიური შკალის II ჯგუფში მოთავსდა, ამ ქვევრსამარხებთან ერთად გამოქვეყნებულ „საყარაულო სერის“ ორ სამარხი (№№25, 26) კი ძველი და ახალი წელთაღრიცხვათა მიჯნით დათარიღდა [ნარიმანიშვილი გ. 1991:33, 53, 63, სურ. 257, 337, 616, 700, 703, 758, 1031, 1070]. სამაროვანზე აღმოჩენილი მოხატული ჭურჭელი ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღდა [ნარიმანიშვილი გ., ... 2002:55]. 2002 წელს აღმოჩენილი მოხატული ჭურჭლები სამაროვნის თარიღს უფრო მყარს ხდიან.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, მიგვაჩნია, რომ „დაჭრილების“ სამაროვანი ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებსა და მის მეორე ნახევარში ფუნქციონერებდა. ძვ.წ. III ს-ის დასაწყისიდან მიცვალებულებს ციხიაგორას კომპლექსთან უფრო ახლოს, საყარაულო სერზე მარხავენ, სადაც ამ ეპოქის ნამოსახლარიც დასტურდება. ამ ტერიტორიაზე 2002 წელს ზედაპირული დათვალიერების დროს, დარღვეულ ფენაში ცხოველის სტილიზებული გამოსახულებით შემკული სამაჯურის ნაწილისაგან დამზადებული საკინძი (ტაბ. III,18) და ალექსანდრე მაკედონელის (ძვ.წ. 336-323 წწ.) ვერცხლის დრაქმა აღმოჩნდა. მონეტის შუბლზე მოცემულია მარჯვნივ მიმართული, ლომის ტყავით შემოსილი, ახალგაზრდა ჰერაკლეს თავის (მას ალექსანდრე მაკედონელის სახის ნაკვთები აქვს) გამოსახულება (ტაბ. III,12); ზურგზე – ტახტზე მჯდომი ზევსის გამოსახულება მარცხნივ. მის უკან შეინიშნება გადასული ზედწერილის კვალი (ΑΛΞΑΝΔΡΟΥ). ზევსს მარჯვენა ხელზე არწივი უზის. ტახტს ქვემოთ მონოგრამაა M? M?.

ძველი და ახალი არქეოლოგიური მონაცემები ციხიაგორასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. VI-IV სს-ის არქეოლოგიური ძეგლების ისტორიული ტოპოგრაფიის კვლევის საშუალებას იძლევა.

ციხიაგორას ძვ.წ. VI-IV სს ძეგლების ტოპოგრაფიის საკითხებს პირველად გ. ცქიტიშვილი შეეხო. მისი აზრით „ძვ.წ. VI ს-დან ქარბი მოსახლეობა იწყებს გორიდან ჩამოსვლას და მის გარშემო დასახლებას. სავარაუდოა, რომ გორა საერთო სასოფლო ცენტრალურ სალოცავად რჩება კარგა დიდი ხნის მანძილზე. დაახლოებით ძვ.წ. IV ს-ის ბოლოსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში ამ გორაზე აიგო დიდი სატაძრო კომპლექსი“ [ცქიტიშვილი გ. 2003:7].

უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ბორცვზე ეს ფენა სამი სამშენებლო დონითაა წარმოდგენილი და ბორცვის მთელ თხემს მოიცავს. A დონე ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებითა და მეორე ნახევრით, B დონე ძვ.წ. V ს-ის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისით, C დონე კი ძვ.წ. VI ს-ის მიწურულით და ძვ.წ. V ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება [მახარაძე ზ., ... 2001:53]. ბორცვის IV ფენის შესაბამისი ნამოსახლარი აქვე, ბორცვის მიმდებარე ტერიტორიაზე, აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით, სახნავ მიწებზე გამოვლინდა.

თხემზე დაფიქსირებული IV ფენის B და C დონეების თანადროული სამაროვანი ბორცვიდან 500 მ-ის დაცილებით „ქასრაანთ მიწებზეა“ გამართული. IV ფენის A დონის თანადროული „დაჭრილების“ სამაროვანი ციხიაგორას ბორცვიდან უფრო ახლოსაა და მისგან 350 მეტრითაა დაცილებული. ამ ტერიტორიაზე სამარხები ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებიდან ჩნდება, რის შემდეგაც მალევე ხდება „ქასრაანთ მიწების“ სამაროვნის მიტოვება. ძვ.წ. III ს-ის დასაწყისიდან სამაროვანი სატაძრო კომპლექსთან უფრო ახლოს, 100 მ-ის დაცილებით, „საყარაულო სერზე“ ინაცვლებს.

ციხიაგორას ბორცვის ძირში დასახლება ძვ.წ. VI ს-ის დასაწყისში ჩნდება. პირველი დასახლება ბორცვის აღმოსავლეთით და სამ-

ხრეთ-აღმოსავლეთით ჩანს გაშენებული. ამ ტერიტორიაზე დასახლებამ ძვ.წ. IV ს-ის მიწურულამდე იარსება. ძვ.წ. III ს-ის დასაწყისიდან დასახლება უფრო დასავლეთით ინაცვლებს და „საყარაულო სერის“ სამხრეთ ფერდობს იკავებს, სერის თხემზე კი სამაროვანი ჩნდება. ძვ.წ. II ს-დან დასახლება აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ვრცელდება და მდ. შავწყალას მარცხენა ნაპირს აღწევს. ამ დასახლებამ ახ.წ. IV ს-მდე იარსება [ცქიტიშვილი გ. 1990:171]. ძვ.წ. III ს-ში დასახლება მდ. შავწყალას მარჯვენა ნაპირზე, ადგილ „ოქრომინებშიც“ ჩნდება, თუმცა მალე წყვეტს არსებობას. ახალი დასახლება აქ ახ.წ. V-VIII სს. ჩნდება. ამ დასახლებას უნდა ეკუთვნოდეს ციხიაგორას ბორცვზე და „საყარაულო სერზე“ გათხრილი ქვაყუთები.

ამდენად, ისტორიული ტოპოგრაფია გვიჩვენებს, რომ ამ მიკრორეგიონის ცენტრალური ადგილი ციხიაგორას ბორცვია, სადაც პირველი დასახლება ადრებრინჯაოს ხანაში ჩნდება. ბორცვი და მიმდებარე ტერიტორია ყველაზე ინტენსიურად ძვ.წ. V-I სს-ში იყო ათვისებული, როდესაც ბორცვის თხემზე არქიტექტურული კომპლექსი ფუნქციონირებს.

გ. ცქიტიშვილი ფიქრობს, რომ ციხიაგორას „კომპლექსი აგებული უნდა იყოს ... აზოს მიერ. ის იყო ირანის მიერ დაპყრობილი ქართლის ნაწილის ერისთავი,“ რომელიც „ძველი ქართული მათიანეების მიხედვით ალექსანდრე მაკედონელმა ... მმართველად დასვა“ [ცქიტიშვილი გ. 2003:25]. იგი ასევე აღნიშნავს, რომ „... დღევანდელი შიდა ქართლი ასცდა აქემენიდთა იმპერიის დაპყრობებს და რომ ის იმპერიის ფარგლებს გარე დარჩა“ [მახარაძე ზ., ... 1980:146-164]. „მიუხედავად ამისა ჰეროდოტე იქვე დასძენს, რომ სპარსთა სახელმწიფო ვრცელდებოდა კავკასიონამდე“ [ცქიტიშვილი 2003, გვ. 24].

ჯ. გვეტაძეს და გ. ცქიტიშვილს გამოთქმული აქვთ მოსაზრება, რომ აქემენიდურმა სპარსეთმა თავისი გავლენა არტაქსერქსე I-ის (ძვ.წ. 462-424 წწ.) დროს გაავრცელა

ქართლზე [გვეტაძე ჯ. 1980]. მათი აზრით, ამ ფაქტმა ასახვა ჰპოვა „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებულ ბარამ ანუ ბაამან არდაშირის შესახებ ცნობაში [გვეტაძე ჯ. 1980:25; ცქიტვიშვილი გ. 2003:24]. მათი ეს მოსაზრება ვ. კოვალევსკაიას გამოკვლევას ეფუძნება, სადაც ბარამ არდაშირი და არტაქსერქსე I გაიგივებული არიან [Ковалевская И. 1975:243-275]. ჯ. გვეტაძე ვარაუდობს, რომ ქართლის XVIII სატრაპიაში გაერთიანება არტაქსერქსე II (ძვ.წ. 405-358 წწ.) დროს მოხდა [გვეტაძე ჯ. 1980:25]. მეცნიერთა ნაწილი ფიქრობს, რომ ციხიაგორა XVIII სატრაპიის ერთ-ერთი ცენტრი იყო [Тирация Г. 1988:69,71].

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართლი ირანის პოლიტიკური ინტერესების სფეროში ძვ.წ. VI ს-ის მიწურულს, დარიოს I-ის დროს მოექცა. თუმცა, ქართლი არასოდეს შედიოდა იმპერიის შემადგენლობაში და აქემენიდები ქართლს ადგილობრივი არისტოკრატის მეშვეობით მართავდნენ. XVIII სატრაპიის ჩრდილოეთი საზღვარი ყარაჯამირლისთან, სარი-თეფესა და ბენიამინის მახლობლად გადიოდა [ნარიმანიშვილი გ. 2009]. ამ ზოლის ჩრდილოეთით, კავკასიის ქედამდე მდებარე ტერიტორიას მცხეთის მამასახლისი განაგებდა, რომლის ხელისუფლება სამხრეთ კავკასიის დასავლეთ ნაწილზეც ვრცელდებოდა.

ლიტერატურა:

ბერაძე ეთ. 1980: ადრეანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქასრანთ მინების“ სამაროვნიდან. - კად I, თბილისი.

გაგოშიძე იულ. 1982: თრიალეთის სამაროვნები. თბილისი.

გვეტაძე ჯ. 1980: კავთისხევის ციხიაგორაზე აღმოჩენილი ზიარსხეულიანი ხარების ქანდაკების სემანტიკური გაგებისათვის. - ძმ. № 54. გვ. 22-27. თბილისი.

გვეტაძე ჯ. 2003: ახალი მონაცემები კავთისხევის ციხიაგორის მიდამოებიდან (ძვ.წ. VI-IV სს.). - იბერია-კოლხეთი № 1. გვ. 14-22. თბილისი.

გოგიბერიძე ნ. 1984: ადრეანტიკური ხანის სამაჯურების ერთ-ერთი ტიპის დათარიღებისათვის. - მაცნე, № 4. გვ. 137-146. თბილისი.

გოგიბერიძე ნ. 1988: ანტიკური ხანის სამაჯურების ტიპოლოგიისათვის (ძვ.წ. V-I სს.). - მაცნე № 4. გვ. 99-110. თბილისი.

თოლორდავა ვ. 1980: დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში. თბილისი.

კახელიშვილი თ. 1990: შუაბრინჯაოს ხანის ყორღანები ციხიაგორაზე. პრეპრინტი. თბილისი.

კვაჭაძე მ. 2009: შიდა ქართლის მატერიალური კულტურა ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში. www.gtu.ge.

მახარაძე ზ. 1994: ციხიაგორას მტკვარ-არაქსული ნამოსახლარი. თბილისი

მახარაძე ზ. 1999: ახალი აღმოჩენები ციხიაგორაზე. - ძიებანი № 4. გვ. 57-66. თბილისი.

მახარაძე ზ., ნარიმანიშვილი გ. 2001: ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში. - ძიებანი № 7, გვ. 47-63. თბილისი.

ნაკაიძე ნ. 1980: ძვ.წ. IV-III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან. - კად I. 1980 თბილისი.

ნარიმანიშვილი გ. 2009: დარაქოის ნამოსახლარი და სამხრეთ კავკასიის აქემენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. - იბერია-კოლხეთი № 5. გვ. 94-125. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ., შატბერაშვილი ვ. 2002: ძვ.წ. V-I სს. ნითლად მოხატული კერამიკა ქართლიდან (სტილისტური ანალიზი, ქრონოლოგიის საკითხები). - ძიებანი № 9. გვ. 54-70. თბილისი.

ცქიტვიშვილი გ. 1990: ნამოსახლარი ციხიაგორა. - სიკდა V. გვ. 169-171. თბილისი.

ცქიტვიშვილი გ. 2003: ციხიაგორას სატაძრო კომპლექსი. თბილისი.

ცქიტიშვილი გ., ირემაშვილი შ., ნაკაიძე ნ., ნუცუბიძე ავ. 1975: კავთისხევის ექსპედიციის მუშაობის ანგარიში. ხელნაწერი, თბილისი.

ცქიტიშვილი გ., გვეტაძე ჯ., კვაჭაძე მ., კვიციანი რ., მახარაძე ზ. 2004: კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიცია. – საკმ 1989-1992 წლებში. გვ. 51-61.

ხაზარაძე ნ., ცქიტიშვილი გ. 1980: ციხიაგორას კრამიტი. - კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებულის VI, გვ. 146-164. თბილისი.

Ковалевская И. 1975: Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели. – მაცნე 1, გვ. 243-275. თბილისი.

Нариманишвили Г. 1991: Керамика Картли V-I вв. до н.э. Тбилиси.

Тирацян Г. 1988: Культура древней Армении. Ереван.

Цкетишвили Г., Махарадзе З., Квициანი Р. 1997: Итоги работы экспедиции Каспского района. - ПАИ 1988. с. 87-89. Тбилиси.


ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I. ციხიაგორას შემოგარენის სიტუაციური გეგმა.

ტაბ. II. 1. „დაჭრილების“ სამაროვნის №№ 27, 28 სამარხების ჩანახატი გახსნამდე; 2. „დაჭრილების“ სამაროვნის №№ 27, 28 სამარხების ჩანახატი გახსნის შემდეგ; 3. №27 სამარხი ქვევრის ჩანახატი; 4. №28 სამარხი ქვევრის ჩანახატი; 5. 1975-1976 წლებში გათხრილი ერთ-ერთი ქვევრსამარხის ჩანახატი.


ტაბ. III. 1, 2, 4, 7-11, 15, 17. № 28 სამარხის ინვენტარი; №№ 3, 4, 13, 14, 16 და № 27 სამარხის ინვენტარი.

ტაბ. IV. 1-5. 1995-1996 წლებში გათხრილი №№ 8, 9 სამარხები; 6. 1975-1976 წლებში გათხრილი № 8 სამარხი ქვევრის ჩანახატი.




1. სატაძრო კომპლექსი
ციხეგორა



II




1





2




3




4



5



III



IV



1



2




3



4



5



6

სახლის თიხის მოდელი ნაოხვამუდან და კველკოლხურ ნაგებობათა სისტემა

ნაოხვამუს ნამოსახლარზე 1940 წელს წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოებისას [ნიორაძე გ. 1940:329-343; Куптин Б. 1950:161-238] აღმოჩნდა ძველი კოლხური სახლის თიხის მოდელი, რომელმაც ჩვენამდე ფრაგმენტული სახით მოაღწია (ტაბ. I₁₋₅; II₆). მისი არსებობა ახლახან გახდა ცნობილი. კერძოდ, ეროვნული მუზეუმის სამთავრო-თრიალეთის ფონდებში შემავალი დასავლეთ საქართველოს ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლების მასალების დამუშავებისას ნაოხვამუზე 1940 წ. მოპოვებულ არტეფაქტებში წავაწყდით თიხის სახლის მოდელს. შემორჩენილია არტეფაქტის მხოლოდ ერთი კედელი (სისქე 2,7-3 სმ, სიმაღლე 11,5 სმ.), ქვედა საყრდენი ნაწილი (სისქე 3 სმ) ხიმინჯებთან და იატაკთან ერთად. კედლის ზედაპირზე ვერტიკალურად გამოყვანილია 8-10 სმ-ის ინტერვალით ერთმანეთისაგან დაშორებული სამი ძელი, რომელიც ხიმინჯებს ებმის. მათ შორის ერთ რიგში განლაგებულია 15-მდე შედარებით წვრილი ძელი. მოდელის უკანა და გვერდითი მხარე მოტეხილია, სადაც ასეთივე ძელებისა და სარების წყობა უნდა ყოფილიყო გადმოცემული. წინა მხარე ღიობია. შემორჩენილი კედელი შიდა ნაწილისკენ დახრილია (ოდნავ მორკალულია), ვიწროვდება და შემდეგ თითქოსდა სახურავზე გადადის. ზედა მხარეს შიდაპირზე ეტყობა სახურავის ჩამონატეხი. კედლის მოხაზულობიდან გამომდინარე შესაძლოა წინა მხარე თალისებური მოყვანილობისა იყო. ეს მონაცემები და სხვადასხვა არქეოლოგიურ კულტურებში - ვილანოვა, ლენდლი, ეტრუსკული და სხვ. არსებული სახლის თიხის მოდელების პარალელები (ასევე დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ხის ნაგებობათა მონაცემების გათვალისწინება) გვაფიქრებინებს, რომ ნაოხვამუს ამ ნივთს ირგვლივ რამ-

დენადმე გადმონეული ორფერდა ან კონუსური ფორმის სახურავი უნდა ქონოდა. წინა მხარეს, კედლის ზედა ნაწილში ამის ნაკვალევი თითქოსდა შეინიშნება. სახლის თიხის მოდელის კონსტრუქციიდან გამომდინარე ბრტყელი სახურავის არსებობა გვეჩვენება. ნაოხვამუს არტეფაქტი ეყრდნობა ერთმანეთისაგან 7-8 სმ-ით დაშორებულ ოთხ ხიმინჯს, სიგრძე 5 სმ, დმ. 1,5 სმ, რომელიც იწყება დაახლოვებით იატაკის დონიდან. თიხის მოდელს უნდა ქონოდა რვა ხიმინჯი. მათ შორის წინა და გვერდით მხარეს ჰორიზონტალურად განფენილია ერთმანეთის პარალელური რელიეფური ზოლები, რომლებიც ძელებს უნდა გადმოსცემდეს. საგულისხმოა, რომ ისინი მოდელს ირგვლივ შემოსდევდა.

ვფიქრობთ, ჰორიზონტალურად განლაგებული ძელების ძირითადი დანიშნულება იყო ქვედა საყრდენი ნაწილის, ხიმინჯების, შესაძლოა ნაგებობის კარკასის შეკვრა-გამაგრება. ის ერთგვარ სახლის სარტყელსაც წარმოადგენდა, რომელსაც ებჯინებოდა ნაგებობის ზედა ნაწილი. ტლანქ და ხორკლიან იატაკზე შესაძლოა სხვა დეტალებიც არსებობდა, რომელმაც ჩვენამდე არ მოაღწია. ღიობის წინა მხარე ამალღებული და დაქანებულია შუა ნაწილისკენ. მოდელის სიმაღლეა 14 სმ (ცხადია სახურავიანად უფრო მაღალი იქნებოდა), სიგრძეა 21,5 სმ სიგანე კი არასრულადაა შემორჩენილი. ეს არტეფაქტი გეგმაში კუთხეებმომრგვალებულია. საყურადღებოა, რომ თიხის სახლის მოდელი ლენტური (სორსოლის)? წესითაა ნაძერწი (ე.ი. დეტალები ცალკეა გამოძერწილი და შემდეგ კი შეერთებული).

ნაოხვამუს ეს ნივთი უნდა გადმოგვცემდეს კოლხეთის დაბლობზე ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულს გავრცელებული ბათქაშით შელესილ ხის ნაგებობათა ერთ-ერთ სახე-

ობას, რომელიც ჯარგვალური და ფაცხისე-ბური შენობებისაგან რამდენადმე განსხვავებული კონსტრუქციის უნდა ყოფილიყო. ამ დასკვნამდე მივიღვართ იმის გამოც, რომ მოდელის კედელზე არ არის დატანილი აღნიშნული ნაგებობებისათვის დამახასიათებელი უსრულო ძეგური ჭდობით გადაბმა და წნულის ანაბეჭდები. შეიძლება ითქვას, რომ ნაოხვამუს სახლის თიხის მოდელის მონაცემები არ ემთხვევა რომელიმე არქიტექტორის ვიტრუვიუსის (ძვ.წ. I ს.) მიერ აღწერილ კოლხურ ჯარგვალს [Витрувий 1936:41-42].

როგორც ცნობილია, ვიტრუვიუსზე დაყრდნობით არაერთმა მკვლევარმა სცადა კოლხური ჯარგვალური შენობის რეკონსტრუქცია, მისი შედარება გარე სამყაროსა და საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილ ხის ნაგებობებთან, არეალების დადგენა და ა.შ. [ჩიქოვანი თ. 1966:211-222; ჩიქოვანი თ. 1999:85-90; Сумбадзе Л. 1960:17, სურ. 6; ყიფიანი გ. ... 1995; Лежава Г. 1971:90-103; Гагошидзе В. 1974:158-163]. კოლხური ჯარგვალის აღდგენის ცდა ასევე მოცემული აქვთ ა. ჯოკონდოს, ო. შუაზის, დ. მშენიერაძეს, ჩეზარე-ჩეზარინოს, კარლო-ამატის და ა.შ. [Сумбадзе Л. 1960:9, 10, 14. სურ. 2, 4; აფაქიძე ჯ. 1995:184-187; ყიფიანი გ. 1995:14-16].

კოლხეთში ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი სახლი არ უნდა ყოფილიყო ერთადერთი მოდელი, არამედ უნდა არსებულიყო სხვადასხვა ტიპისა და დანიშნულების ხის შენობები [აფაქიძე ჯ. 1995:185; ყიფიანი გ. ... 1995:17], რაც დადასტურდა არქეოლოგიური გათხრებით მონაპოვარი მასალებითაც. კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე ვერტიკალურად ჩასობილ ხიმინჯებთან ერთად გამოვლენილია ჯარგვალურ და ფაცხისებურ შენობათა ნაშთები (ნაოხვამუ, ოჩამჩირე, ანაკლია I, ნოსირი III, სიმაგრე, ისპანი, ნამჭედური, ფიჩორი I, ჩოლოქისპირა ნამოსახლარი და ა.შ. [Соловьев Л. 1939:33; Куфтин Б. 1950:168; მიქელაძე თ. 1978:43-53; გოგაძე ელ. 1982:57; Микеладзе Т. ... 1985:56, 83; Микеладзе Т. 1990:ტაბ. I-II; ხახუტაიშვილი დ. 1995:34; ჯიბლაძე ლ. 2007:37]).

გამოყოფენ ოთხკუთხა, სწორკუთხა, ოვალური და მართკუთხა ფორმის ჯარგვალური ტიპის შენობებს. ასევე დასტურდება ძეგურ ნყობიანი, ორმაგი კედლით ნაგები, მრგვალი შენობები, რვაკუთხა და ცხრაოთახიანი (?) ნაგებობები [ჯიბლაძე ლ. 2007:35].

განსაკუთრებით კარგადაა შემორჩენილი უსრულო ძეგური ჭდობით გადაბმული ჯარგვალურ ნაგებობათა ქვედა ნაწილი (საძირკველი) ანაკლია II-ის შუაბრინჯაოს ხანის ფენაში. აქ კარგად იკვრება შენობათა ოთხკუთხა გეგმარება (4X2, 4X3, 4X4 მ-ზე) [Микеладзе Т. 1994:69]. მათ გვერდით ფიქსირდება შედარებით მცირე ზომის წვრილფეხა საქონლისთვის განკუთვნილი ნაგებობები. ხანდახან გვხვდება საცხოვრებელ ოთახზე მიდგმული საკუჭნაოც [Микеладзе Т. 1980:34]. ზოგჯერ გამოიყოფა ფიცარნაგებით მოგებულ შენობათა იატაკების სამი-ოთხი ჰორიზონტი [Микеладзе Т. ... 1981:43-44].

ადრეანტიკურ ხანაში ზოგიერთ ნამოსახლარზე (მაგ. სიმაგრე) დასტურდება იატაკზე დალაგებული წნული ლასტები [მიქელაძე თ. 1978:52], ჭაობიან ზოლში გვხვდება უფრო რთული ჯარგვალური ტიპის შენობები. მათ ასაგებად, გრუნტული მიწის მდგრადობის შესანარჩუნებლად, იქმნებოდა სპეციალური ძეგების საფენიანი ბაქანი, მონაზვინი თიხნარი მიწის რამდენიმე ფენით. მარტივად გამართულ ჯარგვალური ტიპის ნაგებობებს მართავდენ უფრო მშრალი კლიმატური პირობების გათვალისწინებით. სავარაუდოდ, ამ სახის შენობები გადახურული უნდა ყოფილიყო ისლით და ყავრით. ვარაუდობენ, რომ ჯარგვალური და ფაცხისებური ტიპის შენობებს უნდა ქონოდათ კონუსური, ორფერდა, კოჭოვან მინაყრილიანი და სიგრძივ გვირგვინიანი გადახურვა [ადამია ალ. 1979:27-50; გოგაძე ელ. 1982:76; Джавахишвили А. 1973:361]. ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში ბრინჯაო-ადრერკინის ხანაში გვხვდება ორმოები, რომელთაც მიწურებს და ნახევრად მიწურებს უკავშირებენ. ფიქრობენ მათზე ზემოდან გამართულ სარ-ლასტიან, ფაცხისმაგვარ ნა-

გებობებს (4X2, 2X2, 3,2X5, 2,5X2 მ, სიღრმე 1-1,5 მ). ასეთი ტიპის შენობებს ვარაუდობენ შემდეგ ძეგლებზე: გუანდრა, კისტრიკი, მოქვი, ბომბორა, ტამიში და სხვა [ჯიბლაძე ლ. 2007:38].

მინურები და ნახევრადმინურები იშვიათად დასტურდება ცენტრალური კოლხეთის ანტიკური ხანის ნამოსახლარებზე: სოფ. ლიას სამოსახლო ბორცვი - დიდი ქირსა, ვედიდკარის ნამოსახლარი. ამ ტიპის ნაგებობათა გავრცელება უნდა აიხსნას შედარებით მშრალი და თბილი კლიმატური პირობებით.

ნაგებობათა შემდეგ ნაირსახეობად უნდა მივიჩნიოთ გალის რ-ნის, სოფ. რეჩხის ბორცვოვან ზოლში, ადგილ აბაჟუში გამოვლენილი, თიროვან ნიადაგში ჩაჭრილი, დიდი სათავსო, რომლის შიდა ფართობი 600 კვ. მეტრს აღწევდა (15X22X12 მ-ზე). გამოვლინდა სამი კედელი, რომელთა თავზე სპეციალურად მოწყობილ მოედანზე შეინიშნებოდა ბოძებისა და სარების ბუდეები. როგორც ჩანს, სათავსოს ზედა ნაწილი ხის არქიტექტურით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ფიქრობენ, რომ ეს ადრერკინის ხანის ნაგებობა იყო საკულტო-სარიტუალო ხასიათისა [ბარამიძე მ. 1998:39-42].

კოლხეთში ძვ. წ. III საუკუნის წინა პერიოდში სოფ. მთისძირში-ადეიშვილების გორის ზედა ტერასაზე; ქუთაისში დათიშიძეების - გაბაშვილების გორაზე, ვანის ნაქალაქარის ცენტრალურ ტერასაზე (ე.წ. თეთრი შენობა) და ვარციხეში (ვარდიგორა) დასტურდება ქვის ცოკოლზე შემდგარი სხვადასხვა დეტალიანი, ბათქაშით შელესილი, ძელებიანი ნაგებობა [იხ. გამყრელიძე გ. 1996:27-28]. ქვის საძირკვლიანი სათავსოა ასევე გამოვლენილი ლეჩხუმში კოვრაშას ნამოსახლარზე [გაბიძაშვილი გ. ... 2004:121-123].

ვარაუდობენ, რომ ამ ტიპის ნაგებობათა სახით შესაძლოა საქმე გვქონდეს ანტიკური ეპოქის ავტორების (ჰიპოკრატე, ქსენოფონტე, აპოლონიოს როდოსელი, პომპონიუს მელა, დიონიოს ჰალიკარნასელი) თხზულებებში ნახსენებ კოლხეთის ხის ნაგებობების

ნაირსახეობასთან [გამყრელიძე გ. 2001:114]. ცოკოლზე მდგარი ხის ნაგებობა ამ ტიპის შენობებში კონსტრუქციულად უფრო განვითარებულ ეტაპს წარმოადგენს [გამყრელიძე გ. 2001:119]. დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური მასალის და ანტიკური წერილობითი წყაროების შეჯერების შედეგად მიდიან იმ დასკვნამდე, რომ ქართველური მოსახლეობით დასახლებულ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გავრცელებული იყო ბორცვებზე და გორაზე ძეღურ-ბათქაშოანი, ძელებიანი მესრით შემოზღუდული, კოშკებჩართული კომპლექსები; ხისგან ნაგები გამაგრებული სამოსახლო, რომელსაც მოსუინი ეწოდება [გამყრელიძე გ. 1996:29]. ამ მხრივ საყურადღებოა ერთგვარი პარალელების გავლება კოლხეთის დაბლობის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებზე არსებულ დასახლების შემოფარგვლის ტრადიციასთან: ხის წნულისაგან შეკრული მესერი გვხვდება ჩოლოქისპირა ნამოსახლარზე. ერთმანეთის პარალელური, გვერდიგვერდ და რკალურად მჭიდროდ განლაგებული სარების რიგი წნულკედლიანი უნდა ყოფილიყო, რომლის მთავარი დანიშნულება იყო დასახლების შემოზღუდვა (მაგ.: ნოსირი, ნაოხვამუ, ყულევი) [ჯიბლაძე ლ. 2007:154].

როგორც ვხედავთ, კოლხეთში აღმოჩენილია ბრინჯაო-ადრერკინისა და კლასიკური ხანის (გვულისხმობთ ძვ. წ. III საუკუნის წინა პერიოდს) სხვადასხვა ტიპისა და ნაირსახეობის ხის ძელებიანი ნაგებობები. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მათში მაინც იგრძნობა მემკვიდრეობითი განვითარება [გამყრელიძე გ. 2001:116].

როგორც აღინიშნა, ნაოხვამუს თიხის მოდელით გადმოცემული ხის ნაგებობა კონსტრუქციულად განსხვავდება არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი შენობებისაგან (ასევე წერილობით წყაროებში მოხსენიებული ხის ნაგებობებისაგან).

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ბრინჯაო-ადრერკინისა და ანტიკური

ხანის კულტურებში სახლის თიხის მოდელე-ბის არსებობა ჩვენთვის უცნობია. კოლხური კულტურის სამეურნეო ნაგებობათა გარკვეულ ტიპზე ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის გამდლისწყაროს ბრინჯაოს განძის (ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი) სარიტუალო ნივთი - საკურთხეველი [ქორიძე დ. 1968:34-39]. ფიქრობენ, რომ ოვალურად შემოზღუდულ საზამთრო სადგომზე მწყემსთან და ძაღლთან ერთად გამოსახული უნდა იყოს ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული საქონლის შესარეკი ფარეხი [Лордкипанидзе О. 1989:159], ან კოლხური სამოსახლო თავის გალავნითა და ლითონჩამოსასხმელი სახელოსნოთი [ჩავლეიშვილი ირ. 1999:22-24; Урушадзе Н. 1988:100-101].

ბრინჯაოსაგან დამზადებული მინიატურული ზომის ორფერდა სახურავიანი, სარკმლებიანი კოშკურა სახლი გამოვლინდა ცაიშის სამაროვნის ძვ. წ. VIII ს. მეორე ნახევრის №1 სამარხი ორმოს კომპლექსში კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელ ნივთებთან ერთად (ბრინჯაოსა და რკინის ცულები, სატევრები, თოხები, სეგმენტები, სამკაული, საკულტო საგნები, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული მრავალრიცხოვანი მძივი და ა.შ.) [პაპუაშვილი რ. 2005] (ტაბ. II₇). ცაიშის ბრინჯაოს მინიატურული ზომის კოშკურა სახლი მრგვალგანივკვეთიანია. მისი ზომებია: სიგრძე 4 სმ, სიგანე 2 სმ, ხოლო სახურავის სიმაღლე 1 სმ. ვფიქრობთ, ეს ნივთი უნდა გადმოგვცემდეს კოლხეთში წინაანტიკურ და უფრო მოგვიანო ხანაში გავრცელებულ საყოფაცხოვრებო და თავდაცვითი დანიშნულების ხის ძელებით ნაგებ კოშკებიან სახლს [Лежава Г. 1971:90-103]. ამდენად, ცაიშის ბრინჯაოს მინიატურული სახლის მოდელი შესაძლოა კიდევ ერთხელ ადასტურებდეს ანტიკური ხანის მწერლების ცნობებს და არქეოლოგიური გათხრებით დადასტურებულ მონაცემებს, რომ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქართველურ მოსახლეობაში (კოლხები, მოსინიკები და სხვა) არსებობდა ხის ძელებით ნაგები კოშკებჩართული კომპლექსები [გამყრელიძე გ. 1996:29; კილაძე ე.

1996:18-24].

ცაიშის ნივთთან ტიპოლოგიურად ახლოს დგას ხაიშის განძის (ახ.წ. I-II სს.) ოქროს საკიდზე, სხვა დეტალებთან ერთად, გამოსახული ორფერდა სახურავიანი კოშკურა სახლი [ჯავახიშვილი ალ. 1958:154-155; ყიფიანი გ. 1998:15-20, ტაბ. VII₁₁].

ძველ აღმოსავლურ სამყაროში სახლის თიხის მოდელები სათავეს იღებს ნეოლითის პერიოდიდან. ეგვიპტეში ასეთ ნივთს ვხვდებით წინა დინასტიურ ხანაში (მაგ.: ელ-ამრა, ძვ. წ. V-IV ათასწლეულები) [Всеобщая история .. 1956:41, სურ. 4].

სახლის თიხის მოდელი ცნობილია თანამედროვე ბულგარეთის ტერიტორიაზე გავრცელებულ ბრინჯაოს ხანის ერთ-ერთ კულტურაში [Чаилд Г. 1952:186-187, სურ. 66]. ძვ. წ. III ათასწლეულში ეგეოსურ კულტურაში გვხვდება ოთხ ფეხზე შემდგარი თიხის ჭურჭელი, რომელიც მოგვაგონებს კონუსური ფორმის სახურავიან ქოხს [Егейское искусство, 1972:3]. საკმაოდ მრავლადაა წარმოდგენილი ხიმინჯებზე შემდგარი, ლიობიანი, თიხის სახლის მოდელები (მათ შორის ორსართულიანებიც) ტრიპოლიე-კუკუტენის კულტურის შუა და გვიან პერიოდებში (ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე და ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევარი) [Массон В. ... 1982:209, სურ. 13].

ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძვ. წ. IX-VI სს.) სახლის თიხის მოდელები (მათ შორის ტაძრისაც) ცნობილია ჰომეროსის დროინდელი საბერძნეთიდან. ასევე ვილანოვასა და ეტრუსკულ კულტურებში ძირითადად ტერაკოტული ურნების სახით, რომლებიც იმეორებენ ადრეული სახლის ფორმებს [Монгайт А. 1974:141, 338; Всеобщая ... 1973:398, 412, სურ. 1, 2, 23; Всеобщая ... 1956:250ა; ყიფიანი გ. 1998:21, ტაბ. VIII_{1,2}]. ზოგიერთ ნიმუშს, ნაოხვამუს სახლის თიხის მოდელის მსგავსად, წინა მხრიდან ლიობი აქვს და ახასიათებს ორფერდა სახურავი. ნაოხვამუს არტეფაქტი გარკვეული დეტალით (ხიმინჯები, ლიობი) ახლო პარალელებს პოულობს მაინცის მუზეუმში დაცულ, შედარებით მოგ-

ვიანო პერიოდის (I-II სს.) სახლის ფორმის თიხის ურნებთან [Монгайт А. 1974:338]. აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში გავრცელებულ ლენდელის კულტურაში (2600-2100 წწ.) ცნობილ სახლის თიხის მოდელთან [Монгайт А. 1973:239ა] მსგავსება შეინიშნება წინამხარეს არსებული ღიობით, კედლებზე გამოყვანილი ვერტიკალური ძელებით და სხვა დეტალებით.

ნაოხვამუს თიხის მოდელს შესაძლოა სხვა დატივრთაც გააჩნდა. კერძოდ, ის იქნებ წარმოადგენდა საოჯახო საკურთხეველსაც.

ამრიგად, სხვადასხვა მონაცემებთან ერთად (ვიტრუვიუსის მიერ აღწერილი კოლხური ჯარგვალი, დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში ცნობილი ხის ნაგებობები და ა.შ.), ბრინჯაო-ადრერკინისა და კლასიკური ხანის (ძვ.წ. III საუკუნის წინა პერიოდი) კოლხეთში გავრცელებული ხის ნაგებობათა დახასიათებისას შემდეგ დასკვნამდე მივდივართ, რომ ნაოხვამუს თიხის სახლის მოდელი უნდა გადმოგვცემდეს ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისში ძველ კოლხეთში გავრცელებულ ხის ნაგებობათა კიდევ ერთ ტიპს, რომელიც დღემდე უცნობი იყო.

ლიტერატურა:

ადამია ალ. 1979: კოლხური წნული სახლები - ო. სანებლიძე (რედ.), ძმ, №49, გვ. 27-50, თბილისი.

აფაქიძე ჯ. 1995: ძველი კოლხური სახლთმშენებლობის ზოგიერთი საკითხი - ა. თავხრელიძე (რედ.), სმამ, ტ. 152, №1, გვ. 184-187, თბილისი.

ბარამიძე მ. 1998: აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი.

გაბიძაშვილი გ., სახაროვა ლ., სულავა ნ., სულხანიშვილი დ. 2004: ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები 1989-1991 წწ. ოთ. ლორთქიფანიძე და

სხვ. (რედ.) - სავლე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წწ. (მოკლე ანგარიშები), გვ. 121-123, თბილისი.

გამყრელიძე გ. 1996: კოლხურ-მოსუინიკური კოშკის რეკონსტრუქციის ცდა - ირ. ციციშვილი (რედ.), ძმ, №1/92, გვ. 25-29, თბილისი.

გამყრელიძე გ. 2001: კოლხოლოგიური ნარკვევები, თბილისი.

გოგაძე ელ. 1982: კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბილისი.

კილაძე ე. 1996: გიორგი ლეჟავას გრაფიკული ფანტაზიები კოშკურა არქიტექტურის თემაზე — ირ. ციციშვილი (რედ.), ძმ, №1/92, გვ. 18-24, თბილისი.

მიქელაძე თ. 1978: არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე, თბილისი.

ნიორაძე გ. 1941: არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში - ს. ჯანაშია (რედ.), ენიმკის მოამბე X, გვ. 329-343, თბილისი.

პაპუაშვილი რ. 2005: ცაიშის №1 სამარხი, ხელნაწერი.

ქორიძე დ. 1968: დავიცვათ და გადავარჩინოთ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები — ან. აფაქიძე (რედ.), ძმ, № 15, გვ. 32-40, თბილისი.

ჩავლეიშვილი ირ. 1999: გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი, თბილისი.

ყიფიანი გ., ამაშუკელი ნ. 1995: კოლხური და ფრიგიული სახლები, თბილისი.

ყიფიანი გ. 1998: სატაძრო თემატიკა ძველი ქართული ოქრომჭედლობის ნიმუშებში, თბილისი.

ჩიქოვანი თ. 1966: გვირგვინიან-ერდოიანი საცხოვრებლისა და ვიტრუვიუსის სახლის ურთიერთობისათვის — ა. ბოჭორიშვილი (რედ.), „მაცნე“ ისტორიის სერია, №6, გვ. 211-222, თბილისი.

ჩიქოვანი თ. 1999: ჯარგვალური სამშენებლო ტიპის კავკასიური არეალი — ოთ.

ლორთქიფანიძე (მთ. რედ.), ძიებანი № 3, გვ. 85-90, თბილისი.

ნახუტაიშვილი დ. 1995: ქობულეთის ქვეყანა I, თბილისი.

ჯავახიშვილი ალ. 1958: ხაიშის განძი — ს. ჩიქოვანი (რედ.), მნათობი, №3, გვ. 149-157, თბილისი.

ჯიბლაძე ლ. 2007: კოლხეთის დაბლობის ძვ.წ. III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, თბილისი.

Витрувий 1936: Десять Книг об архитектуре (пер. Ф. Петровского), Москва.

Всеобщая история Архитектуры Античного Мира (Греция и Рим). 1973, Москва.

Всеобщая история искусств 1956: том I, Москва.

Гагошидзе В. 1974: Конструкция древнейшего мина Колхидского жилого дома по Витрувию – გ. მელიქიშვილი (რედ.), „მაცნე“ - ისტორიის სერია №3, გვ. 158-163, თბილისი.

Джавахишвили А. 1973: Строительное дело и архитектура поселения южного Кавказа V-III тыс. до. н.э. Тбилиси.

Куфтин Б. 1950: Материалы к археологии Колхиды, Тбилиси.

Лежава Г. 1971: Древнейшая деревянная архитектура по «Анабазису» Ксенофонта – გ. მელიქიშვილი (რედ.), „მაცნე“ ისტორიის სერია, №3, გვ. 90-103, თბილისი.

Лордкипанидзе О. 1989: Наследие древней Грузии. Тбилиси.

Микеладзе Т., Мухелишвили Д., Хахутаишвили Д. 1980: Полевые исследования Колхидской археологической экспедиции – О. Лордкипанидзе (ред.), ПАИ в 1977 г., с. 33-39, Тбилиси.

Микеладзе Т., Мухелишвили Д., Хахутаишвили Д. 1981: Колхидская археологическая экспедиция – О. Лордкипанидзе (ред.), ПАИ в 1978 г., с. 43-49, Тбилиси

Микеладзе Т., Хахутаишвили Д. 1985: Древне Колхидское поселение Намчедури. Тбилиси.

Микеладзе Т. 1990: К археологии Колхиды

(эпоха средней и поздней бронзы-раннего железа), Тбилиси.

Микеладзе Т. 1994: Протоколхская Культура – Б. Рыбаков (ред.), Археология эпохи бронзы Кавказа и Средней Азии, Москва.

Монгаит А. 1973: Археология западной Европы. Каменный век, Москва

Монгаит А. 1974: Археология западной Европы (Бронзовый век и железный век), Москва.

Соловьев Л. 1939: Энеолитические селище у Очамчирского порта в Абхазии - Материалы по истории Абхазии. Сб. Первый, вып. IV, Сухуми.

Сумбадзе Л. 1960: Колхидское жилище по Витрувию, Тбилиси.

Урушадзе Н. 1988: Древнегрузинское пластическое искусство, Тбилиси.

Чаилд Г. 1952: У истоков Европейской цивилизации, Москва.

Егейское искусство, 1972: Москва

Массон В., Мерперт Н., Мунчаев Р., Черныш Е. 1982: Энеолит правобережной Украины и Молдавии. Энеолит СССР. с. 165-320, Москва.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I. 1-5. ნაოხვამუს სახლის თიხის მოდელის ხედი სხვადასხვა მხრიდან.

ტაბ. II. 6. ნაოხვამუს სახლის თიხის მოდელის რეკონსტრუქციის ცდა (ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის მხატვარ-არქიტექტორის ელიონორა სახვაძის მიხედვით); 7. ცაიშის სამაროვნის № 1 სამარხი ორმოს ბრინჯაოს კოშკურა სახლი.



1



2



3




4




5


II




—




—




—



—



6



—



7



სამკაული (კისრის რკალი) საქართველოს არქეოლოგიური კომპლექსებიდან

კისრის რკალი – სამკაულის ის სახეობაა, რომელიც უძველესი დროიდანაა ცნობილი ევროპასა და აზიაში. დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე, დუნაის კულტურის I პერიოდში (ძვ.წ. 3300-3000 წწ.), როცა ლითონი იმდენად იშვიათი იყო, რომ მისგან იარაღსაც კი არ ამზადებდნენ, გვხვდება ლითონის გრეხილღეროიანი, თავებაკეცილი კისრის რკალები, რომლებიც გ. ჩაილდს ჩამოსხმული კისრის რკალების წინამორბედად მიაჩნდა [Чайлд Г. 1952:165]. ცნობილია ეს სამკაული ძველ აღმოსავლეთშიც: რას შამრაში, ბიბლოსში, კაჭუნში და სხვ.

ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებიდან დასავლეთ ევროპაში, ყორღანული კულტურის ხანაში უკვე ჩამოსხმული, გრეხილღეროიანი კისრის რკალები გვხვდება.

ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში კისრის რკალები ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიაში ჩნდება.

კისრის რკალი – მატერიალური კულტურის ერთ-ერთი საინტერესო ელემენტი, სამარხეული ინვენტარის ერთ-ერთი კომპონენტი – სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ჩვენ მიზანს წარმოადგენს წინაანტიკური და ანტიკური ხანის საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კისრის რკალების შესწავლა, ქრონოლოგიური დიაპაზონისა და გავრცელების დადგენა.

კისრის რკალი მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით, არტეფაქტთა ისეთ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე არ განიცდის ტრანსფორმაციას, რის გამოც, ქრონოლოგიურ სივრცეში ძნელდება მისი ფორმების თანდათანობითი ცვლილებების დაჭერა.

ფორმის მიხედვით კისრის რკალები ერთნაირია – მორკალული; ღეროს ხასია-

თით – განსხვავებული: სადა ან გრეხილი, მრგვალგანივკვეთიანი ან ოთხკუთხაგანივკვეთიანი. ეს გავითვალისწინეთ ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის და ორი ძირითადი ტიპი გამოვყავით: სადაღეროიანი და გრეხილღეროიანი. ძირითადი ტიპები კი თავების ფორმისა თუ გაფორმების ელემენტების მიხედვით, ქვეტიპებად დავყავით.

სანამ კისრის რკალის კლასიფიკაციაზე გადავიდოდეთ, თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს არტეფაქტი საქართველოს ტერიტორიაზე პირველად გვხვდება გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის კომპლექსებში (ძვ.წ. XV-XII სს.); შემდგომში ის ქრება, ხოლო წინაანტიკურ ხანიდან (ძვ.წ. VIII-VII სს.) კვლავ ჩნდება, როგორც სამკაულის ერთ-ერთი სახეობა. ამიტომ, კისრის რკალის ტიპები სამ ქრონოლოგიურ ჯგუფში: 1. გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანა; 2. წინაანტიკური ხანა; 3. ადრეანტიკური ხანა მოვათავსეთ და ცალ-ცალკე მოვახდინეთ მათი კლასიფიცირება.

I ქრონოლოგიური ჯგუფი - ძვ.წ. XV-XII საუკუნეები.

როგორც აღვნიშნეთ, კისრის რკალი საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანაში, უფრო ზუსტად ძვ.წ. XV-XII სს-შია გავრცელებული. ამ ხანის კისრის რკალები ბრინჯაოსგან არის ჩამოსხმული. ეს არტეფაქტი ამ დროს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს (შიდა და ქვემო ქართლი) ძეგლებზე გვხვდება. სამაროვნებზე, სამკაულის სხვა სახეობასთან შედარებით, კისრის რკალი იშვიათი ნივთია. ასე მაგ.: გადრეკილის 97 სამარხიდან ის მხოლოდ ერთ სამარხში აღმოჩნდა, კვირაცხოვლის 18 სამარხიდან – სამში, ოლიების ტყის 30 სამარხიდან – ერთში და ა.შ. გამონაკლისი მხოლოდ წეროვნის სამაროვანია (მცხეთის რ-ნი), სადაც 64 სამარხიდან 12

სამარხში 14 ცალი კისრის რკალი დადასტურდა.

კისრის რკალი სამაროვნებზე გვხვდება როგორც მამაკაცის, ასევე ქალის სამარხებში (მაგ. წეროვნის სამაროვანზე). აღნიშნული მონაცემები დამატებითი მასალაა იმის გასარკვევად, წარმოადგენდა თუ არა კისრის რკალი მხოლოდ მამაკაცის სამკაულს. აზრთა სხვადასხვაობა ყობანის მასალამ გამოიწვია. რიგ მეცნიერს (ერ. შანტრი, ბ. კუფტინი, ბ. ტეხოვი) ეს ნივთი მხოლოდ მამაკაცის სამკაულად მიაჩნდა, ხოლო ნაწილი მეცნიერებისა (პ. უვაროვა, ე. კრუპნოვი და სხვ.) თვლიდა როგორც მამაკაცის, ასევე ქალის სამკაულად. როგორც ჩანს, გვიანბრინჯაოს ხანის საქართველოს სამაროვნების მიხედვით (წეროვანი, სათვალისწყარო და სხვ.) კისრის რკალი მხოლოდ მამაკაცის სამკაულს არ წარმოადგენდა.

ამ ხანის სამაროვნებზე კისრისრკალიან კომპლექსებში თითქმის ყოველთვის ჩანს სამაჯურები და სამკაულის სხვადასხვა სახეობა (საკინძები, საკიდები და სხვ.). იარაღი თითქმის არ გვხვდება (წეროვანი, გადრეკილი, ფევრები და სხვ.). გამონაკლისი მხოლოდ ორი შემთხვევაა: რველის სამაროვნის №18 სამარხი, სადაც კისრის რკალთან ერთად ბრინჯაოს მასრაგახსნილი შუბისპირი დადასტურდა [ლამბაშიძე ირ. 1999:94, ტაბ. XIX,3] და სათვალისწყაროს №8 სამარხი, სადაც შედგენილ-ტარიანი სატევარი აღმოჩნდა [ნუცუბიძე ავ. 1981:30, ტაბ. XXXVIII].

კისრის რკალი ყოველთვის მიცვალებულის ყელის არეში ფიქსირდება. მხოლოდ ორი შემთხვევაა, რომ მიცვალებულს ორი კისრის რკალი უკეთია [ნუცუბიძე ავ. 1981:32, ტაბ. XIII,23-24; Садрაძე В. 1991:30].

გვიანბრინჯაოს ხანის სამაროვნებზე კისრის რკალის ორი ტიპი დადასტურდა: სადალეროიანი და გრეხილდეროიანი.

I ტიპი (ტაბ. I,1,2) კისრის რკალი ბრინჯაოსი, სადა, მრგვალგანივკვეთიანი ღეროთი,

თავებჩახვეული. ზომები: რკალის დმ 9,3-14 სმ; ღეროს დმ 0,2-1,7 სმ.

სადალეროიანი ბრინჯაოს კისრის რკალები გვხვდება: რველის (2 ც.), ნატახტრის (1 ც.), წეროვნის (5 ც.) და ნავთლულის (1 ც.) სამაროვნებზე.

ყველაზე ადრეული კისრისრკალიანი კომპლექსი ჩანს რველის სამაროვნის №1 და 18 სამარხებში, რომლებიც კერამიკაზე დაყრდნობით ძვ.წ. XV ს-ის მეორე ნახევართი დათარიღდა [ლამბაშიძე ირ. 1999:13]. ამ კომპლექსების კისრის რკალები წვრილდეროიანია - მავთულოვანი; ძვ.წ. XIV-XIII სს-ში წეროვნის სამაროვანზე უკვე ჩნდება და თანაარსებობს წვრილდეროიანთან (ღეროს დმ 0,2-0,4 სმ) მსხვილდეროიანი (ღეროს დმ 1-1,7 სმ) ნიმუშები. ასევე წვრილდეროიანი, სადა კისრის რკალები არსებობას აგრძელებენ მოგვიანო კომპლექსებშიც - ნავთლულის №5 სამარხში, რომელსაც ჯერ ძვ.წ. XII-XI სს. აკუთვნებდნენ [ქორიძე დ. 1955:160], ხოლო შემდგომ ძვ.წ. XIII-XII სს-ით გადათარიღდა [აბრამიშვილი რ. 1957:138, ტაბ. I,215,225].

ჩრდილო კავკასიაში გვიანბრინჯაოს ხანაში სადა, მსხვილდეროიანი კისრის რკალის აღმოჩენის მხოლოდ ორიოდ შემთხვევაა: ყობანის (ზემო რუთხის) №2 სამარხში, რომელსაც ვ. კოზენკოვა პროტოყობანურ ანუ ყობანი I პერიოდს აკუთვნებს და ძვ.წ. XIV-XII სს-ის პირველ ნახევარში ათავსებს და შედარებით გვიან, ძვ.წ. XII-X სს-ით დათარიღებულ ზემო ყობანის სამაროვანზე [Козенкова В. 1998:91,94, სურ. 34, 32, 34, 35, 13].

რაც შეეხება ქრონოლოგიურად და ტერიტორიულად დაშორებულ ანალოგიებს – მსგავსი კისრის რკალები ცნობილია ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულში რას შამრას (ჩრდ. სირია) II ფენიდან, ბიბლოსიდან (ლიბანი), კაჰუნიდან (ეგვიპტე), ალიშერ ჰუიკიდან (ირანი) [Schaffer C. 1948:ტაბ. XIII,45,36; 59GH, სურ. 194,7] და წინა აზიის იმ ადგილებიდან, რომლებიც კისრის რკალის პირველგაჩენასთან

არის დაკავშირებული.

II ტიპი (ტაბ. I, 3-5) კისრის რკალი ბრინჯაოსი, გრეხილი ღეროთი, თავებჩახვეული, ღერო ოთხკუთხა ან მრგვალგანივკვეთიანი. ზომები: რკალის დმ 12-17 სმ, ღეროს დმ 0,2-1,2 სმ.

ამ ტიპის კისრის რკალებს გრეხილი ღერო ზოგჯერ ჩახვეულ თავებიდანვე ეწყება, ზოგ მათგანს - მოშორებით. თვით გრეხილი გვხვდება როგორც ფართო, ასევე წვრილი, ხშირი ხასიათის. ასევე გვხვდება წვრილღეროიანი (მავთულოვანი) და მსხვილღეროიანი ცალები. ამ ხანის გრეხილღეროიანი კისრის რკალი ყველა თავებჩახვეულია.

კისრის რკალის ეს სახეობა მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის ძვ.წ. XIV-XIII სს. სამაროვნებზე (წეროვანი, კვირაცხოველი, სამთავრო, გადრეკილი, ფევრები, გულგულა) და შილდის სამლოცველოზე გვხვდება. ამ სამაროვნებიდან ერთადერთი წეროვნის სამაროვანია, სადაც გრეხილი კისრის რკალი სადაღეროიანთან თანაარსებობს.

შიდა ქართლში გრეხილღეროიანი კისრის რკალები დადასტურებულია ძვ.წ. XIV-XIII სს. სამაროვნებზე: ნატახტრის (1 ც.), წეროვნის (8 ც.) და სამთავროს №163 სამარხში (1 ც.). ამ სამარხზე (№163, 1939წ. ჯგუფი) საგანგებოდ შევჩერდებით, როგორც „სადავოდ გამხდარ შემადგენლობის მქონე კომპლექსზე“ [რამიშვილი ალ. 2000:31]. სამარხში აღმოჩნდა თიხის 9 ჭურჭელი (ე.წ. მელიღელური სასმისი, ყურიანი ქოთანის და სხვ.) და ბრინჯაოს გრეხილღეროიანი, თავჩახვეული კისრის რკალი. რ. აბრამიშვილი თავის ქრონოლოგიურ ტაბულაზე №163 სამარხის კისრის რკალს სამთავროს ძვ.წ. VII ს მეორე ნახევრის და VI ს-ის კისრის რკალებთან ათავსებს [აბრამიშვილი რ. 1957:126, ტაბ. I,3]. შესაბამისად, ასევე (ძვ.წ. VII ს-ის მეორე ნახევარი - VI ს.) თარიღდება ეს კომპლექსიც. გარდა იმისა, რომ სამთავროს №163 სამარხის კისრის რკალი

(თავებჩახვეული) ტიპოლოგიურად განსხვავდება სამთავროს ძვ.წ. VII-VI სს. კისრის რკალებისგან (თავებისკენ დაბრტყელებული), ამ კომპლექსის თიხის ჭურჭელიც არ იძლევა ამ თარიღის გაზიარების საშუალებას. ა. კალანდაძემ ეს სამარხი ძვ.წ. XIII-XII სს. დაათარიღა (კალანდაძე ალ. 1990:138-140). კ. ფიცხელაურმა ამ კომპლექსის ერთი ჭურჭელი თავის ქრონოლოგიურ ტაბულაზე ძვ.წ. XIV-XIII სს-ში მოათავსა [ფიცხელაური კ. 1973: ტაბ. XIX,109]. ასევე ათარიღებს და გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურს აკუთვნებს ვ.სადრადე ამ სამარხს [სადრადე ვ. 1997:5,64, ტაბ. XII]. ვფიქრობთ, სამთავროს №163 სამარხი კისრის რკალისა და თიხის ჭურჭლის მიხედვით ძვ.წ. XIV-XII სს. ზემოთ არ მოდის.

გრეხილღეროიანი კისრის რკალები აღმოჩნდა ძვ.წ. XIV-XIII სს. დათარიღებულ ქვემო ქართლის - კვირაცხოველის №58 სამარხში [Гамбашидзе О. ... 1982:29, ტაბ. XXXV,270] და კახეთის სამაროვნებზე: გადრეკილის „ნასადგომრის“ №1 სამარხში (2 ც.) [ფიცხელაური კ. 1982:15, ტაბ. VIII,6], ძვ.წ. XIV-XII სს. სათვალწყლის №№8, 12, 16, ოლიების ტყის №6 სამარხში [ნუცუბიძე ავ. 1981:30-32, ტაბ. XXVIII,27, XXXV,16, XII, 23-24] და შილდის სამლოცველოზე [მაისურაძე ბ. ... 1984:ტაბ. XLV, 40, 865, 1428].

შილდის სამლოცველოს (ყვარლის რ-ნი) შეწირული ბევრი ნივთი, და მათ შორის კისრის რკალიც, ნაყოფიერებისა და ნადირობის ღვთაებას უკავშირდება. მათ სარიტუალო ფუნქცია აქვს, რაზეც დამატებით მეტყველებს ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანების ძეგლის - მელაანის სამლოცველოს - მამაკაცის კისრის რკალით შემკული ქანდაკება და შილდის სამლოცველოს ბრინჯაოს ერთი ანთროპომორფული, კისრისრკალიანი ფიგურა [ფიცხელაური კ. 1965:ტაბ. XVI; მაისურაძე ბ. ...1984:33, ტაბ. XX,12; მაისურაძე ბ. 1993:18, 31, ტაბ. XLII, 23, 24].

საქართველოს გარეთ, კავკასიაში ძვ.წ. XIV-

XII სს-ში გრეხილდეროიანი კისრის რკალები არ ჩანს. მოგვიანებით, ძვ.წ. XII-XI სს. ის გვხვდება ართიკის №623 სამარხში და მიიჩნევა როგორც ახალი ელემენტის გამოჩენა რკინის ხანის დასაწყისში [Хачатрян Т. 1973:217, სურ.128ა]. ასეთივე კისრის რკალი ჩანს მინგეჩაურის №110 სამარხში, რომელიც ზოგადად ძვ.წ. XII-VIII სს. თარიღდება [Асланов Г. ... 1955:62, სურ.53]; ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოსა და I ათასწლეულის დასაწყისში კისრის რკალი გვხვდება ჩრდილო კავკასიაში ყობანის კულტურის დასავლეთ ვარიანტის ძეგლებზე: ინჟიჩუკენის, ბერეზოვო I-ის და ბაქსანის ხეობის სამარხებში [Козенкова В. 1998:50, ტაბ. XIV, 5-7].

გრეხილდეროიანი კისრის რკალები, მაგრამ თავებით განსხვავებული - თავებნაკვეთილი, პირველად ჩანს ირანის ტერიტორიაზე: თეფე-სიალკის VI, B ფენაში (ძვ.წ. 1400-1200 წწ.) და თალიშში (ძვ.წ. 1200-100 წწ.) [Schaffer C. 1948:სურ. 254,3,232,9,212,7]. ასეთივე ნიმუშები გვხვდება ძვ.წ. XV-XIII სს. ევროპის ყორღანული კულტურის დასავლეთ ჯგუფის ძეგლებზე [Монгайт А. 1974:60, სურ.8].

ამრიგად: 1. საქართველოს ტერიტორიაზე ბრინჯაოს კისრის რკალები პირველად ჩნდება გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე – ძვ.წ. XV-XIV სს.; ძვ.წ. XIV-XIII სს. გრეხილდეროიანი და სადალდეროიანი კისრის რკალები თანაარსებობენ მხოლოდ ერთ სამაროვანზე (წეროვანი); 2. გვიანბრინჯაოს ხანის კისრის რკალები მომდინარეობს რიგითი სამარხებიდან, როგორც სამკაული, მაგრამ, ასევე ის გვხვდება საკულტო ძეგლებზე (შილდის სამლოცველო), რაც მის საკრალურ-სარიტუალო მნიშვნელობაზეც მიგვანიშნებს; 3. ძვ.წ. XV-XII სს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი კისრის რკალები ეკუთვნის არტეფაქტთა იმ ინოვაციებს, რომლებიც არ ჩანს დაკავშირებული ადგილობრივ ტრადიციებთან და შესაძლოა, წინააზიურ კულტურათა გამოხმაურებას წარმოადგენდეს.

II ქრონოლოგიური ჯგუფი. ძვ.წ. VIII-VI სს.

მეორე ქრონოლოგიური ჯგუფი მოიცავს პერიოდს ძვ.წ. VIII-VI სს. ფარგლებში, მაგრამ სანამ ამ ხანის კისრის რკალების კლასიფიკაციას შევეხებით, რამდენიმე ძეგლის თარიღის დაზუსტება მოგვიხდება.

როგორც აღვნიშნეთ, კისრის რკალები საქართველოს ტერიტორიაზე გვხვდება ძვ.წ. XV-XII სს. და ძვ.წ. VIII-VI სს. მაგრამ ამ ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს შორის (დაახლ. ძვ.წ. XI-IX სს.) თითქოს ჩანს კისრისრკალიანი რამდენიმე ძეგლი, რაც ამ ნივთის არსებობის თანმიმდევრულ ქრონოლოგიურ სურათს ჰქმნის. ასეთებია: თლიას სამაროვნის ძვ.წ. XII-IX სს. კომპლექსები, ოყურეშის და ჯვარის განძები. თუ ამ ძეგლების კომპლექსებს ახალ გამოკვლევებზე დაყრდნობით, ახლებურად გავიაზრებთ და გავითვალისწინებთ, შესაძლებელი გახდება მათი თარიღების გადასინჯვა და სხვა რეალობის წარმოდგენა.

განვიხილოთ თლიას სამაროვნის კისრისრკალიანი კომპლექსები, რომლებიც გვხვდება ძვ.წ. XII-IX სს. დათარიღებულ ორ სამარხში (№№24,210), ძვ.წ. X-IX და VIII-VII სს-ის ზოგიერთ კომპლექსში (№№51,72,85,95,150,188) [Техов Б. 1980:18, 35, ტაბ. 40,91; Техов Б. 1981:6, 28, სურ. 53, 99, 101, 118].

თლიას სამაროვნის №24 კისრისრკალიან კომპლექსს ბ. ტეხოვი ძვ.წ. XII-X სს. აკუთვნებს [Техов Б. 1980:18, ტაბ. 40,3]. ზოომორფულთავიან სამაჯურზე (რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI ს-დან ჩანს) და სამარხის დანარჩენ ნივთებზე (ბრინჯაოს ცული, თასი, რკინის ნატეხი და სხვ.) დაყრდნობით, რომლებიც პალურისა და ნითელი შუქურის სამარხთა ნივთების ანალოგიურია, ლ. ფანცხავამ თლის №24 კომპლექსი ძვ.წ. VII-VI სს. გადაათარილა [ფანცხავა ლ. 1988:55]. გარდა ამისა, ამ სამარხის მსგავსი კისრის რკალი ცნობილია ბერეზოვის სამარხიდანაც, რომელიც, როგორც თვით ბ. ტეხო-

ვი აღნიშნავს, დათარიღებულია ძვ.წ. VII-VI სს-ით [Крупнов Е. 1960 :210; Техов Б. 1977:150].

რაც შეეხება თლის №210 სამარხს, აქ, სადაღეროიანი, თავჩახვეული კისრის რკალის გარდა, აღმოჩნდა მკვეთრქედიანი სატევარი, სარდიონის მძივები, ბრინჯაოს ორი ღილის ფრაგმენტი და ბრინჯაოს საკიდი ადამიანის თავის გამოსახულებით [Техов Б. 1980:35, ტაბ. 91]. ბრინჯაოს ეს სატევარი, როგორც ბ.ტეხოვი აღნიშნავს, სატევრების იშვიათ სახეობას წარმოადგენს, რომელიც ძვ.წ. XII-X სს-ის შემდეგ წყვეტს არსებობას [Техов Б. 1977:96-97, ტაბ.86, 7-13]. ამ სამარხის თარიღს ძვ.წ. X სს-ის მეორე ნახევრითაც განსაზღვრავენ [აფაქიძე ჯ. 2002:39]. მაგრამ თლიას კომპლექსები, სადაც ამგვარი სატევარი დადასტურდა (№№22, 57, 63, 98, 79, 254 და ა.შ.) შეიცავს გრავირებულ კვერთხისთავს, უორნამენტო სარტყელს, ირმის გამოსახულებიან ცულს, ჯვრისებურ საკიდებს, ბუდეშებმულ მშვილდსაკინძს, თევზისგამოსახულებიან აბზინდას, ზოომორფულყურიან ტოლჩებს და ა.შ. ე.ი. მკვეთრქედიანი სატევარი გვხვდება ყველა იმ ნივთთან ერთად, რომელთა არსებობის ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. VIII-VI სს-ით შემოიფარგლება [ფანცხავა ლ. 1988:58,61,67,77-80; სულავა ნ. 2006:85, ტაბ. I,17,22]. გარდა ამისა, ამავე კომპლექსის ბრინჯაოს ანთროპომორფულ სკულპტურას (მამაკაცის თავი), ბ. ტეხოვი ყაზბეგის განძის სკულპტურულ წრეს აკუთვნებს [Техов Б. 1977:177], რომელიც ძვ.წ. VI-V სს. თარიღდება [ნითლანაძე ლ. 1976:107]. ვფიქრობთ, თლიას №210 სამარხის კომპლექსიც კისრის რკალთან ერთად, შესაძლებელია ძვ.წ. VIII-VII სს. მივაკუთნოთ.

შეიცვალა თლიას №51 სამარხის თარიღიც, რომელსაც ბ. ტეხოვი ძვ.წ. X-IX სს განსაზღვრავდა [Техов Б. 1981:6-7]; მშვილდგამსხვილებულ და ბუდეგანიერ მშვილდსაკინძით, ზოომორფულყურიანი ტოლჩით, ძალღის-გამოსახულებიან სატევარზე დაყრდნობით,

ლ. ფანცხავა კომპლექსს ძვ.წ. VI ს-ით ათარიღებს [ფანცხავა ლ. 1988:65,69]. ასევე, ამ სამარხის სატევარს თ. მიქელაძე ძვ.წ VI ს. აკუთვნებს [Микеладзе Т. 1990:57-58].

რაც შეეხება ბ. ტეხოვის მიერ ძვ.წ. VIII-VII სს. (№№ 72,95,150,188) და ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ (№№ 85,216,298) კომპლექსებს, აქედან №216 სამარხის თარიღი ძვ.წ. VI ს-ით დაკონკრეტდა [ფანცხავა ლ. 1988:64].

ამრიგად, თლიას სამარხებში აღმოჩენილი კისრის რკალების ქრონოლოგიური ჩარჩოები კომპლექსების ახალი თარიღების მიხედვით, ძვ.წ. VIII-VI სს-ით განისაზღვრა.

ასევე, ამ ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს შორის ხვდება სადაღეროიანი კისრის რკალები, რომლებიც ოყურემისა და ჯვარის განძებში აღმოჩნდა.

ოყურემის განძის (ლოყაშემუშკობელი ცულები, სპირალურთავიანი სამაჯურები, ზომორფულყურიანი ტოლჩები და სხვ.) თარიღი სხვადასხვაა; ძვ.წ. X-VIII სს. [ქორიძე დ. 1965:34; სახაროვა ლ. 1976:12,23,44]; ძვ.წ. VII ს. [Кухтин Б. 1943:28-29]. ლ. ფანცხავამ შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ოყურემის განძი ნოისის განძის თანადროულ ძეგლად მიიჩნია და მისი თარიღი ძვ.წ. VIII-VI სს-ით განსაზღვრა [ფანცხავა ლ. 1988:58].

ჯვარის განძს (ბრინჯაოს კოლხური ცულები, თოხი, ერთნილადი გრავირებული ფიბულა) დ. ქორიძე ძვ.წ. X-VIII სს-ით ათარიღებს [ქორიძე დ. 1965:154]. ამ განძში შემავალი კოლხური ცულის გვიანდელი ვარიანტი (II ტიპი) ჩრდილო-აღმოსავლეთ კოლხეთში გავრცელებულია ძვ.წ. VIII ს. მეორე ნახევარსა და VII ს. ფარგლებში. ასეთივე ცული ჩანს ნოვოჩერკასკის ძვ.წ. VIII-VII სს. განძში. ყოველივე ამის საფუძველზე, ჯვარის განძს ი. ვორონოვი ძვ.წ. VIII-VII სს. აკუთვნებს [Вороннов Ю. 1980:205]. ასევე, ამ განძში შემავალი ერთნილადი მეანდრული ორნამენტით შემკული ფიბულა ძვ.წ. VIII-VII ს-ის პირველ ნახევარშია გავრცელებული [სულავა ნ. 2006:41].

ამრიგად, ვფიქრობთ, რომ ყველა ის კისრის რკალიანი კომპლექსების თარიღი (თლიას სამარხები, ოყურეშისა და ჯვარის განძები), რომლებიც კისრის რკალის ორ ქრონოლოგიურ ჯგუფს შორის ხვდებოდა (ძვ.წ. XI-IX სს.), ახალი მონაცემების საფუძველზე დაზუსტდა და მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. VIII-VI სს.) მოექცა.

ამ ხანის კისრის რკალები ძირითადად, ბრინჯაოსია. რკინის კისრის რკალი (2 ცალი) პირველად ჩანს ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებულ რკინის კალოს (ივრის ხეობა) სამარხებში (№№8, 9) [კობაიძე ლ. 1978:19,21, ტაბ. XVIII,83, XIX,96].

ძვ.წ. VIII-VI სს-ში კისრის რკალი ბევრ სამაროვანზე გვხვდება. თუმცა მაინც, ისინი სამკაულის იშვიათ სახეობას წარმოადგენენ (მაგ. რკინის კალოს 34 სამარხიდან – ორი სამარხში აღმოჩნდა, მზეთამზეს 87-დან ოთხში, გუადიხუს 91 სამარხიდან – ორში და ა.შ.). გამონაკლისია თლიას (25-მდე) და წითელი შუქურას (10 ცალი) სამაროვნები. ამ ხანაში კისრის რკალის ორივე ტიპი (სადაღეროიანი, გრეხილღეროიანი) თითქმის თანაბრად არის გავრცელებული, თუმცა, სადაღეროიანი კისრის რკალები მეტი რაოდენობით ჩანს დასავლეთ საქართველოს სამაროვნებზე (პალური, ურეკი, კისტრიკი და სხვ.).

პირველი ქრონოლოგიური ჯგუფისგან (ძვ.წ. XV-XII სს.) განსხვავებით, კისრის რკალი ხშირად გვხვდება იარაღიანი კომპლექსებში და ჩანს, როგორც ბავშვის (საგარეჯო), ასევე მამაკაცის (პრიმორსკოე) და ქალის (რკინის კალო) სამარხებში.

მეორე ქრონოლოგიურ ჯგუფში (ძვ.წ. VIII-VI სს.) კისრის რკალის სამი ძირითადი ტიპი და რამდენიმე ქვეტიპი გამოიყო. ესენია: 1. სადაღეროიანი, 2. გრეხილღეროიანი, 3. ფირფიტოვანი.

I ტიპი (ტაბ. I, 6-9, 14-16) კისრის რკალი ბრინჯაოსი, სადაღეროიანი, მრგვალგანიკვეთიანი.

ამ ტიპის კისრის რკალებში თავების გაფორმების მიხედვით ორი ქვეტიპი გამოიყო: თავებჩახვეული და თავებისკენ წამახვილებული. ზომებით ისინი სხვადასხვაა. გვხვდება მასიური მსხვილღეროიანები და საშუალო ან წვრილღეროიანები (მავთულოვანი). I ტიპის კისრის რკალის არსებობის ზოგადი ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. VIII-VI სს-ებია.

I.1 (ტაბ. I, 6-9) დამახასიათებელი ელემენტი: მასიური, თავებჩახვეული, გრავირებული ან სადახედაპირიანი. რკალის დმ 10-11სმ, ღეროს დმ 1,2-1,4 სმ.

ამ ტიპის კისრის რკალის ზედაპირი გლუვი და კარგად გაპრიალებულია. ზოგიერთი რკალი შუა ნაწილში საკმაოდ შემსხვილებულია. მათ შორის გვხვდება სხვადასხვა გეომეტრიული ხაზებით შემკული (ხელჩუა, სტირფაზი, წითელი შუქურა) და წინვოვანი ორნამენტით გრავირებული (პრიმორსკოე) ნიმუშები. ზოგი მათგანის ზედაპირი მთლიანად დაფარულია ამ სახეებით (ხელჩუა, სტირფაზი, პრიმორსკოე), ზოგის – ნაწილობრივ (წითელი შუქურა).

მასიური, თავჩახვეული, გრაფიკული დეკორით შემკული კისრის რკალები ცნობილია ძვ.წ. VII სს. დათარიღებულ ხელჩუას, სტირფაზის [Техов Б. 1971:121,131, სურ. 35,3,39,2; ფანცხავა ლ. 1988:81] და ძვ.წ. VIII-VII სს. დათარიღებულ პრიმორსკოეს [Воронов Ю. 1980:207-208; ფანცხავა ლ. 1988:75] და წითელი შუქურას №№34,67 სამარხებში [Трапш М. 1969:109 ,132, ტაბ. XXIII,1; Квирквелия Г. 1981:5].

გრაფიკული დეკორით შემკული კისრის რკალები, როგორც ჩანს, სამკაულის შედარებით იშვიათი სახეობაა, თუმცა ის გვხვდება ძვ.წ. VIII-VII სს. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ვფიქრობთ, ვინაიდან მსგავსი ორნამენტირებული ნიმუშები უცნობია ძვ.წ. VII-VI სს. კომპლექსებისათვის, მათი თარიღი შესაძლოა განისაზღვროს ძვ.წ. VIII-VII სს-ით.

ჩრდილო კავკასიაში მსგავსი ორნამენტი-

რებული ნიმუშები ცნობილია ბერეზოვოს ძვ.წ. VII-VI სს. დანგრეულ სამარხიდან, კისლავოდსკის ძვ.წ. X-VII სს. №2 [Крупнов Е. 1960: ტაბ. XXIII,1; Козенкова В. 1982:სურ.35,3] და ფასკაუს სამარხებიდან [Уварова П. 1900: таб. XIV,7].

დასავლეთ ევროპაში მსგავსი კისრის რკალები გვხვდება ბოსნიის ტერიტორიაზე ძვ.წ. IX-VIII სს-ში [Dimitrescu V. 1968:სურ.38].

ორნამენტირებულ, მასიურ, მრგვალღეროიან, თავჩახვეულ კისრის რკალებთან თანაარსებობს ასეთივე მასიური, მხოლოდ სადაზედაპირიანი ნიმუშები, რომლებიც ცნობილია მზეთამზეს (ბორჯომის ხეობა) ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღებული სამარხიდან [ნასიძე გ. 1990:1, ტაბ.1] და ძვ.წ. VIII-VI სს. ძეგლებიდან: ნითელი შუქურა, ტყვარჩელი [Бжания В. ... 1982:13, სურ.10,3; დოლიძე ნ. 1995:54, ტაბ. XI], თლის №210 სამარხიდან (იხ. ზემოთ), ეშერის ურნა-სამარხიდან [Воронов Ю. 1980:202, სურ.1,59], დღვაბას №2 სამარხ-ორმოდან [Микеладзе Т. ... 1995:ტაბ.55], ჯვარისა და ოყურემის განძებიდან [Воронов Ю. 1980:205; ფანცხავა ლ. 1988:58] და სხვ.

ამრიგად, მასიური, სადაზედაპირიანი და ორნამენტირებული კისრის რკალები თანაარსებობენ ძირითადად, ძვ.წ. VIII-VII სს-ში. მათ შორის ყველაზე ადრეული ჩანს მზეთამზეს ნიმუში, რომელიც დისკოსებურ საკიდთან და სამშვერილიან საკინძთან ერთად აღმოჩნდა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი მეოთხედით დათარიღდა.

ასეთივე კისრის რკალები გვხვდება ჩრდილო კავკასიაშიც: ყობანის და კუმბულთას სამარხებში [Уварова П. 1900:ტაბ. XXXIX,10; XXXIII,7], ყობანური კულტურის აღმოსავლეთ ვარიანტის ძვ.წ. X-VII სს. ძეგლებზე (სერჟენ-იურტის ნამოსახლარი ფენა, ალპატოვის დანგრეული სამარხი) [Козенкова В. 1982:45, ტაბ. XXVI,1] და ყობანური კულტურის დასავლეთი ვარიანტის ძეგლებზე (ინდუსტრია

I,7/4 სამარხი, ზაიუკოვის სამარხი) [Козенкова В. 1998:50, ტაბ. XIV,1,3].

I.1.1 (ტაბ. I,14) დამახასიათებელი ელემენტი: ღერო საშუალო სისქის ან წვრილი-მაკრულვანი, თავჩახვეული, სადაზედაპირიანი.

ეს კისრის რკალები I.1 ტიპიდან მომდინარეობს და მის ვარიანტს წარმოადგენს. განსხვავება ღეროს სისქეშია. ამგვარი კისრის რკალები ძირითადად ცნობილია ძვ.წ. VII ს. დათარიღებული სამარხებიდან: ერგეტის №2 ორმოსამარხიდან [Микеладзе Т. ... 1991:ტაბ. 149,2], დღვაბას №2 სამარხიდან [Микеладзе Т. ... 1995:42, ტაბ. 55], ურეკის №№5,6 [მიქელაძე თ. 1985:54], პალურის №№24, 43, 48 (პალურში რკინის კისრის რკალებთან ერთად) [ბარამიძე მ. 1977:37-38, ტაბ. VI, VII], ბრილის [გობეჯიშვილი გ. 1952:29,103, ტაბ. XIII], ხუცუბნის [რამიშვილი ალ. 1974: ტაბ. XII,8-10] და სხვ. ასეთივე კისრის რკალი ჩანს კურზუს ძვ.წ. VIII ს-ით დათარიღებულ დანგრეულ სამარხში [ქორიძე დ. 1961: ტაბ. II], თუმცა, მაინც ვფიქრობთ, რომ მასიური, მსხვილღეროიანი კისრის რკალები (ტიპი I.1) უფრო ადრეულია (ძვ.წ. VIII-VII სს.), ხოლო ამ ტიპიდან მომდინარე საშუალო ან წვრილღეროიანი ცალები ძვ.წ. VII-VI სს-საა და ძირითადად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული სამკაულია.

ასევე, ძვ.წ. VII-VI სს-ში გვხვდება ამ ტიპის კისრის რკალები ამიერკავკასიაში: კარმერბერდის [Каталог ... 1972:104, ტაბ.XIV,13-14], ახტიბლურის [Есаян С. 1976:152, ტაბ.140,2], გოლოვინოს [Мартиросян А. 1954:24, ტაბ. VIII,7] სამარხებში. შედარებით ადრეულია (ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი) რედკინლაგერის [Есаян С. 1976:118, ტაბ.110, 9-10] და მინგეჩაურის [Садыхзаде Ш. 1971: ტაბ. VII,3-4] ცალები.

მსგავსი კისრის რკალები ცნობილია ჩრდილო კავკასიაშიც ძვ.წ. IX-VIII სს. ძეგლებიდან (ინჟიჩუკუნი, ზაიუკოვი, რუთხის №18 სამარ-

ხი [Козенкова В. 1998:50, ტაბ. XIV,4] და ძვ.ნ. VI-V სს. სამარხებიდან [Алексеева Е. 1949:216, ტაბ. XI,43].

I.2 (ტაბ. I, 15-16) დამახასიათებელი ელემენტი: თავებისკენ წამახვილებული.

ამ ვარიანტის კისრის რკალების წამახვილებული თავებისთვის დამახასიათებელია გრავირებული შტრიხები (ბორჯომის ხეობა) ან ნაჭდევი (პალური, ერგეტა) ორნამენტი. ამგვარი კისრის რკალები აღმოჩნდა ძვ.ნ. VII-VI სს. ძეგლებზე: განთიადის №4 [ავალიშვილი გ. 1974: ტაბ. XI], პალურის №43 [ოქროპირიძე ნ. 1974: ტაბ. XIX,370], ერგეტა I სამაროვნის №6 [Микеладзе Т. ... 1985:38-40, ტაბ. III], თლის №24 [ფანცხავა ლ. 1988:55] და ბორჯომის ხეობის [კვიციანი რ. 2000: ტაბ. IV,20] კომპლექსებში.

ანალოგიური კისრის რკალები ცნობილია ჩრდილო კავკასიის ძვ.ნ. VII-VI სს. ძეგლებზე: ბერეზოვოს №3 სამარხიდან, სერჟენ-იურტის სამაროვანზე [Крупнов Е. 1960:188, ტაბ. XXXIII,2; Козенкова В. 1982:45, ტაბ. XXVI, 5-7]. ამგვარივე ოქროს ნიმუშები ჩანს ძვ.ნ. VI-IV სს სკვითურ მდიდრულ ყორღანებში [Петренко В. 1978:44, ტაბ. 31,24].

II ტიპი (ტაბ. I, 10-12, 17) კისრის რკალი ბრინჯაოსი, ღერო გრეხილია, ოთხკუთხა ან მრგვალგანივკვეთიანი. ზომები: რკალის დმ 11-16 სმ; ღეროს დმ 0,4-0,7 სმ.

გრეხილღეროიანი კისრის რკალები ძვ.ნ. VIII-VI სს. სამკაულის ერთერთი გავრცელებული სახეობაა და ზოგიერთ შემთხვევაში ერთ სამარხში თანაარსებობს სადაღეროიან ცალებთან. ღეროს გრეხილი ზოგჯერ ხშირია, ზოგჯერ კი განელილი, ფართე.

კისრის რკალის ამ ტიპში თავების გაფორმების მიხედვით ორი ვარიანტი გამოიყო: 1. თავებჩახვეული; 2. თავებისკენ გაფართოებული და ბოლოებჩახვეული.

II.1 (ტაბ. I, 10, 11, 17) დამახასიათებელი ელემენტი: თავებჩახვეული.

კისრის რკალის ეს ვარიანტი ძირითა-

დად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს სამაროვნებზე: თლის ძვ.ნ. VIII-VII სს. №95 და ძვ.ნ. VII-VI სს. №85 სამარხებში [Техов Б. 1981:28,34, სურ.102,1; 1980ა:22, სურ.4,8; ფანცხავა ლ. 1988:64], განთიადის ძვ.ნ. VII-VI სს. №№2, 6 სამარხებში [ავალიშვილი გ. 1974:68,73, ტაბ. IX-XIII], ბორჯომის ხეობის ძვ.ნ. VII-VI სამარხებში [კვიციანი რ. 2000:ტაბ.19], სიონის ძვ.ნ. VII-VI სს. სამარხში [მენაბდე მ. ... 1981:98-102, ტაბ.19], ხელჩუას ძვ.ნ. VIII-VI სს. კომპლექსში [Техов Б. 1971:121-131, სურ. 35,3; ფანცხავა ლ. 1988:81]. ასევე ჩანს ის დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთ პუნქტში, ძვ.ნ. VII-VI სს. დათარიღებულ პალურის სამარხებში [ოქროპირიძე ნ. ... 1974:112, სურ. XIX].

ამრიგად, ამ ვარიანტის კისრის რკალების გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.ნ. VIII-VI სს-ია და ზოგიერთ სამაროვანზე (პალური, განთიადი, ხელჩუა) თანაარსებობს სადაღეროიან კისრის რკალებთან ერთად ძვ.ნ. VIII ს-დან.

ამიერკავკასიაში ამგვარი კისრის რკალები ცნობილია ძვ.ნ. I ათასწლეულის დასაწყისიდან ჩოვდარის, ყიზილვანქის, დონალნარის სამაროვნებიდან [Садыхзаде Ш. 1971: ტაბ.VII, 1,2] და ძვ.ნ. VII-VI სს. გოლოვინოს კოლექციიდან (ნრტანოცის კოლექცია) [Мартиросян А. 1954:24, ტაბ. VII,7].

ჩრდილო კავკასიაში გვხვდება ყობანის კულტურის მთელ არეალში ძვ.ნ. X-VII სს. (ინჟიჩუკუნი, ბერეზოვი I, ბაქსანი და სხვ.) და ძვ.ნ. VII-VI სს. ძეგლებზე (სერჟენ-იურტი, ცენტოროი, ზანდაკი, ობანი, ზემო რუთხი და სხვ.) [Козенкова В. 1982:45,50, ტაბ. XIV, 5-7, XXVI,2; 1998:236, ტაბ. II; Абакаров А. ... 1993:59, სურ. 22,32]. მსგავსი კისრის რკალები ჩანს აგრეთვე დასავლეთ დნეპრისპირეთში ძვ.ნ. VII-VI სს. [Петренко В. 1978:42, ტაბ. 29,1-4] და დასავლეთ ევროპაში, იუგოსლავიის ტერიტორიაზე ძვ.ნ. VIII-VII სს.-ში [Popa Alexandru 1964:სურ.4].

II.2 (ტაბ. I, 12) დამახასიათებელი ელემენტი: თავებისკენ გაფართოებული, ბოლოებჩახვეული.

ამ ვარიანტის მხოლოდ ორი ნიმუშია ცნობილი ძვ.წ. VIII-VII სს-ში: საგარეჯოს №3 სამარხიდან [მამაიაშვილი ნ. 1988:82, ტაბ. XXXI,48] და მელაანის №1 კომპლექსიდან [ფიცხელაური კ. 1965:86, სურ. XVIII,6].

III ტიპი (ტაბ. I,13) კისრის რკალი ბრინჯაოსი, თხელფირფიტოვანი, თავჩახვეული, ორნამენტირებული.

ამ ტიპის კისრის რკალი ცნობილია მხოლოდ თლის №72 და 150 სამარხებიდან, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII სს. თარიღდება [Техов Б. 1981:32,38, ტაბ. 92,2,109,2] და ძვ.წ. VII-VI სს. დათარიღებულ პალურის საძვლედან [ოქროპირიძე ნ. 1974:112].

ამ ტიპის კისრის რკალის მხოლოდ ერთი პარალელი არსებობს ბაიდარის ველიდან (ყირიმი), რომელიც ძვ.წ. VI-V სს. ეკუთვნის [Лесков А. 1965:108, სურ.21,17]

ამრიგად, 1. ძვ.წ. VIII-VI სს. საქართველოს ტერიტორიაზე კისრის რკალი სამკაულის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა. ამასთანავე ის საკულტო-საკრალური ფუნქციის მატარებელი ნივთია (მელაანი, ერგეტას და მუხურჩას საკულტო ორმოსამარხები); 2. ძვ.წ. VIII-VII სს. ჩნდება რკინის კისრის რკალები (რკინის კალოს სამაროვანი); 3. ძვ.წ. VIII-VI სს. სადაღეროიანი და გრეხილღეროიანი კისრის რკალები თანაარსებობენ; 4. ძვ.წ. VIII-VII სს. გვხვდება ფირფიტოვანი კისრის რკალები (თლია, პალური), რომლის ანალოგი კავკასიაში არ ჩანს; 5. კისრის რკალების თავების გაფორმება და ორნამენტაცია გვხვდება სხვა სამკაულებზეც (მაგ. სამაჯურებზე), რაც ერთი კულტურული გარემოსა და მხატვრული სტილის ნიმუშია და მათ ადგილობრივ წარმომავლობაზე მეტყველებს.

III ქრონოლოგიური ჯგუფი: ძვ.წ. VI-IV სს.

ძვ.წ. VI-IV სს.-ში კვლავ ფუნქციონირებს

კისრის რკალის ძველი ტრადიციული ტიპები (სადაღეროიანი, თავჩახვეული; გრეხილღეროიანი, თავჩახვეული) (ტაბ. II,14,17), მაგრამ უკვე ძვ.წ. VI ს-ში ამ ძირითად ტიპებთან ერთად კისრის რკალის თავებისა და ღეროების შემკულობის მიხედვით ჩნდება მრავალგვარი ვარიანტი (ქვეტიპები). ძვ.წ. VI-IV სს. ბრინჯაოს და რკინის კისრის რკალების რაოდენობა კლებულობს. ძვ.წ. VI ს. ჩნდება ვერცხლის, ხოლო ძვ.წ. V ს. დასასრულიდან უკვე გვხვდება ოქროს (იშვიათად, ელექტრუმის) კისრის რკალები. ამასთანავე, მათი რაოდენობა სამაროვნებზე მატულობს და ძვ.წ. IV-III სს. ოქროსა და ვერცხლის კისრის რკალები მდიდრული სამარხებისა და განძების სამკაულის ერთ-ერთ აუცილებელ არტეფაქტს წარმოადგენს.

მესამე ქრონოლოგიურ ჯგუფში კისრის რკალის ორი ძირითადი ტიპი და რამდენიმე ქვეტიპი გამოიყო; ძირითადი ტიპებია: 1. სადაღეროიანი; 2. გრეხილღეროიანი.

I ტიპი (ტაბ. II, 21-24, 27-35) კისრის რკალი ბრინჯაოსი, ვერცხლის ან ოქროსი. სადაღეროიანი, მრგვალგანივკვეთიანი.

ამ ტიპის კისრის რკალების თავებისა და ღეროს გაფორმება წინა ხანებთან შედარებით (ძვ.წ. VIII-VI სს.) მრავალფეროვანი ხდება, ამიტომ ქვეტიპების რიცხვიც იზრდება. გამოიყო შემდეგი ქვეტიპები: 1. თავებისკენ გაფართოებული და ბოლოებაკეცილი; 2. ზომორფულთავიანი; 3. თავებგახსნილი; 4. თავებაკეცილი (შესაკრავი კავები); 5. თავებგახსნილი, ორნამენტირებული; 6. თავები – კონუსისებური; 7. თავებგახსნილი, ექვსწახნაგოვანი ღეროთი; 8. თავებგადადებული, ირგვლივი ღარებით შემკული.

I.1 (ტაბ. II, 22) დამახასიათებელი ელემენტი: თავებისკენ გაფართოებული (ფირფიტოვანი), ბოლოებაკეცილი, ორნამენტირებული.

კისრის რკალის ეს ვარიანტი ჩანს მხოლოდ ნიგვზიანის №12 სამარხში. როგორც თ. მიქელაძე აღნიშნავს, ამ სამარხის კერამიკული

მასალა გავრცელებას იწყებს ძვ.წ. VI ს-დან [მიქელაძე თ. 1985:91-92, ტაბ. X VIII,15].

I.2 (ტაბ. II, 23, 27, 28) დამახასიათებელი ელემენტი: ზოომორფულთავიანი.

ზოომორფული თავები ძირითადად სამაჯურებისთვის არის დამახასიათებელი. კისრის რკალზე თავების შემკობის ეს მოტივი შედარებით იშვიათია და ცნობილია ძვ.წ. V-IV სს-ით დათარიღებულ ლაფანყურის, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით დათარიღებულ ოჩამჩირის სამარხებიდან [Гогиберидзе Н. 2003:70, სურ.156,157] და ეშერის დანგრეულ სამარხიდან [Шамба Г. 1980:44, ტაბ. LXXII,2]. ყველა ეს კისრის რკალი ბრინჯაოსია. ძვ.წ. III ს-ში კი ვანის №4 სამარხში გვხვდება ოქროს კისრის რკალი ლომის თავის გამოსახულებით [ჭყონია ან. 1981:74, სურ.47].

კისრის რკალებზე ზოომორფული გამოსახულება სტილიზებულია, ან საკმაოდ რეალისტური და წარმოდგენილია როგორც ცხოველის, ასევე ქვეწარმავლის სახით.

სანამ კისრის რკალის შემდეგი ვარიანტის განხილვაზე გადავალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიგვზიანის ძვ.წ. VII-VI სს-ით დათარიღებულ №12 სამარხში აღმოჩნდა სადაღეროიანი კისრის რკალი, რომლის თავებიც შემკულობით სტილიზებულ გველისთავს (?) გვაგონებს [მიქელაძე თ. 1985:91-92, ტაბ. XIII,15]. როგორც ცნობილია, ზოომორფული სამკაული საქართველოს ტერიტორიაზე ძვ.წ. VI ს-დან ჩანს [Квирквелия Г.1981:7]. შესაძლოა, ეს კისრის რკალი ძვ.წ. VI ს-ის ერთ-ერთ ადრეულ ნიმუშს წარმოადგენდეს (?).

ზოომორფულთავიანი კისრის რკალები გვხვდება ჩრდილო კავკასიაში ლუგოვოს ძვ.წ. VI-V სს. კომპლექსში და ზემო რუთხის ძვ.წ. V-IV სს. №9 სამარხში [Козенкова В. 1982:46, ტაბ. XXVI,10,13; Крупнов Е. 1960:222,240].

I.3 (ტაბ. II,29) დამახასიათებელი ელემენტი: თავებგახსნილი, ღერო სადაა.

ოქროსაგან დამზადებული ეს კისრის რკალი ჩამოჭრილი ბოლოებით, აღმოჩნდა ვანის

№6 სამარხში, რომელიც ძვ.წ. V ს.-IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. ზუსტი ანალოგი ამ კისრის რკალს არ მოეპოვება [ჭყონია ან. 1981:39, სურ.19, კატ.28].

I.4 (ტაბ. II,24,30,35) დამახასიათებელი ელემენტი: თავებაკეცილი – შესაკრავი კავეები.

პირველად ბრინჯაოს კისრის რკალებზე ოდნავ აკეცილი თავები, რომლებიც შესაძლოა, შესაკრავი კავეების როლს ასრულებდა, ჯერ კიდევ ძვ.წ. VII ს მეორე ნახევარსა და VI ს. დასაწყისში ჩანს დღვებას №1 სამარხ-ორმოში [Микеладзе Т. 1991:65, ტაბ.152,14] და თლის ძვ.წ. VI ს.-ის №51 სამარხში [ფანცხავა ლ. 1988:66]. ამ რკალების ღეროები სადაა. შემდგომ ამგვარი კისრის რკალები არ გვხვდება. მხოლოდ ძვ.წ. IV ს.-ის ძეგლებზე ჩნდება კისრის რკალები გამოკვეთილი შესაკრავი კავეებით და ორნამენტირებული ღეროებით (გრავირებული ნაჭდევი ან რელიეფურ სარტყლებს შორის მოთავსებული ბურცობები).

ღეროს გაფორმების ელემენტების მიხედვით ნ. გოგიბერიძე ამ ვარიანტის კისრის რკალების კონკრეტულ თარიღებს განსაზღვრავს. ამგვარი კისრის რკალები აღმოჩნდა ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით დათარიღებულ ძეგლებზე: ითხვისის (№2), მოდინახეს (№2), შრომისუბნის (№2) და ძვ.წ. IV ს შუა ხანებით დათარიღებულ ვანის (№16), საირხის (№8), კამარახევის (№41) და გუადიხუს (№11) სამარხებში [Гогиберидзе Н. 2003:73, სურ.158-161ა]. ამ ორი უკანასკნელის გარდა, ყველა დანარჩენი კისრის რკალი ვერცხლისაა და ერთნაირი დეკორით (რელიეფურ სარტყლებს შორის მოთავსებული დაღარული ბურცობები) არის შემკული.

რაც შეეხება კამარახევისა და გუადიხუს ნიმუშებს – ორივე ბრინჯაოსია. კამარახევის რკალი სადაა, ორნამენტის გარეშე; ხოლო გუადიხუს რკალს ღერო ნაჭდევებით აქვს გრავირებული. გუადიხუს სამარხი №11, სადაც ეს კისრის რკალი აღმოჩნდა, ძვ.წ. VI-IV

სს. თარიღდებოდა [Трапш М. 1969, ტაბ. III, 5; Квирквелия Г. 1981:7]. კომპლექსის შემდგომი განხილვისა და კისრის რკალის სტილისტური ანალიზის შედეგად ამ სამარხისა და კისრის რკალის კონკრეტული თარიღი ძვ.წ. IV ს-ის შუა ხანებით განისაზღვრა [Гогиберидзе Н. 2003:73].

ამრიგად, კისრის რკალის ამ ქვეტიპის გავრცელების ქრონოლოგიური დიაპაზონი ძვ.წ. IV ს. პირველ ნახევარსა და შუა ხანებში ექცევა.

I.5 (ტაბ. II, 31) დამახასიათებელი ელემენტი: თავებგახსნილი, ორნამენტირებული.

ამ ვარიანტის კისრის რკალებს ახასიათებთ თავებთან ღეროს შემკობა რელიეფური სარტყლებითა და დაღარული ბურცობებით.

ამგვარი კისრის რკალები აღმოჩნდა: ვერცხლის — სამადლოში, ოქროსი — ახალგორში (2ც.) და ვანის №12 სამარხში. ეს კისრის რკალები ძვ.წ. IV ს. შუა ხანებით დათარიღდა. სტილისტურად მსგავსი, მაგრამ შემკულობით ოდნავ განსხვავებულია (ნაკლებია ბურცობები, ემატებათ ნინვოვანი სახეები) ახალგორის ოქროსი და დაფნარის ბრინჯაოს ცალები, რომლებიც ძვ.წ. IV-III სს. ეკუთვნის [Гогиберидзе Н. 2003:74, სურ. 166, 167].

ასეთივე კისრის რკალი ჩანს სოფ. მთისძირის (ვანის რ-ნი), ძვ.წ. V-IV სს „ნაშუების“ მდიდრულ სამარხშიც [Хоштария Н. 1959:154, ტაბ. XIV, 1; გამყრელიძე გ. 1982:72], რომელიც ალბათ, ამ ტიპის კისრის რკალის ყველაზე ადრეულ ვარიანტად უნდა ჩაითვალოს.

ამ კისრის რკალის ანალოგები კავკასიაში არ ჩანს.

I.6 (ტაბ. II, 32) დამახასიათებელი ელემენტი: კონუსისებური თავები.

ბრინჯაოს ამ კისრის რკალის თავები დაღარულია და ერთმანეთზე გადადის. თავების ეს შემკულობა უფრო სამაჯურებს ახასიათებთ (მაგ. დაფნარი). ამგვარი კისრის რკალი ვანის №12 სამარხში აღმოჩნდა თავებგახსნილ ბურცობიან რკალებთან ერთად. ეს სა-

მარხი ძვ.წ. III ს. თარიღდებოდა, მაგრამ კომპლექსის შემდგომი შესწავლისა და კისრის რკალის სტილისტური ანალიზის შედეგად თარიღი ძვ.წ. IV ს შუა ხანებით განისაზღვრა [კაჭარავა დ. 1979:27, სურ. 447; Гогиберидзе Н. 2003:74, სურ. 169].

I.7 (ტაბ. II, 33) დამახასიათებელი ელემენტი: თავებგახსნილი, ექვსნახნაგოვანი ღერო.

ვერცხლის ამ კისრის რკალის ღერო თავებთან შემსხვილებულია. აღმოჩნდა ითხვისის №1 სამარხში და თარიღდება ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრით. ამავე სამარხში აღმოჩნდა ასეთივე ნახნაგოვანღეროიანი რკინის კისრის რკალი [გაგოშიძე იულ. ... 2006:37, სურ. 4; Гогиберидзе Н. 2003:104, სურ. 174].

ანალოგი ამ კისრის რკალისა არ ჩანს.

I.8 (ტაბ. II, 34) დამახასიათებელი ელემენტი: თავებგადადებული.

ვერცხლის ამ კისრის რკალის შესამჩნევად შემსხვილებული თავები ირგვლივი ღარებითაა შემკული. ამგვარი კისრის რკალი აღმოჩნდა ფიჭვნარის ძვ.წ. IV ს.-III ს-ის დასაწყისით დათარიღებულ №27 სამარხში [Гогиберидзе Н. 2003:75, სურ. 170]. მსგავსი ოქროს კისრის რკალი ჩანს ვანის №1 სამარხში მამაკაცის რკინის ფიგურაზე. ეს სამარხი ძვ.წ. III ს-ის თარიღდება [ჭყონია ან. 1981:74, სურ. 56, კატ. 178].

ანალოგიური ვერცხლის კისრის რკალი ცნობილია ძვ.წ. V-III სს. ლუგოვოს, დომბაის ველისა და “სოლნეჩნაია პოლიანას” სამარხებიდან [Козенкова В. 1998:51, ტაბ. XV, 2].

II ტიპი (ტაბ. I, 18-20; II, 25, 26, 36, 37) კისრის რკალი ბრინჯაოსი, ღერო გრეხილია, ოთხკუთხა ან მრგვალგანივკვეთიანი.

ძვ.წ. VI-IV სს-ში გრეხილღეროიანი კისრის რკალები, განსხვავებით სადაღეროიანთან (I ტიპი), ბრინჯაოსია. ერთადერთი ცალი ახალგორიდან (ძვ.წ. IV-III სს.) ოქროსია და იმეორებს თავების შემკულობის ძველ ტრადიციას – თავებაკეცილი.

გრეხილი კისრის რკალები, სადაღეროიანთან განსხვავებით, თავების შემკულობის

მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. გამოიყო მხოლოდ სამი ქვეტიპი: 1. ნიჩბისებური დაბოლოებით; 2. თავებისკენ გაფართოებული (რომბული ან ოვალური ფირფიტების სახით) და კაუჭიანი; 3. თავებაკეცილი.

II.1 (ტაბ. I,18-20) დამახასიათებელი ელემენტი: თავებისკენ ნიჩბისებური დაბოლოებით.

ამ ვარიანტის ზოგიერთი კისრის რკალის თავებთან ნახვრეტებია გაკეთებული (თასმის გასაყრელად?) და თავებთან გაფართოებული რკალი ხშირად გრავირებულია სხვადასხვა გეომეტრიული ორნამენტით. ასეთი კისრის რკალები გავრცელებულია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ძვ.წ. VII-VI სს-ში: სამთავროს №№ 25,207 სამარხებში [აბრამიშვილი რ. 1957: ტაბ.I,2], მუხურჩას ამ ხანის ფენაში [Гогодзе Э. 1984: სურ.I,27,101]; ძვ.წ. VI ს-ში: თლიას 14 კომპლექსში (№№34,54,90,117, 135, 146, 152, 172, 197 და ა.შ.) [Техов Б. 1985:სურ.103,4,107,3,114,4 და ა.შ.; ფანცხავა ლ. 1988:81; აფაქიძე ჯ. 2002:45], მერხეულის სამარხებში [ბარამიძე მ. 1977:53, ტაბ.V,30], ერგეტას №3 სამაროვნის №1 ორმოსამარხში [Микеладзе Т. 1984:24, ტაბ. XXVIII]; ძვ.წ. VI-V სს-ში: ნითელი შუქურას №№10,24 სამარხებში [Трапш М. 1969:90, ტაბ. XXIII,9; Квирквелия Г. 1986:5], “ქასრაანთ მიწების“ (კავთისხევი) №24 სამარხში [ბერაძე ეთ.1980:22, ტაბ.XXI,5].

მსგავსი კისრის რკალები გვხვდება ძვ.წ. VII ს-ის ყობანის სამაროვანზე [Уварова П. 1900:ტაბ.XXXIX,2; Козенкова В. 1982:სურ.37] და ყობანის კულტურის მხოლოდ აღმოსავლეთ ვარიანტის ძვ.წ. VI-V სს. ძეგლებზე (ნესტეროვო, ვოზდვიჟენსკი) [Козенкова В. 1982:45, ტაბ.XXVI,4]. ასეთივე კისრის რკალები ჩანს აგრეთვე ბაიდარის ველის (ყირიმი) სამარხებში, რომლებიც ასევე ძვ.წ. VI-V სს. თარიღდება [Лесков А. 1965: სურ.38,5,21,20-21]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კისრის რკალი წარმოადგენს ერთ-ერთ იმ არტეფაქტს, რომელიც სავარაუდოდ, ტავრიდული (ყი-

რიმი) და კავკასიური კულტურების კავშირზე მიგვანიშნებს [ავალიშვილი გ. 1974:79].

II.2 (ტაბ.II,25-26) დამახასიათებელი ელემენტი: თავებისკენ გაფართოებული რომბული ან ოვალური ფირფიტების სახით; ბოლოები – კაუჭიანი (შესაკრავი კავები).

ამგვარი კისრის რკალების გაფართოებული ნაწილი სხვადასხვა დეკორით (ტეხილი ირიბი ჭდეები, გრავირებული ნრეები და სხვ.) არის შემკული. ამგვარი ბრინჯაოს რკალები აღმოჩნდა: ძვ.წ. VI ს. დათარიღებულ მერხეულის სამარხში [ბარამიძე მ. 1977:52], ძვ.წ. VI-V სს. ძეგლებზე: გუადიხუს (№23), ნითელი შუქურას (№№21,24,29) სამარხებში [Трапш М. 1969:38, ტაბ.III,2,3,VII,25,XXIII,2; Квирквелия Г.1981:7], ძვ.წ. V-IV სს. ეშერის [Шамба Г.1980:44] და ტყვარჩელის [დოლიძე ნ. 1995:57] სამაროვნებზე.

ამრიგად, კისრის რკალების ამ ვარიანტის გავრცელების ქრონოლოგიური ჩარჩოები ძვ.წ. VI-IV სს-ებია. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი რკალები არ ჩანს.

ანალოგები ამ კისრის რკალისა გვხვდება ვოზდვიჟენსკის სიმაგრეში ძვ.წ. VII-V სს ნივთებთან [Крупнов Е. 1960:289;ტაბ. III,3] და დნებრისპირეთში ძვ.წ. VI ს. აქსიუნტინის ყორღანებში [Ильинская В. 1968:138-139].

კისრის რკალის ამ ვარიანტთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება არსებობს: გარკვეულ საფეხურზე, ძვ.წ. VI ს-დან ხდება ამ ფორმის ევოლუცია – კისრის რკალის ნიჩბისებური დაბოლოება იცვლება რომბისებურ ან ოვალურ ფორმად და “...ხდება ნივთის ფუნქციის ცვლილება (საკისრე რკალი იცვლება დიადემით)” [ნერეთელი მ. 2006:62]. ნითელი შუქურას ამგვარ კისრის რკალებს ან. ჭყონიაც დიადემებად მიიჩნევს და ვანის ძვ.წ. V ს.-ის №11 და ძვ.წ. IV ს.-ის №6 სამარხების დიადემების პარალელად მოჰყავს [ჭყონია ან. 1981:14]. ალბათ, ამავე მიზეზით არ განიხილავს ამ ტიპის კისრის რკალებს ნ. გოგიბერი-

ძე თავის ნაშრომში [Гогибერიძე Н. 2003].

II.3 (ტაბ. II, 36-37) დამახასიათებელი ელემენტი: თავებაკეცილი.

ამგვარი გრეხილღეროიანი კისრის რკალები საქართველოს ტერიტორიაზე ამ ხანაში ჩანს მხოლოდ ორ ძეგლზე: ოქროს ცალი - ახალგორის განძში და ბრინჯაოსი - ეცოს სამაროვანზე. ორივე ეს ძეგლი ძვ.წ. IV ს. მეორე ნახევრითა და III ს. დასაწყისით თარიღდება [ლორთქიფანიძე ოთ. 2003:41, სურ.2,1; Гогибერიძე Н. 2003:75:სურ.171; შატბერაშვილი ვ. 2005:147, ტაბ. IV,4].

მსგავსი გრეხილღეროიანი, თავებაკეცილი ოქროს კისრის რკალები გვხვდება ძვ.წ. VI-IV სს. სკვითურ ძეგლებზე: ორლოვეცის ყორღანში და სოფ. რაკოვკაში. როგორც ფიქრობენ, ამ ტიპის კისრის რკალები დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან შემოდის და მისი ანალოგებიც იქ ჩანს [Петренко В. 1978:42, ტაბ.29,3].

ამრიგად: 1. ძვ.წ. VI-IV სს-ში ჩნდება ვერცხლისა და ოქროს სადაღეროიანი კისრის რკალები; გრეხილღეროიანები - ძირითადად ბრინჯაოსია; 2. სადაღეროიანი კისრის რკალების თავებისა და ღეროს შემკულობა წინა ხანასთან შედარებით მრავალგვარია; 3. ოქროსა და ვერცხლის კისრის რკალები გვხვდება მდიდრულ სამარხებსა და განძებში; 4. ძვ.წ. VI-IV სს. კისრის რკალები ხშირად იმეორებენ ამავე ხანაში გავრცელებულ სამაჯურებისა და დიადემების ფორმასა და დეკორს, რაც მათ მხატვრულ-სტილისტურ ერთიანობაზე მეტყველებს; 5. ძვ.წ. VI-IV სს-შიც კისრის რკალი გარდა სამკაულისა, საკრალურ-რიტუალური ფუნქციის მატარებელი ნივთია.

კისრის რკალს სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ფუნქციონალური დატვირთვა ჰქონდა. ის ცნობილია როგორც სამკაული, გვიან-ბრინჯაო-რკინის ხანაში - როგორც საკრალურ-სარიტუალო ნივთი (შილდა, მელანნი, ერგეტა და სხვ.), ანტიკურ ხანაში - როგორც „გარდაცვლილი ღვთაების დატირების მონა-

წილე ელემენტი“ (ვანის კისრის რკალით შემკული ბრინჯაოსა და რკინის ქანდაკებები) [ლორთქიფანიძე ოთ. 2002:212, სურ.187], ქურუმთა შემკულობის აუცილებელი ატრიბუტი [მათიაშვილი ნ. 2005:36] ან განსაზღვრული სოციალური ფენის (წარჩინებული მეომრის) კუთვნილი ნივთი [Петренко В. 1978:41].

ამ მხრივ საინტერესოა კისრის რკალთან დაკავშირებული საქართველოს ტრადიციულ ყოფაში შემორჩენილი ცნობები.

კისრის სამკაულად გამოყენებულ ლითონის რკალს შემდეგი სახელწოდებებით ვხვდებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში: საკისრე რგოლი, კირკალი, საყელური რგოლი, ხატისუღელი, გვერგი და სხვ..

ორ უკანასკნელ ტერმინზე (ხატისუღელი, გვერგი) შევჩერდებით.

ცნობილია, რომ სამკაულს სხეულისა და ტანსაცმლის შემკობის გარდა სხვა დანიშნულებაც ჰქონდა: საზეიმო, საკრალური, სარიტუალო და სხვ. ამასთანავე, გამოყენებული იყო ამულეტად, თილისმად და სხვ. ამ მხრივ საინტერესოა კისრის რკალის როგორც სამკაულის, და როგორც რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ფუნქციონალური ნივთის გამოიყენა. ამის შესაძლებლობას კისრის რკალის სახელწოდებები იძლევა; არქეოლოგიურ მასალასთან ერთად ტრადიციულ ყოფაში შემორჩენილი მონაცემებით ირკვევა, რომ ქართველი ხალხის სარწმუნოებაში ჯერ კიდევ შემონახული ყოფილა მაგიის, ტოტემიზმის, ანიმისტური მსოფლმხედველობის და კულტის უხვი გადმონაშთი [ბარდაველიძე ვ. 1974:4].

მთიულეთის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენების მიხედვით კისრის რკალთან, ანუ ხატისუღელთან დაკავშირებით შემდეგი ცნობა არსებობს: მთიულეები (უმთავრესად დედაკაცები) დაავადების დროს რომელიმე ძლიერ ხატს განკურნებას შეევედრებოდნენ და შეუთქვამდნენ, რომ განსაზღვრულ დრომდე (დაახლ. 3 წელი) ყელზე მოუხსნენ-

ლად ატარებდნენ სხვადასხვა ზომისა და სისქის რკინის ხატისუღელს. ამ დღიდან ხატისუღელიანი დედაკაცი ხატის მონად ითვლებოდა. ეს უღელი კი ხატის მონობის სიმბოლურ ნიშანს წარმოადგენდა, "...რომელსაც მთიული დედაკაცი დღესაც ასე მოწონებით ატარებს და რომლის პროტოტიპს ჩვენ შორეულ წარსულში ვპოულობთ" [მაკალათია ს. 1930:145-147]. განკურნების შემდეგ, ხატისუღელს ხატობას ხატს შესწირავდნენ. მთიელთა ძველი ყოფიდან შემორჩენილი ეს ცნობა "...სხვა ქართველ მთიელებზე, კახელებსა და ქართლებზეც ვრცელდება, რამდენადაც ყველგან ამ საგანზე ზოგადად ერთნაირი შეხედულება და რელიგიური პრაქტიკა არსებობდა" [ბარდაველიძე ვ. 1974:25].

ღვთაება ბარბარეს უკავშირდება კისრის სამკაულის კიდევ ერთი სახელწოდება - "გვერგვი". ღვთაება ბარბარე გამანაყოფიერებელი და გამრავლების ქალღმერთი, ამასთანავე გადამდებ სნეულებათა მფარველი ღვთაებაა, რომლის ხატის მონები წნელის უღელს ატარებდნენ [ბარდაველიძე ვ. 1971:24,49-51]. წნელის უღელს, ზოგჯერ რკინის ნაცვლად მკითხავის რჩევით იკეთებდნენ [მაკალათია 1934:202]. ღვთაება ბარბარე ასტრალური ბუნებისაა (თვალის სინათლის მომნიჭებელი), მნათობი მზის ღვთაებაა, რომლის ემბლემა წრისა და დისკოს მოყვანილობისაა. "სვანეთში... წრის სახის ხატი "გირგედი" ოდესღაც მნათობი მზის ღვთაება ბარბარეს სიმბოლური ნიშანი ანუ ემბლემა უნდა ყოფილიყო" [ბარდაველიძე ვ. 1971:65,72-77]. რგოლისებური საგნებისადმი თაყვანისცემა უძველესი ხანიდან მომდინარეობს და ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ე.წ. გვერგვის გაკეთება. "გვერგვი" ლეჩხუმში მოწნულ რკალს წარმოადგენდა [ბარდაველიძე ვ. 1971:66-72]. ამრიგად, ტრადიციულ ყოფაში ტერმინი "გვერგვი" ღვთაება ბარბარეს უკავშირდება.

კისრის რკალის, როგორც სამკაულისა თუ სარიტუალო ნივთის შესახებ დასკვნების გა-

კეთება, რა თქმა უნდა, სავარაუდოა, თუმცა კისრის რკალის პროტოტიპი ბრინჯაოს ხანაში ჩანს და მთიულეთის მაგალითზე "...ხატის ეს უღელი... მიგვითითებს ამ პრეისტორიული ხანის ბრინჯაოს უღლის თავდაპირველ მნიშვნელობაზე" [მაკალათია ს. 1934:147].

ასეთია არქეოლოგიური და ტრადიციული ყოფის მონაცემები სამკაულის ერთ-ერთ სახეობაზე – კისრის რკალზე.

ლიტერატურა:

აბრამიშვილი რ. 1957: სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის. - შ. ხანთაძე, მ. კაჭარავა (რედ.), სსმმ, ტ. XIX-A და XXI-B, გვ. 115-139. თბილისი.

ავალიშვილი გ. 1974: ქვემო ქართლი ძვ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი.

აფაქიძე ჯ. 2002: გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის ქრონოლოგია. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი. თბილისი.

ბარამიძე მ. 1977: მერხეულის სამაროვანი. თბილისი.

ბერაძე ეთ. 1980: ადრეანტიკური ხანის ორმოსამარხები "ქასრანთ მიწის" სამაროვნიდან – გ. ცქიტიშვილი (რედ.). კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები. გვ. 14-27. თბილისი.

ბარდაველიძე ვ. 1971: ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბარბარი). თბილისი.

ბარდაველიძე ვ. 1974: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, I. თბილისი.

გაგოშიძე ი., გოგიბერიძე ნ., მახარაძე გ. 2006: ითხვისის სამაროვანი. – გ. მახარაძე

(რედ.). არქეოლოგიური ჟურნალი, IV, გვ. 36-59. თბილისი.

გამყრელიძე გ. 1982: ცენტრალური კოლხეთის ძველი ნამოსახლარები (სოფ. მთისძირი). თბილისი.

გობეჯიშვილი გ. 1952: არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში. თბილისი.

დოლიძე ნ. 1995: ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მხატვრული ნაწარმი (ლითონის სამკაული). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

კალანდაძე ალ. 1980: სამთავრო. წინა-ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა IV. თბილისი.

კაჭარავა დ., და სხვ. 1979: არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე. — ვანი, IV, 7-37.

კვირკვია რ. 2000: რკინის ფართო ათვისების ხანის (ძვ.წ. VIII-VI სს.) სამარხები ბორჯომის ხეობაში. — მ. ბერიძე და სხვ. (რედ.). მესხეთი. ისტორია და თანამედროვეობა. გვ. 93-102. თბილისი.

კობაიძე ლ. 1978: ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, II. რკინის კალს სამაროვანი (კატალოგი). თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 2002: ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისი.

ლორთქიფანიძე ოთ. 2003: ახალგორის განძი. — ვ. ჯაფარიძე (რედ.). ძიებანი №11, გვ. 28-71.

მაისურაძე ბ., ფანცხავა ლ. 1984: შილდის სამლოცველო (კატალოგი). კაე-ს შრომები VII. თბილისი.

მაისურაძე ბ. 1993: იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

მათიაშვილი ნ. 2005: ელინისტური ხანის კოლხეთის ისტორიის საკითხები. თბილისი.

მაკალათია ს. 1930: მთიულეთი. თბილისი.

მაკალათია ს. 1934: ფშავი. თბილისი.

მამაიაშვილი ნ. 1988: ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამაროვანი საგარეჯოდან. — კ.ფიცხელაური (რედ.). გარეჯი. კაე-ს შრომები VIII. გვ. 72-112. თბილისი.

მენაბდე მ., კილურაძე თ. 1981: სიონის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

მიქელაძე თ. 1985: კოლხეთის ადრერკინის ხანის სამაროვნები (ურეკისა და ნიგვზიანის სამაროვნები). თბილისი.

ნასიძე გ. 1990: კოლხური კულტურის ახალი კერა. თბილისი. (პრეპრინტი).

ნუცუბიძე ავ. 1981: ალაზნის ველის ძვ.წ. XIV-XII სს. არქეოლოგიური ძეგლები (გულ-გულას სამაროვნები, იყალთოს და ვანთის სამარხები). თბილისი.

ოქროპირიძე ნ., ბარამიძე მ. 1974: პალურის საძვლე (1968 წლის გათხრების შედეგები). — ალ. კალანდაძე (რედ.). მსკა V, გვ. 96-123. თბილისი.

რამიშვილი ალ. 1974: კოლხეთის მატერიკული კულტურის ისტორიიდან. ბათუმი.

რამიშვილი ალ. 2000: შიდა ქართლის ბრინჯაოს ხანის ფინალური სტადიების პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხი. — ოთ.ლორთქიფანიძე (რედ.). ძიებანი, №6, გვ. 28-37. თბილისი.

სადრაძე ვ. 1997: სამთავროს სამაროვნის ბრინჯაოს ხანის ძეგლები. თბილისი.

სახაროვა ლ. 1976: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან. თბილისი.

სულავა ნ. 2006: კავკასიის ფიბულები (ტიპოლოგია, ქრონოლოგია, გენეზისი). ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაცია. თბილისი.

ფანცხავა ლ. 1988: კოლხური კულტურის მხატვრული ხელოსნობის ძეგლები. თბილისი.

ფიცხელაური კ. 1965: იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა. თბილისი.

ფიცხელაური კ. 1973: აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი

პრობლემები (ძვ.წ. XV-VII სს.). თბილისი.

ფიცხელაური კ., მენაბდე ც. 1982: გადრეკილის არქეოლოგიური ძეგლები. კაე-ს შრომები, V. თბილისი.

ქორიძე დ. 1955: თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. I. თბილისი.

ქორიძე დ. 1961: შემთხვევითი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ კურზუში. – ლ. ჭილაშვილი (რედ.). სსმმ, ტ. XXII-B, გვ. 55-70. თბილისი.

ქორიძე დ. 1965: კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბილისი.

ღამბაშიძე ირ. 1999: სამცხე ძვ.წ. II ათასწლეულის შუა ხანებში (ბორჯომის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები). სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

შატბერაშვილი ვ. 2005: ქვემო ქართლი ძველი წელთაღრიცხვის IV-I საუკუნეებში (არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით). დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბილისი.

ნითლანაძე ლ. 1976: ხევის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი.

ნერეთელი მ. 2006: ხატისუღელი – დიადემა. – გ. მახარაძე (რედ.). არქეოლოგიური ჟურნალი, IV, გვ. 60-68. თბილისი.

ჭყონია ან. 1981: ოქროს სამკაულები ვანის ნაქალაქარიდან. ვანი, VI. თბილისი.

Абакаров А., Давыдов О. 1993: Археологическая карта Дагестана. Москва.

Алексеева Е. 1949: Позднекобанская культура Центрального Кавказа. - М. Артамонов (ред.). Ученые записки ЛГУ, серия исторических наук, вып.13, с. 19-257. Москва.

Асланов Г., Вайдов Р., Ионе Г. 1955: Древний Мингечаур. Баку.

Бжания В., Кобахия Б. 1982: Охранные раскопки Кистрика. - Б. Рыбаков (ред.). АО 1980 года, с. 12-14. Москва.

Воронов Ю. 1980: О хронологических связях кимерийско-скифской и колхидской культур. – В. Ильинская и др. (ред.). Скифия и Кавказ. с. 200-218. Киев.

Гамбашидзе О., Квижинадзе К. 1982: Месхет-Джавахетская экспедиция. – О. Лордкипанидзе (ред.). ПАИ 1980 года, с. 29-31. Тбилиси.

Гогадзе Е. 1984: К вопросу о хронологии памятников Колхидской культуры. – ლ. ჭილაშვილი (რედ.). სსმმ, XXXVII-B, გვ. 28-55. თბილისი.

Гогиберидзе Н. 2003: Браслеты и гривны V-I в.в. до н.э. Тбилиси.

Есаян С. 1976: Древняя культура племен северо-восточной Армении (III-I тыс. до н.э.). Ереван.

Ильинская В. 1968: Скифы Днепровского лесостепного левобережья. Киев.

Каталог археологических предметов Музея истории города Еревана, Ш. 1972. Ереван.

Квирквелия Г. 1981: Материальная культура Северо-Западной Колхиды в VIII-V вв до н.э. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук. Тбилиси.

Козенкова В. 1982: Обряд кремации в Кобанской культуре Кавказа. – Б. Рыбаков (ред.). Советская археология, №3, с. 14-33. Москва.

Козенкова В. 1982а: Типология и хронологическая классификация предметов Кобанской культуры. Восточный вариант. Москва.

Козенкова В. 1998: Материальная основа быта Кобанских племен. Западный вариант. – Б. Рыбаков (ред.). САИ России, вып. В2-5. Москва.

Крупнов Е. 1960: Древняя история Северного Кавказа. Москва.

Куфтин Б. 1943: Урартские колумбарии у подшвы Арарата и Куро-аракский знеолит. Тбилиси.

Лесков А. 1965: Горный Крым в I тысячелетии до нашей эры. Киев.

Мартиросян А. 1954: Раскопки в Головино. Археологические раскопки в Армении, № 4. Ереван.

Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р., Чубинишвили Н. 1984: Исследования Колхидской экспедиции. – О. Лордкипанидзе (ред.). ПАИ 1981 года, с. 22-25. Тбилиси.

Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р. 1985: Основные итоги полевых исследований Колхидской экспедиции. – О. Лордкипанидзе (ред.). ПАИ 1982 года, с. 37-40. Тбилиси.

Микеладзе Т. 1990: К археологии Колхиды. Тбилиси.

Микеладзе Т., Папуашвили Р., Чубинишвили Н. 1991: Колхидская экспедиция. – О. Лордкипанидзе (ред.). ПАИ 1986 года, с. 59-65. Тбилиси.

Микеладзе Т., Мигдисова Н., Папуашвили Р. 1995: Колхидская экспедиция. – О. Лордкипанидзе (ред.). ПАИ 1987 года, с. 39-43. Тбилиси.

Монгайт А. 1974: Археология Западной Европы. Бронзовые и железные века. Москва.

Петренко В. 1978: Украшения скифии VII-III вв до н.э. Б. Рыбаков (ред.). САИ, вып. Д4-5. Москва.

Садрадзе В. 1991: Мцхета в XV-XIII вв до н.э. (Вопросы хронологии и периодизации памятников Шида-картли). Тбилиси.

Садыхзаде Ш. 1971: Древние украшения Азербайджана. Баку.

Техов Б. 1971: Очерки древней истории и археологии Юго-Осетии. Тбилиси.

Техов Б. 1977: Центральный Кавказ в XVI-X вв. Москва.

Техов Б. 1980: Тлийский могильник (комплексы XVI-X вв. до н.э.). Тбилиси.

Техов Б. 1981: Тлийский могильник (комплексы IX-первой половины VII вв. до н.э.), II. Тбилиси.

Техов Б. 1985: Тлийский могильник III (комплексы второй половины VII-VI вв. до н.э.). Тбилиси.

Трапш М. 1969: Труды, т.2, Древний Сухуми. Сухуми.

Уварова П. 1900: Могильники Северного Кавказа. МАК, VIII.

Хачатрян Т. 1973: Древняя культура Ширака. III-I тысячью до н.э. Ереван.

Хоштария Н. 1959: Археологические исследования в Вани и Ванском районе в 1952 году. - ან. აფაქიძე (რედ.). - მსკა, II, გვ. 149-162. თბილისი.

Шамба Г. 1980: Эшерское городище. Тбилиси.

Чайлд Г. 1952: У истоков Европейской цивилизации. Москва.

Dimitrescu V. 1968: La Nekropole Tumulaire du premier Ave Du Fer De Basarabi (DEP. De Dolg. Oltenie). – C. Daicoviciu (red). Dacia, novella sevil XII, p. 177-260.








Popa Alexandru, Jon Bereli. 1964: Contribution A L E tude Des D epots Hallstattiens. - C.Daicoviciu (red). Dacia. Nouvelle sopie VIII, h. 88100.









Schaffer C.F.A. 1948: Stratigraphie Comporee et Chronologie del Asie Ociendetale III et II millenaires. Oxford.

ილუსტრაციების აღწერილობა:

ტაბ. I – ძვ.წ. XV-VII სს. კისრის რკალები;

ტაბ. II - ძვ.წ. VI-III სს. კისრის რკალები.

	I ცოცო	II ცოცო	III ცოცო
IA			
IIA- IIIA			
IIX- AX			

	I У н 3 н	II У н 3 н
III	 <p>Group I jewelry items: necklaces 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 34; bracelet 30; and a ring 24.</p>	 <p>Group II jewelry items: necklaces 36, 37.</p>
VI	 <p>Group VI jewelry items: necklaces 21, 22, 23; bracelet 25; and a ring 26.</p>	 <p>Group VI jewelry items: necklace 25, bracelet 26.</p>
V	 <p>Group V jewelry items: necklace 24.</p>	 <p>Group V jewelry items: necklace 24.</p>
VI	 <p>Group VI jewelry items: necklaces 21, 22, 23; bracelet 25; and a ring 26.</p>	 <p>Group VI jewelry items: necklace 24.</p>

**სულიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი
საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად
აღიარების კვირაქალზე**

ფარნავაზ მეფის მიერ ძვ.წ. III საუკუნის დასაწყისში განხორციელებული რეფორმების შედეგად, რომელიც შეეხო რელიგიასაც, ქართლის სამეფოს ღვთაებათა პანთეონის უზენაეს კერპად აღიარებულ იქნა **არმაზი** [იხ. Меликишвили Г. 1959:229, 287; გიორგაძე გრ. 1999:199-209].

როგორც ისტორიული წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, სახელმწიფო დონეზე ორგანიზებული კულტმსახურება ქართველურ ტომებს შორის მანამდეც არსებობდა. კერძოდ, იმ დროიდან მაინც, როდესაც შედარებით ადრეული ხანის ღვთაებების პანთეონს სათავეში ედგა **გაცი** და **გა**. ეს ორი ღმერთი თუ ღვთაება ისტორიულ წყაროებში მოხსენებულია, როგორც „მამა-პაპეული და ძველი“. ისინი განასახიერებდნენ ქართველური მოსახლეობის მიერ შექმნილ იმ სახელმწიფოებრივი გაერთიანების იდეოლოგიას, რომელსაც პოსტურარტულ ხანაში სათავეში ედგა **სასპერთი**.

ფარნავაზ მეფის დროინდელ ღვთაებათა პანთეონის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი მესხურ ტომებს, რომლებიც თავისი თავდაპირველი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, ხანგრძლივად განიცდიდნენ ხეთურ-მცირეაზიური სამყაროს კულტურულ-რელიგიურ ზეგავლენასა და რომლებმაც სასპერთა პოლიტიკური გაერთიანების განადგურების შემდეგ (რაც აქემენიდური სახელმწიფოს აღზევებას და დაპყრობით ომებს მოჰყვა თან), მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართლის (იბერიის) სამეფოს ჩამოყალიბებაში. ფარნავაზ მეფის მიერ განხორციელებულ რელიგიურ რეფორმაში უდავოდ გონივრულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ღვთაებათა ორი წყვილის არმაზ-ზადენისა და „მამაპაპეული“ გაცი და გას ურთიერთშერწყმა,

რამაც იმ დროს უდავოდ ხელი შეუწყო ქართველური მოსახლეობის კონსოლიდირებას მცხეთის გარშემო.

თუ როგორ გამოიყურებოდა ზედაზნის მთაზე აღმართული ზადენის გამოსახულება და გააჩნდა თუ არა მას „მსახურ“ ღვთაებათა წყვილი, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მირიან მეფის დროინდელ ერთ-ერთ უძველეს თხზულებაში, რომელიც გაერთიანებულია ქართლის ცხოვრების ტექსტში [ქ.ც. 1955:89] და სადაც საუბარია არმაზის კერპზე, მოცემულია მისი გამოსახულების საკმაოდ ვრცელი აღწერილობა. ირკვევა, რომ ამ უზენაესი ღვთაების ორივე მხარეს იდგა გაცი და გაიმის ოქროსა და ვერცხლის ქანდაკებები [გიორგაძე გრ. 1999:205-209]. ცნობილი მეცნიერი გრ. გიორგაძე ამ კომპოზიციაში ხედავს ხეთურ ღვთაებათა ტრიადის ძალზე მოგვიანო პარალელს [გიორგაძე გრ. 1999:206-208].

ღვთაებათა პანთეონი, რომელსაც სათავეში ედგა უზენაესი ღმერთი **არმაზი**, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე, ე.ი. თითქმის მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში, ქართლის სამეფოსა და საერთოდ, ქართველურ სამყაროში წარმოადგენდა იდეოლოგიას, რომელმაც შეიძინა ეროვნული მნიშვნელობა. ამ რელიგიამ დიდი როლი შეასრულა იმ მძიმე ბრძოლებში, რომელსაც ქართლის სამეფო და მთელი სამხრეთ კავკასია აწარმოებდა გარეშე მტრების ხშირი შემოსევების, კერძოდ, ირანის პოლიტიკური და იდეოლოგიური ექსპანსიის წინააღმდეგ. ეს აგრესია განსაკუთრებით გაძლიერდა ახ.წ. III საუკუნიდან, როდესაც ირანის სათავეში მოექცა სასანელთა დინასტია. თუმცა, პირველი სასანელი შახების დროს ირანის ხელისუფლებას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გაკეთებული რელიგიური არჩევანი. ამ ქვეყნის

მმართველებს შესანიშნავად ესმოდათ იდეოლოგიური საყრდენის უაღრესობა. ცნობილია, თუ როგორ ჩააგონებდა თავის ვაჟს შაპურ I-ს, სასანური დინასტიის დამაარსებელი შახინშახი არდაშირ II: „იცოდე, რომ რელიგია და მეფობა ძმები არიან და მათ ერთი-მეორის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ. რელიგია ეს სამეფოს **საფუძველია** და სამეფო იცავს რელიგიას“. არაბი ისტორიკოსის მასუდის შრომებში შემონახული ეს შეგონება კარგად გამოხატავს სასანური სახელმწიფოს მესვეურთა დამოკიდებულებას რელიგიისადმი. მართლაც, იმხანად სასანური ირანის მმართველები იდგნენ დიდი დილემის წინაშე: მათ უნდა აერჩიათ ორი მოქიშპე იდეოლოგიიდან ერთ-ერთი ან მაზდეიზმი, რომლის მქადაგებელი იმხანად იყო **კარტირი**, ან მანიქეიზმი, რომლის გავრცელებასაც ცდილობდა 25 წლის „მოციქული“ **მანი**. ამ არჩევანზე დიდად იყო დამოკიდებული არა მარტო საკუთრივ ირანის მომავალი, არამედ მეზობელი ქვეყნებისაც. მიუხედავად **მანის** შედარებით ლიბერალური იდეების არაჩვეულებრივი პოპულარობისა და ირანის უმაღლეს წრეებშიც კი გარკვეული მხარდაჭერისა, გამარჯვების სასწორი მაინც კარტირისკენ გადაიხარა, რომელმაც ირანში ძველი მამაპაპეული რელიგია ანუ მაზდეიზმი ააღორძინა და განწმინდა ბინიერებისაგან [Луконин В. 1961; Луконин В. 1966]. ასეთ ვითარებაში მანიქეიზმმა შეიძინა ოპოზიციური, პროტესტის გამომხატველი იდეოლოგიის სახე და დიდხანს აღელვებდა საზოგადოებრივ აზრს მცირე აზიიდან ჩინეთამდე.

აგრესიულად განწყობილი სასანელ მმართველთა ეს არჩევანი ე.ი. სახელმწიფო მანქანის (ტახტის) საყრდენად მაზდეიზმის აღიარება, თავისი საბოლოო შედეგებით, საკმაოდ მძიმე და არასასურველი გამოდგა ირანის მეზობელი ქვეყნების და მათ შორის, ქართლის სამეფოსთვისაც.

ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნე მახლობელ აღმოსავლეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში იყო დიდი დუღილისა და წინააღ-

მდეგობებით აღსავსე ხანა. მაშინ, როდესაც ირანში თანდათანობით პოზიციებს იმაგრებდა მაზდეიზმი, როგორც ახალ სოციალურ ვითარებაში აღორძინებული სახელმწიფო რელიგია და, როდესაც სასანელთა დინასტიის პირველმა მესვეურებმა მტკიცედ გადაწყვიტეს თავიანთი სამეფო გვირგვინი „მიეღოთ“ აპურა-მაზდასაგან, კრიზისებით სულმეხუთულ რომის იმპერიაში და მთელ მახლობელ აღმოსავლეთში სუფევდა ნამდვილი რელიგიური ქაოსი, სადაც უკვე საკმაოდ კარგად ჩამოყალიბებული და ორგანიზაციულად განმტკიცებული ქრისტიანობის მხარდამხარ მეტ-ნაკლები აღიარებით სარგებლობდა: ზოროასტრიზმი, მითრაიზმი, მაზდეიზმი, მანიქეიზმი, ფარსიზმი, იუდეიზმი და სხვა არაერთი რელიგიური მიმდინარეობა. მაგრამ ცხადია, რომ ამ დროისათვის განსაკუთრებული წარმატებით და მოსახლეობის ფართო ფენების მხარდაჭერით გამოირჩეოდა ქრისტიანობა და მითრაიზმი. მახლობელ აღმოსავლეთსა და რომის იმპერიაში მიმდინარე ეს პროცესი, თითქმის ყველა გამოვლინებით აირეკლა კავკასიის ხალხთა ისტორიაში და ბუნებრივია, იგი შეეხო საქართველოსაც.

მითრაიზმის სამშობლოს ინდო-ირანული სამყარო წარმოადგენდა, მაგრამ ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებისათვის იგი შორს იყო გაცდენილი ირანის საზღვრებს და ერთგვარი „მსოფლიო რელიგიის“ სახე ჰქონდა შექმნილი. მითრაიზმი სწრაფად გავრცელდა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ფართოდ იყო აღიარებული მნათობთა თაყვანისცემა, ამიტომაც, სრულიად ბუნებრივია, რომ მან გამოძახილი ჰპოვა საქართველოშიც [მაკალათია ს. 1927].

ძვ.წ. I საუკუნიდან მითრაიზმი ფართოდ გავრცელებულა პონტოს სამეფოშიც, რომლის მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი ქართველური მოდგმისა იყო. მითრიდატე პონტოელს რომ რომის იმპერიასთან ბრძოლაში გამარჯვება მოეპოვებინა, როგორც ზოგიერთი მკვლავარი ვარაუდობდა, მითრაიზმი შესაძლოა ქცეულიყო ფართოდ გავრცელებულ

რელიგიად და მას ამ მხარეში ქრისტიანული იდეოლოგიის ადგილიც კი დაეკავებინა [კეკელიძე კ. 1965:342-353].

აღსანიშნავია, რომ მითრიაზმი ტრიუმფით შეიჭრა რომშიც და იმდენი მიმდევარი და თანამოაზრე შეიძინა, რომ II საუკუნის მეორე ნახევარში ამ რელიგიას ქვეყნის უმაღლეს წრეებშიც კი გამოუჩნდა მფარველი **სეპტიმუს სევერუსის** ცოლის დედოფალ **იულია დომნას** სახით, ხოლო III საუკუნეში იმპერატორმა ავრელიანემ (270-275 წწ.) მითრას პატივსაცემად მარსის ველზე აღმართა საუცხოო ტაძარი, რომელსაც გაუჩინა ქურუმ-მსახურთა მთელი კოლეგია.

ახ.წ. II-III საუკუნეებში მითრიაზმის ახალი ძლიერი ტალღა მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიას, ამჯერად რომის იმპერიიდან „დაუბრუნდა“. ქართველურ სივრცეში მითრას კულტის ფართო გავრცელებაზე მიუთითებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალებიც. კერძოდ, **არმაზისხევის, ბორის და ზღუდერის** ვერცხლის პინაკების ფსკერზე გამოსახული ბომონის წინაშე მდგომი მზის სიმბოლოს — ტორანეული ცხენის ფიგურები კარგა ხანია სამეცნიერო ლიტერატურაში დაკავშირებულია ჩვენში მითრას კულტის არსებობასთან [აფაქიძე ან. ... 1955; ამირანაშვილი შ. 1971:97-99; ნემსაძე გ. 1969:45-56]. ადრე აღმოჩენილ ამგვარივე თასებს, უკანასკნელად დაემატა არაგვისპირის სამაროვანზე მიკვლეული ვერცხლის პინაკი, რომელზედაც დიდი ექსპრესიით გამოსახულია ტორანეული, მოჭიხვინე ახალგაზრდა ცხენი, რომლის წინაც ოდნავ გვერდზე გადახრილი ბომონია აღმართული.

გარდა ამისა, ახალ ყინვალში (დუშეთის რაიონი) გამოვლენილი და შესწავლილია ძველი ნელთაღრიცხვის ბოლოთი დათარიღებულ ნაგებობათა კომპლექსი, სადაც დიდ სათავსოში ბომონის ნაშთი დადასტურდა, ხოლო მეორე სათავსოში აღმოჩნდა ალბათ ღვთაებისადმი შეწირული კვიცის მთლიანი ჩონჩხი და ცხენის ტერაკოტული ქანდაკებე-

ბი [რამიშვილი რ., ... 1980:13-16]. თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ბიჭვინთის ნაქალაქარზე, ტაძრების უბანში აღმოჩნდა სპილენძის მონეტების საკმაოდ დიდი განძი, სადაც მონეტების უმეტეს ნაწილზე გამოსახულია ცხენზე ამხედრებული მითრა, ნათელი გახდება თუ რა ფართო გავრცელება ჰქონია ამ რელიგიურ მიმდინარეობას, როგორც კოლხურ სივრცეში, ასევე მთელ საქართველოში. ბიჭვინთაში აღმოჩენილ ტრაპეზუნტულ საქალაქო მონეტებს და მასთან დაკავშირებულ რელიგიურ საკითხებს მიეძღვნა ვრცელი გამოკვლევა [იხ. დუნდუა გ. 1975:280-412] და, ამდენად, მათზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ გარდა მონეტებისა, ცხენოსანი მითრას გამოსახულებები აღმოჩენილია გლიპტიკურ ძეგლებზეც, რომელთა დიდი უმრავლესობა საქართველოს ტერიტორიაზეა მოპოვებული [ჯავახიშვილი ქ. 2007:37-40].

საყურადღებოა, რომ მითრას დაბადების დღედ ითვლებოდა 25 დეკემბერი. ამ საზეიმოდ ღღეს აუცილებლად იკვლებოდა ტახი, რომელიც მიჩნეული იყო მითრას წმინდა ცხოველად. ავესტაში **იეშთ-სადეში**, ანუ მითრას ტახი დიდი პატივით იყო მოხსენებული. ამავე წყაროს მიხედვით, ტახი წინ უძღოდა ხოლმე ეტლით გამოსულ მითრას და მლოცველთა რწმენით, მუსრს ავლებდა ბოროტ ძალებს. თუ მახლობელი აღმოსავლეთის მასალების მიხედვით ვიმსჯელებთ, მითრიაზმს თავისი თეოლოგიური მორალურ-ეთიკური და რიტუალური მახასიათებლებით ბევრი რამ ჰქონდა საერთო ქრისტიანობასთან. როგორც ცნობილია, ადრეულმა ქრისტიანობამ, თავისი რიტუალების ჩამოყალიბების ხანაში ბევრი რამ ისესხა სხვადასხვა რელიგიებიდან და მათ შორის, მითრიაზმიდანაც. მაგალითად, ქრისტეშობის დღეს, ანუ 25 დეკემბერს, როდესაც მთავრდებოდა შობის მარხვა, ქრისტიან-მორწმუნეთა ოჯახებში აუცილებლად იკვლებოდა ღორი, რომლის მოხარშული თავი სუფრაზე უნდა მიეტანათ [კეკელიძე კ.

1965:342-353]. ერთხელ კიდევ აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ იესო ქრისტესა და მითრას დაბადების დღედ მიჩნეულია 25 დეკემბერი.

მიუხედავად მითრაიზმის ასეთი ფართო გავრცელებისა, III საუკუნის მცირე აზიასა და ეგეოსურ სამყაროში პოპულარობის თვალსაზრისით იგი საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა მზარდ ქრისტიანობას, რომელიც ორგანიზაციული თვალსაზრისით გაცილებით უკეთ იყო ჩამოყალიბებული და მიზანდასახულად მიიკვლევდა გზას საყოველთაო აღიარებისაკენ. მიუხედავად უამრავი წინააღმდეგობებისა და დევნისა, ლეგალიზაციისათვის წარმოებულ მძიმე ბრძოლაში ქრისტიანობას უხდებოდა მეტად რთული სხვა ბარიერების გადალახვა.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგიის გავრცელება საქართველოში დაიწყო ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნის პირველი ნახევრიდანვე, რასაც უშუალოდ ახორციელებდა იესო ქრისტეს მოწაფეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი (**ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მატათა** და სხვები). ბუნებრივია, ახალი მოძღვრების ქადაგებისას მათ დაპირისპირება უხდებოდათ უძველეს ადგილობრივ (მამაპაპეულ) ღვთაებათა ტაძრებში მოქმედ კულტმსახურთა ძლიერ გუნდთან, რომელსაც მხარს უმაგრებდა ოფიციალური ხელისუფლება. მართალია ისტორიულ წყაროებს ამ მოვლენის შესახებ პირდაპირი ცნობები არ შემოუნახავს, მაგრამ ქრისტიანული რელიგიის მქადაგებლებს რომ ამგვარი წინააღმდეგობების გადალახვა მთელი I-III საუკუნეების განმავლობაში უხდებოდათ, ცხადია.

თუ როგორ ვრცელდებოდა ქრისტიანობა ქართველურ სივრცეში მცხოვრებ მოსახლეობაში ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრიდან III საუკუნის პირველ ნახევრამდე, ბურუსითაა მოცული. ამ პერიოდის ნამოსახლარებსა და სამარხეულ კომპლექსებში ქრისტიანულ ყოფასთან და კულტმსახურებასთან დაკავშირებული ნივთიერი მასალა ჯერჯერობით არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი არ არის. ამ

პერიოდში ასევე შეურყეველი ჩანს დაკრძალვის რიტუალის წარმართული ტრადიცია. საქართველოში მოპოვებული განათხარი მასალების მიხედვით III საუკუნის შუა ხანებიდან მდგომარეობა თვალსაჩინოდ იცვლება ქრისტიანობის სასარგებლოდ. მაგალითად, III საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ქრისტიანული რელიგიის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მაგრანეთის სამაროვანზე (ერნოს ველი) ერთ-ერთ მდიდრულ სამარხში აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი ჯვრის გამოსახულებით, რომელიც ხელზე ეკეთა სოციალურად და ეკონომიკურად დაწინაურებულ პიროვნებას, უკვე ქრისტიანულ (თავით დასავლეთისაკენ, გულხელდაკრეფით) პოზაში დაკრძალულს [რამიშვილი რ. 1979]. ქრისტიანულად დაკრძალვის წესი დადასტურდა არაგვისპირის სამაროვანზედაც, სადაც III საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებულ სამარხებში აგრეთვე მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლები იყვნენ დაკრძალულნი. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ რიგით სამარხებში, სადაც მოსახლეობის ფართო ფენების წარმომადგენლები განისვენებდნენ, როგორც ერნოში ასევე არაგვისპირში, დაკრძალვის პოზა იყო წარმართული (მარცხენა ან მარჯვენა გვერდზე, მოხრილი), რაც მიუთითებს მოსახლეობაში ძველი ტრადიციების მდგრადობაზე. თუმცა, ზოგიერთ ქრისტიანულ თემში III საუკუნის მეორე ნახევარში უკვე ეკლესიებიც უშენებიათ, მაგალითად: **ნასტავისში** [ბოხორაძე აღ. 1974:54-59] ან **ბიჭვინტაში** [აფაქიძე ან. 1975:13-194], სადაც დადასტურდა დარბაზული ტიპის ეკლესიათა ნაშთები. ამავე პერიოდისა უნდა იყოს უჯარმის ეკლესიის ქვედა სართულის კედლებიც. ცნობილია, რომ III საუკუნის დასასრულს და IV საუკუნის დასაწყისში უჯარმის მიდამოებში იგულისხმება ძლიერი ქრისტიანული თემის არსებობა.

ახალი იდეოლოგიის — ქრისტიანობის პოზიციების გამყარებას, გარდა საზოგადოების შიგნით მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესებისა, რაც მიმართული იყო ქვეყნის

ფეოდალიზაციისაკენ III საუკუნის მეორე ნახევარში, აჩქარებდა მეტად რთული საგარეო ვითარება. გაძლიერებული სასახური ირანის დაუფარავმა აგრესიამ კავკასიის და კერძოდ, საქართველოს მიმართ, ისედაც დასავლურ სამყაროზე ორიენტირებული ქართლის სამეფოს მესვეურები აიძულა, რაც შეიძლება დროულად შეერთებოდა იმ ძალებს, რომელიც ბიზანტიის ახლადშექმნილი იმპერიის გარშემო იყრიდა თავს და რომელიც ამჯერად ქრისტიანული იდეოლოგიით აღჭურვილი, მძიმე ბრძოლებს აწარმოებდა სასახური ირანის წინააღმდეგ.

წერილობითი წყაროების და არქეოლოგიური მასალების ანალიზი გვიჩვენებს, რომ IV საუკუნის დასაწყისში ქართლის სამეფოს მესვეურებს გადამწყვეტი რეფორმის განხორციელება რელიგიის სფეროში დიდად არ გასჭირვებიათ (თუ არ ჩავთვლით მთას, რომლის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონე ბევრად ჩამორჩებოდა ბარისას). ბუნებრივია, ძველ რწმენასთან დაკავშირებული კერპების მსხვრევა, რაც 326 წლის დიდი ნათლისღების შედეგად განხორციელდა ქართლის სამეფოში, უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა, სხვა რომ არა იყოს რა, ამ მკვეთრი ღონისძიებით სამუდამოდ განადგურდა ძველ რელიგიასთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის არაერთი ძეგლი, არქიტექტურული ნაგებობები, ხელოვნების ალბათ თვალსაჩინო ნიმუშები, წერილობითი ძეგლები და სხვა, რომლებთაც შეეძლოთ ფასდაუდებელი წვლილის შეტანა წინაქრისტიანული ხანის სულიერი კულტურის ისტორიის კვლევის საქმეში.

გადანწყვეტილება, რომელიც პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა მიიღო თხოთის მთაზე, მთლიანად პასუხობდა ქვეყნის წინაშე დასმულ უმთავრეს ამოცანებს, სოციალური განვითარების ახალ ტენდენციებს და ურთულეს პოლიტიკურ ვითარებას საგარეო ურთიერთობათა სფეროში.

სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობის გამოცხადებით, კიდევ უფრო განმტკიცდა

კავშირი დასავლეთის სამყაროსთან, დასავლურ ღირებულებებთან და კულტურასთან. მირიან მეფის მიერ განხორციელებული ეს რეფორმა დღემდე ინარჩუნებს თავის ცხოველმყოფელობას.

ლიტერატურა:

ამირანაშვილი შ. 1971: ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, გვ. 97-99.

აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. 1955: მცხეთა, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, I, თბილისი.

აფაქიძე ან. 1975: არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, „დიდი პიტიუნტი“, I, თბილისი, გვ. 13-198.

ბოხოჩაძე ალ. 1974: ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. — ოთ. ლორთქიფანიძე (რედ.), საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს. თბილისი, გვ. 54-59, ტაბ. XII-XIV.

გიორგაძე გრ. 1999: ხეთურ-არმაზული ტრიადები. — ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი. თბილისი. გვ. 199-209.

დუნდუა გ. 1975: სამონეტო მიმოქცევა და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ბიჭვინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძვ.წ. II – ახ.წ. IV საუკუნეებში. — „დიდი პიტიუნტი“, არქეოლოგიური გათხრები ბიჭვინტაში, I, თბილისი. გვ. 280-429.

კეკელიძე კ. 1965: ქრისტიანიზმი და მითრაიზმი. — ეტიუდები, II, თბილისი, გვ. 342-353.

მაკალათია ს. 1927: ღვთაება მითრას კულტი ძველ საქართველოში. თბილისი.

ნემსაძე გ. 1969: ზღუდერის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები. — ალ. ჯავახიშვილი (რედ.), საქართველოს სახ. მუზეუმის

არქეოლოგიური ექსპედიციები (1965-1967).
თბილისი. გვ. 45-56.

რამიშვილი რ. 1979: ერნოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბილისი.

რამიშვილი რ., მოძმანაშვილი ი. 1980: გვიანელინისტური ხანის ხუროთმოძღვრული კომპლექსის კვლევა ახალ ჟინვალში. — რ. რამიშვილი (რედ.), ჟინვალის ექსპედიცია, II სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი. გვ. 13-16.

ქც. 1955: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.

ჯავახიშვილი ქ. 2007: ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. თბილისი. გვ. 37-40.

Луконин В. 1961: Иран в эпоху первых Сасанидов. Очерки по истории культуры. Ленинград.

Луконин В. 1966: Картир и Мани. – ВДИ, № 1, Москва.

Меликишвили Г. 1959: К истории древней Грузии. Тбилиси.

ღვანულადი კოლეგა რამინ რამიშვილი 80 წლისაა

რამინ რამიშვილი დაიბადა 1928 წლის 2 ივლისს, თბილისში, ცნობილი მეცნიერის მაქსიმე რამიშვილის ოჯახში. 1947 წელს დაამთავრა თბილისის მე-9 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, საქართველოს ისტორიის განხრით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1952 წელს, გამოცდები ჩააბარა ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში არქეოლოგიის განხრით. 1957 წლიდან იგი ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1960 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქართლის სამეფო ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში“. ამ ნაშრომს საფუძვლად დაედო მისი მონაწილეობით **კამარახვის** სამაროვანზე მოპოვებული მასალები. 1962 წლიდან ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1974-1984 წლებში ხელმძღვანელობდა ადრე შუასაუკუნეთა ხანის პრობლემურ ლაბორატორიას, სადაც სხვადასხვა საკითხებთან ერთად მუშავებოდა ქრისტიანულ არქეოლოგიასთან დაკავშირებული თემები. 1984 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „ქართლის სამეფო ახ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში“ (არქეოლოგიური მასალების მიხედვით) და იმავე წლიდან დაინიშნა აკც-ს შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელად. ამ მოვალეობას იგი ასრულებდა 2003 წლამდე.

რ. რამიშვილი სავსე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წარმომადგენელია. მას მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ ექსპედიციაში: **უჯარმაში** (1950-1952 წწ.); **მცხეთაში** (1957-1958 წწ.); **ქვემო ქართლში** (1956 წ.); **ენგურჰესის** სამშენებლო ზონაში (1961-1962 წწ.); კახეთში, კერძოდ **იყალთოში** (1966 წ.), **მატანში** (1966-

1968 წწ.), **კვეტერაზე** (1968 წ.) და სხვა.

რ. რამიშვილს განსაკუთრებით დიდი შრომა აქვს განუღი სამ ექსპედიციაში: **ბიჭვინთაში** (1952-1963 წწ.), სადაც უძველესი ქრისტიანული ეკლესიების ნაშთები იქნა ფიქსირებული. მისი ინიციატივით ბიჭვინტის ტაძარში მოეწყო ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლების ფოტოსურათების ვრცელი გამოფენა, სადაც ექსპონირებული იყო არქეოლოგიური მასალები ბიჭვინტიდანაც.

ივრის ხეობაში, კერძოდ სიონის წყალსაცავის ზონაში (1961-1962 წწ.), მისი ხელმძღვანელობით გაითხარა IV-V საუკუნეებით დათარიღებული ბაზილიკის ნაშთები, სამეფო აკლდამა და სამაროვანი. დიდი ისტორიული და მხატვრული ღირებულების გამო ეკლესია და აკლდამა მისი ინიციატივით გადატანილ იქნა თბილისის ღია ცის ქვეშა მუზეუმში (არქიტექტორი ლ. ხიმშიაშვილი).

ერნოს ველზე (1963-1969 წწ.) გაითხარა სხვადასხვა ასაკის ათამდე ძეგლი, რომელთა შესწავლას მიეძღვნა რ. რამიშვილის (ორი), ბ. ჯორბენაძის და ლ. კობაიძის წიგნები, რომლებიც გამოქვეყნდა გრიფით „ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები“.

რ. რამიშვილის ბიოგრაფიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია მის მოღვაწეობას **მდ. არაგვის ხეობაში**. იქ, მისი ხელმძღვანელობით მომუშავე ექსპედიციამ 1971-1992 წლებში, როგორც ჰიდროკომპლექსის ზონაში, ასევე მთელ ხეობაში, შეასრულა ჭეშმარიტად ტიტანური სამუშაო. როდესაც ექსპედიციის საწყის ეტაპზევე აღმოჩენილ არქეოლოგიურ მონაპოვართა შორის თავი იჩინა სხვადასხვა ეპოქების ნივთიერმა მასალებმა, მან ველზე სამუშაოდ მიიწვია შესაბამისი ეპოქის მასალებზე მომუშავე მკვლევარები და საფუძველი ჩაუყარა მრავალპროფილიან

მკვლევართა ერთიან გუნდს, რომლებიც მის მუდმივ თანამებრძოლ ბ. ჯორბენაძესთან ერთად თავდაუზოგავად იღვწოდნენ, როგორც ველზე მუშაობის დროს, ასევე მიკვლევული მასალების დროული დამუშავებისა და შესწავლისათვის. ამ კვლევა-ძიების მეოხებით წარმოუდგენლად გამდიდრდა და შეივსო ჩვენი ცოდნა აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთისა და მთის შესახებ.

გარდა არაგვის აუზისა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელა თერგის ხეობის ახალმშენებლობებზედაც. კერძოდ, სხვადასხვა წლებში უაღრესად საყურადღებო მასალები იქნა მოპოვებული იქ მომუშავე რაზმების მიერ „გიგასსათობის“ სამაროვანზე (გ. ღამბაშიძე), დარიალის ციხეზე და მის შემოგარენში, გველეთის სამაროვანზე, ტყაშეტში და სხვა (დ. მინდორაშვილი). გარდა ამისა, დაიხვერა ხევის მთელი ტერიტორია (ივ. ნიკლაური, დ. მინდორაშვილი) და აღირიცხა ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები.

ხანგრძლივი საველე სამუშაოებით მოპოვებული არქეოლოგიური მასალები საფუძვლად დაედო მის სამეცნიერო ნაშრომებს, რომელთა რიცხვი 150-ს აჭარბებს. რ. რამიშვილის ნაშრომებში და მონოგრაფიებში ახლებურადაა დასმული და გადაჭრილი იმ პერიოდის საქართველოს არქეოლოგიის არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. მაგალითად, მას განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის მთისა და ბარის ურთიერთობის საკვანძო საკითხების კვლევაში. ამ სფეროში მის მიერ განეული შრომის დაგვირგვინება იყო დუშეთის არქეოლოგიურ ბაზაზე ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც მიეძღვნა მთისა და ბარის ურთიერთობათა კვლევას არამარტო კავკასიონის მთიანეთის მაგალითზე, არამედ ევრ-აზიის მასშტაბითაც; ამ სიმპოზიუმზე წაკითხული მოხსენებების **მოკლე შინაარსების კრებული** რუსულ ენაზე მაშინვე გამოქვეყნდა, ხოლო სრული ტექსტი, სათანადო ილუსტრაციებით, 1988 წლიდან

დღემდე ელის გამოქვეყნებას.

სამეცნიერო კვლევა-ძიების მხარდამხარ იგი არქეოლოგიური კვლევის ცენტრში ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა მკვლევართა მუდმივმოქმედ სემინარს. იქ წაკითხული მოხსენებების საფუძველზე დააარსა სამეცნიერო კრებული „არქეოლოგიური ძიებანი“, სადაც იბეჭდებოდა 1975-1990 წლებში სემინარზე წაკითხული ნაშრომები. სულ, ამ სერიით გამოქვეყნებულია **5 ნიგნი**. ჩვენი იუბილარის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს „ქრისტიანული არქეოლოგიის“ მუდმივი სემინარის ჩამოყალიბებაც, რომელიც დღემდე მოქმედებს აკც-ში. მან მონაწილეობა მიიღო 1991 წელს გერმანიის მაშინდელ დედაქალაქ ბონში ჩატარებულ „ქრისტიანული არქეოლოგიის“ XII მსოფლიო კონგრესის მუშაობაში და მისი განცხადების საფუძველზე კონგრესის საბჭომ საქართველო (აკც-ს სახით) მიიღო ამ კონგრესის სრულყოფილებიან წევრად. „ქრისტიანული არქეოლოგიის“ სემინარმა უკვე ჩაატარა 7 კონფერენცია და რ. რამიშვილის რედაქტორობით გამოიცა მოხსენებათა მოკლე შინაარსების **6 კრებული**. მე-7 კრებული გამზადებულია გამოსაცემად.

თავის მეცნიერულ საქმიანობაში იგი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს ნასოფლართა შესწავლასაც. შუასაუკუნეთა ხანის არქეოლოგიის განყოფილების თანამშრომელთა მხარდაჭერით ჩატარდა ორი კონფერენცია სათაურით **„შუასაუკუნეთა ხანის ქართული სოფელი არქეოლოგიური მასალების მიხედვით“**. შესაბამისად, მისი რედაქტორობით გამოიცა მოხსენებათა მოკლე შინაარსების **ორი კრებული**.

იმის გამო, რომ არაგვის აუზისა და ხევის არქეოლოგიური კვლევისას მოზღვავებული არქეოლოგიური მასალების დროული და სრული პუბლიკაცია ვერ ხერხდებოდა, საველე კვლევა-ძიების მხარდამხარ ექსპედიციის ხელმძღვანელობა დროდადრო მართავდა სამეცნიერო სესიებს, სადაც ცალკეული უბნის ხელმძღვანელებს თავიანთი მოხსენებებით სამეცნიერო მიმოქცევაში შეჰქონდათ

ახალი მასალები. ამ მოხსენებათა მოკლე შინაარსები ქვეყნდებოდა გრიფით „ჟინვალის ექსპედიცია“. გამოიცა 4 კრებული (რედაქტორები: რ. რამიშვილი, ბ. მაისურაძე). გარდა ამისა, პროფ. ოთ. ლორთქიფანიძის რეკომენდაციით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაადგინა, რომ დაარსებულიყო გამოცემათა სერია „ჟინვალი“ (1983 წელს გამოიცა I ტომი, რედ. რ. რამიშვილი). დღეს ამ სერიას ეწოდება „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები“. ჯერჯერობით გამოცემულია 3 ნიგნი (გ. რჩეულიშვილი, დ. მინდორაშვილი, რ. რამიშვილი), ხოლო გამოსაცემად მომზადებულია კიდევ 4 მონოგრაფია.

რ. რამიშვილის ხელმძღვანელობით დაცულია ან დასაცავად მომზადებული იყო 10-მდე სადისერტაციო ნაშრომი.

გარდა ამისა, იგი წლების მანძილზე სამხატვრო აკადემიასა (სადაც ამზადებდნენ ძეგლთა დაცვის სპეციალისტებს) და ტექნიკურ უნივერსიტეტში (სადაც მზადდება ახალმშენებელთა კადრები) მან შემოიღო საგანგებო კურსი „საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის და ძეგლთა დაცვის საფუძვლები“ და კითხულობდა ლექციებს. 1992 წელს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანებულმა სამეცნიერო საბჭომ იგი აირჩია პროფესორის თანამდებობაზე.

სამეცნიერო მოღვაწეობის გარდა ჩვენი იუბილარი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. იგი იყო საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. მან საქართველოს ტელევიზიაში შემოიღო გადაცემათა ციკლი „გავუფრთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, — 1964-1969 წლებში მან მოამზადა 21 გადაცემა.

ბოლო ხანებში იუბილარი მჭიდროდ თანამშრომლობს დუშეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან და მონაწილეობს ახალი საექსპოზიციო გეგმის შედგენაში.

ბოლოს, ორიოდ სიტყვით უნდა აღინიშნოს მისი თავდაუზოგავი ძალისხმევა დუ-

შეთის არქეოლოგიური ბაზის შექმნასა და კეთილმოწყობაში. არქეოლოგიური ბაზა მოთავსებულია XVII-XVIII საუკუნეებით დათარიღებულ ციხე-სახლში, რომელიც დასავლეთიდან დარაჯად ედგა ქალაქ დუშეთს. დროთა სიავით და ადამიანთა დაუდევრობით ეს ნაგებობა, როდესაც გადაეცა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას, სავალალო მდგომარეობაში იყო, მაგრამ ექსპედიციის წევრთა თავდადებული შრომით იგი იქცა ერთ-ერთ საუკეთესო კეთილმოწყობილ სამეცნიერო დაწესებულებად, სადაც ყველა პირობაა შექმნილი ნორმალური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის. ბაზის საფონდო დარბაზებში დაცულია მრავალფეროვანი და უმდიდრესი არქეოლოგიური კოლექციები, საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა, არქივი, სადაც ინახება სავსე დღიურები და ანგარიშები, თანამშრომელთა წლიური თემები, ნახატები, ნახაზები, ფოტონეგატივები, სლაიდები, სავსე მუშაობის ამსახველი კინოფირი და სხვა. ბაზას გააჩნია კინოდანადგარებით აღჭურვილი სალექციო დარბაზი, ექსპერიმენტული კერამიკული სახელოსნო, ეთნოგრაფიული კოლექციების საცავი, ფოტოლაბორატორია და სხვა.

ბატონი რამინის დაულალავი მცდელობით მოწესრიგდა ადრე სამჭედლოდ ქცეული კარის ეკლესია, სადაც აღდგენილია განვითარებული შუასაუკუნეებით დათარიღებული კანკელი, რომელიც აღმოჩნდა დატბორვის ზონაში დარჩენილი ჯვარიპატიოსნის ეკლესიაში. კარგად მოვლილი ბაზის ეზოში მისივე ხელმძღვანელობით მოეწყო ღია ცის ქვეშა მუზეუმი, სადაც დატბორვის ზონაში მოყოლილი ჟინვალის ნაქალაქარიდან გადმოტანილია არქეოლოგიურ-ხუროთმოძღვრული ძეგლები.

არქეოლოგიურ ბაზაზე თავმოყრილია ეთნოგრაფიული ნივთების საკმაოდ მდიდარი კოლექცია. ამ ბოლო დროს ეროვნული მუზეუმის ტექნიკური დახმარებით, ბაზაზე მოეწყო საკმაოდ მაღალ დონეზე ორგანიზებული არქეოლოგიური გამოფენა (რ. რამიშვილი,

გ. გოგოჭური), რითაც მოსახლეობის ფართო მასებში პროპაგანდა ეწევა არაგვის და თერგის ხეობათა სიძველეებს.

რ. რამიშვილის ძირითადი ნაშრომები:

1. მასალები ქართლის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, 1959: საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი.

2. ივრის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, 1970: I, სიონი, თბილისი.

3. ერნოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, 1979: თბილისი.

4. მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, 1981: ჟინვალის ექსპედიცია, მეორე სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი. 98-154.

5. ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი, 1971-1973 წწ. განათხარის მიხედვით — ჟინვალი I, 1983: არქეოლოგიური ძიე-

ბა არაგვის ხეობაში. თბილისი. 81-130.

6. ქართლის სამეფო ახ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა), 1983: სადოქტორო დისერტაცია. თბილისი.

7. ზოგიერთი მოსაზრება საქართველოში ფეოდალიზმის გენეზისის საკითხთან დაკავშირებით, 1989: მაცნე, ისტორიის... სერია №4. 137-157.

8. არქეოლოგიური კვლევა-ძიება დავათში, 2008: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, V, თბილისი.

9. აღმოსავლეთ საქართველოს ადრე შუასაუკუნეთა ხანის ნასოფლარები, 2008: ალაზნის, ივრის და არაგვის ხეობათა მასალების მიხედვით, სშად. 8-21.

ნაშრომების სრული ნუსხა გამოქვეყნებულია შრომების კრებულში: საქართველოს შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, 2008: თბილისი. 137-151; ძიებანი, 2003: №11. 106-107.

რედკოლეგია

რეცენზია ლეონარდო ბრაუნორატიისა

A. Furtwängler, I. Gagoshidze, H. Löhr, N. Ludwig (ed.), ***Iberia and Rome: The Excavations of the Palace at Dedoplist Gora and the Roman Influence in the Caucasian Kingdom of Iberia***. *Schriften des Zentrums für Archäologie und Kulturgeschichte des Schwarzmeerraumes Bd. 13*. Langenweissbach: Beier & Beran, 2008. Pp. vi, 309; 92 p. of plates. (ISBN 9783941171084).---ზე

Reviewed by Leonardo Gregoratti, University of Udine (DerGrego@googlemail.com).

Bryn Mawr Classical Review 2010.02.38.

რეცენზენტი ლეონარდო გრეგორატი, უდინეს უნივერსიტეტის პროფ. (იტალია).

1994 წელს დაიბეჭდა მონოგრაფია, რომელიც ფუნდამენტური აღმოჩნდა ანტიკური ხანის კავკასიის რეგიონის კვლევისათვის. დევიდ ბრაუნდის ეს ნაშრომი (D. Braund, *Georgia in Antiquity: A History of Colchis and Transcaucasian Iberia 550 BC-AD 562*. Oxford: Clarendon Press, 1994), მიუხედავად რამდენადმე მკაცრი, მაგრამ ზოგიერთ ასპექტში საფუძვლიანი კრიტიკისა (Review by Everett L. Wheeler BMCR 1995.04.05.), უეჭველად იმსახურებს დასავლეთელი მკვლევარების ყურადღებას თანდართული მნიშვნელოვანი ისტორიული და ფილოლოგიური ხასიათის დასკვნებისა და უზარმაზარი მოცულობის არქეოლოგიური მასალების გამო, რომლებიც ათწლეულების მანძილზე დააგროვეს ადგილობრივმა მკვლევარებმა, ჯერ საბჭოთა და შემდეგ ქართველმა მეცნიერებმა და რომლებიც აქამდე ჩვენთვის არ იყო ხელმისაწვდომი, იმის გამო, რომ ან არ გამოქვეყნებულა, ან გამოქვეყნდა რუსულ ან ადგილობრივ ენაზე. იმ საკამათო საკითხების ნაყოფიერ კვლევაში, რომელიც ჯერ ბერძნული, ხოლო შემდეგ რომაულ-ბიზანტიური გავლენის ქვეშ მყოფი კოლხეთის, იბერიისა და კავკასიის ალბანეთის რეგიონებს ეხება და რომელსაც ავტორმა განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიანიჭა რაც ბრაუნდის მიმართ კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა, ჩადებულია ლიტერატურულ წყაროებსა და ისტორიულ ვარაუდებზე დაფუძნებული მონაცემების გადამოწმებისა და წლების მანძილზე ადგილზე ჩატარებული კვლევების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციებთან შეჯერების შესაძლებლობა.

